

ლუიზა ჩხეტია-ზაქარაია

---

# უფლის სიყვარული გადაგვარჩენს



გამომცემლობა „მერანი“  
თბილისი 2025 წ.

წიგნი ეძღვნება  
ჩემს ქოთაცერთი საფიქტო კაფიშვილის  
თემურ ზექტონთის ხსოვნას

---

---

მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის უდიდეს მადლობას ვუცხადებ: გიგა კუხალეიშვილს, ჯონი გურგენაძეს, რაულ ანთაძეს, ირაკლი ლოლუას, ზაურ კაპანაძეს, გია დარჯანიას, ალექს დოლბაიას, დარეჯან თოლორდავა, ვალერი და მამუკა კობერიძეებს, გულიურ იმნაძეს და ჩემს ქალიშვილს ხა-თუნა ზაქარაიას, რომელთა თანადგომის გარეშე ეს წიგნი მზის სინათლეს ვერ იხილავდა.

ლმერთმა დაგლოცოთ და გავაძლიეროთ.

ავტორი

---

რედაქტორი  
მაყვალა გონაშვილი

ჟერნიკური რედაქტორი  
მანანა გორგიშვილი

კორექტორი  
ხათუნა ზაქარაია

გარეპარის ნახატი და დამკაბადონებელი  
თამარ ტყაბლაძე



ლუიზა ჩხეტია-ზაქარაია



## სიყვარულის აღამდარი

ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: - ვინც ბალდებს კეთილგონიერად ზრდის იგია ალმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი ნერგი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფსო.

ლუიზა ჩხეტიამ მრავალი ათეული წელი მიუძღვნა მომავალი თაობის კეთილგონიერად აღზრდას, დიდებული პედაგოგისა და პოეტი ქალბატონის ყოველი დღე, ყოველი წამი სავსეა სამშობლოზე ფიქრითა და ზრუნვით, მისი ყოველი სტრიქონი სიყვარულით და ღვთიური მაღლითაა მირონცხებული.

გავიხსნოთ მისი მშვენიერი ლექსი „ფოტოსინთეზი“, რომელიც პოეტ ქალბატონს დედამიწაზე, მის მომავალზე ფიქრმა დააწერინა.

სიცოცხლე ვაცალოთ  
ჩვენს ლამაზ პლანეტას,  
გულში არ გავივლოთ  
ბოროტი ფიქრები,  
ამდენი იმები  
სამყაროს წალეკავს,  
რად გვინდა ეს მიწა,  
თუ ჩვენ არ ვიქნებით,  
მზე, პური, სამშობლო,  
რწმენა და უფალი,  
სიყვარულს დავუდგეთ  
გზებად და ხილებად,  
სიცოცხლე რომ იყოს  
მხნე, თავისუფალი  
პლანეტას წყალივით  
მშვიდობა სჭირდება.

მსურს ბედნიერება, დღეგრძელობა, მშვიდობა და მკითხველის სიყვარული ვუსურვო ჩემს უსაყვარლეს ქალბატონ ლუიზას. ჩემი მცირე წერილი კი მისივე სიტყვებით დავასრულო:

მაგრად დადექ! კვლავ სჭირდები საქართველოს,  
მერე რა, რომ მოგერია ჭალარა.

### **მაყვალა გონაშვილი**

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის  
თავმჯდომარე რუსთაველის პრემიის ლაურეატი

## საქართველო ოომ ჰევია

მზე რომ ამოდის სისხამ  
და მზე რომ ჩადის გვიან,  
მინდვრის ყვავილთა ფშვინვას,  
ფოთლებზე ნამის ციაგს.  
ჭალად ხასხასა ბალახს,  
ხეზე ჩიტების ფრთხიალს,  
ლიხის მთებიდან ჩუმად  
შემოპარებულ ნიავს.  
გზაზე ანკარა წყაროს,  
ნაკადულების ჩხრიალს,  
მთებზე გადმოსკდარს ზვავად  
ქათქათა თოვლის ხრიალს.  
ტბაში თევზების დგაფუნს,  
ტყეში ხეების შრიალს,  
ენას ბულბულის სადარს,  
ნეტარს, საამო ხმიანს.  
მგზავრი ურმულს რომ იტყვის,  
კორდს რომ გაივლის ტყიანს,  
ბრძენი გლეხკაცის აზრებს  
გონიერსა და ჭკვიანს.  
ციცინათელას კრთომას,  
სოფლად ურმების ჭრიალს,  
თეთრ რაშზე შემჯდარ მხედარს,  
მკერდს რომ შეუშვერს ტყვიას.  
წკნელივით მოქნილ გოგოს,  
ალერსით თვალდასეტყვილს,  
ვაჟი წყაროსთან რიხით  
გენაცვალეს, რომ ეტყვის.  
ქართული ლხინის ეშხს და

ცეცხლზე მწვადების ტრიალს,  
სიძეს ლახტივით მოქნილს,  
პატარძლის კაბის შრიალს.  
ალგეთის ლეკვებს მგლისას,  
კაი ყმას მუდამ მტრიანს,  
ბალში დახუნდლულ ვაშლებს  
და ვაზის მტევნებს ცვრიანს.  
კლდის ქიმზე შემდგარ დილას,  
მზისა და მთვარის ტრიალს,  
ტყეში ნუკრების კუნტრუშს,  
კლდის ფერდობზე რომ ხტიან.  
ქრისტეს სიყვარულს ქვეყნად,  
მამულს ენას და რწმენას,  
ქართული სიტყვის მადლს და  
ლამაზ მზის სხივთა ფენას.  
ვარდის ბუჩქებზე შემჯდარ  
ნაზი ბულბულის ტიას,  
ყველა სიცოცხლეს ლამაზს,  
საქართველო რომ ჰქვია.

21. V. 2011 წ.

## საახალცლო სურვილები

ახალო წელო, შენი შემოსვლა  
ფეხბედნიერი იყოს ამიერ,  
დე, მეკვლედ გყავდეს ქვეყნად მშვიდობა  
და გუგუნებდეს მრავალუამიერ!  
აფხაზეთში და სამაჩაბლოში  
დიდი ხნის ნატვრა ახდეს წამიერ,  
მრავალუამიერ, ჩემო მამულო,  
მრავალუამიერ, მრავალუამიერ.  
გვეყო მარაბდა, გვეყო დიდგორი,  
რომ არასოდეს დავპატარავდეთ,  
ღმერთო, მანაზე გადაჭიმული  
ნიკოფისიდან დარუბანდამდე,  
ჩემი მამული ქართულ მიწებით  
ია-ვარდებით ნახავერდევი,  
კვლავ მოუბრუნდეს გლეხკაცი სოფელს  
ხვავით, ბარაქით, სავსე ბელლებით.  
შორს სიძულვილო, ქვეყნის სატანავ,  
შენ დაგვიფარე, ღმერთო ძლიერო,  
შენ შეაყვარე ქართველს ქართველი,  
ამ სიყვარულმა გაგვაძლიეროს.  
სიდუხჭირეს და უმუშევრობას  
დაე, დაესვას ამ წელს წერტილი,  
არ ყოფილიყოს ემიგრანტები,  
ლუქმა პურისთვის გადახვეწილი.  
დაე, ხარობდეს ქართველი კაცი,  
ქართული სულით ნაპატივები,  
შრომით და გარჯით გაჰქონდეს ლელო,  
არ იყოს შიში დაპატიმრების.  
ბოლო მოელოს უკანონობას,

ღალატი, შური ყველგან კრულ იყოს,  
დაე, ამქვეყნად ქართველი კაცი  
აღარასოდეს დაჩაგრულიყოს.  
უფლის სიყვარულს ვენდოთ ბოლომდე  
და არ ვხედავდეთ თვალებს დარდიანს,  
იბადებოდეს, „ალგეთს ლეკვები“  
ვსვამდეთ ოჯალეშს ბაგე მადლიანს.  
უფლის რწმენით და მამულზე ფიქრით  
მარად გვთარავდეს ყველგან უფალი,  
რომ თავი ჩვენი ჩვენ, „გვეყუდნოდეს“  
სამარადჟამოდ თავისუფალი.  
არ მოგვეშალოს კრიალა ზეცა,  
მთვარემ დახიოს მწუხრის ზენარი.  
არასდროს ეთქვას ჩვენს ქართველ დედებს,  
შვილის ქორწილს რომ ვერ მოვესწარი.  
მტერს რომ შეშურდეს ისე გამრავლდეს,  
ქართული ჯიშის ნაღდი შვილები,  
დე, მსოფლიოში თავს ვიწონებდეთ  
ჩვენი ლამაზი ტრადიციებით.  
ჩვენი პატარა, კოხტა მამული  
დამსგავსებოდეს ღვთიურ სამოთხეს  
და ობლის კვერი ასე ნანატრი,  
გვიან კი არა, ადრე გამოცხვეს.  
რომ პანდემიამ არ იბობოქროს,  
სიკვდილის ცელი დაგმეს ერებმა,  
სიყვარული თუ შეცვლის სიძულვილს,  
კოვიდ ცხრამეტი რას მოგვერევა.  
ჯანის სიმრთელე დაგბედებოდეთ,  
ბოლო მოედოს კოვიდ-თარეშებს,  
ქუჩაში ამ წელს მშვიდად გაგვევლოს,  
პირზე აკრული ბადის გარეშე.

არ მოშლილიყოს ტყეთა შრიალი,  
ბაღში ვარდისფრად ატმების ფეთქვა,  
მტკვრის პირს კი არა ყველა მდინარის  
ნაპირზე ტატოს ლექსები გვეთქვას.  
წიგნით, წერაქვით, შრომით და ნიჭით,  
თავის მამულში მყარად მდგარიყოს  
და თუ წაიქცა ქართველი სადმე,  
ისევ ქართველით წამომდგარიყოს.  
არ მოშლილიყოს ჩვენს ოჯახებში  
ლხინი, ქორნილი და მყუდროება.  
მუდამ ღიმილით გვეკეროს პირზე,  
მამული, ენა, სარწმუნოება.  
ერთ მუშტად შევკრათ იმერ-ამერი  
და გამოვთხიზლდეთ, ერო ძლიერო,  
მრავალ ახალ წელს, მრავალ ახალ წელს,  
დაე, უფალმა გაგვაძლიეროს!

1.I.2023წ.

## ვოთონისითობი

ბუნებაში ფოტოსინთეზის პროცესი მცენარის მწვანე ფო-  
თლებში ხდება, რომლითაც ატმოსფეროში ჟანგბადი გამოი-  
ყოფა. იგი დედამიწაზე სიცოცხლის წყაროა. ადამიანთა მიერ  
ბუნების ხელყოფა, რადიაციულ ნივთიერებათა გაუონვა, გა-  
ფრქვევა ჰაერში, წყალში, ხმელეთზე საშიშროებას უქმნის  
ფოტოსინთეზის პროცესს. დღეს როგორც არასდროს ჩვენს  
პლანეტას მშვიდობა სჭირდება, რომ არ წავართვათ მსოფ-  
ლიოს მარადიული ჟანგბადი. უარი სიძულვილს! უარი და-  
მანგრეველ ომებს! მშვიდობა და სიყვარული გადაგვარჩენს  
მხოლოდ.

## ვოთონისითობი

მზის სხივი დაეცა ფოთოლთა ქლოროპლასტის  
და აზურმუხტდა ფოთლები წამებში,  
რომელიც აღვივებს სიცოცხლის ნაპერწკალს,  
როცა ჩაიქროლებს  
ხორბალთა ყანებში  
როს უფლის შეწევნით,  
დახვავდა ხორბალი.  
წითლდება ყაყაჩო  
და მთელი სავარდო  
მწვანე ტყეს მოუცავს  
ცხოველი მრავალი,  
ერთჯაჭვად შეკრულა,  
სიცოცხლე ნავარდობს.  
თაფლად რომ იღვრება

ნექტრიდან ფუტკარი.  
ალუჩის ტოტებს სურს  
კვირტები ახაროს,  
ხორბლიდან, ფუტკრიდან,  
თუ კაცთა მოდგმიდან.  
ირთვება სიცოცხლით  
ფერადი სამყარო  
და შენში ცის მწველი  
შუქი რომ კიაფობს,  
არსობის პურია,  
პატარა მარცვალი.  
იგია ახლა რომ  
ჩვენს ტვინში ჭიატობს,  
ჯვარცმული მაცხოვრის  
ხელებით დამცხვარი.  
მერცხლების ჭიკჭიკი  
ალალებს სახლის სხვენს  
ბუდეში ბარტყების  
თვალების გახელა,  
ფოთლების სიმწვანით  
ხალისობს სიცოცხლე-  
ფოტოსინთეზი, რომ ქვია სახელად.  
სიცოცხლე იფრქვევა  
ბაღსა და ვენახში.  
საიასამანო -სურნელი - სავარდო  
სიცოცხლე არ წყდება  
სალი კლდის ფენაშიც,  
წყალშიაც, ხმელეთზეც  
და ცაზეც ნავარდობს.  
ხეები მოუხრიათ  
მიწამდე ნაყოფებს,

გაშლილ ვენახებში  
ლერწები ფრიალებს.  
გლეხკაცს რომ მიაწვდის  
მთელი წლის სამყოფელს,  
ღვინით დიონისე  
აუგსებს ფიალებს.  
აკენიდან დედის ხმა  
შვილს როცა ჩაესმის,  
დედის ნანინაა,  
თუ შაშვის გალობა,  
უფალო, გვაკმარე  
დღეები კაეშნის,  
ჩვენი სიცოცხლეა  
დღეს შენი წყალობა.  
ადამიანო, ნაბიჯს ნუ გადადგამ!  
ამ კეთილ მიწაზე  
რომ დგახარ მუხლებით,  
როცა მზის სხივი  
გვირგვინად დაგადგა,  
რა დროს ომია და  
ატომის მუხტები?!  
მძივებად იკვრება  
სამყაროს სიცოცხლე,  
ბოროტს და მაცილს სურს  
ეს მძივი დაშალოს,  
ჭადარს, ფიჭვს, ნეკერჩხალს,  
თუ ლამაზ ნაძვის ხეს,  
ნაჯახს ნუ დაუშენთ,  
სიცოცხლე ვაცალოთ.  
ჩვენს ლამაზ პლანეტას

გულში არ გავივლოთ  
ბოროტი ფიქრები,  
ამდენი ომები  
სამყაროს წალეკავს,  
რად გვინდა ეს მიწა,  
თუ ჩვენ არ ვიქნებით.  
მზე, პური, სამშობლო,  
რწმენა და უფალი  
სიყვარულს დავუდგეთ  
გზებად და ხიდებად,  
სიცოცხლე რომ იყოს  
მხნე, თავისუფალი  
პლანეტას, წყალივით,  
მშვიდობა ჭირდება.  
მზის მუხტი გვჭირდება  
და არა ატომის,  
უარი რაკეტებს,  
ათასგვარ მიზეზით.  
უფალი ჩვენთან არს,  
არასდროს დაგვტოვებს,  
რომ შევინარჩუნოთ  
მზით ფოტოსინთეზი.  
ღვთით შევინარჩუნოთ  
ლამაზი პლანეტა,  
დნეპრის და დუნაის  
შფოთავენ ტალღები.  
ადამიანო, თუ ცოდვა წაგვლეკავს  
უფლის წინაშე როგორდა წარვსდგებით.  
გვიყვარდეს სიცოცხლე- ლამაზი ფერებით  
და ჩვენი პლანეტა სიცოცხლით ვახაროთ,  
არასდროს წავართვათ მზეს უხვი სხივები,

სიმღერით ავავსოთ ფერადი სამყარო.  
არ გვინდა ომები-სიავის მომტანი,  
მამონამ სიკეთეს  
არასდროს არ სძლიოს,  
სიცოცხლე რომ იყოს  
მხნე, თავისუფალი,  
უანგბადს ნუ წავართმევთ  
დღევანდელ მსოფლიოს.  
ატომის მუხტები  
სამყაროს წალეკავს,  
დღეს მხოლოდ მზის შუქი  
და სითბო გვჭირდება,  
სიძულვილს და მტრობას  
სასტიკი უარი,  
სიყვარულს დავუდგეთ  
გზებად და ხიდებად.

18.X. 2023

## მამულისთვის ერთად დგომა გადაგვარჩენს

დღეს მამული გასაოცრად ასე თბილი,  
გავიმეტეთ, გადავთელეთ ყველა ქუჩა,  
ვერ ზეიმობს გაზაფხული გაფოთლილი,  
ბოროტებას დასასრული აღარ უჩინს.  
ვუცქერ გაზონს, გამიცოცხლდა ის წარსული,  
როცა კარგი მიზანსწრაფვა გვაღელვებდა,  
დანასისხლად გავიმეტეთ ერთმანეთი,  
გულს მიკორტნის ამის ფიქრად გაელვება.  
მამულისთვის ერთად დგომა გადაგვარჩენს,  
შენს მიწაზე იღვანე და გაისარჯე,  
„შენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები,  
ჩემი დამარცხებით შენ ვერ გაიმარჯვებ“.

18. VIII. 2011წ.

## შველა უძღა ქართულ სოცელს

შეიცვალა დედამიწა და ღრუბლების მნუხრი ბურავს,  
გახვეულა ნისლის ბოლში და ცოდვებით ძლივსლა ბრუნავს,  
გლობალური დათბობაა, ამას ტყეში მგლებიც ჯავრობს,  
თოვლის ცრემლი დასდენია ევერესტს და კლიმანჯაროს.  
ზღვის ტალღები ველარ იტევს გემებიდან ჩაღვრილ ნავთობს,  
თევზებს სუნთქვა შეუჩერდათ, წყალში გახსნილ ჟანგბადს  
ნატრობს,

ორაგულმა დაიკვნესა, პირი სილით მაქვსო სავსე,  
თორემ ახლა ვინ დამასწრებს, საყვედლურით ქვეყნის სათქმელს,  
თევზის ბევრი სახეობა ამოწყდა და გაილია,  
ვეთანხმები ძველ ანდაზას: ზღვა წვეთობით დაილია,  
მიწას ისევ ახვევია სხვა ჭირი და სხვა დოზანა,  
ამერიკული პეპელა, აზიური ფაროსანა.

ვაშლი, კომში, მსხლის ჯიშები, ატამი თუ ვაშლატამა,  
უღმრთოდ გახმა ხეხილები, ყველაფერი გადაჭამა,  
ბოსტნეულიც მიაყოლა, იქ ითვლიან ზარალს დიდად,  
სულ გამოხრა თხილის გული, ჩვენში, „ცხრა ძმას რომ ყოფნიდა“.  
კოლხურ ბზას და კოლხურ მუხას რამ გაუხმო დღეს ფესვები,  
ვაზი ტირის ქარაგმულად, უფოთლებოდ რატომ ვხმები,  
ტყეში შველის ნუკრის ცრემლი გულსაკლავად ზღვას რომ  
ერთვის,

ცაზე ორბი აღარ ლალობს, მოწამეა თავად ღმერთი.  
დღეს სოფელი ვიღას უნდა, ან ტრაქტორი მინდორ-ველად,  
საზღვარგარეთ მიიღებიან, ლუკმა-პურის საშოვნელად  
და ამბობენ აქ რა ყრია, ანდა რა გვაქვს მოსაწევი,  
დოლარები თუ არა გაქვს წინ ვერაფერით წაიწევი.  
ახლა შუა ღამეა და ისევ ვფიქრობ საფიქრალზე,  
დღეს პატარა საქართველო დარჩენილა ისევ მშრალზე,  
გული მწყდება ქართველები, რომ მიდიან საზღვარს იქით,

არ ვიცოდი გულის წვეთებს რომ დავლევდი ჩაის ჭიქით.  
ახლა მინდა დავიტოვო, იმედი და კვლავ ნუგეში.  
დედები რომ შვილებს ზრდიდეს თავის საკუთარ ბუდეში,  
მინდა ლალად ვარდის ბუჩქთან, მაფშალიები გალობდეს,  
კაცი უნდა ვაჟუკაცობდეს, ქალი ნაზად რომ ქალობდეს.  
შველა უნდა პალს და ვენახს, შველა უნდა ქართულ სოფელს.  
ან ქალაქი სოფლისაგან რატომ უნდა იყოფოდეს?  
ან სად თქმულა კვირეული, უკვიროდ და უშაბათოდ  
ხე დავრგოთ და ლამაზ მამულს ნუ დავტოვებთ უუანგბადოვ.

29.VI.2014 6.

## ՑԵՐԵ ԻՆ ԻՐԵ...

Մերը րա րոմ դագելալա մշելո,  
դա ցցոնու րոմ յանսալո առա ხար,  
մենո պրմոծու սոճլույրը դրոմ մոկուցա,  
ցուլս հիստաեց! Մեն եղերո առա ხար.  
Մեն եռոմ դրոմո ցատանց ժելու լուլո,  
մենո սաեց նառչյեծմա դալարա,  
մեն նոցեմաց կովաց ჭորդեծո սայարտալոս,  
մերը րա րոմ մոցերու քալարա.  
Նոց ցամոնցու տմեծու ցարուցուլո զերութելո,  
տազերուս եզեզու մթյու զեր ուժլեծ տակարաս,  
ալուատ ոյոյրու ցացոնելու ցուլու ցուպելո,  
ծրճուու ցուլու ամ ցեղուրեծամ դացլալա.  
Առ դանցեծց, ցատանց օսեց լուլո,  
ոնցա սպամու օսեց ծոյզս դա նալարաս,  
մացրաց դագեյ! կովաց ჭորդեծո սայարտալոս,  
մերը րա, րոմ մոցերու քալարա.

8. VI. 2010 ն.

## მე პოლეი ვარ

მე კოლხი ვარ, - ფაზისელი,  
ყველგან ალალ - მართლად მითქვამს,  
აიეტის ქვეყნიდან ვარ,  
რიონის წყალი შემისვამს.  
სადაც ჩემი ჯიშის ხალხი  
ოქროს ვერძით გაწაფულა,  
ზოგი საცრით ცრიდა ქვიშას,  
წყალს უგებდა გოდორს ზოგი,  
ვერძის ტყავზე დატეულა  
რკინისა და ოქროს ზოდი.  
როცა კოლხთა მონაპოვარს,  
იტაცებდნენ ქვეყნის იქით,  
ჩემს ჯიშს ფუტკრად დაეხვია,  
დაეხუნდლა მწველი ფიქრი.  
მე მედეას ქვეყნიდან ვარ,  
ჩემში ცოტნეს სული მკაცრობს,  
რიონს ზურგზე შევახტები,  
ნარსული რომ გამოვსტაცო.  
ჭყონდიდელის ერთგულება  
არის კოლხთა განაჩენი,  
სხვა სამშობლო არ არსებობს,  
სულერთია დანარჩენი.  
მიყვარს მუხა ძველკოლხური,  
მისი ვაზის დანახვისას.  
წელმოწყვეტით რომ ირხევა  
ღერო ღვართქლა ბალახისა.  
მზე ეშვება მწვერვალიდან,  
სხივთა წამწამს ახამხამებს,  
ცვარ-ცრემლებით მოვერცხლილა,  
ვეფხისა და მოყმის მხარე.  
მე ლაზარეს ენა მზრდიდა

სულიერად შემართული,  
ქართულ ზნეზე ვარ გაზრდილი,  
სიმღერებით ძველქართულით.  
მე გუბაზის მემკვიდრე ვარ,  
გადავცურავ ხობის წყალსა,  
ფეხშიმუხლი ვეფერები  
ნაწვიმარზე სველ ბალახსაც.  
შურიგე და თოლიგეთი  
მოზვრის ყანნით ღვინოს მოვსვამ  
და სიამით ტუჩს მივადებ  
შემთბარ ნაჟურს ცხრა წყაროსთან.  
მიჯანყდება მკერდში სისხლი,  
ჩემი ჯიშის და ჯილაგის,  
სახით ვგავარ უდარდელას  
მეგურმანე ქალთა დარდის.  
მინდა სხივი დამხაროდეს  
მთვარისა და ჩემი მზისა,  
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები  
ეფრქვეოდეს ცას და მიწას.  
წყაროს წყალი მოწანწკარე  
არის ცრემლი თამარისა,  
კოლხიდაში სული იწვის,  
ფიქრმა მთები გადანისლა.  
ხმალი ელავს კოლხი დედის,  
მადლი მოსავს ქრისტეს ჯვრისა,  
გადმოჰყურებს გუმბათიდან  
სხივი ღვთისმშობლის ტაძრისა.  
სხვა სამოთხეს არ დავეძებ,  
სხვა მზისა და სხვა მთვარისა,  
მე კოლხი ვარ, კოლხად დავრჩი,  
ვარ მემკვიდრე ფარნავაზისა,  
ქუჯისა და დავითისა.

17. II. 20246.

## მე ოდოიას ჰაგი მხიპლავს

ვერ გავჩერდები, მინდა სიტყვა ლექსებით ვფერო,  
რომ არ ვემსგავსო კლდის ბალახის გადამხმარ ღეროს,  
მომხვეჭელი და მოლალატე მე ვერ მაცდუნებს,  
ვერ ვეგუები ფარისევლებს და სკამ-კაცუნებს.  
მე ოდოიას ჰანგი მხიბლავს მას ვუერთდები,  
და მელანდება რქაგრეხილა ოქროს ვერძები,  
ვერ შევადარებ ჩემს ვარსკვლავებს სხვა ქვეყნის მხარეს,  
ოქროსფრად როცა იბინდება კოლხური მთვარე.  
ზღვის ნაპირზე ვარ ქვიშიანზე, ირგვლივ მთებია,  
აქ დავიბადე, სხვა სამოთხე არ მიძებნია,  
მიყვარდა ყველა, ვინც იცხოვრა მართლაც კაცურად.  
და არა იგი-გადაიქცა ვინც სკამ-კაცუნად.  
ვერ გავჩერდები, მინდა აზრი ლექსებით ვფერო,  
რომ არ ვემგვანო კლდის ბილიკზე დახავსულ ღეროს,  
მამულო ჩემო! დავაღწიოთ შურსა და ლალატს,  
ეს არის ჩემი სურვილები და არცა ვმალავ.  
ვერ გავჩერდები!

15. VII. 2010 წ.

## გული მაჟვს ახალგაზრდული

სიცოცხლე ძალზე მიყვარდა, როცა ვიყავი ზრდასრული თუმც ახალგაზრდა არა ვარ, გული მაქვს ახალგაზრდული, ახლაც მიზიდავს ბალნარში - აფეთქებული ალუჩა, მერცხლების ჭიკჭიკს თუ მოვისმენ, სიხარულს ბოლო არ უჩანს. მოშრიალე ტყე მატყვევებს ნაძვებითა და იფნებით, ზღვა სიხარული მეწვევა ლექსებად გავირითმები, მზეს როცა მოესურვება ღრუბელთ შენგრევა კარისა, მეც ვაჟასავით მიზიდავს, „მთიდან ბლავილი ხარისა“. მიხარის რომ მინარნარებს შეყვარებული წყვილები, იმ ქართველ დედებს შევხარი, ვისაც ბევრი ყავს შვილები, ტაძარში ხშირად ვლოცულობ, უფლის რწმენა მაქვს ნათელი, მრევლის გულებში ზღვა ღელავს, ანათებს წმინდა სანთლი. მიყვარს შავი ზღვის ტალღები, რომ ჩაუქროლებს ჯებირებს, ისევ რომ შევხვდე ალიონს, უფალო, შემაძლებინე, ვით მთვარე ღამეს ნათელს ჰყენს, მთვარე-ბაჯაღლო ტანსრული, მე ჯერ არ დავბერებულვარ, გული მაქვს ახალგაზრდული.

17. II. 2010 წ.

## ოდიგური

ნეტავ სახლი რისთვის მინდა,  
თუ სტუმარი არ შევიდა,  
რა შევთხოვო ჩემს ღმერთს წმინდად,  
ვინ რას ჩამომიგდებს ციდან?!  
ჩემი ოდა, თხმელის ჩერო,  
გრძელ ტაბაკზე ცხელი მჭადი,  
კიტრი ნამით ალოკილი,  
მინდვრის ფხალის შეჭამანდი.  
ლობიო თავმიჭყლეტილი,  
ქოთანში რომ სურნელს აფრქვევს  
და კეჟერა ფხალის მწნილი  
პილპილი რომ ცოფებს აყრის.  
რას ჭიხვინებს ქვიშორია,  
არ დაიდებს ლაგამს ისე,  
ჩემს ლარიბულ სუფრას გავშლი,  
ოჯალეშით ჯამს აგივსებ.  
და მეგრული სიმღერები  
დედის ნანასავით ტკბილი,  
აშო ბუსკა, ვიშო ჩელა,  
სი ყოროფაშ გეგაფილი.  
ჰე, სტუმარო! მართლაც ღვთისავ,  
ალარ დამემდურო აწი,  
ოჯალეშს და ალადასტურს,  
რომ შეგასმევ მოზვრის ყანწით.  
ლაზის სისხლი მიდუღს მკერდში,  
გავშლი სიყვარულის ბადეს,  
ჩემი თავი გენაცვალოს,  
ილხინე და ითამადე.

რას ჭიხვინებს ქვიშორია.  
სტუმრის შარა თუ შორია,  
შარიშურობს შორით ცირა,  
ადგილი ვერ უპოვია.

25.X. 2010 წ.

\* \* \*

თავზე არ დამდის ქონება,  
არც უქონლობით ვიწვი,  
ვიდრე თან მახლავს გონება  
ჩემთვის უცხოა იჭვი.  
გთხოვთ ნუ ჩამითვლით ტრაბახად,  
თუ კი ხმამაღლა ვიტყვი,  
ვარ ფრთაგაშლილი ღალლა და  
მაქვს სიყვარულის ნიჭი.  
ღმერთმა მაშოროს შური და  
სავალი გზები მრუდი,  
ყველა თაობა კარგია,  
უთავობაა ცუდი.

5. VI . 2007 წ.

## გულით ვამპობ

ამქვეყნიურ სიმდიდრეს ნუ დახარბდები,  
ეს ცხოვრება წუთისოფლის თამაშია,  
მე გულს გჩუქნით, მეგობრებო, წრფელად, რადგან  
გულის მეტი არაფერი გამაჩინია.  
წრფელი გულით-თუნდ მცირედი საჩუქარი,  
მირთმეული გულითადად მეგობრისთვის.  
წრფელი გულით მიღოცვილი წარმატება,  
წრფელი გულით, რომ ლოცულობ დიდხანს მისთვის.  
გულით ვამბობ, გულით გლოცავთ,  
გულით ვმღერი, ისევ უფლის საგალობელს,  
მართლა გულით, სიყვარულით გეფერებით,  
სასმისს ვიღებ, ვამბობ უფლის სამადლობელს.  
გულით ვტირი, გულით ვხარობ, გულით ვწუხვარ,  
გულს ვუჯერებ, ცხენები მყავს დარახტული,  
გულით მიყვარს მთვარე, მზე და ვარსკვლავები  
ქართული ცა ფიროსმანის დახატული.  
შენ დიდება, სიცოცხლეო, - უფლის ნებით, - წაჩუქარო,  
გულს უხარის თქვენი ნახვა, - სიყვარულიც ამაშია,  
მე გულს გჩუქნით, მეგობრებო, წრფელი გულით,  
გულის მეტი არაფერი გამაჩინია.

8. V. 2008 წ.

## ზოგი რამ ჩვას შესახეპს

ძალიან ბევრი სამსალა შევსვი,  
მეც ჩავწვდი ნაღველს ამ წუთისოფლის,  
მაგრამ ნარ-ეკალს არ მინდა შევწვდე,  
სიძულვილისთვის დრო აღარ მყოფნის.  
მაღალებს მუდამ ჩემი მამული,  
მთის ფერდობები ნაირფერებით,  
თუ ფეხი დაცდა, მტერიც რომ იყოს  
ასვლაში მაინც წავეშველები.  
რა ბევრი ვიცი უბირი კაცი,  
უსაქმურად რომ დაეხეტება,  
იქნებ ჩემზეც თქვას აუგი მკაცრი,  
სამტროდ ის მაინც არ მემეტება.  
ჩემი ცხოვრების ნაკვალევს მივსდევ  
და გულში მუდამ სითბო ძლიერობს,  
გული მატკინეს, მაგრამ არასდროს  
გადამიხდია სამაგიერო.  
თუ დავაპურებ, ლუკმას გავუყოფ,  
მშიერს და მწყურვალს ვარ ბედნიერი,  
ჩემთვის არასდროს არაფერია,  
უფლის რწმენაზე უფრო ძლერი.

3. V. 2005 წ.

## ვეღრება

(ვიღაც მიზანტროპს შურით წამოცდა: საქართველო უქართველოდაც ლამაზიაო, უფალმა დაგვიფაროს, იმ დღეს ნურც მოესწრება მტერი და დუშმანი).

ღმერთმა ნუ მანახოს ეს მიწა დამეწყრილი,  
დელგმა და მერეხი უსაშველო,  
ღმერთმა ნუ მანახოს ველები დარბეული  
და საქართველო უქართველოდ.  
ღმერთმა ნუ მანახოს, ქალი ხელგაწვდილი,  
ხურდა ფულებისთვის უსახელოდ,  
ღმერთმა ნუ მანახოს, ქართველი წაქცეული  
არ წამომდგარი უქართველოდ.  
რად მინდა კალო და ანეული,  
ძველებურად რთველი თუ არ რთველობს,  
რად მინდა გზები არეული  
და საქართველო უქართველოდ.  
ღმერთმა ნუ მანახოს, ბოროტი სატანა  
ფეხს რომ იკიდებდეს უსაშველოდ  
ღმერთმა ნუ მანახოს მოყვასის ცრემლები  
და საქართველო უქართველოდ.  
უფალო, არ მანახო ხეები ნამეხარი,  
სოფელი-ნასოფლარი, უსახელო.  
ღმერთო, დაიფარე ჩემი მარგალიტი  
და არ დამიტოვო უქართველოდ.

27. III. 2000წ.

## სვეტიცხოველი

იმზირებიან ლურჯი მთები იდუმალებით,  
ხელს იჩრდილებენ ცის ტატნობზე, გაჰყურებენ გზებს,  
გადაიშალა ჩემს წინ ახლა ლალი მირაჟი,  
თვალს ვეღარ ვტაცებ ლიხის მთების ნაამბორებ მზეს.  
ცა გადაშლილა ფიროსმანის ლურჯი ფერებით,  
აქ მზისფერებად დახატულა ირგვლივ ყოველი,  
გუმბათის თავზე აელვარდა ვარსკვლავთა დასი,  
მთის მწვერვალებთან დგას ამაყი სვეტიცხოველი.  
ნეკერჩელის ტოტებს მოანგრევდა ლალი ირემი,  
არაგვზე ნაზი ალუჩები ჰყვაოდნენ თეთრად,  
მოაჭენებდა საუკუნეს მეფე გიორგი,  
დიდი მესია, საქართველოს და გულისფერქვა.  
გარდასულ უამის არმურიდან დრო ყალყზე დგება,  
წვეტიან თაღებს ანანავებს, ხან ქრება წამით,  
თითის წვერებზე დგას ეპოქა გარდასულ დღეთა,  
ლამაზ ფრესკებში საუკუნის უთქმელი ჩქამით.  
ოი, მამულო, ეს ჭრილობა დამყვება მარად,  
დრომ ვერ შემუსრა საქართველოს დარდი ყოველი,  
„მე დღსაც მზარავს არსაკიძის მოჭრილი მკლავი,  
მაგრამ მამშვიდებს სიამაყე სვეტიცხოველის“.

## უქართველებოდ თამიც არ მიღდა

საქართველო ქართველებით მინდა:  
ბარით, ველით და მთით,  
მათი გალენილი კალო მინდა,  
თავთავებითა და ძნით.  
ქარაფზე შემდგარი ჯიხვი მინდა,  
ღრუბელს აწვდენილი რქით,  
ცაზე ირაოს შეკვრა მინდა  
ამაყი არწივის ფრთით.  
მთაზე დაფენილი გვირილები  
ჩანჩქერი კამკამა წყლით,  
ჩემი ლამაზი მთა და ველი  
მუდამ ნაფერები მზით.  
ქართლში ქართული ქორწილი მინდა  
ლამაზი წყვილის ხიბლით  
ივერიალთა სიმრავლე მინდა  
ვერაგი მტრების ჯიბრით.  
მე დიდი ჰორიზონტი მინდა  
ჩემი მთვარისა და მზის,  
ჭურის თავზე ქეიფი მინდა  
მარანში-ბაბუის ხნის.  
სიმებიანი ჩონგური მინდა  
ლამაზი ქართული ხმით,  
ღმერთო, მშვიდობით მიმიყვანე  
ტაძართან სავალი გზით.  
უქართველებოდ წამიც არ მინდა,  
არც ღამით, არცა დღით!

28.IX-2003წ.

## პოეზია არის ჩემი ფიქრი

ზოგზოგებმა რა იციან ლექსის ფასი,  
ლექსში ნაღველს ვინ დაიტევს სრულად,  
მიზიდია გულით მუდამ კარგი ლექსი  
პოეტობა ზეცამ მაიძულა.  
ძველ გზებს მაინც ვერ ვღალატობ,  
სული მარტო დადის,  
ისევ ვღელავ და სიმშვიდეს ვნატრობ,  
დამწოლია ღრუბელივით დარდი.  
და ჩემს იმედს მუდამ ვიღაც აქრობს,  
მტანჯველ ფიქრებს სახელს რას ეძახიან,  
მე ლექსებით ვსულდგმულობ და ვამბობ  
ჩემთვის ახლა პოეზიაც დაღია.  
ძველ გზებს მაინც ვერ ვღალატობ,  
ფიქრი სადღაც მიქრის,  
სხვა ოცნება არასოდეს არ მქონია  
პოეზია არის ჩემი ფიქრი.

18. VIII. 2011წ.

## გადავშლი ლექსებს გალაკტიონის

მეამაყება, რომ ვარ ფოთელი,  
ყურს ვუგდებ ტალღებს ზღვა და რიონის,  
მოვეფერები ბალახს მოთელილს,  
გადავშლი ლექსებს გალაკტიონის.  
ცვრიან ბალახზე გავივლი ისევ  
და მოვიშუშებ ყველა იარებს,  
რაა მამული, მეც ვიტყვი მისებრ,  
სველ ბალახზე თუ არ გავიარე.  
პალიასტომის ტალღების შფოთი,  
თითქოს მიწვდება სივრცით მთაგორებს,  
მინდვრის ზამბახებს სივრცე არ ყოფნის,  
რომელიც დარდებს გადააგორებს.  
გადაიქროლებს ზღვაზე თოლია,  
მზეს ეფერება ტალღები ლურჯი,  
და ცოტნეს ცხენი ასე მგონია,  
ქრის უსაბელო რაშივით ურჩი.  
არარაობა მერქმევა მაშინ,  
სველ ბალახზე თუ არ გავიარე,  
მზის ჩაგორება არ ვიგრძენ ზღვაში  
და სიყვარული არ ვაღიარე.  
თუმცა აროდეს მქონია ლალი,  
უამი-უღრუბლო და უშფოთველი,  
მაინც დავდივარ თავაწეული,  
მეამაყება რომ ვარ ფოთელი.

7. VIII. 2016წ.

\* \* \*

მსუბუქად მინდა ახლა ვიარო  
და ჩემთან ერთად იარონ სხვებმაც,  
ზოგ-ზოგებს უნდათ არ აღიარონ,  
არ აღიარონ რომ ყველა ცდება.  
მე იმ ცოდვილებს აღარ ვეხები,  
ზოგს რომ სიცოცხლე გაუნახევრა,  
სისხლში გასვარა ვინაც ხელები  
დამნაშავე რომ ჰქვია სახელად.  
იმათვის მინდა ვწერო უსტარი,  
ამოვიქარვო გულიდან დარდი,  
დღეს უცოდველი და შეუმცდარი  
ამ ქვეყანაზე არავინ დადის.  
ვიფიქრე ჩემთვის, მშვიდობით მარად,  
წავალ არ შემრჩა ძალა და ონე,  
ცხოვრების ულელს ვერ გავწევ კმარა,  
და ზურგს შევაქცევ ამქვეყნად ყოველს.  
წავალ გავყვები სერებს და ბილიკს,  
შევუერთდები სევდიან დაისს,  
საითაც გინდა იბრუნე პირი,  
ზურგს ვერ შეაქცევ ქვეყანას მაინც.

5. VI. 2009წ.

## მამულს დავუდგათ მცველებად

ისედაც მუჭის ტოლაა ნაგლეჯი შენი მიწისა,  
მიწა ტორტივით დაგვიჭრეს, „სტუმრებმა სხვათა მიწისამ“,  
მავანთ სურთ სულის სალარო ჩირის ლასტებად გაახმონ,  
ქრისტესმიერი მოძღვრება რაღაც სექტებმა გააქრონ.  
„სტუმართმოყვარე“ ხალხი ვართ, მამულს ვჭრით მართლაც  
ტორტივით,

ვიღაცის ჯიბრზე დავდივართ, „დემოკრატიის“ მოტივით,  
ეპოლეტები გვიზიდავს, უცხოს ვიმარჯვებთ ფარადა,  
იმათ სიშიშვლეს შევხარით, „ფრანგულ ბომონდის“ დარადა,  
სხვათა როკვებმა შეგვიპყრო, ველურმა კაკაფონიამ,  
თურმე „შატილის ასულო“, რა სიმღერები გვქონია,  
წინყარო, მრავალუამიერ, უცხოეთში თუ დაფასდა,  
თურაშაულის პატრონი ტყეში რად ეძებ პანტასა?!  
ქართულ ცეკვებმა რომ გვამცნო ჩვენი მამულის დიდება,  
შენც დააფასე ქართველო! ნეტავ რა ღმერთი გიწყრება,  
ნუ მოვდებთ წინაპართ საფლავს ლემას, ჭანგას და ლენცოფას,  
ცოდვაი წინამურისა სამარადჟამოდ გვეყოფა.

ფუი, მას, ვინც შეიფერებს მოლას ხვლიკისფერ ხალათებს,  
ვინც აულესავს ცულისპირს თავდადებულის ჯალათებს,  
შევკრათ მამულის სალარო, ლექსებად და სიმღერებად,  
სივრცეს გავყივი, ჰე! სად ხართ! მამულს დავუდგეთ

მცველებად!

8.VIII. 2008წ.

## დავილალე ფიქრებით

დამიღამდა ოცნებით ჩანისლული თვალები,  
დავილალე ფიქრებით გადაუხდელ ვალების,  
ნაგვის ყუთთან მიმდგარი, მოხუცების ყურებით,  
ქუჩაში მიმავალთა ჩამოყრილი ყურებით.

პირში ლუკმა გაჩრილი ლუკმა-ჰურის არმქონის,  
ენის დამახინჯების ჩიქორთულის გამგონის,  
წლობით გულში ჩამარხულ დარდს რომ იტევს ხინჯებად,  
სიმღერების ქართულის, უბრად დამახინჯება.

ნაკუნ-ნაკუნ გაყიდვის წართმეული მიწების,  
სისხლი უღვთოდ დაღვრილი ტალიკ-ტალიკ ბიჭების,  
კაცის მარტო სულობით და ცრემლების წვიმებით,  
და ქვეყნის გასაჭირის ფეხებზე დაკიდებით.

უსასრულო ღალატით ზურგზე მახვილთ ჩაცემის,  
დავილალე ყურებით, მოძმის სულით დაცემის,  
წაქცეულის ცემით და მოყვრის არ მიშველებით,  
ოჯახში რომ შედიხარ ცარიელი ხელებით.

უფულობაზე უფრო უსულობა მადარდებს,  
სანამ უნდა ვუსმენდე დაპირებულ არაკებს,  
როგორ უნდა მივენდო ორპირს და მოღალატეს,  
როცა რომ საგულეში ნაღდი გული არა დევს.

როგორ მინდა რომ ვიყო მოიმედე ხვალესი,  
სისხლი კვლავ რომ არ ჩადგეს ირმის ნატერფალებში.  
სამაჩაბლოს, აფხაზეთს, შეგვეცილოს არავინ,  
და აღარ შფოთვარებდეს ენგური და არაგვი,  
დავილალე ფიქრებით, ასე სანამ ვიქნებით?!

3.II. 2001წ.

## ღმართო ახას გთხოვ ვიდრე ვარსებობ!

რა გაჭმევს ლუკმას, თუკი სხვას შია,  
ურნაში ხელჯოხს ურევს მოხუცი.  
ხელებს მიუწვდენს ურნას არშიად,  
ნაგავის ჩაყრას ისევ მოუცდის.  
ცელოფნებს ქექავს კუთხეში მიყრილს,  
პურის და ვაშლის ნარჩენებს ეძებს,  
თვალებით ბურღავს, თითქოს არც გვიკვირს,  
თუნუქის ქილებს გადადებს გვერდზე.  
დახეულ კაბებს, „დაგლეჯილ ტუფლებს“  
დაჰყურებს ნაგავს, დახეულ ქოლგით,  
ლონემიხდილი შიმშილს რომ უძლებს,  
ვერ შეაშინებს წვიმა და თოვლი.  
მოხუცი თრთოლვით ნაგავთან იცდის,  
ტარაკნებს ებრძვის თითქოს ომშია,  
იმ განცდამ დიდი ტკივილი იცის,  
შენ მაძლარი ხარ და სხვას რომ შია.  
ღმერთო, ამას გთხოვ ვიდრე ვარსებობს  
და შენით მიდგას სული ჯერ კიდევ  
მომეცი ძალა- ბური არსობის  
და მოძმის შველა შემაძლებინე.

18.II. 2001წ.

## დრო ეფემერი

თვალ და ხელშუა გამეპარა დრო ეფემერი,  
რა უცებ გაქრა სიყმანვილე მერცხლის გუნდებით,  
ვნანობ რა დრო დავკარგე და ვერ ვანაწილე.  
ფიქრს ვუპრუნდები.  
ახლა მარტო ვარ და ფიქრებმა შორს გამიტაცა,  
მთვარის სხივებზე ოცნებები მომაწვა რკალად,  
თავს ვეუბნები სიკეთის მარცვალს თუ არ დავთესავ  
მე არსად წავალ!  
ხელაპრობილი უფალს შევთხოვ მამყოფე ვიდრე,  
დღენი წასულან, ნორჩ ყვავილებს ისევ ვნახულობ  
მამულო, ვიდრე ფეხზე ვდგავარ, მომეცი ძალა,  
შენ გემსახურო!

16.VII. 2005

## სული ეპივ ადამიანში

ქვეყნად იმისთვის არ მოვლენილხარ,  
რომ მოიხვეჭო ავლა-დიდება,  
სული ეძიე ადამიანში,  
ხორცი ბაზარშიც კი იყიდება,  
ზოგი სკამისთვის გაყიდის მოძმეს,  
მომხვეჭელობით შორს გაფრინდება,  
სული ეძიეთ ადამიანში,  
ხორცი ბაზარშიც კი იყიდება.  
ახლა ის დროა, განგების ძალით,  
მამულს დავუდგეთ გზად და ხიდებად,  
მამული, ენა სარწმუნოება  
ფულზე არასდროს გაიყიდება.  
თუ დააპურებ მშიერს და მწყურვალს,  
მადლი ვარსკვლავად დაგეფინება,  
სული მიუძღვენ უფალს და მამულს,  
ხორცი ბაზარშიც კი იყიდება.  
ტაძარში, როცა ლოცულობს მრევლი,  
გუმბათის სხივი თავს ეფინება,  
კელაპტრად იწვის წმინდა სანთელი,  
დიდება უფალს, მარად დიდება!

19.VII. 2014წ.

### ო, როგორ მიყვარს მთაზე

ო, როგორ მიყვარს მთაზე  
ტანაშოლტილი ნაძვი,  
ლამაზ გვირილებს ირგვლივ  
ყვითელ გულზე რომ აწვიმს.  
ო, როგორ მიყვარს ივლისს,  
ლაღი შრიალი ტყეთა,  
როცა ჩურჩული ისმის  
ლამაზ ტანაყრილ ხეთა.  
როცა ქორბუდა ქარაფს  
თავის გულისნორს ეძებს,  
და თეთრად ცხვრისა ფარა  
გადაპენტილა მზეზე,  
განა ინატრებს კაცი,  
მათზე უკეთეს სამზერს?!  
მამულო, შენი მწყემსი,  
რომ გევლებოდეს თავზე.

30.V. 2003წ.

## ზოგ-ზოგებს

პირველკაცობის ჟინი გაბრუებთ,  
მამულიც, ერიც ფეხზე გყიდიათ,  
დგასართ ქარბუქში, თოვლში წვიმაში,  
არც კი დაეძებთ, რა ამინდია.  
არც პანდემიას არ ერიდებით,  
აღარ დაეძებთ ჯანის ხარვეზებს,  
ავყიაობის ტბაში იხრჩობით,  
წესსა და კანონს აღარ დაეძებთ.  
ეს არის სენი შეჰყარეთ სხვებსაც,  
თქვენს სულში ახლა მართლა არ ცივა.  
ახლა თქვენს ირგვლივ დაქრის მამონა,  
ბაქტერია და ურჩი ბაცილა.  
თქვენ სიძულვილმა დაგრიათ ხელი,  
არ ქმნით რაიმეს კეთილს და ახალს,  
რისთვის გაცრიცეთ ლამაზი დღენი,  
რასაც ესოდენ ტკივილი ახლავს.  
ცილისწამებით, ცრუ დაპირებით,  
ნეტავ ვის ჯერა ზღაპარ-მითების,  
მამული მაშინ გაძლიერდება,  
თუ სიყვარულით ერთად ვიქნებით.

25.II. 2022წ.

## მონაცემა

(კულტურის ჩემს და და ძმას მაღალოდა ზურის)

ჩვენი ბავშვობა გაფრინდა ისე,  
როგორც ფოთლები იასამანის,  
გვეფერებოდა ლამაზი დედა,  
ტანს გვიფარავდა ერთი საპანი.  
თუმც წინაპართა ცეცხლოვან გენის,  
ჩვენც გვაგიშებდა ოისტეროსი,  
გუმბათიანი ტაძრების გვერდით,  
შეგვაშველებდა ხელს ანგელოზი.  
და ღამე ჰყვება ძველისძველ ზღაპარს,  
ნაკადულს ქმნიდა წვიმის წვეთები,  
კაპარჭინასთან ბაბუას ნავში,  
ჯოხის ცხენებით რომ ვეფეთებით.  
ყურს ვუგდებ ჭადრის ფოთოლთა ჩურჩულს,  
დგას სიზმრეული ტკბილი ხილვები,  
კრთის თეთრი ღამე ისევ პირქარში,  
დარდმორეული დგანან ფიქრები.  
მე იმ ზეციურ სილურჯეს ვნატრობ,  
თეთრ ლოლუებს რომ სტკივათ სიცივე,  
კრთის ათინათი ჩრდილნარევ ველზე,  
ჩემს ოდაბადეს რომ დაციმციმებს.  
ფურისულებმა ნამი ალოკეს,  
და ღამე ჰყვება ძველისძველ ზღაპარს,  
ო, ნოსტალგია მკლავს თქვენი ნახვის,  
ფოთლები სტკივა თეთრ იასამანს.

15.IX. 2006.

## თბილისი

შენს მკერდს ვკოცნი თავნებას და ფიქრიანს,  
შემოჯარულს ქარაფიან კალთებით,  
შენს მთაწმინდას-სევდიანს და ნისლიანს,  
მწუხრის ბინდის რომ შეუკრავს თასმები.  
მთაწმინდაზე რა ლამაზად შეგვერის,  
ცისარტყელას ცაზე მოვარაყება,  
მზის და ვაზის საქორნილო ელფერი,  
ვარსკვლავები რომ უსხედან მაყრებად.  
ო, რამდენი წაილეკა სიშორე,  
გწვავდა ცეცხლი-უბედობის, ქილიკის,  
შენზე დარდი ვერა, ვერ მოვიშორე,  
გზის დასავალ ძნელბედობის ბილიკით.  
ჰორიზონტზე ტყვეთა დაყრილ დალალებს,  
მდუმარ ლოდებს თავისი აქვს საუფლო,  
მე მერმისზე ფიქრი უფრო მავალებს,  
მივიღე და ქვებსაც გავესაუბრო.  
ხოხბის ფრთაზე დაილექა წარსული,  
ბასიანი არ მშორდება თავიდან,  
ის უზნეო რუქნადინი ავსული,  
თამარ მეფის ქოშის წვერად არ ღირდა.  
გოლგოთაზე ვაზის ჯვარით მოსულხარ,  
ქართველ სპათა მხარ-მკლავებით ძლიერით,  
პასუხს სცემდი მოღალატეს, მომხვდურს და  
გამშვენებდა ქართლის დედის იერი.  
თეთრ ულაყზე მიმაქროლებს წარსული,  
შენს მოშურნეს ეშმამ უმუხანათოს,  
როგორც მუდამ, ახლაც ღმერთი გიშველის,  
ქრისტეს რჯული წმინდა და უღალატო.

8.IX. 2004წ.

## შეცვი მხოლოდ სიყვარული ნიჭობს

(ვუძღვნი ჩემს საყვარელ ბიჭს მამუკა კობერიძეს)

ალმასივით რომ ამშვენებ თბილისს,  
გულუხვი ხარ და მზესავით თბილი,  
შენ სიკეთის შემოხაზავ რკალებს,  
სიბნელეშიც რომ ანათებ თვალებს.  
ვაჟკაცობით გადაადნობ ყველას,  
თუ გამოვა ერთი მამუკელა,  
მაგრად დგახარ ჭკუითა და გონით,  
და ცხოვრების გამონახე ფონი.  
შენში მხოლოდ სიყვარული ნიჭობს,  
შენით ვხარობთ უღალატო ბიჭო.  
სიყვარული მთავარია მაინც,  
რაც შეშვენის მზეჭაბუკს და რაინდს.  
ცას ავხედავ უფალს ამას შევსთხოვ,  
მამუკელა მიდღეგრძელე, ღმერთო!  
რომ მეც ვნახო შემოდგომა წყნარი,  
ვთქვა მამუკას ქორწილს მოვესწარი.  
დაფასდება შენი მაღლი გარჯის,  
გაახარებ ვალერის და დაჯის,  
გაბრწყინდება შენი ოდა ეგზომ,  
როს ბავშვები დაამშვენებს ეზოს.  
დაგილოცავ ჭერს და ფუძეს კარგო,  
მინდა ყველამ ბედნიერი გნახოს.  
ამ სიხარულს სიყვარულიც ერთვის,  
ყველაფერში შეგენიოს ღმერთი

16.10.2024წ.

## გაზაფხული

დღეს ჩაიბარა გაზაფხულმა ნიავი ზამთრის,  
 შორს მიმოფანტა ნაზამთრალი ფოთლის ენები,  
 ცაზე ლამაზად აელვარდა ახალი კადრი,  
 აპრილის ელვამ გადაიჭრა ლურჯი ვენები.  
 მიწის ნოტიო ამოიფრქვა მწვანე ბალახად,  
 გადაბრუნებულ ბელტებს აჰყვა ლორთქო სურნელი,  
 გაზაფხულია მიწის ზემოთ, სოფლად, ქალაქად,  
 ფუტკრებს რომ ასდით ეზო-პარკის ყვავილთ სურნელი.  
 დაბრუნებულან თბილ ქვეყნიდან მერცხლების გუნდი,  
 მზის ანარეკლზე ფეხის წვრილი ძარღვი მოუჩანთ,  
 ძლივს მოიშორეს განგური და ბუმბულის ხუნდი,  
 და ახლა ზამთრის ჭრილობები ძლივსლა მოურჩათ.  
 შეუდგებიან ბუდეების კვლავ აშენებას,  
 ბუმბულს და ბალახს აიტაცებს ფარფატა ქარი.  
 თითქოს მათია ახლა მთელი ქვეყნიერება,  
 აქ ჩაიბარა გაზაფხულმა მწვანე მთა-ბარი.  
 ენეპებიან კვლავ ფუტკრები ყვავილთა სიტკობს,  
 შეადედებენ მოტკბონ ნექტარს თაფლსა და ფიჭას.  
 ყვავილის პირველ შერხევისას იგრძნობენ სითბოს,  
 ყვავილთა მტვერი გადაულის ტყის ლამაზ ფიჭვნარს.  
 ლალი ფუტკრების თაფლის ცვილი ასე ლამაზად,  
 ახლა ტაძარში კელაპტარი სანთლად რომ იწვის,  
 სიკვდილ-სიცოცხლის უცნაური და-ძმობის ამბავს,  
 ნათელს რომ მოფენს ღვთის სახელს და ლოცვად იტყვის:  
 დიდება უფალს, შეიმოსნენ კვლავაც ხეები,  
 ცის ლაშვარდებში ირაოს კრავს ლამაზად ორბი,  
 აქაფებულან ჩანჩქერებად სალი კლდეები,  
 ეს გაზაფხული თანაბრად და ყველასთან მოდის.

სიკვდილ-სიცოცხლე ეს და-ძმაა ჭირისუფალი,  
გიყვარდეთ ხალხნო ერთმანეთი-ამბობს უფალი,  
ღვთის ნებით ხდება გაზაფხული - სამყაროს სუნთქვა,  
დიდება უფალს! დიდება უფალს!

18.VI. 2019.

## ლევილი

საქართველოში დაბრუნებას ვინც არ ელოდა,  
მას თან მიქონდა თითო პეშვი მიწა მარადი,  
შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან,  
ქართულო მიწავ, ალბათ იმიტომ დაპატარავდი.  
ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,  
მისი დიდებით და მომავლით მსურს გავიხარო...  
/სიმონ ბერეჟიანი/

ადგილი. სადაც განისვენებენ უცხო მხარეში, ძლივსღა ვიცანი,  
მათი სამშობლო საქართველოა, მაგრამ იქ დაჭრეს კუბოს  
ფიცარი,  
ლირსეულთ ხშირად გდევნიდნენ ქვეყნად, გზააბნეულნო  
მტრების თარეშით,  
აკიაფებულ ცრემლების თქეშით გადახვენილნო უცხო მხარეში.  
ეპიტაფია ზედ გულზე გადევთ, და საფლავის ქვას დღესაც  
სდის ცრემლი,  
ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ყველა, თქვენთვის  
ლოცულობს ქართველი მრევლი,  
გზად გდევდათ სევდა და თან მიგქონდათ პატარა პარკი  
ქართული მიწით,  
გულს დაგაყარეს ქართული სევდა ერთ ქვაბში ახლა ცოდვით  
რომ იწვის.  
მე უძლური ვარ რომ ეს დავწერო, არა ვარ სიტყვის  
გამომხატველი,  
ვეჩურჩულები ქარსა და ნიავს, და მონატრებას თქვენი  
სახელით,  
სადღა წავიდა თქვენი მზე, მთვარე, სამშობლოზე დღეს  
უბირიც ყბედობს,  
ჩვენი სახელი შორს გაიტანეთ და მონატრებაც დიდია, ძმებო!

თავისუფლებას ნატრობდით მუდამ, თავისუფლების  
წყურვილი გკლავდათ,  
გულით გენადათ თქვენ დაბრუნება, მაგრამ მშველელი  
არავინ გყავდათ,  
თქვენ მუჭა-მუჭა მიწა მიგქონდათ, მიწა მთებიდან, მიწა  
მდელოდან  
და სიყვარული თქვენი მამულის, აქ დაბრუნებას ვინც არ  
ელოდა.  
სხვა გზა არ გქონდათ, გადახვეწილნო, ლევილმა მოგცათ  
თავშესაფარი,  
იქ თქვენი ძვლები განისვენებენ, თქვენი სული კი მარად აქ  
არის,  
ცრემლის გარეშე ვეღარ ჩაგივლით, რომ დაგვიტოვეთ  
ტკივილი ბევრი,  
ახლა მაღალ ღმერთს მიენდეთ გულით, თქვენთვის  
ლოცულობს ქართველი მრევლი.

12.VII. 2024წ.

## გრძელება მორეული

ფიქრი სევდიანი,  
სული დარდიანი,  
გული შფოთიანი,  
თვალი ცრემლიანი,  
განა კრთის?!  
გრძნობა მორეული,  
ლანდი შორეული,  
ჩემი ორეული,  
გემი აფრას შლის.  
ჩემი მოლეული,  
ტკბილი გოლეული,  
დროის სისატიკე  
თავზე მოხვეული,  
ვიღაც ახმახი და  
ძალამორეული,  
ცქმუტავს ხტის.  
ჩემი მოფარფატე  
სული მოწყენილი,  
ლელვამოვარდნილი,  
ლაგამაწყვეტილი,  
სხივი იმედისა  
ნუგეშმოფრენილი,  
კარავს შლის.

17.X. 2012წ.

## თამარ

რამდენ სულთანს გაუძელი, რამდენ მომხვდურს, რამდენ  
წამხდარს,

არ წაშლილა შენი სახე, საუკუნოდ მაინც აქ ხარ.

საქართველოს გადმოჰყურებ, აქ მიწის, იქ ზეცისა ხარ,  
ასხივოსნებ ჩაუმქრალო-ქართლის ნათელ-სვეტად დგახარ.

ქალი იყავ ხმალთქნევაში, ვაუკაცებსაც ჯობდი ბევრად,

ქართლში შენი დამარცხება რუქნადინმაც ვერ შებედა,

ბასიანთან მოგვიტანე, ქართლის მტრების აღსასრული,

შენი ქოშის წვერად არ ღირს, რუქნადინი ის ავსული.

მტერი შენს ფერხთით დაეცა, დაუბნელდა დღე მზიანი

გამარჯვება ქართველ სპათა, ახლაც გვაკრთობს ბასიანი,

თამარ! ყველას ხატება ხარ და ქართველთა სადღეგრძელო,

გახსენ აღსავლის კარიბჭე, მოევლინე საქართველოს.

რას გავაწყობთ ვაი-ვიშით, უნუგეშოდ და გოდებით,

ისევ მოვუხმოთ სიყვარულს-რუსთაველის შეგონებით,

წარსული ისევ ამტკივდა ჩემს გახლეჩილ საგულეში,

ასე სანამდე ვიაროთ, ანდა ვინა გვცეს ნუგეში.

ისევ შენ გიხმობ გონებით-ხმელთა და ცათა ზღვაურო,

ნუგეში არ დამიკარგავს, გული საგულეს ხმაურობს,

ოდითგან ჩვენში გვესმოდა მომხვდურს რომ ძლევდა

დამხვდური,

ეშმაკს სული არ მივყიდეთ, ვიყავით უფლის მსახური,

თამარ ყველას ხატება ხარ და ქართველთა სადგლეგრძელო,

გახსენ აღსავლის კარიბჭე, მოევლინე საქართველოს.

7.V. 2011.

## საქართველო

ხელის გულივით პატარავ  
და ხუთკუნძულას ზღაპარო,  
იღბალმა სად არ გატარა,  
გამკლავებოდი სამყაროს.  
გედავებოდნენ მიწა წყალს,  
მიუხვდი მტერს და მოყვარეს.  
გონებით რომ ვერ გაჯობეს,  
ოქროს ვერძიც კი მოგპარეს.  
არასდროს თმობდა ქართველი  
მიწას გულუხვს და ხვავიანს  
ახლა ნასისხლარ მიწაზე  
ყაყაჩოები ყვავიან.  
გამოგივლია დიდგორი,  
ბაზალეთი და მარაბდა  
არასდროს დაჩოქებულხარ,  
მუდამ უფალი გფარავდა.  
ჩვენ ქრისტეს რწმენით მოვდივარ,  
დალოცვილ იყავ მარადა.

18.XI. 2012წ.

## აღელდი ზღვაო

„ლეგენდის ტოტზე ჰკიდია მზე, - ოქროს საწსმისი,  
არ ჩანს აიეტ, მე მედეას ღალატს არ ვეძებ,  
რადგან ზღვისკარად ისევ მიდგას იმედის ქოხი.

/ვაჟა ეგრისელი/

სასონარკვეთის ბურუსიდან მინდა გავიდე,  
უიმედობის პირქუშ მხარეს როდი მივყვები,  
გასროლილ წამებს უსწრაფესად სდევს საუკუნე,  
თითის წვერებზე იმედებით დგანან ფიქრები.  
გიუმაჟ წარსულის სიყვარულით გულანთებული,  
მთიდან ქუხილით დაშვებილი როგორც მდინარე,  
პონტოს ნაპირად ლეგენდიდან მოსული კოლხი,  
პოსეიდონის დარად მყივარებს.  
აღელდი ზღვაო, ისტორიის ულრმეს შრეებში.  
აფრას აგიშლის, გაღელვებს და გბურძგლავს სხეული,  
აღსდექ აიეტ, ოქროს ვერძის ბლავილი მესმის,  
და სამსჯავროზე დგას მესამე ათასწლეული.

30.III. 2004.

## სიკეთის პვალი

„აქ კი, ამქვეყნად კაცს დამკვიდრებულს,  
სადა აქვს ძალა სცნოს მომავალი,  
ნადი იარე-ხორციელს ვნებულს,  
თვით შენ მიეცი ახალი კვალი.  
/გალაკტიონი/”

შენ მოვლენილო ღვთისგან,  
ქვეყნად ადამის მოდგმავ,  
თაყვანისცემა უფლის,  
წინაპრისგან რომ მოგვსდგამს.  
თუ გინდ ხელმწიფე იყავ,  
გინდაც პრინცი და ლორდი,  
ბოლოს ყველაფერს ფარავს  
ერთი საფლავის ლოდი.  
მიდი სიკეთე ძერწე,  
და ჩუქურთმები თლილი,  
აუგს ნუ იტყვი მწარეს,  
იყავი სიტყვა თბილი.  
ღმერთს ნუ შესცოდავ, რადგან,  
ცოდვები ისეც გვანევს,  
წყალობად უნდა გვეყოს,  
რასაც უფალი გვაძლევს.  
ილიას ცოდვაც გვყოფნის,  
ჭრილობად რომ გვატყვია,  
ნუ დავუშინებთ ერთურთს,  
შუბლზე ულმობელ ტყვიას,  
თუ გადაგვარჩენს ისევ,  
კვლავ სიყვარული დიდი,  
რადგან ყველა გზა ღმერთთან  
ისევ ტაძართან მიდის.

11.X. 2012წ.

## კაი ყვა

კაი ყმას სევდით დამეწყოლს,  
სდიოდა ცრემლი უფლისა,  
მკერდს ნაკვალევი ემჩნია,  
ბასრი ხანჯლის და შუბისა.  
სამას სამოცი დღე ჰქონდა,  
დიდგორისა და უჯარმის,  
ველზე ხმალდახმალ გაჭრილსა  
დააქროლებდა ლურჯაი.  
ირწევა ხსოვნის აკვანი,  
ნათდება ბნელი სარკმელი,  
უკვდავი არის მარადუამს,  
მათი საგმირო საქმენი,  
კაი ყმა ცოტა როდი გვყავს,  
ქუდზე კაცს ვერვინ აჯობებს.  
მკერდშელენილი დადგების  
მამულის სადარაჯოზე.  
ჩვენ ქრისტეს რწმენა დაგვიცავს.  
ჯვარი ლაშარის მთაზედა,  
„როგორც უფალი, სამშობლო  
ერთია ქვეყანაზედა“.  
თავი ვანებოთ ერთურთის  
ლანძღვა -გინების რეკლამებს,  
მამულს დავუდგეთ მცველებად,  
უფლის ზარები რეკავენ.

17.VI. 2016.

\* \* \*

ოცდა ..... დამიმთავრდა,  
ორმოცდა.... დაიწყო,  
გაფრინდა წლები ზღაპრულ რაშებად.  
აპა, ორმოცდაც ... მოიპარება,  
სამოცდაც .... მალე ათამაშდება,  
წელთა აკორდებს უკრავს როიალი,  
სულმა დაიწყო სხეულში ბორიალი,  
თავს ვერ იკავებს ვითარცა მთვრალი,  
მოდუნდა ხორცი, გამყიფდა ძვალი,  
თვალებს ორთავეს მოაკლდა რული,  
მაგრამ არ ბერდება ოხერი გული.

8. I. 1995წ.

### დავიარები ლექსით სიცოდი

ჩემს არტერიებში სისხლი ჩქეფს კოლხური,  
სისხლი და ლექსი ერთად არეული,  
არ ვიცი როგორ ვწერ, მაგრამ სიყვარულით,  
აჭრელებულია ჩემი რვეული.  
მამულზე ფიქრით და მამულის სიყვარულით  
დავიარები ლექსით სნეული.

26.V. 2000წ.

## ისევ იგებებს ავუგებ ტაძარს

მე ვიჭაშნიკე ტკივილიც, სევდაც,  
მაგრამ იმედებს ვუგებდი ტაძარს,  
უიმედობა მოსული ჩემთან,  
შორს, შორს, გავტყორცნე მთებს მიღმა სადღაც.  
ვერ დამიმსხვრიეს ოცნების კოშკი.  
თვალებს არ ვაჩვევ ნისლისფერ სევდას.  
არსებობს ქვეყნად ხახული, ოშკი,  
და საქართველო სიცოცხლის დედა.  
ვერ ვიჭაშნიკე შარბათი უხვად,  
კრთის კაეშანი მთის მიღმა სადღაც,  
შორს მოვიტყორცნე სევდა და ურვა,  
ისევ იმედებს ავუგებ ტაძარს.

15.V. 2008წ.

\* \* \*

გულო, შენი მჯერა,  
ნაღდად არ გეფერები,  
სამარეშიც ჩავალ  
შენი არდაბერებით.

17.VI. 2015წ.

## არჩევანი

მე რა მინდა?  
მე ვინ მინდა?  
მე ის მინდა,  
ვინც იწამა ნინოს ჯვარი,  
ვინც ქვეყანა სათნოებით აღავლინა,  
არა! არა! იმპერიის მონურ ჯაჭვის  
- თუნდ ოქროსი,  
ერთი რგოლიც აღარ მინდა!  
მე ვინ მინდა?  
მე ის მინდა  
ლაპირინთში გაგვინათებს ვინაც წყვდიადს.  
ვინც სიმართლით იტყვის მხოლოდ,  
მზე საიდან ამოვიდა,  
მე რა მინდა?  
ჩემი ენა,  
მამული და  
რწმენა წმინდა.

15.IV. 2000წ.

## გიორგობა

მოგილოცავთ გიორგობას,  
დღეს ღვთისა და დღეს წყალობის,  
ზარი რეკავს ისმის ხმები,  
ციდან ლოცვის და გალობის.  
უფალს გენდოთ ქვეყანაზე,  
მშვიდობა რომ დაამტკიცა,  
მზე, მთვარე და ვარსკვლავებთან  
რომ ტრიალებს დედამინა.  
დაამტკიცა ქვეყანაი,  
წყალსა ზედა ქმნა ნათელი.  
აყვავილდა, ახმიანდა:  
ტყე, მდელო და მინდორ-ველი.  
დაამტკიცა წყალობაი,  
მზე მფლობელი არის დღისა,  
მთოვარე და ვარსკვლავები  
ხელმწიფენი ბნელ ღამისა.  
გაიყვანა უდაბნოსა,  
როცა ერი იხსნა მტრისგან,  
საზრდო მისცა ძე ხორციელს  
და ხეს ყველა ნაყოფისას.  
გიორგობას გული ვეშაპს  
ისრით ორად გაეხლიჩა,  
სიბოროტეს სძლია ძალამ,  
ხმამ ღვთისამ და ხმამ ერისამ.  
რატომ გვინდა კონფლიქტები,  
ზოგიერთებს შინ და გარეთ,  
როცა ლამაზ დედამინას  
სიყვარული ატრიალებს.  
გიორგობის დღეს გილოცავთ,

ყველა კუთხეს, ყველა მხარეს,  
ლაუგარდოვან ცაზე მუდამ  
დაგვნათოდეს მზე და მთვარე.  
არასოდეს აღარ გვეთქვას,  
ბოროტებამ სძლია კეთილს,  
სულში ყველას ჩაეყაროს,  
სიკეთის და სიბრძნის თესლი.  
დაგვებედოს გიორგობას,  
სიკეთე და სიყვარული,  
რომ შეგვეძლოს პლანეტაზე,  
მუდამ მშვიდად სიარული.  
გვეზეიმოს და გვემდეროს  
საგალობელ-სატრუქიალო,  
დე, უფალმა დედამიწა  
სიყვარულით ატრიალოს!

5.VII.2024 ტ.

შოვის ტრაგედია არამარტო ჭირისუფლების და მათი ახლობლების ტრაგედიაა, არამედ სრულიად საქართველოში მცხოვრებ ყველა ქართველთა ტკივილია. ვიზიარებ ყველა მათგანის მწუხარებას. უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სულები. ცრემლებს ვერ ვიყავებ, სამძიმარს ვუცხადებ ჭირისუფალს და სრულიად საქართველოს.

ქართველს რომ ახსოვს ყველა შავლებო,  
ქართულს რომ ახსოვს ყველა არაგვი,  
დრომ უკეთურმა რომ არ წალეკოს,  
შენი ჯილაგის ძვალშესალაგი.  
ბევრს რომ თავისი ახსოვს იარა,  
თავის დარღი კლავს, თავის სარჩელი,  
კაცი კი არა, ტახტი კი არა,  
საქართველოა გადასარჩენი.  
(კემალ ნინუა)

ქართული მიწის მკვიდრნი ვართ,  
ლამაზი მთის და მდელოსი,  
ყველა ცოდვილის შვილი ვართ  
ბედკრული საქართველოსი.  
მამულს ეკუთვნის დიდებულს,  
ჩვენი სულიც და სხეულიც,  
ვარსებობთ უფლის ნებითა  
ჯანსალიცა და სნეულიც.  
ჩვენ ერთი მთვარე დაგვნათის,  
მზეც ერთი ბრწყინავს ცაზედა,  
„როგორც უფალი, სამშობლო,  
ერთია ქვეყანაზედა.“  
მთვარე ღრუბლების ტბაში წევს,  
ცა მოქუთრული ხვნეშის,  
რამდენს გაუძლოს ზეცამა,  
ტირის წვიმების თქეშით.

ჩამოგვეშალა ხმელეთი,  
გვანგრევს, ბობოქრობს წყალია,  
ამდენ ღვარცოფებს რომ ვხედავთ,  
იქნებ ცოდვების ბრალია.  
ნუთუ არასდროს გსმენიათ,  
გმირობა ივერიელთა.  
დღეს ერთად დგომის სანაცვლოდ,  
ერთმანეთს დავერიეთა.  
„ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდვნის“-  
ამას ამბობდა ილია.  
ჩვენი ჭირი და ვარამი,  
უცხოს ფეხებზე ჰკიდია.  
ერთგულება და ძმობაში  
ჩვენთან სხვა ერი რას მოვა,  
ქუჩაში ბარიკადებით,  
არაფერი არ გამოვა.  
ომს ვუთხრათ ყველამ უარი,  
უფალმა ასე ინება,  
ოღონდ მშვიდობა იყოს და,  
სუყველაფერი იქნება.  
დავითის სიბრძნეს მოვუხმოთ,  
რითაც ვამაყობთ აქამდე.  
წარსულში ნიკოფსიიდან  
ვიყავით დარუბანდამდე.  
მივხედოთ ივერთ ქვეყანას,  
ლამაზ მთა-გორებს ველიანს,  
ერთად ვუჩვენოთ მსოფლიოს,  
„ძლევაი საკვირველია“.  
ვერ მოგვერევა ვერავინ,  
ვიქნებით უძლეველია.

9.XI.2023 წ.

## რიონის პირას ფაზისში

კოლხური ქარი თარეშობს  
რიონის მწვანე ჭალაში,  
ათას კელაპტრად ნაპირზე  
აღერებულა ლაქაში.  
ნიავი ნაზად შეარხევს,  
ტირიფის ტოტებს მტირალას,  
მწვანე ბალახს, რომ მოსტაცა  
ნამი ბროლივით კრიალა.  
გარინდებულან ჭადრები,  
თითქოს რაღაცას ელიან,  
ისლი და ფშანი ბალლივით,  
ჩაჰატებიან ლელიანს.  
ჭალას ჩაღვრილა სითბო და  
ისე წყნარია ბუნება,  
კოლხურ ჰანგებით სევდიან  
ნარსულზე ეჩურჩულება.

10.XI. 1998წ.

## ვის ელოგები და რას

(ზოგ-ზოგებს)

რის ბარიკადები, რა ბარიკადები,  
ვის ელობები და რას!  
ახლა ის დროა, ერთ მუშტად შეკრული,  
მტერს რომ უღლობავდე გზას.  
რა შარას დადგომიხარ, ან რას აჰყოლიხარ?  
ან თუ ხარ საქართველოსთვის მზად!  
ჯურლმულს ჩასულხარ და ქვესკნელს ჩაჰყოლიხარ,  
თუ სიძულვილისკენ გაქვს გზა.  
შენ თუ დაგლუპავს, სიძულვილი დაგლუპავს,  
დანარჩენს მოევლება სხვას.  
დიახ, სიძულვილი, რომელიც გილობავს,  
ტაძრისკენ მიმავალ გზას.

4.I.1992 წ.

## ნეტავი რას იპყრობთ?!

ბახ! ბუხ!-გაისმა ბათქა-ბუთქი,  
მეგონა შემომესია თურქი,  
როდესაც გონზე მოვედი,  
გასაკვირველი ვნახე,  
თურმე ნუ იტყვი იარალს,  
ქართველი ესვრის ქართველს.  
დავლაშქრეთ სენაკი, აბაშა, ზუგდიდი,  
დავიპყრეთ ხობი და ურთა,  
ახლა ზენიტზე დგას არტილერია და  
სამტრედიას ურტყამს.  
ნეტავი რას ვიპყრობთ?  
რომსა თუ კართაგენს,  
ან ეთიოპიას ერთად,  
ისევ ჩვენს ქალაქებს,  
სოფლებს და ნასოფლარს,  
ბევრჯერ შერკინებულს მტერთან.  
სისხლის წვეთები აწვიმდა დიდგორს,  
მედგრად ვიდექით ერთად,  
ხელი-ხელ, ხმალი-ხმალ,  
გული-გულ, გადაგვარჩინა ღმერთმა.  
ბახ! ბუხ! გაისმა ბათქა-ბუთქი,  
შიშისგან დარაბებს ვკეტავ,  
ომია, ამ ომში გამარჯვებული  
რომელი მხარეა ნეტავ?!

არავინ, არავინ, ტვინი აგვრევია  
გულის გასახარად მტერთა.

3.I.1993წ.

## რიონდალეულები

მთაში ორბები ლაღობენ,  
ბარად აფრინდა ხოხბები,  
ზღვა სიყვარული დაგათრობს,  
ფაზისში როცა მოხვდები.  
აქ გესალმება ნიავი,  
კოლხური სიდარბაისლით,  
აქ იანვარიც მაისობს,  
სხვანაირია მაისიც.  
ბობოქრობს კოლხური სული  
თავისუფლების სურვილით,  
რიონის წყალი შეგვისვამს,  
პეშვით მოგვიკლავს წყურვილი.  
დედა რიონი წარსულზე,  
გვეჩურებულება ლიკლიკით  
მიმოქრის პონტოს ნიავი,  
ჩვენი ერთგული შიკრიკით.  
ოქროს საწმისის კვალზედა,  
სიბრძნეს მოვუხმოთ ოდითგან,  
ჩვენ რიონდალეული ვართ  
და ფაზისიდან მოვდივართ.

11.V. 200156.

## ვიჩორას ტყეში

ტყეში წავალ მე განთიადს,  
შემომესმა ტია-ტია,  
იადონის სიმღერაა  
თუ ტოროლას წკრიალია.  
აქ შაშვებიც გვიგალობენ,  
ბანს აძლევენ სხვა ჩიტებიც,  
რად ბიბინებს მწვანე მოღზე  
ლილისფერი მაჩიტები?!  
რას ჩურჩულებს ლელიანი,  
რას ჭორიკნობს კოლხი თელა?  
მწყემსი ხარებს რად უმღერის,  
„აშო ბუსკა, ვიშო ჩელას“  
ნამი თხმელის ფოთლებს ლოკავს,  
სოკოები ქოლგებს გაშლის,  
მოქცეულა ფიჩორის ტყე,  
სიყვარულის ტყვეობაში.

14. VII. 201170

\* \* \*

ჩემო მარგალიტო,  
ბადალში ჩასმულო,  
ჩემო სიყვარულო  
ძვლებამდე დასულო,  
მთებად აღმართულხარ, მამულო, პატარავ,  
მთები რომ გაიშალოს მსოფლიოს დაფარავ,  
მსოფლიოს დაფარავ მართლაც რომ გაიშალო,  
შენ, არასოდეს არ უნდა დაიშალო.

## კახელ კაცე

შენი ჩარგული ვაზი  
ვიცი რომ გაიხარებს,  
მტევნებში ჩაიღვრება  
სიტქბო სამშობლო მხარის,  
ზედ დაედება ცვარი,  
ვარსკვლავები და მთვარე,  
ქვევრებში ჩაღვრილ ნაჟურს,  
ნაჟურს - პირმომცინარებს.  
დაგხვდება ძმობის სუფრა,  
პურადი, ხელგაშლილი,  
დაე, სუფევდეს მუდამ,  
ჩვენში ქართული ლხინი.

## რომ ქართველობა არ შეიცერო

მე ჩემებურად ვუმღერ სამშობლოს,  
სხვას როგორც უნდა ისე იმღეროს,  
მთავარი არის არ წახდე ისე,  
რომ ქართველობა არ შეიცერო.  
საქართველოში ქართველ წინაპრებს  
ბრძოლაც და შრომაც შვენოდათ მუდამ,  
შენ გაისარჯე სამაგიეროდ,  
არ მოითხოვო არასდროს ხურდა.  
შენ, შენებურად უმღერე მამულს,  
სხვამ როგორც უნდა ისე იმღეროს  
მთავარი არის არ წახდე ისე,  
რომ ქართველობა არ შეიცერო.

\* \* \*

სულში ეხლა ისევ თეთრად ცივა,  
მომრევია ირგვლივ ფიქრთა ჯარი,  
გარეთ ისევ ღრუბლის ფრთილა ცვივა,  
ვშიშობ სულში არ ჩამიქრეს კვარი.  
ახლა დილა ცას მოსტაცებს ტატნობს,  
ვარსკვლავებსაც გაუკრთებათ ფერი,  
ახლა მარტო ვიღიმი და გნატრობ  
ახლა ისევ ძველ სიმღერებს ვმღერი.  
აპრილის ცას ყვავილები ათოვს,  
მე კი ისევ ვკორტნი ღამეს უძღებს,  
დარდიან დღეს ჩემი სუნთქვით ვათბობ,  
მიკვირს ამდენ ჯოჯოხეთს რომ ვუძლებ,  
მე გიტარა ავაკვნესე ცივად,  
და აღარ მსურს ჩონგური და თარი,  
სულში ახლა ისევ თეთრად ცივა,  
გათოშილი მღერის კვლავ ზამთარი.

## ჩვეო კოლეგი

მიყვარს ძალიან ხეტიალი,  
რიონის ჭალაში,  
ველურ ზამბახებთან ბორიალი,  
მოწოდილ დარდებს რომ გადაშლის.  
ჩემი ლამაზი მხარე მიყვარს  
წვიმიან-ქარიანი,  
ზღვა ბობოქარი ტალღით,  
მლაშე და ქაფიანი.  
მთებით ვერ დავიკვეხნი,  
აქ ზღვაა ტალღიანი,  
კოლხურ დაბლობს რომ შვენის,  
მდელო ცვარ-ნამიანი.  
ხოხების სანავარდო  
და საკუნტრუშო შველის,  
ლამაზ მზის სხივთა ფრქვევა  
დილის კოცნა რომ შვენის.  
ნარსული მიყვარს კოლხთა  
და მითი ოქროს ვერძის,  
წმინდა გიორგი ისრით,  
ბოროტ გველეშაპს ებრძის.  
პალიასტომი მიყვარს,  
ირგვლივ გურიის მთებით.  
უივილ-ხივილი ტყეში  
გადამფრენ ფრინველების.  
ძმა სანადირო თოფით,  
და მონადირე ძალღით,  
წელშემორკალურ ჰილზით,  
მაჯა მაგარი ძარღვით.

մոպարս ցածլուն ჭալա  
դա հեմո ոճա-սաելո,  
հեմո կռլեցետո մոպարս  
սգյամարտմոպարց եալենոտ.

25.II.2015 թ.

\* \* \*

Կապարժինու პորաս,  
Սաճառ Վելլուր ზամբաես  
და լայա՛մեծ սძոնազտ,  
Կապարժինու პորաս,  
Սաճառ ჭագրեծ ტկուզա  
մուգեթոլու դրուգու,  
თոլուց գորտածից  
შեցընոլա դոլա,  
დա նատկանու ջեթոտ  
մունցեզեն ջորտեցուտ.  
Րունես րուցա մուսենոլու դրալու,  
Րուցա ուսմու որգալուց  
նկան դրուգու մուգուտու,  
Վածե րուցա հնդցեա  
գորտացամլու լալու,  
մամոն եարոծ հեմո  
սապարելու դուտու.

25.VII. 2005ն.

\* \* \*

Հեմս արդյունու սուսելու հյեղս շոլենուրու,  
Սուսելու դա լույսու երտագ արելու,  
Ար զուցու րուցոր զներ,  
մագրամ սովարուլուտ  
աժրելունու հեմու րայուլու,  
մամուլու ջուկրուտ դա սուլու սովարուլուտ,  
դազուարեծ լույսու սնելու.

## შენი მამული გერჩივნოს ყველას

შენ ჩემო ძმაო, შვილო და დაო,  
ერთურთზე ხელი აღმართეთ ახლაც,  
მიტომ დავკარგეთ რინა და ტაო,  
კუჭს რომ ვაყენებთ მამულზე მაღლა.  
ახლაც რომ იდგეს დიდგორთან ჯარი,  
ხმალალესილი მტერს რომ მისდევდა,  
შენ არ გაუღო მტერს ციხის კარი,  
არ დაგაბრმავოს კერძო მიზნებმა.  
მამულზე ზრუნვით  
ფიქრებში ჩართულს  
საქმენი შენი გამოგეჩინოს,  
სხვის დედინაცვალს ოქროში ჩაფლულს,  
შენი ღარიბი დედა გერჩივნოს.  
შენი მამული გერჩივნოს ყველას,  
ღელვა რიონის, ტალღა ენგურის,  
მამულისათვის გაიჭერ ველად,  
იყავი მარად მისი ერთგული.

15.III. 2009წ.

## სიკეთის პვალი

„აქ კი ამქვეყნად კაცს დამკვიდრებულს,  
სადა აქვს ძალა სცნოს მომავალი,  
წადი, იარე-ხორციელს ვნებულს,  
თვით შენ მიეცი ახალი კვალი”.  
(გალაკტიონი)

შენ მოვლენილო ღვთისგან,  
ქვეყნად ადამის მოდგმავ,  
თაყვანისცემა უფლის  
წინაპართაგან მოგვდგამს  
თუ გინდ ხელმწიფე იყავ,  
გინდაც პრინცი და ლორდი,  
ბოლოს ყველაფერს ფარავს,  
ერთი საფლავის ლოდი.  
მიდი სიკეთე ძერწე  
და ჩუქურთმები თლილი,  
აუგს ნუ იტყვი მწარეს,  
იყავი სიტყვა თბილი.  
ღმერთს ნუ შესცოდავ, რადგან  
ცოდვები ისეც გვაწევს.  
წყალობად უნდა გვეყოს,  
რასაც უფალი გვაძლევს.  
ილიას ცოდვაც გვყოფნის,  
ჭრილობად რომ გვატყვია,  
და ნუ დავუშენთ ერთურთს  
შუბლზე ულმობელ ტყვიას.  
თუ გადაგვარჩენს ისევ,  
კვლავ სიყვარული დიდი,  
რადგან ყველა გზა ღმერთთან,  
ისევ ტაძართან მიდის.

17.V. 2017წ.

## დალი

უშბას სევდის მოსწოლია ნისლი,  
ნარბშეკრული დგას შხარა და შხელდა,  
ენგურს იქით ბლავილი რომ ისმის,  
მშობიარობს ამირანის დედა.  
ავქარს აჰყვა ნამქერი და ფიფქი,  
საჯიხვეებს კლდით რომ უჩენს ბზარებს.  
თეთნულდს თრგუნავს ნისლიანი ფიქრი,  
შიშით გული გახეთქვიათ ზვავებს.  
სადლაც ჩრდილი რომ დალანდა შორით,  
ჯიხვი დაფრთხა მონადირის ჩქამით,  
გაისროლა კლდეზე ერთი-ორი,  
და კივილმა შეაჩერა წამით.  
დაეკიდა ჯიხვი ქარაფს რქებით,  
ნათოვარ კლდეს ბურღავს სისხლის წვიმა.  
მონადირე გარბის, ცვივა ქვები,  
სდევს ქალის ხმას - შემზარავს და მყივანს.  
ტყეში იწვა მზის სადარი ქალი,  
ოქროსფერი დალალებით მკერდზე.  
მონადირეს მზემ ვერ მოსჭრა თვალი,  
სილამაზე დედოფლობდა მზეზე.  
ელვარებდა ოქროს დალალები,  
ასე უღვთოდ რომ შეეჭრა ბოროტს,  
როგორც მუსრავს იქ პირბასრი ცელი,  
ნამიან ველს სათიბების ბოლოს.  
ოი, შხარა, ეგ კივილი მზარავს,  
კავკასიონს ბურავს მწუხრის ნისლი.  
„ჯიხვი ისევ გადაეშვა ქარაფს.  
ენგურს იქით ბლავილი რომ ისმის.

ჭიუხებში ჯიხვი ნახტომს პედავს,  
დალალები მზეზე ელავს უღვთოდ,  
მშობიარობს ამირანის დედა  
და საშველად მონადირეს უხმობს.

15.III. 2005წ.

## ხერხი ჯობია ყოველთვის ღონის

(ხალხური)

მერიდიანებს არ გავცდომივართ,  
ამ დედამიწის სიგრძე-განედებს.  
მტერი მოცოდავს მავთულ-ხლართებით,  
და ჩვენს მიწა-წყალს აღარ გვანებებს.  
ნაცარქექიას ხმამ შეძრა მთები,  
გადაუარა ხევებს,  
ჭყინტი ყველით და  
გუდა ნაცარით,  
ბდლვირი ადინა დევებს,  
ნაცარქექიას ზღაპრის არ იყოს,  
ასე აჯობებს ვგონებ,  
„ხერხი ჯობია ყოველთვის ღონეს,  
თუ კაცი მოიგონებს“.  
ისევ ქართული სიბრძნე გვიშველის;  
ისევ ხერხი თუ გაჭრის,  
ერთურთის ლანძღვას არა აქვს ახლა  
არავითარი აზრი.  
გენეტიკური კოდით მოვდივართ,  
მამულის დაცვა გვმართებს,  
მჯერა, რომ ისევ შეკრავს ირაოს,  
ცაზე არწივის მართვე.

18.X.2014 წ.

## მთავარია გზა გეონდეს

გადმოაფრქვიე ღიმილი  
და ნუ ხარ დაზაფრული,  
გულში მუდამ მზე ჩადე,  
სულში სულ გაზაფხული.  
თუ მდიდარი არა ხარ,  
არც ოქროთი, არც ფულით,  
მთავარია მზე გქონდეს,  
სულში სულ გაზაფხული.  
უფლის რწმენით იცოცხლე,  
ენითა და მამულით,  
მთავარია მზე გქონდეს,  
სულში სულ გაზაფხული.  
ამაყობდე მუდამა,  
ნინაპართა წარსულით,  
მთავარია მზე გქონდეს,  
სულში სულ გაზაფხული.  
ბოროტება დაგმე და,  
ღვარძლი წრეგადასული,  
გულში სითბო ჩადე და,  
სულში სულ გაზაფხული.  
შენი მიწა გიყვარდეს,  
დაფარცხული, დახნული,  
ჯეჯილობდეს ზურმუხტად,  
შემოდგომა-ზაფხული.  
შენს მიწაზე იღვაწე,  
შენს ტაძარში ილოცე,  
შენს ცის სილაუვარდეში  
ღირს ნამდვილად სიცოცხლე.

15. V. 2023 წ.

## ՃԵՇԱՅԵԱ

Մեն մաղարութեած ըստ բռն ցոլի մեջ մարդու,  
ու-ու օպատ գուլա մթու սույրու,  
ու չոնես ցեղու լամերա զարա յիշու,  
հեմո ծավալու գուլու սութմարեածու.  
Գորու սույրու լալա զարա մթու մարդու,  
սույրու զարա ծավալու սութմարեածու,  
որ ցոլու օպատ սույրու ուժա,  
ծոցայեր մարդու սազանու, մարդու զութմենու.  
Նոցնու եագու գուլա գուլու մարդու,  
հեմս նոն տուլու օպատ գուլու մարդու.  
ու մե մատու գուլու մարդու,  
ու-ու օպատ մոեագու նոցնու.  
մաեսու մարդու նույրու տուլու սուսալու,  
ու օպատ քանանա քանցեած գուլու.  
զանո ու հութեած րու զանու զուսենու,  
տան ակլա զանու հեմո գուլու մարդու.  
հեմո ծավալու զանու կուլու նոն գուլու,  
ու օպատ գուլու կուլու նոն գուլու,  
զանու զանու, մարդու զանու գուլու,  
եար յուզա զանու զանու մարդու!

3. II. 2003 ն.

## იაკოპ გოგიაშვილს

ლელიანში ლერწმის ღერო,  
აჩუქურთმე წიგნად,  
იებივით ლამაზი და  
წყაროსავით წმინდა.  
ქვეყანაზე უმეცრების  
რომ ქრებოდა ბინდი,  
ნაკადულად რაკრაკებდა  
ყმაწვილების წიგნი.  
ასკინკილით მიუყვება  
ლიზიკო და ვანო,  
და თითებით იებს კრეფენ  
ვარიანის ყანობს.  
აი ია-ბიჭი ვანო  
ეუბნება ლიზას,  
რა ადვილად მიუხვდებით  
წიგნში ყველა მიზანს.  
წყალზე გავა მეცხვარე და  
ააკვნესებს ლერწამს,  
იღალადებს მომავალზე,  
გაბრწყინდება ზეცა.  
პატარები ჩიტის ბუდეს  
არ მოშლიან ხეზე,  
ქვა, რომ ქვაა- ისიც ნაღვლობს  
საქართველოს ბედზე.  
და ვიდრემდის შენ, ქართველო,  
ბოროტებას ეპრძვი,  
სანუკვარ განძს - დედაენას  
ვერაფერი შეცვლის.  
ქრისტეს რჯული გადაგვარჩენს,

მამული და ენა,  
პატარების საღვთო წიგნი,  
ჩვენი დედაენა.  
წყალზე გავა მეცხვარე და  
ააკვნესებს ლერწამს,  
იღალადებს მომავალზე  
საქართველოს ზეცა.

3. II. 2003 წ.

## დაველოდები უკათას ნათელს

მამულო, ჩემო, თავსაყრელად მყოფნის დარდები,  
მე აქ სიცოცხლის საჭეს ვფლობდი 80 წელი,  
ლექსის სანერად ვდგები ხოლმე, ხანდახან ღამით,  
დილის სისხამზე მიახლდება ტკივილი წელის.  
უსიყვარულოდ არასოდეს არ მიცხოვრია,  
აქ მზის ქვეშეთში თავსაყრელად მყოფნის დარდები,  
ყველაზე მეტად ქვეყანაზე მწამდა უფალი,  
ჭეშმარიტება დარობდა ჩემში გაშლილი ფრთებით.  
და მუდამ ქართულს ვაღმერთებდი წესა და ადათს,  
ბოროტება და სიძულვილი შორს იყო ჩემგან,  
ვიცი იმ ქვეწად თავის დროზე როდესაც წავალთ,  
ქვაზე წარწერა კი არა და სახელი რჩება.  
ახლა როდესაც წლები მათოვს მამულზე ფიქრით,  
ახლა როდესაც დღე არ მყოფნის და ღამეს ვათევ,  
ვერაფერს მაკლებს ქარაშოტი, და წვიმის თქეში  
დაველოდებით ღვთის წყალობით უკეთეს ნათელს.

25. VIII. 2005 წ.

\* \* \*

მე ვერ მომხიბლავს დოლარი,  
ოქრო და ვერცხლის ფული,  
მე მარად ახალგაზრდა ვარ,  
არ მიბერდება გული.

15.VII.2015წ.

## ჩვეს მოსწავლეებს

თქვენი უღურტული მახარებს,  
 მიქრობს დარდსა და ნაღველს,  
 ვაჟას მინდიას გასაღებს,  
 თქვენი ხელებით ვაღებ.  
 ჩემი უთქმელი დარდი ხართ,  
 სიხარულიც და სევდაც,  
 მე ამ შეფოთლილ სამყაროს  
 თქვენი თვალებით ვხედავ.  
 მიყვარხართ, ჩემთვის ვჩურჩულებ,  
 თქვენგანაც იგივ მესმის,  
 დედის რძესავით შეგერგოთ,  
 ჩემი პირველი ლექსი.  
 რომელ ქვეყანას არ უნდა,  
 ჭკვიან მართვეთა ყოლა,  
 ცოდნაა მწვერვალთ დამპყრობი,  
 ბალავარი კი სკოლა.  
 უნაზეს ამბორს გიგ ზავნით,  
 გჩუქნით მზის სხივთა ღიმილს,  
 და იმ ნაპერწკალს ჩემს გულში,  
 სიყვარულად რომ ლვივის.  
 ამ თქვენს გულებში ახლა,  
 სიკეთე ხარობს ერთობ,  
 დე, თქვენს თვალებში მარად,  
 მზე სიხარულად ენთოს.  
 დაგბედებოდეთ სიკეთე,  
 მე გულით ვამბობ სათქმელს,  
 წარმატებებით გევლოთ,  
 ყველა სიკეთის გაზაზე.

## სააგაყო მოსწავლე ჯანო იზორია

ბავშვობაში ჯანო იზორია იყო მკვირცხლი, მოუსვენარი, იუმორით აღსავსე, (თუმცა ახლაც ასეთია). არ შეიძლება ჯანო ერთხელ ნახო, თუნდაც უმნიშვნელო როლში და სამუდამოდ არ დაგამახსოვრდეს. ეს ხომ მსახიობისთვის ღვთისგან ბოძებული უიშვიათესი საჩუქარია.

ფოთის მე-5 საჯარო სკოლაში, 90-იან წლებში და უფრო ადრეც ტარდებოდა თეატრალური კვირეულები: რეჟისორები და მსახიობები ჩვენი სკოლის ხშირი სტუმრები იყვნენ. სკოლის ამ პატარა სცენაზე ხდებოდა მსახიობური ნიჭით ბავშვების გამოვლენა. სცენარებს ზოგჯერ ჩვენც ვწერდით პედაგოგები. პირადად ჯანოს ჩემს მიერ დაწერილ არაერთ სპექტაკლში უთამაშნია. აქ ვუწინასწარმეტყველეთ ჯანოს არტისტული ნიჭი და დავულოცეთ გზა დიდი სცენისაკენ. ჩვენი დრამატული თეატრის მსახიობები ნინო პაჭკორია, გია სურმავა და ჯანო იზორიაც აქ დაფრთიანდნენ.

მახსოვს სკოლის სცენაზე დავდგით პიესა, „ბაზარს ცეცხლი უკიდია“. ჯანო გადამყიდველის როლს თამაშობდა და მღეროდა, „მენახშირის“ სიმღერის პაროდიას.

მოჩალიჩე ბიჭი ვარ,

შემიყვარდა ბაზარი, ყველაფერი ძვირია

ეკიდება ხანძარი,

ბაზარიი, მაისური, ქურთუკი,

შავი ლაკის ტუფლები,

ორმაგს თუ გადაიხდი მაშინ დაეუფლები.

ამ დროს, ცოტახნით შეტრიალდა სცენიდან, შემოიტანა წყლით სავსე ვედრო და ველოსიპედის ე.წ. „ნასოსი“. მიუშვირა სცენას წყლის ძლიერი ჭავლი და ერთიანად გაწუნა როგორც სცენაზე მდგომი, ისე დარბაზში მყოფი მაყურებელი. ბაზარს ცეცხლი უკიდია, მთელი განწირული ხმით ყვიროდა.

გეგონებოდა მართლაც ხანძარი მძვინვარებდა და ხალხისგან შველას ითხოვდა.

ჩემო ჯანო! მინდა წარმატებები გისურვო სასცენო სარბიელზე და მეგრული ლექსის, „ჯანსულოს“ პაროდიათი მოგეფერო, რადგან ამ ცეკვას, საქართველოში კი არა მსოფლიოშიც ვერავინ ასრულებს შენზე უკეთესად.

ჯანსულო, ჯანსულო- აბა შარა ქიმეჩითი,  
ჯან სულო, ჯანსულო სცენას ოკო ხიორია,  
იფრელიშ ნიჭი მუჭო გიღუ,  
ჩქიმი ჯანო იზორია.

ბალანობას არტისტენდი,  
შხვა საქმეშენ ვა ფიქრენდი,  
ლეკურ ყამათ მოველირსი,  
თევრე-დო, თავრე-ირქენდი,  
თაქ მიჩქუქ, დო თექი რექი,  
სი მითინს ვადაკირექი,  
კოჩანათი ნალდი რექი,  
ჩქინი სკოლაშ ნარდი რექი.  
ქოსხაპი დო დოფიგურე,  
თეჯგუა სხაპუა სო დიგურე  
გეხარი დო გამახარი  
ფუთის ორე ხიოლია,  
აბა შარა ქემეჩითი სხაპუნს ჯანო იზორია.

წარმატებები,  
ბედნიერ დღეთა სიმრავლე არ მოგკლებოდეს  
ჩემო ჯანო მიყვარხარ და მეამაყები  
შენი ლუიზა მასწავლებელი

## მოსთავლე- ახალგაზრდობას

როცა გიყურებთ,  
მე არ ვგრძნობ დაღლას,  
თავანეული მივდივარ გზაში,  
ფიქრებს დავტოვებ  
თვალს მიღმა სადღაც,  
ამ დიდ სიყვარულს  
ვერავინ წაშლის.  
მივდივარ სევდით  
ნელში გახრილი,  
თქვენს დანახვაზე  
ქრება ნისლები,  
თუმც დარდებისგან  
მე ვარ დაღლილი,  
მაგრამ ძალაონით  
მაინც ვივსები.  
მოგონებებად დარჩებათ მარად,  
უერთგულესი და ერთადერთი,  
როგორ გიყვარდა მასწავლებლები,  
როგორ გიყვარდათ თქვენ ერთმანეთი.  
და თუ დღეს ცელქობთ,  
იცინით, დელავთ,  
ცრემლნარევია ეს სიხარული,  
პედაგოგების სითბო მიგყვებათ,  
და ცელქობაში კრთის სინანული.  
მე თქვენ მიყვარხართ,  
მკლავს უთქვენობა,  
და ამ სიყვარულს ბოლო არ უჩანს,  
შემეგებება სკოლის შენობა  
ვაჟა ფშაველას მივყვები ქუჩას.

დაუცხრომელი ბავშვობის ხანა,  
ლამაზი მითი, ლურჯი ზღაპარი,  
დე, სულში ენთოს მარად და მარად  
ჩაუქრობელი ცოდნის ლამპარი.  
დამილოცნიხართ, ჩემო მერცხლებო,  
გზა სიყვარულის მიყვება მნათობს,  
დიდხანს იცოცხლეთ, უფლის წყალობით,  
ამ სიყვარულმა გზა გაგინათოთ.

19.V. 2012 წ.

## ოქროს საცხისი

რამდენი ვაკე, რამდენი მდელო,  
არც დასასრული, არც დასაწყისი,  
არ უჩნდა ბოლო უაზრო ბრძოლებს,  
ისე მოგვტაცეს ოქროს საწმისი.

ისე მოგვტაცეს კოლხი მედეა,  
ჩვენი გრძნეული ლამაზი ცირა,  
კოლხური მიწა ცოდვით იწვოდა,  
ღრუბელს ცრემლები ცვიოდა ციდან.

ისე ბორგავდა ცეცხლის ხარები,  
მათი ბლავილი ზეცას წვდებოდა.

გულს უთუთქავდა მეფე აიეტს,  
შვილი უჩუმრად რომ უქრებოდა,  
მზემ წამწამები დაბლა დახარა,  
არგონავტებმა თითქოს შეიპყრეს,  
კოლხი ქალწული, - ქალი შავთვალა,  
გაიტაცეს და მერე ხელი კრეს.

ზეცა არ ყავდა სიცოცხლის მცველად,  
უცხო მხარეში ცოცხლად ანამეს,  
შვილები თვალწინ დაუხოცეს და,  
მკვლელობაშიც ცილი დასწამეს.

ნამგალა მთვარე მიდამოს ზვერავს,  
და გარინდულა ირგვლივ ყოველი,  
წარსულზე ფიქრებს თავს ვერ დავაღწევ,  
რადგან ვარ ერთი უდაბნოელი.

მას შემდეგ უკვე დიდი ხანია,  
დიდი ხანია მზე ვარდებს კეცავს,  
მადლობა უფალს, მზეო მარიამ,  
რომ კვლავ ანათებს კოლხური ზეცა.

յրեծողա ծեզրո, ալծագ պկալոց,  
յրեծողա գոյքրո, լալո ունեծա  
դա մե օսետո ժրոլոծա դամայվս,  
օցո արասգրոս առ Շեխորշցոցէօ.

19.VI. 2009 թ.

## ჩემი სოფელი

ერთ დროს აქ ჩემთვიდა სიცოცხლე ლაღი,  
იდგა ნიგვზის ხე ტოტებგაშლილი,  
წითლად ღვიოდა ბრონეული, ყვავილი-ლალის,  
ყეფდა მურია თივის ზვინთან ფაფარაშლილი,  
ერთდროს აქ იყო სიცოცხლე ლაღი,  
სახლის პატრონი რომ ტოვებდა კარებს სულ ღიად,  
ჩასძინებოდა ცაცხვის ხესთან შრომაში დაღლილს,  
ახლა ეზოში მუხლებამდე ტოტები ყრია.  
სად გაფანტულა შინაური ფრინველთა გუნდი,  
ბოჩოლა აღარ დაკუნტრუშობს დედასთან ახლოს,  
ეზოში ჭიშკარს დასდებია ხავსების ხუნდი,  
მთვარე დარაჯობს ახლა ღამით ჩემს სამოსახლოს.  
გადაუფარავს სუროს ხლართებს მუხის კედლები,  
მეუღლის ნაცვლად აქ კიბეზე ბალახი ადის,  
დავდივარ მარტო, აკიაფებულ თვალზე ცრემლებით,  
ერთგულ ძალლივით მთვარისხელა დამყვება დარდი.  
ახლა სოფელში ღამეა და ძინავს ყველას,  
უფალო, სოფლად ყველა სულდგმულს მიეცი შველა!

12. X. 2015.

## გვილებს

*(ხათუნას და თემურის)*

სასახლეები დაუტოვა ზოგ-ზოგმა შვილებს,  
 მოზრდილი სკივრი, - ალმასებით პირთამდე სავსე,  
 თვალის მომჭრელი სამკაული, ულევი თანხა,  
 შთამომავალთ რომ სიცოცხლეში ყელამდე ავსებს.  
 ყურის წამლებად გაჰკივიან სხვადასხვა კართან,  
 ათასი ჯურის მანქანები ავტოფარეხში,  
 ძლიერნი ამა სოფლისანი ბუმბულში წვანან,  
 და განცხრომასაც ეწევიან უცხო მხარეში.  
 მე ვერაფერი მოვიხვეჭე მოსახვეჭელი,  
 რაც მოვიპოვე, ჭიანჭველაც ადვილად ზიდავს,  
 გული არ დაგწყდეთ, ვერ გირიგებთ წყალობას უხვად,  
 არც ძლვენით ვინმეს ველოდები შორეულ გზიდან.  
 დედაშვილური სიყვარული ვარჩიე ნივთებს,  
 ძვირფას თვლებსა და სამკაულებს, ავტოფარეხებს,  
 ქარს წაუღია ყველა ჯურის ზიზილ-პიპილო,  
 რაცა მაქვს იმას დავჯერდები, ღმერთი მაკმარებს.  
 ოლონდ თქვენ მყავდეთ ჯანმრთელნი და ლალები ქვეყნად.  
 ოლონდაც ცუდი არ მოვიდეს ჩემთან ამბებად,  
 მე გაუსაძლისა გავუძლებ ტკივილს, რა ვუყოთ მერე  
 ოლონდ არ ვნახო თქვენი ცრემლის აკიაფება.  
 ამ ლექსების მეტს სხვა სიმდიდრეს ვერას გიტოვებთ,  
 გჯეროდეთ ვალი არავისი შემირჩენია,  
 მწვავს სიყვარული მამულის და ქართველი დედის,  
 რომლის მანდილი არასოდეს შემირცხვენია.  
 მინდა ამ ჭერმა უფლის ნებით უხვად იხაროს,  
 ჩემს შემდეგ მარად შვილებით და შვილთაშვილებით,  
 მინდა ეს კერა არასოდეს არ დაინაცროს,

და ბუხრის ბოლით ივსებოდეს საკვამურები.  
მინდა რომ ბაღში ქათქათებდეს თეთრად ტყემლები,  
ნაღვერდალს წითლად უკიდებდეს ბრონეულები.  
დააბიჯებდეს ჩემს ეზოში წენელივით გოგო,  
და ვაჟკაცები ლახტებივით მოქნეულები.  
გიყვარდეთ მუდამ ერთმანეთი, შორს თქვენგან პზარი,  
აგშორდეთ ყველგან სიძულვილი, შური და დავა,  
სიკვდილ-სიცოცხლის გასაყართან უკვე დროც მიცდის  
და ჩემს ოჯახში უკანასკნელ მოჰკანს ვგავარ.  
თხილის გულიც კი გაუყავით მოყვასს კეთილად.  
და ღმერთს აუნთეთ სიყვარულით წმინდა სანთელი,  
თესეთ სიკეთე, რომ მე წარვსდგე უფლის წინაშე,  
წარბშეუხრელი, ვალმოხდილი, სახე ნათელი.  
ლაზის მოდგმა ხართ, ეგრისული ჯიშის, ჯილაგის,  
დუღს თქვენს ძარღვებში ცოტნეს სისხლი, სისხლი ლაზური.  
წამუსიანად გევლოთ მარად ამ ქვეყანაზე.  
შეგერგოთ პური და ქართული ვაზის ნაჟური.

15.VIII.2011წ

## არ მოვხუცდები

არ მოვხუცდები, ცხოვრება ჩემი  
ეს მხოლოდ სივრცის დასაწყისია,  
ფაზისი არის სამოთხე ჩემი,  
ჩემი გოლგოთაც დღეს ფაზისია.  
აქ მხიბლავს ველურ ზამბახთა თოვა,  
მთვარე ოქროსფრად რომ ამუღლამებს,  
პალიასტომთან ლერწამად მოვალ,  
და ლაქაშებთან გავათევ ღამეს.  
აქ ყველაფერი რაც გრძნეულია,  
გული არ ეძებს ნაკლს და ხარვეზებს,  
აქ ყველაფერი ჩემეულია,  
სხვაგან სამოთხეს აღარ დავეძებ.  
ჩემს სულში ისევ გაზაფხულია,  
და ალუჩების ფანტელთა თოვა.  
ეს მხოლოდ სივრცის დასაწყისია,  
მე არ მოვკვდები, მე ისევ მოვალ!  
მწვანე ბალახად, ტყემლების თოვად,  
მთვარე ზამბახებს, რომ ამუღლამებს,  
რიონის პირას - პალიასტომთან  
და ლაქაშებთან გავათევ ღამეს.

7.V.2010წ.

## ՈՂՈԱՏ

Եար Սայարտզելոս ՌՅՄԵՆԱ ՇՐՊԵՎՈ,  
ԱԹՐՏՈՂԵՑՈԼՈ ՔՎՅՈԼՈ ՍՈՄԾԵՐԱ,  
ՆԱԼԴՈ ՔԱՐՏՎԵԼՈՍ ՋԱ ՎԱՇԿԱՑՈՒՅՈԻՍ,  
ԺԱՐԾՎԵՑՈՇՈ ՏՈՏԵԼՈ ՇԵՆՈՒ ՄՈՂԵԼԱՎՏ.  
ՇԵՆ ԵՐՄ ԻՍ ԿՐՄԱ ԵԱՐ, ԾԱՅԱԼԵՏՈԻՍ ՔՅՈԻՏ,  
ՐՈՄ ԱԵՂՎԱՐԵՑՏ ՑԵՎՈԻՍ ԿԱԾԱԳՈՆՏՏ,  
ՇԵՆ ՇՄԱԾՆԱՏԵԼՈ ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈ ԵԱՐ,  
ՔԱՐՏՄՈԼՈ ՏՄԱԼՈՍ ՕԺՐՈՍ ՍԱԾԱԳՈ.  
ՇԵՆ ՔՎՈՎՈԼՈ ԵԱՐ ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈՍՈ,  
ՏԱՄՎՈԼՈ ՏՎՈԼՈ ՋՈԴՈ ՆԱԼՎԵԼՈ,  
ՋԱ ԲՈՆԱՄՄՈՐՏԱՆ ԳԱՏՐՈՂՈԼՈ ՔՎՎՈԱՏ,  
ՑՄՈՒՈ ԱԳԱՐԵՑՏ ԿՎԵԼԱ ՔԱՐՏՎԵԼՈ.  
ՋԼԵՍ ԿՈ ՏՈՐՑԵՎՈԼՈ ՄՎՈՆՎԱՐՈՎ ԻՆՎՈԻՏ,  
ԸՐՈՒԱԼԵՑՏ ՏԵՐԳՈԻ, ՑԼՎԱ ՋԱ ՄԵՐԵ ՄՑԵ  
ՋԱ ՐՈՄ ՇԵՏԵԿԵՎՈՆ ՇԵՆԴՈՒՅ ՇՎԱԼՏ,  
ՋԳԱՏ ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈ ՑԵԽՈԻ ԵՎԵՐԵՑՑԵ.  
ՋՈԴՈ ՄԳՈՆՍԱՆՈ! ԻՍԵՎ ՋԱԳՎՄՈՆԾՎՐԵ,  
ԻՍԵՎ ՄՈՄԱՐՏԵ ԲԻՆԳՄԱՐՈՍ ԼԱՐՈ,  
ՐՈՄ ԱՐ ԳՐՈՐԾԵՍ ՎԱՅԻ ՕԲՈԼՈ,  
ՋԱ ԻՍԵՎ ԲԻՎԵՆՈ ՎՇՎԱՏ ՄՈՄԱՎԱԼՈ.  
ՈՂՈԱՏ ՏՈՒՐՎԵԼԵ ՑՎԵՎՈՆ ԲԻՄՆՎԴՈՄՈ,  
ՏԱՅՄԵ ԿՐՎԵԼՈ, ՄՈՏԵՐՈՒՅ, ԸՐԵԿՍՈ,  
ՄՈՏՈ ԿՐԵՄՈՍ ԿՎԵԼԱ ՏԳՐՈՒՅՆՈՆԻ,  
ՑԵՎԵԼՈԱ ՑԵՎԵԼՑԵ ՇՄԵՆՇՐՎԱԼԵՍՈ.  
ՋԼԵՍ ՎԱՄԾՈՅՏ, ԲԻՄՈ ԿԱՐԳՈ ՀՎԵԿԱՆԱՎ!  
ԿՎԼԱՎ ՄՌՈՄՈՍ ՕՖԼՈ ՄՈՆԱ ՎԱՆՎՈՄՈՏ,  
ՋՈԱՋ ՄՏԵՑՈՎՈՒ ՎՈԴԳԵՏ ՄԵԱՐԾԱՄԵԱՐ,  
ՎԱՐԱՄՈ ԵՐՏԱՋ ԳԱՎՈՆԱԲՈԼՈՏ.  
ՎԵՐ ՄՈԳՎԵՐԵՎԱ ՄԱՌՈՆ ՎԵՐԱՎՈՆ,

დგას უკვდავება ქიმზე ასული,  
უპირველესად მამული ელავს,  
მისი საქმე და გმირი წარსული.  
ქართველის სულში იმედს ვინ ჩაკლავს,  
ამ დიდ სიყვარულს მთა და მდელოსი,  
ილიას სიბრძნე ჩვენი ფრთებია,  
და მომავალი საქართველოსი.

25.II . 1995წ.

## იქცევა

შეიძლება შეგეშალოს რისამე ფორმულა,  
უნებურ წამოგცდეს ვისიმე სახელი,  
იქნებ ვერ მოგხიბლათ ქოხმა და გომურმა,  
ყოველი სისხამი არ იყოს ნათელი.  
ზოგჯერ შენ კი არა, ზეკაცნიც ცდებიან,  
შენ რა ხარ ისეთი, სამყაროს წერტილი,  
ზოგჯერ ცის თაღებს აღარ ნებდებიან,  
მზე და ვარსკვლავები, ზეცად განფენილნი.  
შეიძლება მოაწყდეს თვალებს სიბერის რული,  
დიადი დანტე, ვინმეთი შეგეცვალოს,  
მაგრამ კაცობა და მამულის სიყვარული,  
არამც და არამც არ უნდა შეგეშალოს.

26.V.2007წ.

\* \* \*

გაუხედნავი ულაყია ქართლი,  
სხვის უნაგირს არ დაიდებს,  
მიაფრენს მერანს ბარათაშვილი,  
და ჩვენც კვიცებივით მივსდევთ.  
არავინ იცის წინ რა მოგველის,  
ჩქეფს სისხლი გულებში ვნებად.  
იმედით ივსება ყოველთვის ქართველი,  
და მოლოდინით კვდება.

## გაზაფხულის პაროლია

თოვს, ტყემლის ფანტელმა დაფარა პლანეტა,  
ტოტები ირხევა ზანზარით,  
ზღაპრული თოვლის უთეთოეს სამოსში  
საიდან ხანძარი?!  
თურმე ნუ იტყვით,  
ატმები ხანძრობენ,  
იანვრის ყინვებით დამზრალი.

25. II. 2008წ.

## აპრილში ანთებს ატამი კოცონს

აპრილში ანთებს ატამი კოცონს,  
ტოტებზე ყრია ნაღვერდალები,  
სურს ტყემლის ტოტი შორიდან კოცნოს,  
გაცრეცილი და ნაფერმკრთალევი.  
ფურ ირემს ესმის ხარის ბლავილი,  
უხმოდ გაანდობს გულის ხვაშიადს,  
ფერდობზე შურით სკდება ყვავილი,  
და ეგებება თრთოლვით განთიადს.  
აპრილს შეუკრავს იები კონად,  
ფუტკარი სკაში გოლეულს ახვევს,  
ყველა სულდგმული გაუხდა მონა,  
ამ სიყვარულის დაგებულ მახეს.

## კვერცხი

ნაჭუჭში მიძინებულია ლავა,  
იგი ბორგავს და ვერ ძლებს,  
მერე წამოვა სიცოცხლე ზვავად  
და შეანგრევს ქვითკირის კედლებს.  
სიცოცხლე ნაჭუჭშიც მოძრავ ძალაშია,  
თუმცა ჩანასახში ძინავს,  
სიცოცხლე უხარია,  
განა მართლა შია?  
როცა გაიძახის, წიას.  
იცინის ღმერთი, თავს იმტვრევს ადამი,  
ჯერ კვერცხი გაჩნდა თუ მერე ქათამი?

5.VI.2003წ.

\* \* \*

ფიქრი სევდიანი,  
სული - დარდიანი,  
გული -შფოთიანი,  
გზები-ეკლიანი,  
თვალი-ცრემლიანი,  
განა კრთის?  
გრძნობა მორეული,  
ლანდი შორეული,  
ჩემი ორეული,  
ტალღას მორეული,  
გემი-აფრას შლის.  
ჩემი მოლეული,  
ტკბილი გოლეული,  
დროის სისასტიკე,  
თავზე მოხვეული,  
ვიღაც ახმახი და ძალა მორეული,  
ცქმუტავს- ხტის.  
ჩემი მოფარფატე,  
სული მოწყენილი,  
ღელვამოვარდნილი,  
ლაგამანყვეტილი,  
სხივი იმედისა,  
ნუგეშ მოფრენილი,  
კარავს შლის.

15.V.20036.

## გალაკტიონი

მზეს გაჰყვა სარკმლიდან ბორგავდა სამყარო,  
ლურჯა ცხენები შეებნენ ქარაშოტს,  
ქვემოთ ხორხოცებდა სატანა საზარი,  
ქვეყანა, რომ შეძრა სატანურ ხარხარით.  
ეტრულდა სიცოცხლეს ცეცხლოვან ვნებებით,  
ლაუვარდებს აგელვა სამზეო ეტლები,  
ცარგვალზე დაქრის და ორეულს დაეძებს,  
ტაძარი აიგო მთაწმინდის მთვარეზე.  
აგროვა სიტყვათა მარჯანი ათასი,  
ლალი და მართალი საფირონ -ალმასი,  
მზეი თიბათვისა გრაალს რომ ელვარებს,  
ზენიტზე კვლავ იპყრობს პარნასის მწვერვალებს.

\* \* \*

თუ ბილიკები ტაატით გიჩვევს,  
თუ კი ტოროლა სიმღერით გიწვევს,  
ფეხი დაადგი გადამხმარ ფიჩხებს,  
კაცუნებივით გაწოლილ გირჩებს.  
თუ მოიშორებ შავფრთიან ფიქრებს,  
ვინძლო სიმღერა მოსძახო იქნებ,  
ისევ ტოროლებს აჰყევი ხმაში,  
უძლიერესი, უძლიერესი,  
უძლიერესი იქნები მაშინ.  
ღმერთო, ვიკმარებ რაც მაბადია,  
ოლონდ სამშობლოს შევხვდე განთიადს!

14.V. 2023წ.

## შველას უდია პირველობა

სულ ერთია ვინ პირველობს,  
 ამ კუთხის თუ იმა კუთხის,  
 ყველას უნდა პირველობა,  
 ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის.  
 ბრძო გადადის შეტევაზე,  
 და ყირაზე დგება დღესაც,  
 შიმშილს ვიმკით, რას მოვიმკით,  
 თუ პური არ დაგვითესავს,  
 „ძველრომაულ ეგოიზმსაც“,  
 ახლაც ძალზედ ბევრ დროს ვუთმობთ,  
 ზოგი ხმამალლა ყაყანებს,  
 ზოგიც ჭანგას თესავს უხმოდ.  
 ზოგს ცხრა თავი რომ აბია,  
 და გვირგვინით იმკობს თავებს,  
 მეფის ტახტაზ მუხლმოდრეკით,  
 ყალბ ღიმილს რომ ახურდავებს.  
 კაცი იყავ კაცური და  
 ქედს ნუ უხრი ცრუ პარტიებს,  
 სულის გაუდაბნოებას თაობა არ გვაპატიებს.  
 თავს თუ დადებ მამულისთვის,  
 ეს არის ჩვენი დიდება,  
 სისხლის გადასხმა კი არა,  
 „სულის გადასხმა“ გვჭირდება.  
 ისევ ვხედავ უღვთო ქაოსს,  
 ისევ ვისმენ აყალ-მაყალს,  
 გელიმებათ რას გვიყვება,  
 რას ამბობსო ნეტავ ახალს,  
 გული შფოთავს საგულეში,  
 რასაც ტკივილები ახლავს.

ხორცის ღრეობის უამი მეფობს და არა სულის. ქვეყანას ლენავს პირველობის სენი ავსული, გადის დღეები, დამეტები აყალ-მაყალში, პურის მაგივრად ჭანგა ხარობს პურის ყანაში. „ძველ რომაული ეგონიზმი“ გამეფდა დღესაც, ან რას მოვიმკით თუ სიკეთე არ დაგვითხესავს.

18.IV.20106.

፭፻፲፯

მრისხანე ტალღა დასაყრდენს ექტს,  
ცრემლის წვეთებად იმსხვრევა ქვებზე,  
სიშმაგით ხეთა რიგს მივარდება,  
გვერდზე გადაწევს ტოტებს ფარდებად,  
ხან დამშვიდდება, ხან ავარდება,  
ხან სიჩუმეში ჩაიკარგება,  
ხან იქუფრება და იცვლის იერს,  
განბილებული ღრუბლების მიერ,  
ზოგჯერ აჩნხლია, აშინებს ყველას,  
ქაფმორეული ბორგავს და ლელავს.  
ტალღა დაღლილი ქართან ჭიდილში,  
გაირინდება მფრთხალი ჩიტივით.  
მზეზე წვებიან ქვიშის ჩრდილები,  
მთლად განუწული ქალიშვილები,  
და ზღვის ამ ცოცხალ ბგერებს და ფერებს,  
ვერ წაშლის ჟამი დიდი ხნის მერეც.  
ვერავინ დათვლის მის დიდ წაპიჯებს,  
საუკუნეებს გადააბიჯებს.

18.VII.20156.

## გამულო ჩემო

მამულო, ჩემო, თავსაყრელად მყოფნის დარღები,  
მე აქ სიცოცხლის საჭეს ვფლობდი 80 წელი,  
ლექსის საწერად ვდგები ხოლმე ხანდახან ღამით,  
დილით სისხამზე მიახლდება ტკივილი წელის.  
უსიყვარულოდ არასოდეს არ მიცხოვრია.

სულ მახარებდა ზღვა, მდელო და მამულის მთები,  
ყველაზე მეტად ქვეყანაზე მნამდა უფალი,  
ჭეშმარიტება დარობდა ჩემში გაშლილი ფრთებით,  
და ვიყავ მუდამ მზის ქვეშეთში თავისუფალი.  
მამულზე ფიქრი მაწვალებდა თოვდა თუ წვიმდა,  
ყოველთვის ქართულს ვაფასებდი წესსა და ადათს,  
არ მიზიდავდა ოქრო-ვერცხლი აროდეს დიდად.  
ახლა როდესაც წლები მათოვს მამულზე ფიქრით,  
შრომის ფერხულში დღე არ მყოფნის და ღამეს ვათევ,  
ვერაფერს მაკლებს ქარაშოტი, წვიმების თქეში,  
და ველოდები იმედებით უკეთეს ნათელს.

## ღმართო ამას გთხოვ ვიღრე ვარსეპობ

რა გაჭმევს ლუკმას, თუკი სხვას შია,  
ურნაში ხელჯოხს ურევს მოხუცი,  
ხელებს მიუწვდენს ურნას არშიად,  
ნაგავის ჩაყრას ისევ მოუცდის.  
ცელოფნებს ქექავს კუთხეში მიყრილს,  
პურის და ვაშლის ნარჩენებს ეძებს.  
თვალებით ბურღავს თითქოს არც გვიკვირს,  
თუნუქის ქილებს გადადებს გვერდზე.  
დახეულ კაბებს, დაგლეჯილ, „ტუფლებს“,  
დაჰყურებს ნაგავს დახეულ ქოლგით.  
ლონე მიხდილი შიმშილს რომ უძლებს,  
რას შეაშინებს წვიმა და თოვლი.  
მოხუცი თრთოლვით ნაგავთან იცდის,  
ტარაკნებს ებრძვის თითქოს ომშია,  
იმ განცდამ დიდი ტკივილი იცის,  
შენ მაძლარი ხარ და სხვას რომ შია.  
ლმერთო, ამას გთხოვ, ვიდრე ვარსებობ  
და შენით მიდგას სული ჯერ კიდევ,  
მომეცი ძალა, პური არსობის,  
და მოძმის შველა შემაძლებინე.

16.II. 2001წ.

\* \* \*

გოგლა ლეონიძეს აქვს ასეთი ლექსი - „თბილისის პოეტებს“, სადაც საყვედურის კილოთი ერთგვარი უკმაყოფილება გამოკრთის. აქ ხაზგასმულია მელექსეთა სიმრავლეზე, სადაც დაუფარავად არის ნათქვამი, რომ ყველა ვერ ამართლებს ამ ლვთიურ დანიშნულებას. ნამდვილი ლექსის დასაწერად მარტო მონდომება არ კმარა, თანდაყოლილი ნიჭი და შემართებაა საჭირო. ეს აზრი მან ასე გამოხატა:

„ჩვენ ბევრი ვართ პოეტები,  
როგორც ღრუბლის ხორო,  
ბევრი როგორც საყვარელთან  
სამელნესთან ცხოვრობს.  
ბევრი მუქთად ატრიალებს,  
სიტყვის სანაყელსა,  
ძველ პოეტებს ვერ აჰყვება,  
ვერც ბესივის ყელსა.“

პოეტი თანამოკალმეებს აფრთხილებს, ასეთ ყოფაში მღვრიე მტკვარი ლექსებითურთ თან წაგვილებს ქალაქის სხვა მტკვერთან ერთად. ამგვარი ბოლო წამდვილად არაა სახ-არბიელო.

## ხელში კალამს თუ აიღვა

(ზოგ-ზოგებს)

როგორ გინდა პოეტობა, გამოგდის თუ არ გამოგდის,  
გაქვს თუ არა ამის ნიჭი, ამას თავად დრო გამოცდის.  
არავინ დაბადებულა, წყალი ღვინოდ რომ ექცია  
არავის არ ათქმევინო - ეს რა წყალწყალა ლექსია,  
წიგნი ყდით არ იზომება მთავარია შიგ რას ჩადებ,  
ზოგს თავი ვაჟა ჰერნია, აკაკი ან შირვანზადე,  
რითმებს ეძებს და ჯახირობს, რისთვის კარგავს დროს და  
შრომას,

ჯობს ხნულში რომ თესლი ჩადოს, მოიყვანოს შემოდგომას.  
რის ნიჭიც გაქვს მას დასჯერდი, გიკარნახებს თავად ღმერთი.  
არ არსებობს ლექსი შავი, ცისფერი და თუნდაც თეთრი,  
კარგ ლექსს უნდა შეჰხაროდე, უნდა ქონდეს რიტმიც, რითმაც,  
გულს მალამოდ ედებოდეს და სიმღერად გამოითქვას.  
მხატვარს ფუნჯი დაამშვენებს, რომ დახატოს რუხი წერო,  
კალამს ხელში თუ აიღებ, დე, იცოდე როგორ წერო,  
ზოგი ლექსს წერს ქარაგმულად, ზოგიც მიეთ -მოეთებით,  
დღეს მამულში ნამეტნავად მოგვიმრავლდა პოეტები.  
ზოგს პიარი არ ასვენებს, აქეთ-იქით ისვრის ტორებს  
ლექსი არ დამიბეჭდაო, საყვედურობს რედაქტორებს,  
თუ გაქვს ნიჭი ილიასი, აკაკის და საათნოვას,  
მუზა ალარ მოგასვენებს, ლექსი თავისთავად მოვა.  
ნამდვილ პოეტს ყველა იცნობს და არ იწვევს ჩვენში ეჭვსაც,  
იმ რედაქტორს რა ვუთხარი წყალწყალა ლექსს რომ დაბეჭდავს,  
დღეს სიტყვის თავისუფლება პოეტობას როდი ნიშნავს,  
პოეტები პარნასზეა, „მას ერი ზრდის და ცა ნიშნავს“,  
პოდა მამულს რომ დაუდგე, ის გერჩივნოს ვაჟვაცობით.  
პოეტობა და მწერლობა არ შედგება ძმაკაცობით,  
დე, გიყვარდეს პოეზია, ვინ დაგიშლის, შვილო ჩემო,  
პოეტობა სხვა რამეა, არც არასდროს დაიჩემო.

5.VI. 2010 წელი.

## დამცვებ პოეტებს

მე ძლიერ მინდა რომ უმღეროდე,  
ჩემი სამშობლოს ლამაზ მთა-გორებს,  
გრანელის სევდით არ მინდა გნახო,  
მიდი დარდები გადააგორე.  
მომავლის იმედს ნუ გადაწურავ,  
ძველი დარდები ქვას მიალესე,  
იმედის თვალით დედას და მამულს,  
სათქმელი თბილად მიუალერსე.  
ლმერთმა გაშოროს გრანელის ხვედრი,  
ნიჭმა შენს ახლოს თავი დახარა,  
შენგან ეს ბედი, გრანელს რომ ერგო,  
შორს ყოფილიყოს როგორც საჰარა.  
ზოგი წინაპართ უწოდებს გრანელს,  
მის შვილიშვილად თავს თვლის მრავალი,  
დღეს სულ არ მიკვირს უკმაყოფილო,  
შენც ხარ გრანელის შთამომავალი.  
მაგრამ იცოდე უიმედობით,  
ჯერ არავის არ გაუხარია.  
დე, ნიჭი იყოს შენი მეგზური  
და გმფარველობდეს წმინდა მარიამ.  
დე, გაუმარჯოს ამ შენს ნიჭს ძლიერს.  
მოუსვენრობას და ღამის თევას.  
გულს გაუმარჯოს იმედით სავსეს,  
და სიყვარულით დაწურულ მტევანს.

14.IX.2016 წ.

## დილა სოფლის ეზოში

ირიჟურაჟა ბაღნარში,  
ფარვანები ფრიალებს,  
და ფუტკარიც ყვავილთან  
ცლის ნექტარის ფიალებს.  
გლეხეცის გასახარად,  
პურის ყანა შრიალებს,  
თივის ზვინთან მურადა,  
ყეფს და კუდს ატრიალებს.  
მზეჩაღვრილი რძის ბალახს,  
ბოჩოლა აშრიალებს,  
მიდი წაბლა იარე,  
მიდი ნიშა იარე,  
თქვენს მეტი ვინ უშველის,  
გლეხი კაცის იარებს,  
გამრავლდით მოუტანეთ  
სოფელს მეტი სიამე,  
ყანის ბოლოს ყაყაჩო  
წითლად ისე ბრიალებს,  
ცაზე ბინდი გამქრალა,  
და ტოროლა წკრიალებს.

25.VI.20186.

## კაცი, რომელსაც სახელით იცნობდნენ

(ეძღვნება ღუთუნა ეფრემიძის იუბილის 100 წლისთავს)

დღეს იუბილე მარტო როდია,  
შორს გასცდა შენი წარმომავლობა,  
იმ დიდ თვისებებს, რაც შენ გაგაჩნდა,  
აგრძელებს შენი შთამომავლობა.  
მოზღვავებულად შენს ხასიათში,  
ღვთის მადლით ყველა სიკეთეს ელის,  
არსად გამქრალა, ისევ ბობოქრობს,  
შვილიშვილებში ბაბუას გენი.  
ეფრემიძეთა გვარი აგრძელებს,  
ქველმოქმედებას, რაც შენ გჩვეოდა,  
არ შეეშლებათ 100 წლის მერეც,  
გენეტიკურად ხსოვნის დღეობა.  
მეგობრებს ცოცხლად უზიხარ გულში,  
ყველა გიხსენებს ეტაპობრივად,  
შენ ხომ ნამდვილი კაცურ-კაცობის,  
ნაღდ ფოთელობის ეტალონი ხარ.  
ალარასოდეს არ აგრევია,  
სადაც იჯექი იმ ხის შტოს ტოტი,  
კაცი, რომელსაც იცნობდა ყველა,  
მარტო მის სახელს თუ კი იტყოდი.  
შენი ძმა კარლოც ისეთი იყო,  
ტყუპის ცალივით, რომ გგავდა ნათლად,  
ირივე ერთად ფოთელებისთვის,  
კელაპტარებში იწვოდით სანთლად.  
თავს არ ზოგავდით გაშლილ მინდორზე,  
ქარი იყო თუ წვიმების თავსახმა.  
თქვენ გუნდთან ერთად ქართულ ფეხბურთის,

„პირველ მერცხლებად“ მოგნათლად ხალხმა.  
ამ ნამოღვაწარს, დრო ვერ წალეკავს,  
ზღვა ისევ ღელავს ბობოქრობს ტალღა.  
შეჩერდით წამით, ნიჟარებს ესმით,  
ზღვა სიყვარული მოგყვებათ საგზლად.  
კაცურ-კაცობით ეპოქა შექმენ,  
მუდამ ღვთის მადლის თანაზიარო,  
ახლა ამ მადლით გაკვალულ გზაზე,  
დღეს თაობებმა უნდა იაროს.  
ნათელში იყავ კაცურო კაცო,  
ისევ ვიმღერებთ რაც გვიმღერია,  
სანამ არსებობს ფაზისი-ფოთი,  
ძმებს დავიწყება არ გიწერიათ.

ეფრემიძეთა შთამომავლები: ნინიკო, ქეთინო, კახა, ირი-  
ნა, მაია, ნია, ირაკლი, გიგი, სანდრო, ფატი, მარი, ინგა, ირმა,  
რატი, გუგა, კატო, ნიტა, გაგი, ვაჩე, ნიკო, ბადრი, გია, აგრ-  
ძელებენ ღუთუნა ეფრემიძის სიცოცხლეს, უფლის შენევ-  
ნით-ბაბუას ნაკეთებ სიკეთის კვალზე-იარონ, იარონ, იარონ  
ამინ!

## გუგაზ

(554 წელს ბიზანტიელებმა, ხობის წყლის პირას, მუხანათურად მოკლეს ეგრისის მეფე გუბაზ II. ტყემლის ყვავილებში გუბაზი თავისი გარდაცვლილი პატარა ბიჭის სულს ხედავდა, რომელიც ანგელოზად ესახებოდა).

ლევან სანიკიძე

შენ სულს ხობის წყლის პირას  
მაფშალია პატრონობს,  
სამარეშიც მამულზე,  
ნაღვლობ მეფევ, ბატონო!  
მგლოვიარე თილისმა,  
გეცვა შავი პერანგი,  
უქარქაშო ხალიბურს,  
ატარებდი წელამდინ.  
შვილმკვდარ ხელმწიფეს სევდით,  
დანა პირს არ გიხსნიდა,  
გველის პერანგი იყო,  
შენი ჯადო თილისმა.  
შავი კვართით გლოვობდა,  
შენი სული ეული.  
ოდრიკალად ელავდა,  
უაბჯარო სხეული,  
ნეტარებით ოხრავდა,  
მიწა ხარის ჩლიქებით,  
ყანას ხნავდი ობლების,  
შუბლზე ოფლის დინებით.  
გრძნობდი ტყემლის ყვავილში,  
იღვიძებდა ბუნება,  
პატარა უფლისწულის

სულის აბულბულება.  
მაფშალია ლაზეთში,  
სევდიანად გალობდა,  
მტრებთან ხმალთა კვეთაში,  
ის თილისმა გწყალობდა.  
„მრუმედ მომხედა მზემან“  
და გამექცა სიკვდილი.  
მეფევ კაეშნიანო,  
რომ იტყოდი სიცილით.  
ვერ დაგძლია სპარსელმა,  
ვერცა ბიზანტიელმა,  
მტერთან შენმა პირბასრმა,  
ხალიბურმა იელვა.  
ბრძოლის ველზე ეფინა,  
მტრები დახოცილები,  
ეგრისს სურდა ელხინა,  
ხანა აღორძინების.  
მაგრამ შავი იღბალი,  
ზენარქენი ხმალისა,  
ავად უელვარებდა,  
ბრძოლის ნაცად ლაზიკას.  
თეთრ ტყემლებში გიხმობდა,  
უფლისწულის ძახილი.  
მტრებმა უიაბჯაროს  
ზურგში ჩაგცეს მახვილი.  
შიშველია ხელმწიფე,  
ხობის წყალში ბანაობს,  
აი ეხლა დასცადოს,  
უთილისმოდ ძალაო,  
სისინებდა ასპიტი,  
პირზე შხამის დანთხევით,

რომ ჩაეგდოთ თილისმა  
ტყემლის ტოტის დარხევით.  
მთვარეს შესცივდებოდა,  
და მზეც კრთოდა სოველი.  
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავნი,  
კრთოდნენ მომსწრე ყოველის.  
ბიზანტიელ „საჭურისთ“,  
ზურგს რომ გცემდნენ იარაღს,  
მათ მიწაზე ცოდვების,  
წარლვნამ გადაიარა.  
მამულისთვის პრძოლაში  
ანთებულო მინდიავ,  
ბევრჯერ მტრების ჯინაზე,  
თავი გადაგიდვია.  
გაზაფხული მოვიდა,  
უფლისნულის მირონით,  
ფეთქავს თეთრი ტყემლები,  
-შენი აპეირონი.  
კოლხეთში ისევ რიონობს რიონი,  
ხობის წყალს ვერ დააშრობს ხვატი,  
ქართველთა სულებში ცოტნეა, თამარი,  
ფარნავაზ, გუბაზ და რატი.  
ვერასდროს ჩაკვდება სული ეგრისული,  
სული ამაღლებული გუმბათს,  
ხოხობი ინავარდებს ხობში და ფაზისში.  
თბილისშიც ჩაფრინდება გუბაზ,  
დილა გათენდება ლაზურ-ეგრისული,  
პონტოს ზღვა დაიოკებს ტალღას,  
ისევ გაიშლება თეთრი ტყემლები და  
ორბი აფრინდება მაღლა.

27. VI. 2015წელი

## მაგნოლია

ო, ასეთი წუთი დაუბრუნებელი,  
შენც ხომ არ გქონია,  
მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების,  
ტრფობა გაგყოლია,  
როგორ მინდა შენთან,  
როგორ მინდა შენთან,  
ჩემო მაგნოლია.

(ანა კალანდაძე)

ჩემს ეზოში იდექ, როგორც დედოფალი.  
შენი თეთრი ფატა ნიავს გაჰყოლია,  
უღვთოდ ძირში მოგჭრეს ნაჯახით და ცულით,  
შენზე ფიქრი დღემდე დარდად ჩამყოლია,  
რა დრო იყო მაშინ, როგორ მაგონდები,  
ცა ქუდად არ მაჩნდა, დარდი არ მქონია.  
მზარავს ნოსტალგია ისე მენატრები,  
ცრემლით მაგონდები, ჩემო მაგნოლია!  
ვხედავ ბავშურ სიზმრებს მამლის ყივილისას,  
დილა შეთენების თავზე დამდგომია,  
ისევ სათამაშოდ ვეძებ თანატოლებს,  
მაგრამ არავინ ჩანს ჩემო მაგნოლია.  
ჭადრებს კაპარჭინის შეფი აპურებდა,  
ხეებს ტივად შეკრულს ქარი აჰყოლია,  
მაშინ ომი იყო, მშიერს ვაპურებდით,  
ყველას მასპინძლობდი ჩემო მაგნოლია.  
ფოთში ზღვაზე ისევ ქარბორბალა მეფობს  
და თავიდან შეკრულ ეკლის გვირგვინს მაცლის,  
ეზოში კი ბავშვებს ტუქსავს ლიზა ბებო,  
ერთად რომ გვაშორებს ეკალსა და მაცილს.

ჩემო ბავშვობავ და ჩემო სიყმანვილევ,  
შენზე მოგონება დარდად ჩამყოლია,  
ჩემო წარსულო და ტკბილო გახსენებავ,  
ჩემო დიდგულა და ჩემო დიდყვავილა,  
ჰოი, სად წასულხარ, ჩემო მაგნოლია!

10.VI. 2003წ.

### აპრილის ცას ყვავილები ათოვს

სულში ახლა ისევ თეთრად ცივა,  
მომრევია ირგვლივ ფიქრთა ჯარი,  
გარეთ ისევ ტყეემლის ფიფქი ცვივა,  
ვშიშობ სულში არ ჩამიქრეს კვარი,  
ახლა დილა თვალს მოსტაცებს ტატნობს,  
და ვარსკვლავებს გაუკრთებათ ფერი,  
ვზივარ ჩემთვის მოწყენილი მარტო,  
გიტარაზე ძველ სიმღერებს ვმღერი.  
აპრილის ცას ყვავილები ათოვს,  
მე კი ისევ ვკორტნი ღამეს უძღებს,  
დარდიან დღეს ჩემი სუნთქვით ვათბობ,  
მიკვირს ამდენ ჯოჯოხეთს, რომ ვუძღებ.  
მე გიტარა ავაკვნეს ცივად,  
და აღარ მსურს ჩონგური და თარი,  
სულში ახლა ისევ თეთრად ცივა,  
გათოშილი მღერის კვლავ ზამთარი.

20.II. 2022

## ერთი სოფლის პიშაპი

(ვუძღვნი დიდი სამამულო ომის მონაწილე თანასოფლელებს  
შალვა ზაქარაიასა და გრიგოლ დარჯანიას ხსოვნას)

ფრონტზე შეხვდით სიჭაბუკეს,  
მზის დიდებულ ამოსვლას,  
ვინ გაცალათ ხვიჩა ბიჭებს,  
სიბრძნის კბილის ამოსვლა.  
დაუზამთრდათ დედებს თმებში,  
უსაშველო ლოდინით,  
და რიონის მწვანე ჭალას,  
სევდა იწვა ლოდივით.  
განა ნაღმი სავსე იყო,  
თაფლიანი ფიჭებით,  
სისხლისგან რომ იცლებოდით  
პირტიტველა ბიჭები.  
იქნებ ომის ქარტეხილი,  
ბედისწერის ბრალია,  
თქვენებრ ვინდა დაიცავდა,  
დერბენდსა და დარიალს?  
სულში სევდა დაუტოვეთ,  
ცხრა მაისის მოლოდინს,  
საქართველოს სიყვარულში  
დაიხარჯეთ ბოლომდის.  
ჭადრებს კოცნის საფლავებთან,  
მოშრიალე ფიჭვები,  
სოფლის შარას გაუყვებით  
ერთი სოფლის ბიჭები.  
კოლხეთს ისევ გაზაფხულდა,  
ქათქათებენ ტყემლები,

რიონს ერთვის ნაკადულად,  
ორი ქვრივის ცრემლები.  
ნისლისფერი ცივი სევდა  
ცრემლით დაისადგურებს.  
ფრონტის ამბავს მოუყვებით  
იებსა და სამყურებს.

9.V. 2000წ

## საათი

ჩიტებივით კენკავს წუთებს,  
დროს ვერავინ ამუხრუჭებს,  
ზოგი მართავს წიფლის დუქნებს,  
ზოგი ოქროს აფუთფუთებს.  
ზოგსაც ქვეყნის გასაჭირი,  
ანუხებს და ეძებს სავალს,  
ზოგი დარდებს ღვინით ახშობს,  
სმაში ეძებს გამოსავალს.  
დრო გასულა უსწრაფესად,  
წუთებს მისდევს თვე და წელი.  
ზოგს ქონება მოუხვეჭავს,  
ზოგს მეფური სავარძელი.  
საათი კი ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ!  
წუთი წუთს ცვლის მალე მალე,  
გამალებით, აჩქარებით,  
მრგვალ რელსებზე მისრიალებს,  
მოხედვასაც ვეღარ ვასწრებთ,  
თვალებულშუა გარბის წელი,  
უკვე განვლილს, უკვე ჩავლილს,  
ვერასოდეს დავეწევით.  
ზღაპრულ რაშით მიქრის დრო და,  
ვეღარავინ ამუხრუჭებს,  
ეს საათიც ჩვენს ჯინაზე,  
ჩიტებივით კენკავს წუთებს.  
და აღარავის უცდის,  
დრო საათივით ზუსტი.

18. I. 2006წ.

## საზრუნო გამვიჩნდა

სტომაქის ამოყორვის საზრუნავი გაგვიჩნდა,  
როგორ ვკმაყოფილდებით დღეის სალაფავითა,  
შური, მუცელლმერთობა მეფურ ტახტზე ავიდა.  
სულზე ფიქრი და ზრუნვა ნეტავ საით წავიდა?!  
იქნებ ყავლი გასვლია ყველა ნამდვილ კალმოსანს,  
იქნებ აღარ მღელვარებს არაგვი და რიონი?  
მაშ მივუგდოთ მუზები ფიჩებსა და სანაგვეს,  
რომ აღარ დაფრთიანდეს მუზა გალაკტიონის.  
უნიჭო ავტორებით ავსებულა ბაზარი,  
რა ტრიუმფით წასულა ჰონორალის მსურველი,  
ნიჭი მიგდებულია სანაგვეზე ჩვარივით,  
და წიგნების ბიზნესში ფეხს იკიდებს სულელი.  
ისმის კმაყოფილებით უნიჭოთა ხარხარი.

15.VI.1997წ.

## ხათუნას

სურნელს მოაფრქვევს ფურისულები,  
მარტში ღიმილი რომ ჩაგაკონა,  
შენ არ შეცვლილხარ ჩემთვის სრულებით,  
ისევ ბავშვი ხარ, ჩემო გოგონა.  
აჭრელებულა მარტი ფერებით,  
და მიმოზებით ფეთქავს სამყარო,  
ჩუმი ალერსით კვლავ გეფერები,  
მაწვალებს ფიქრი, რით გაგახარო?!  
დამათრობს შენი ბავშვური მზერა,  
ჩუმი ღიმილი დარდს რომ მიყვება,  
ღმერთმა მანახოს მე შენი კერა,  
ალამაზებულ გოგო-ბიჭებად.  
სურნელს მოაფრქვევს ფურისულები,  
მარტში ღიმილი რომ ჩაგაკონა,  
შენ არ შეცვლილხარ ჩემთვის სრულებით,  
ისევ ბავშვი ხარ, ჩემო გოგონა!

16.III.2016წ

## ქართველი ხარ პიზო!

(ზოგ-ზოგებს)

როცა ჯიში ჯიშობს,  
როცა ნიჭი ნიჭობს,  
როცა ქალი ქალობს,  
როცა ბიჭი ბიჭობს.  
კითხვა არ არსებობს,  
ქართველი ხარ, ბიჭო!  
ბრავო სიმონ, ბრავო!  
სიტყვებით რომ გიჟობ,  
დედაენას შენსას  
ჩიქორთული გიჟობს,  
მინარეთს და მეჩეთს,  
მისი გზა აქვს, ნიჭობს.  
შენს მიხედე ტაძარს,  
და შენს რწმენას, ბიჭო!  
თუ ბარი არ ბარავს,  
ნიჩაბი არ ნიჩბობს,  
ვენახს ვიღაც გისხლავს,  
მინას ყიდი ვინძლო.  
ქართულ სოფელს ახლა,  
ვინ მიხედოს ბიჭო?!  
ჰეროინს და ჰაშიშს,  
ძმაკაცურად იყოფთ,  
გართობას და „ექსტაზის“,  
არაფერი გიჟობთ.  
ბილნისიტყვას რომ ხმარობ,  
ვირიშვილი ვიყო,  
შენ საკუთარ დედას  
რად აგინებ ბიჭო?!

ქალი ნაზად გეტრფის,  
შენ კაცებზე ფიქრობ,  
კარგად დაუფიქრდი  
გონს მოსულხარ ვინძლო.  
ერის გამრავლებას,  
სინჯარაში ფიქრობ,  
ო, ასეთი ნეტავ,  
რა სენი გჭირს, ბიჭო!  
თუ ქალი არ ქალობს,  
თუ ბიჭი არ ბიჭობს,  
თუ ჯიში არ ჯიშობს,  
თუ ნიჭი არ ნიჭობს,  
ქართლის ჭირი კარზე  
მოგდგომია ბიჭო!  
რუსთაველს და თამარს,  
დავითს პატივსაცემს,  
ნუთუ იმათ მოსცხებ,  
სირცხვილს, თავში საცემს.  
ფიროსმანის ნახატს,  
ქართულ ზვრებს და ბალებს,  
ქართულ ორნამენტებს,  
ეკლესიის თაღებს.  
ნუთუ შენში ახლა  
ღვთის რწმენა არ ნიჭობს.  
და შენს მშობელ დედას,  
სხვისი დედა გიჯობს.  
საქართველოს სულში,  
ნუ აფურთხებ, ბიჭო!  
შენს მამულს და რწმენას,  
ჰანგს ბულბულის სადარს,  
გუმბათოვან თაღებს,

მიტოვებულ საყდარს,  
ქართულ ზვრებს და ყანებს,  
შენს მიხედე გიჯობს,  
არ დაუთმო არვის,  
ცოცხალი ხარ ვინძლო.  
მაშინ გეტყვი, მაშინ,  
ქართველი ხარ, ბიჭი!

14.IX.2015წ

## ცოტნეობის დღესასწაული ნოჯიხევაში

წვიმს, ამ წვიმაში ბუჩქნარებში გალობს ბულბული,  
აქ, ნოჯიხევში ცრემლს ვერ მალავს გული მღერალი,  
ეროვნულ სულის დიდ სივრცეებს დანატრებული,  
გაშლილ მინდორზე მიმაქროლებს ცოტნეს მერანი.  
ხობი, ხიბულა, ნოჯიხევი ღრუბელს იფერებს,  
ღელავს ეგრისი, დღე არ სუფევს, თუმცა წყნარია  
და ჩოხოსნებმა ეგრისულად აქაც იმღერეს,  
სადაც ქართველ ხალხს ბევრი მწუხრი გადუტანია.  
მაფშალია და ტოროლები თითქოს კვნესიან,  
ხობის წყლის პირას ისევ ხარობს მწვანე ჯეჯილი.  
მწვანე მინდორზე, იქვე მაღლივ დგას ეკლესია,  
ხობის დედათა მონასტერი გულში შეჭრილი.  
თითქოს ჩამესმის დიდებულთა ცხენის თქარუნი,  
ცხენის ფლოქვების თქარა-თქური ღრუბლებს იცილებს,  
აქ ცოტნეს სული შემოიჭრა ველზე ხმაურით,  
თუმც ავდარია, მაგრამ მაღლე გადაიწვიმებს.  
ეროვნულ სულის სიჩაუქით ღელავს მამული,  
ბედისნერის და უკვდავების ბრუნავს ბორბლები,  
თავს ჯილა ადგას კოლხური და მზე მენამული,  
ისევ ერთად ვართ, ჩვენი მზით და ჩვენი ორბებით.  
აქ სიმღერები კოლხურ სულის ანაკვნესია,  
როცა ერთად ვართ, რას დაგვაკლებს მტერი ვერანი,  
ღვთიურ მაღლობზე ნოჯიხევის დგას ეკლესია,  
და ოცნებებით მიმაქროლებს ცოტნეს მერანი.

## ცოდნების ძაგლი ფოთში

შენ აიეტის მიწაზე დგახარ, რიონთან ახლოს,  
 თითქოსდა კოლხეთს გზას უნათებ, იმედს ანიჭებ,  
 ხიდს გადაჰყურებ ამაყად და ფაზისში სახლობ,  
 და ზღვის ნაპირზე მეგობართა უღებ კარიბჭეს,  
 ქართულო სისხლო, ქართველობა მეურდით დაიხსენ,  
 დაღრეჯილ მონღლოლს სიმამაცე შეშურდა შენი.  
 კვლავ ფარად დგახარ მამულში და ბრწყინვალებ ისევ,  
 ძეგლს შეუდრეკელს, მხარზე ლეგა არწივი გშვენის.  
 გასცერი სივრცეს, უსასრულო განის და სიგრძის,  
 ხმალშემართულო მამულისთვის, მდგარო ამაყად.  
 სიდარბაისლით კოლხურით და კოლხური სიბრძნით,  
 თავად ნოინმა და უამთასვლამ ვერ დაგამარცხა.  
 რიონის ნაპირს-ლელქაშებთან ათენებ ლამეს,  
 ანცი ტალღები ძველ ლეგენდებს უყვება ფაზისს,  
 ჩუმი წუხილით ცაზე ინვის კოლხური მთვარე,  
 და შენს ნათელ შუბლს ვაჟუაცობის ბეჭედი აზის.  
 ათასწლეული ვერ იშუშებს ცრემლს და იარას,  
 ზღაპრულ რაშივით გაფრენილა დღე გარდასული  
 და ცოტნეს სახით დღეს ფაზისში ძეგლი კი არა,  
 დგას უკვდავება, საქართველოს დიდი წარსული!  
 დღეს მატეანე გაშლის ფურცლებს სადარდიანოს,  
 საუკუნენი გაფრენილან ზღაპრული რაშით,  
 მაგრამ ოდიშში, ისევ მძლავრობს სადადიანო,  
 ნაღდ ქართველებში ცოტნეობას ვერავინ წაშლის!  
 ერი აფასებს კეთილ საქმეს, აწონილს მისხლივ,  
 ჰკითხეთ ქვითხუროს, მოქანდაკეს, მწყემსს და მეტყევეს,  
 სამაჩაბლოში, აფხაზეთში, დაღვრილი სისხლი,  
 ჩვენი ბიჭების ცოტნეობას თუ არ მეტყველებს.

ფაზისქალაქში ცოტნეს ძეგლი, ეს ხელთუქმნელი,  
დგას დასტურ იმის, ერთად დგომის რომ დადგა უამი,  
და საქართველოს ეკლესიის ლოცვა-კურთხევით,  
ღმერთმა გვიმრავლოს ცოტნეები, მარადჟამს, ამინ!

10.VII. 2012წ.

## შენი დალოცვა მიყვარდა

(ვუძღვნი ყველა ბებიას)

ჩემი ბავშვობის საყდარო, ლამაზად მოსაგონარო,  
იმ წეტარ დღეებს ვიხსენებ, მეტად ტკბილსა და საამოს,  
ვერ შევძელ შენი ამოშლა მოგონებების კარვიდან,  
კანფეტს რომ ამოიღებდი მეშვიდე ქვედა კაბიდან.  
შენი დალოცვა მიყვარდა, თაფლივით რომ შემრგებია,  
ძილისწინ როცა მეტყოდი, შენ შემოგევლოს ბებია,  
შენი ზღაპრები მიყვარდა, შენი კომბლე და წიქარა,  
შენი დამჭკენარი ხელებით ათრთოლებული გიტარა.  
ტაძრის გუმბათის სიდიდე, ჩვენი წარსული იცოდი,  
სალოცავებთან იდექი, კელაპტარივით იწვოდი.  
იმ დარაიას თავშალში თავს იმალავდი მორცხვადა,  
თმებდათოვლილო სიწმინდით უფლის ნათელი გმოსავდა.  
თხილის გულს ყველას უყოფდი, ცხრა ძმას და ცხრა დას  
ყოფილიდა,

ერთხელ არ დაგიკვნესია ამ წუთისოფლის ყოფითა,  
ახლა ვიგონებ იმ საათს, ახლა ვიგონებ იმ წამებს,  
შენთან პირჯვარს რომ ვიწერდი,  
ღვთის სიყვარული ვისწავლე,  
ბევრი ნუგბარი ვიგემე, ბევრი ტკბილი და მწარეცა,  
მაგრამ ის სიტკბო და გემო დრომ ვერაფრით ვერ წარეცხა.  
ყველა პატარას დავლოცავ, დავლოცავ ყველა ბებიას,  
შვილიშვილებზე ზრუნვაში თმები რომ გათეთრებია.  
ამდენ შრომა და გარჯაში სიცოხლის დღენი განლიე,  
საფლავს წითელ კვერცხს გიგორებ, შესანდობარიც დავლიე,  
ვერ შევძელ შენი ამოშლა მოგონებების კარვიდან,  
კანფეტს რომ ამოაძრობდი მეშვიდე ქვედა კაბიდან.

### ო, უძველესო დიდებავ ქართლის

ჭადრების ძირში ვიჯექ ნაპირთან,  
რიონი ფიქრებს უხვად მახვევდა,  
კოლხურ კოშკისკენ გამექცა თვალი,  
უძველეს ფაზისა გადამახედა.  
დაღონებულა არესის ჭალა,  
„ოქროს ვერძი“ რომ არ აფრქვევს სხივებს,  
დაჰკარგვიათო მზის სხივებს ძალა,  
და ვარსკვლავებიც აღარ ციმციმებს,  
განათლებული ფაზისქალაქი,  
ძველებურად რომ აღარ ბრწყინდება,  
ნეტავ რად ჩაქრა სიბრძნის ლამპარი,  
სად ჩაქრა ძველი კოლხთა დიდება?!  
ო, უძველესო დიდებავ ქართლის,  
ვით წყაროს წყალი ისე მინდები,  
ო, უძველესო აკადემიავ,  
ფაზისში როდის აღორძინდები?  
თავს ვინუგეშებ და აღარ ვიცი,  
რომელი წუთი მომიტანს შვებას,  
როდესაც ტაძრის დარეკავს ზარი,  
ისევ მივყვები განგების ნებას.  
უცხო ტომების შურს ნუ გავივლებთ,  
ღალატს ნუ გავდებთ გზად და ხიდებად,  
აიეტის და დიდი ფარტაზის,  
კოლხური სიბრძნე ისევ გვჭირდება.  
ისევ კოლხური ავწიოთ თასი,  
და უძველესი ვჭექოთ დიდება.

10.V.2005წ.

## რა მოგერია

„ნამუსიანად მქცეველი ქალი,  
არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი“.  
(დავით გურამიშვილი)

ქართველო ქალო, რა ვარამი გამოგივლია,  
არ დაცემულხარ, სახელოვან გზებით გივლია,  
„ქართლის დედაო“ უწინ მამულს წირავდი შვილსა,  
დღეს რა სანამლავს, რა სამსალას უსინჯავ კბილსა,  
რა ჭირს ვიმატებთ, აღარ გვყოფნის დარდები ჩვენი,  
რომ თანამგზავრად გავიხადოთ მრუშობის სენი,  
თუ ლამაზ ქალად გაღიარა სოფელმა ერთხმად,  
„ლამაზად შვილის გამზრდელ დედას გსახავენ ღმერთად“,  
და არა მრუშებს, მეძავებს, ფლიდებს,  
თუნდ ვარსკვლავეთში ჩუქურთმებს თლიდეს.  
ვაი, რომ ზოგი საროსკიპოს გახსნასაც ითხოვს,  
ქართულ ზნეობის წმინდა ტაძარს აშენებს თითქოს,  
მკლავმოუღლელო, რამ დაგჯაბნა, ხატო ჭკვიანო.  
შენით თავთავობს ეს სიცოცხლე, დუღს, მაჭრიანობს,  
უფალმა ნუ ქნას, დღეს, ზნეობა რომ დაითალხოს,  
ისედაც ერთი მუჭანი ვართ, თქვე კაი ხალხო!  
განა არსებობს დღეს სიმღერა ნებისმიერი,  
აკვანთან სამღერ იავნანას ჰანგზე ძლიერი.  
მოთმენა უნდა დღეს ყოველგვარ ჭირსა და ვარამს.  
მაგრამ მრუშობას? -არამც და არამც!  
ლამაზო ქალ! ქართველი კაცის გულო და ერთავ,  
ღმერთმა დაგლოცოს შენ საკუთარ ოჯახთან ერთად!.

17. IV. 2008წ.

## ლეიტო რესტორან ოზისში

(საშუალო სკოლის დამთავრების 50 წლისთავის აღსანიშნავად.)

აუ რესტორან ოზისს ჩამოფარვია ღრუბლები,  
გარეთ წვიმს კოკისპირულად, ტანზე გვასხია ბურძგლები,  
თითქოს 17 წლისა ვარ, ბავშვივით უნდა ვიცელქო,  
მინდა წვიმაში გავვარდე, ვიხარხარო და ვიცეკვო.  
ასკინკილათი ვიხტუნო, სულ აღარ ვწონი ნაბიჯებს,  
თუნდაც ეს ჩემი ცელქობა სიცოცხლის ფასად დამიჯდეს.  
მიყვარხართ, გამაძლებინეთ, მე თქვენი სანახავითა,  
ჩემო ჭაღარა ბავშვებო, ამდენს მე როგორ ავიტან.  
ჰე, ღმერთო, შენ შემარჩინე ეს ყმაწვილური სიგიჟე,  
უნდა გავუძლო სიხარულს, სანამდე გული მიმიშვებს.  
უფალ თამადას ვუსმენდი, სიტყვებს, რომ ისე ძერწავდა,  
რიონის პირა რესტორანს, ააცეკვებდა ლერწამთან.  
ვინ დაანათლა ნეტავი ეს ნიჭი უდიადესი,  
მზის სხვებივით გაგვხვია, მან სიყვარულის ბადეში.  
სიცოცხლე ჩვენგან წასული გოგო-ბიჭების ბედისა,  
შესანდობარი კი არა, ცხარე ცრემლები შეისვა.  
მეწყერიც რომ ყოფილიყო, მიწა გულისპირ შეხსნილი,  
ილენებოდა ღვარცოფი გალაკტიონის ლექსივით.  
ჰე, დიონისე ხმაურობს, უნდა შეასკდეს ალუჩებს,  
მაგარი გოგო ვიქწები ამ სიყვარულს რომ გადვურჩე,  
ფოთურად წვიმს და ფოთური ქარი გვიწენავს დალალებს,  
დაე, ისმოდეს სულყველგან კოლხური ჰარი ჰარალე!  
ღმერთო, გამრავლდეს ლხინი და  
ქართული ჯიში გამრავლდეს,  
და წუ გამოლევ ამქვეყნად  
კოლხელ ვაჟკაცთა თამადებს  
ჩემო ჭაღარა ბავშვებო,

მინდა რომ დიდხანს გიხილოთ,  
50 ცოტაა, კიდევ 120 ვილხინოთ.

გზებზე და გზაბილიკებზე ბევრი გვაქვს სახეტიალო,  
სიბერე არ გამაგონოთ, შორს ჩვენგან ოხერტიალო!  
სულ სიყვარულით ვიქნებით,  
გულს ნუ გაიტეხთ დარდითა,  
ჩვენ ისევ ჩვიდმეტისა ვართ,  
გულმა სიბერე დაფლითა.

12. XI. 2010

\* \* \*

ჩემო ველებო, ჩემო მთებო!  
ზღვავ და თოლიავ,  
არესის ჭალავ!  
უძველესო, ჩემო ფაზისო,  
ეს სიყვარული დედის მუცლით გამომყოლია,  
როცა შენთან ვარ, თავი ისევ ბავშვი მგონია,  
და ვით ყმაწვილი ასკინკილით შენთან ვხალისობ.

15.VII .2016წ.

## ՀԱՅ ՑՅԱՌՆ ԲՅԱՌՈՒ ՑՅԱՌՆ

Եղլցամլունքա մոցվսդցամս ռդութցան,  
Կցըլաս ցացուլցետ ցուլու ժուկարու,  
Մոցվրագ մուլու մուրու պոջունա,  
Ցուլս րոմ դացասու ծասրու օսարու.  
Տպումարտ մոցվրունքա մամապապատա  
Արուս նյուսու դա արուս նրգունքա,  
Մացրամ ծորութագ ցամուպյենց  
Իզենու նյումեգու Եղլցամլունքա.  
Հաց իզենու ոյու մուսագ իւտցալց  
Եցվրմա ուրջունքու, Եցվրմա արմուամ.  
Իզենքու մոցվրունքագ մուլումա մուրումա.  
Եցեպնու սածլուրեծու արու-դարուա,  
Հաց ցցիրս, Իզենու ցցիրս,  
Սեավս նյու ցածրալցեծու, Իզենու սյունա,  
Իզենու ժրունքա,  
Ալերսուտ ցցոնցրեց ակլա սալուցավս  
Իզենու յարտունքու Եղլցամլունքա.

14.XI.20106.

## ლაშა აპრილში

მთებს თავზე გადაევლება,  
ფეხს აუჩქარებს მარდად,  
დაეფარება ცისკიდურს  
ლეგა ღრუბლების ფარდა,  
ტყის სიგრილეში გასუდრულ  
ნიავსაც გააღვიძებს,  
შაშვი მიყუჩდა ხეზე და  
გალობას მყისვე იწყებს.  
ლამაზ ყვავილებს ბულბული,  
უმღერის დითირამბებს,  
და ნიბლიებიც ყვებიან,  
ტყის ახალ-ახალ ამბებს,  
ლამეში ციცინათელა  
დააციმციმებს თვალებს,  
ფანარივით რომ ანათებს,  
ხატავს ალისფერ რკალებს.  
ატამს ასკდება კვირტები,  
ლამეა ვარდისფერი,  
ძილგატეხილი მდინარე  
მიდუდუნებს და მღერის.  
გამოჩნდა ღრუბლის ფარდებში  
დარბაისელი მთვარე,  
ამღერებულა ცის თაღზე  
ეს სააპრილო ლამე.

10.IV.2011წ.

## ნოსტალგია

(ფოთში არსებული ალმანახ - „ორნატის“ დახურვის გამო)

მენატრებით, ოი, როგორ მენატრებით,  
დარდისაგან თვალებს ცრემლით ვიოსებ,  
მენატრება თქვენთან ერთად ხეტიალი,  
მალთაყვის და პორტის სანაპიროზე.

მამულის და სიყვარულის სადღეგრძელოს,  
გულით ვსვამდით, განა აზარფეშებით,  
აქეთ მწვადი შიშინებდა, „ოქროს ტბაზე“,  
და ანკესზე სხარტალებდნენ თევზები.  
თავს გვიკრავდა მონიწებით მაგნოლია,  
თოლიები და ფოთური ზღვაური,  
იღვრებოდა ძონისფერი ოჯალეში,  
დიონისე მოდიოდა ხმაურით.

სადღეგრძელო კი არადა ლექსი იყო,  
რომ გვაქცევდა მარადიულ ჭაბუკად,  
ხარის რქა და ჯიხვის ყანნირას ყოფნიდა,  
პოეზიის გაუმაძლარ ჭაბუკებს.  
მიუძღვოდა ცხენებს გენო კალანდია,  
და ოტია აბოლებდა ყალიონს,  
დიდოსტატი ვუქეთ ბატონ კონსტანტინეს,  
აბაშაში შევეგებეთ ალიონს.

და შევბედეთ ისევ მთვარის მოტაცება,  
არაბია გავაჭენეთ ენგურზე,  
თარაშ ემხვარს ნაბიჯები დავუწუნეთ,  
ოჯალეში გადავკარით ცხელ გულზე.  
ლამაზ ჩარგალს მთის კალთები დავუკოცნეთ,  
დავეწაფეთ ვაჟას წყაროს პეშვებით,  
ხინკალსა და ჟიპიტაურს დავაყოლეთ,  
ფშაველების ცეცხლოვანი ლექსები.

გოლიათი ვაჟა ციდან დაგვყურებდა,  
 დაგვნათოდა საქართველოს დიდი მზე,  
 სიხარულით ტოტებს შლიდა ქორაფი და,  
 ჭიუხებში გვიღიმოდა პირიმზე.  
 ნოქალაქევს პოეზიის კონკურსებით,  
 ციხე-გოჯში მაფშალიაც გალობდა,  
 ქუჯისა და ფარნავაზის ქართულ სულით,  
 ვამხნევებდით ახალგაზრდა თაობას.  
 რიკოთსა და რიკოთის იქით მუდამ ჩვენი,  
 პოეტური სული იყო თანხვედრი,  
 ძველ სენაკში პოეტ ლანდა მასხულიას  
 ვამაყობდით ვაჟკაცური დახვედრით.  
 თხილის გულსაც გავიყოფდით ხოლმე ძმურად,  
 გულს გვიღრნიდა წუთით თვალთა სიშორე,  
 დიონისე ზეიმობდა ჩვენს ფერხულში,  
 ასე მხოლოდ პოეტები გიჟობენ.  
 მეგრულ ჯარგვალს -  
 მალთაყვაში შუა ცეცხლთან,  
 კვლავ ვუხმობდით გოგლასა და ტიციანს,  
 „ორნატელებს“ შეემლებათ განა რამე?  
 ქეიფის და შრომის ფასიც იციან.  
 ერთი სცადონ, შეაჩერონ სიყვარული,  
 ვინ უარყოს ჩვენში წმინდა რაც არის,  
 ვერ გაგვტეხეს, თუმცა, ბევრჯერ შეეცადნენ,  
 ჩვენს თვალებში შეეყარათ ნაცარი.  
 კვლავ დავლაშქროთ საქართველოს მთა-ველები,  
 და მარტვილში წყალი შევსვათ, „ნაჩეურას“,  
 კვლავ ვესტუმროთ ცანავების კოლხურ ოდას,  
 ისევ ისე ვიქეიფოთ კაცურად.  
 დაე, მკერდი შეგვინგრიოს პოეზიამ,  
 ვაჟას, გოგლას, და აკაკის ლექსებმა,

ისევ ვუხმოთ ტიციანს და გალაკტიონს,  
დე, წაგვლეკოს პოეზიის მეწყერმა.  
ჰაერივით დღეს გვჭირდება რუსთაველი,  
ვაჟას, ტატოს, და ილიას სამყარო,  
დიდ პარნასზე კვლავ მოვუხმოთ მუზის ღმერთებს,  
მტრის ჯინაზე ფარხმალი არ დავყაროთ.  
თორემ ვიღაც მოგვადგება სხვა სიმღერით,  
ქართულ ჰანგებს წაგვიშლიან ამიერ,  
ახლა ისევ ლილეო და წინწყაროთი  
მოვეფეროთ ქართულ მრავალუამიერს.  
მენატრებით, ოი, როგორ მენატრებით!  
დარდისაგან თვალებს ცრემლით ვიოსებ.  
მენატრება თქვენთან ერთად ხეტიალი,  
მალთაყვა და პორტის სანაპიროზე.

12.VI. 2011წ.

## მამლის ყივილი

იცით, რა არის მამლის ყივილი?  
როცა ღმერთს გინდა უთხრა მადლობა,  
გაჩუქა დილის ერთი ღიმილი,  
და ისევ გინდა ფეხზე დადგომა.  
მამლის ყივილში კრთის განთიადი,  
ბალში ალუჩა თეთრად რომ ფეთქავს,  
და ბინდისფერი ქრება წყვდიადი,  
მამლის ყივილში მზის სხივთან ერთად.  
რუ მორაკრაკებს, ტყემლის ფთილაა,  
თუ იქ ატმების მოსჩანს ხანძარი,  
ჩიტები სტვენენ უკვე დილაა,  
დასრულებულა ზამთრის ზღაპარი.  
გათენდა მამლის ყივილი მესმის,  
დილის რიურაჟი მიყვარს ძალიან,  
იღვიძებს ჩემში მუზა და ლექსი,  
ეს ხომ სიცოცხლის ქარიშხალია.  
ღმერთო, ნუ მოშლი კვირტების ფეთქვას,  
ბუნებას ჰქონდეს შნო და ღიმილი,  
პოეტებს დილით ლექსები ეთქვათ,  
დე, აღვიძებდეთ მამლის ყივილი!

არ მოშლოდეს ჩემს ქვეყანას კვირტების გაშლა, ის სურ-  
ნელი, სიცოცხლის ფეთქვა, პოეტებს დილით ადრე, მამლის  
ყივილზე აფრენილი მუზა და ლექსის წერის სურვილი.

იმედი არ მოგეშალოს დედაო ყველა სიკეთისა, საქართ-  
ველოვ ჩემო!

12.IV.2014წ.

## პელურა

„სხვაგან გაზაფხულს შეხვდა მერცხალი,  
ჩვენთან ყინვაში მოკვდა ბელურა“  
(ო. მამფორია)

ჩემო ჩიტუნავ, შიმშილით და  
ყინვით შთენილხარ,  
სხვებივით მაინც უსამშობლოდ  
არ დარჩენილხარ.  
არც მერცხლის კვალზე გიფრენია  
არც წეროების.  
არ გიზიდავდა პალმის ტოტი და ჩეროები.  
ეძებდი საზრდოს აბუზული ღამენათევი.  
ბევრჯერ დაგიგეს ონავრებმა კაკანათები,  
სხვის ოქროს საკენკს შენი  
ქვეყნის გერჩივნა ნამი,  
არ მოგიცვლია სუსტი ფეხი  
არც ერთი წამით.  
ღაბუა ჩიტო,  
თბილ ქვეყნებში არ გაფრინდები?  
იქ წეტარებას დაეწაფნენ ტყეში ჩიტები,  
პაწია გულში სიყვარული კელაპტრად იწვის,  
შენ ვერ შეგიპყრობს ნოსტალგია მშობელი მიწის

10.II. 1999წ.

\* \* \*

შენ დიდების ჯომოლუნგმაც რომ დაიპყრო,  
დაიხსომე, ჩემო კარგო ერთი ცნება,  
ქალი უქმროდ ფრთამოტეხილ თოლიას გავს,  
გამუდმებით ქარიშხალს რომ ეხეთქება.

### მარტის თვე

მარტის თვე ტკივილს ნამქერებს ატანს,  
ღრუბლების ფთილა და მზეა ცაში,  
მზე გაუღიმებს ტყემალს და ატამს,  
და დაჰქრის ყველგან ფრთამალი რაშით.  
იქით ყანაში ხორბალი ღვივა,  
ჩიტებს ტალახი ააქვთ კალთებით,  
ბუდეს იშენებს, მოფრინავს ციდან,  
დედის ინსტიტის გაალმასებით.  
მთაში ირმების ყვირილი ისმის,  
ლალი ქორბუდა თავის სწორს ეძებს,  
კვირტებში ფოთლის გაშლა რომ ისმის,  
გაზაფხულია დათოვლილ გზებზე.

\* \* \*

ხოხბის ყელივით ლამაზი დილა  
რომ იყო კოლხეთს,  
ხარობდა მზე და ყვავილები, - სხივები ისრის  
და არიჭალას, „ოქროს ვერძი“ ეკიდა ხეზე,  
კოლხური სიბრძნის ნათელს რომ ისვრის.  
რიონის პირას დაღვრემილი დგას მებადური,  
ხელცარიელი ბადესავით შერჩა ცხოვრებას,  
ვაჟი კაცისთვის ახლა რიონს მიაქვს ბლავილი,  
მთების ნაშალი, ნიჟარები და მოგონება.

15.II. 2008

## ორი ვაზა

(ვაზა ეგრისელს)

ფშაველო, შენ მთა გიტაცებს,  
არწივისებურ ხედვითა,  
თავზე მთის ჯანლი ჩამაგდის,  
„ნისლი ფიქრია მთებისა”.  
ეგრისელს ზღვაი შეუსვამს,  
პოსეიდონის პეშვითა.  
სახეს ინამავს ზღვისკარად,  
შმაგი ტალღების შხეფითა.  
გაჰყურებს ორი ვაჟაი-  
თვრება ბუნების ეშხითა,  
ცრემლი კი არა სისხლი სდით,  
სამშობლოს მწუხარებითა.

15. X. 1995 წ

## შენ მოხვედი წინაპრიდან

(ჩემს შვილიშვილს, პატარა შალვას)

შენ მოხვედი დასაწყისად,  
დასასარული წავიდა,  
შენ მოხვედი ეს სიცოცხლე  
რომ დაიწყოს თავიდან.  
შენ მოხვედი წინაპრიდან,  
პაპის მამის მამიდან.  
დასასარული ჩავლილია,  
დასასარული წავიდა,  
შენ მოხვედი რომ ამ სულში  
არ ჩამიქრეს ლამპარი,  
ყური მიგდე, მინდა გითხრა,  
დევგმირების ზღაპარი.  
მინდა გითხრა რომ ნამუსით  
უცხოვრიათ წინაპრებს,  
რომ კეთილი საქმე იყო  
ჩვენი ციხე-სიმაგრე.  
მოგიყვები მერცხლის ენას,  
როგორ ფლობდა მინდია,  
განა პაპის სატევარი  
ფულზე გაგვიყიდია?!  
შენ ჩემს გულში ზიხარ ახლა,  
შემოგევლოს ბებია!  
ქონება და არ ქონება  
ერთმანეთის ძმებია,  
ხან ერთია, ხან მეორე,  
გაგორდება დუშაში,  
ზოგჯერ ბევრი განძის მქონე  
დარჩენილა ქუჩაში,

ზოგჯერ ისე გვატრიალებს  
ბედისწერის პორპალი.  
ღარიბ- ღატაკს უპოვნია  
ნატვრისთვალის გორგალი.  
შენ მოხვედი დასაწყისად,  
დასარული წავიდა,  
შენ მოხვედი ეს სიცოცხლე  
რომ დაიწყოს თავიდან.

2.II.2005

### მეუღლეს

ახლა როცა დავბერდით მე და შენ,  
ახლა როცა მივნავლდით მე და შენ,  
ბევრი მწარე ვიგემეთ, ბევრი ტკბილიც ვიგემეთ,  
ამ ცხოვრების ზედაშე.  
ფიქრი შენგან ღალატის, უკვე აღარ მაწვალებს,  
მოპარული ღიმილით არავინ გითვალთვალებს,  
ახლა შვილიშვილებთან დროა კერას მივუსხდეთ,  
რადგან ქალებს გეთაყვა, შენ გულს ვეღარ მიუჩენ.  
ნამო, ერთად ავანთოთ მინავლული ლამპარი,  
შვილიშვილებს ვუამბოთ საყვარელი ზღაპარი.

10.V.1990წ.

## თროპის საათი

„მეგობარს, სატრფოს, სიმდიდრეს, დიდებას, სამარადფამოს,  
ვერსად იპოვი და რად გსურს, სურვილმა გრძნობა აწამოს,  
ღვინო კი ერთი განძია, უნდა სვა, უნდა ილხინო!  
დავლიოთ ძმებო დავლიოთ, დავლიოთ ნითელი ღვინო!“

(გალაუტიონი)

გაკერპებულ ფიქრებს ღვინოში ალბობდა,  
სულიც ცეკვავდა სხეულთან ერთად,  
გაუჭირდა არტახების მოშილიფება,  
თვალებში ჩანდა სამყაროს აღქმა,  
გაორებული მზერით, უფლის ნილბით  
ილანდება ანტიქრისტე,  
სიკეთის ნიღაბს ეშმაკეული ამოფარებულა,  
ოთახში, შიშისმომგვრელ ნაჩურჩულევში  
კვლავ ცხადდება სინამდვილე.  
გულზე მარწუხივით, რომ ჩაფრენია.  
და სიცოცხლის ძარღვებს უფლეთს,  
გარეთ კი სისინებდა ქარწანწალა,  
მწარე ფიქრებმა მძივებივით ჰკიდეს ცრემლები.

10. II. 1995.

## დარღიმადული

(ლოთების სიმღერა)

მოდით ავავსოთ ფიალები,  
 შევსვათ სასმისი,  
 მე სადღეგრძელოს ვამბობ თქვენსას  
 ჩვეულ ხალისით.  
 ეს გაუმარჯოს ლხინის ღმერთს  
 და ყველა დარღიმანდს,  
 ვისაც ამ ქვეყნად გული ერჩის,  
 ვისაც დარდი კლავს:  
 თავისი ქვეყნის,  
 მერე ქალის, მერე ბახუსის,  
 ვისაც კაცურად უძგერს გული  
 და აქვს ნამუსი.  
 და ვიდრე ჟამი გადაბელავს დარღსა და ტკივილს,  
 მოდით კარგებო, ნუ მოვყვებით წუნუნს და ტირილს.  
 ჯიბეში გროშიც არ მიჩხავის, ზოგჯერ უფულოს,  
 მაგრამ გაზაფხულს იმედებით უნდა ვუყურო.  
 სასმისში ნაღველს ნუ ჩამისხამ, ლამაზო ქალო.  
 ნეტავი იმას, შენი ტრფობის ბედი რომ წყალობს.  
 მოდი, მომხვივი ეგ ხელები სანამ დრო არი,  
 თორემ დაგრჩები მეც ცრემლებით მოსაგონარი.  
 ეს გაუმარჯოს ყველა შფოთსა და  
 ყველა დარღიმანდს,  
 ვისაც ამ ქვეყნად გული ერჩის,  
 ვისაც დარდი კლავს.  
 თავისი ქვეყნის,  
 მერე ქალის, მერე ბახუსის,  
 ვისაც კაცურად უძგერს გული,  
 და აქვს ნამუსი!

ეს გაუმარჯოს ყველა ქართველს და  
ყველა კაიკაცს,  
ვინც ვაზის ნაჟურს შეირგებს  
და ტკივილს აიტანს.

15.V. 2003წ.

## შენ თუ კაცად არ ივარგე

(ზოგ-ზოგებს)

კაცი თუ ხარ კაცი იყავ, ქალი თუ ხარ, იყავ ქალი,  
ფეხებზე ნუ დაიკიდე ცა და ქვეყნის სამართალი.  
ნუ გახდები, ნუ გახდები ეშმაკების სამართავი,  
ღმერთმა კაცად გაგაჩინა, ცოტა ხმაც კი დაიბოხე,  
მამალიც კი ხვდება ყივილს,  
ყოველ ცისკარ-ალიონზე  
შენ მამლად ხარ გაჩენილი,  
მარცვალს უნდა ჭამდე ნედლად,  
ქათამივით ნუ კაკანებ,  
გაჩენილი არ ხარ დედლად,  
დაიყივლე სანამ დროა,  
დღე მშვიდობით თუ გათენდა.  
შენ თუ კაცად არ ივარგე,  
მომავალი ვინდა შექმნას.  
ყურს საყურე არ გიხდება,  
გინდ ლალის, გინდ საფირონის,  
ჯაჭვის პერანგი ჩაიცვი,  
თუ გახდება საჭირონი.  
რამდენი ჭირი გადაგვხვდა,  
და დღეები დარდიანი,  
გაიხსენე დავითი და  
დიდი ცოტნე დადიანი.  
მამულიშვილი ლაშქარში,  
მტერს რომ ეკვეთნენ პირველნი,  
რამ დაგავიწყა დავითი,  
და, „ძლევაი საკვირველი“.  
ხმა დაჭექე სანამ დროა,  
დღე მშვიდობით თუ გათენდა

შენ თუ კაცად არ ივარგე,  
მომავალი ვინდა შექმნას!  
ჰოდა ისე მოიქეცი,  
რაც შეშვენის ყველა ვაჟკაცს.  
მუჭისტოლა მამული გვაქვს,  
და იმასაც ნუ დავკარგავთ.

18.III.2023

### იმაზო მაპვს ღვთისა

მინდა მარად დამქონდეს  
სიყვარული ძმისა,  
უფულობის სენი მჭირს, მეტი არაფრისა,  
სადაც წავალ, თან დამაქვს ცარიელი ქისა,  
ხან რას ვისმენ და ხან რას.  
ბარისას თუ მთისას.  
ჩემს ჯიშს მუდამ ჩვეოდა გამძლეობა მტრისა,  
ბრუნვა მუდამ იქნება, მთვარისა და მზისა.  
იმედს მაინც არ ვკარგავ ამ წუთისოფლისა.  
უიმედო მტერია, იმედი მაქვს ღვთისა.

18.VI.2017წ.

## დედაო ლვისა მარიამ

ჩემო საყვარელო ქართველო ხალხო, გილოცავთ მარიამ  
ამ ლვისმშობლის დღესასწაულს, ყველგან და ყოველთვის  
გფარავდეთ მისი მადლი და კალთა.

დედაო ლვისა, მარიამ,  
და ქრისტიანთა მშობელო,  
მარადი სიყვარული ხარ,  
ბოროტთა უარმყოფელო.  
მადლით მოსილო დედაო,  
ყველა სიკეთით მოცულო,  
შენ წინ ცოდვილი ვდგავარ და  
მუხლმოდრეკილი ვლოცულობ.  
მე ქრისტეს რწმენით დავდივარ,  
როგორც რიგითი ქართველი,  
შენა ხარ ჩემი რწმენის და  
ჩემი გრძნობების მმართველი.  
დრომ ვერ წალკეა სიწმინდე,  
ქართველთ ედექი ფარადა,  
შენ და შენი ძე თუ არა,  
მაშინ ვინ დაგვიფარავდა.  
„თამარის დროშა გაშალეს,  
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი“,  
ფეხშიშველა და ცრემლებით,  
წინ მიუძღოდა თამარი.  
დიადი გამარჯვებები,  
თან გვახლდა უფლის შენევნით,  
ლელოს გატანა დიდგორზე,  
შენი ლოცვებით შევძელით.  
მინდა უნარი შემწევდეს,

ივერთა კვლავ დიდებისა,  
მომეცი ძალა უფალო,  
შენი ძის განდიდებისა.  
ამქვეყნიური ცოდვა გვჭირს,  
შეგვინდე - ძლიერ ვლონდებით,  
შეჭირვებულთა შემწევო,  
მიმტევებელო ცოდვების.  
მშვიდობა მოგვეც, უფალო,  
ნურასდროს გავიხლიჩებით,  
მტერი ჩვენ რას მოგვერევა,  
ერთ მუჭად თუ შევიკვრებით.  
ქართველთა სიძლიერე და  
კვლავ ერთად ყოფნა მინდება,  
ქრისტეს მშობელო მარიამ,  
დიდება შენდა, დიდება!

28.VIII. 2024წ.

## ცუ დაღონდები

**(კიდევ ერთი საბედისნერო რიცხვი)**

ქართველ ხალხს ოდითგანვე საყვარელი და გამორჩეული სახელები ჰქონდა: კაცთა, ციხე-კოშკთა, ტაძართა, ხეთა, ციურ სხეულთა და თქვენ წარმოიდგინეთ რიცხვთა სახელიც გამორჩეული და საალერსო ქონიათ თურმე: ცხრა ძმა, ცხრა მთა, ცხრა ანგელოზი, ცხრა წყარო, ცხრათვალა მზე, თუ ვინმეს უნებლიერ ან უდანაშაულოდ დასჯიდნენ, ცხრა ტყავი გააძვრესო-იტყოდა ქართველი. კიდევ ერთი ცხრა სისხლიან თარიღად მოგევლინა, ჩემო ბედკრულო ქვეყანავ. რას ვიფიქრებდი, გაზაფხულის პირას ისევ ცხრა რიცხვს მოუხმობდი შვილთა შენთა დასარბევად და სისხლის დასაქცევად. მოუხმობდი, მაშინ როცა ხეთა კვირტები ერთმანეთს ჯიბრით ასკდებოდნენ, როცა ნაირყვავილთა ფრქვევა, ფრინველთა საამური გალობა და ფანდურის წკრიალა ხმა ისე ეხმიანებოდა ერთმანეთს, როგორც, „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“. როცა მინის ყივილი გვიხმობდა ყველას შრომის ფერხულში ჩასაბმელად.

ცხრა ძმა ხერხეულიძეთა მსგავსად ორჯერ ცხრანი ვიყავით 9 აპრილს დაღუბულთა სიაში, ჩემო თვალხატულა ჭაბუკნო და ქალწულნო, დუღდა თქვენს ძარღვებში ქართული სისხლი, ქართული გენი, ქართული ხასიათი, რომელსაც ნორჩი წერგივით გაფრთხილება უნდოდა. ვაი, რომ ვეღარ გაგიფრთხილდით. იმ საბედისნერო ღამესაც ერთი თხილის გულს ცხრა ძმასავით იყოფით და საქართველოს ხვალინ-დელ დღეზე აფორიქებულებმა ვერც კი გაიგეთ როგორ შემოგიღოთ კარი ულმობელმა სიკვდილმა: „ვაი, რომ გწამდათ უკვდავება სიყვარულისა და სიყვარულის გარიურაჟზე შემოგაღამდათ“. როგორი მჩქეფარენი და ლალები იყავით იმ დღეს, ფანდურის წკრიალა ხმაში იღვრებოდა მშობლიური

მიწის სითბო, სილადეც და სილაჟვარდე ქართული ზეცისა, - ფიროსმანს რომ ასე უზადოდ დაუხატავს. ეს ხმა იყო შევონებაც, ღაღადიც, (ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე). არცაა გასაკვირი, ვის შეეძლო გაეკეთებინა ყოველივე ეს, თუ არა თქვენ! ვის შეეძლო ეთქვა ასე თამამად თუ არა თქვენი ჯიშისა და მოდგმის კაცს?! „ცხრა ღახვარი რომ დამარტყან ცხრა-ჯერ გულში,

მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,  
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,  
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ.“

ცხრა ანგელოზი გფარავდეთ, სულნო შეწირულნო ქართველთა ნათელ მერმისს! ცხრათვალა მზე დაგნათოდეს იმედის სხივად, ჩემო ქვეყანავ! ნუ დალონდები ქართველო, რამეთუ ახლა გმართებს მეტი შემართება, ცხრა ხე დარგე შვილთა შენთა გასახარად:

1. ხე გონიერების,
2. ღონიერების.
3. რწმენის,
4. სიკეთის,
5. სიმრავლის,
6. ჭირთა თმენის,
7. ერთმანეთისა და სხვათა გატანის,
8. მამულის სიყვარულისა და ბუნების საგალობელის,
9. რაც მთავარია, ურთიერთ სიყვარულისა, რომელიც ასე ძალიან უნდა დღეს შეჭირვების უამს საქართველოს.

## მარტვილს მიღის ცირა

(ვუძღვნი 9 აპრილს დაღუპულ მარტვილელ აზა ადამიას ხსოვნას).

ლეგა ღრუბლებს ციდან,  
სდის ცრემლების ღვარი,  
დედას აბა როგორ  
ვუთხრათ სამძიმარი?!  
მარტვილს მიღის ცირა,  
ყვავილების ჯარით,  
ტირის საქართველო,  
რეკავს გლოვის ზარი.  
თავს გვირგვინი გადგას,  
ალესილი ნიჩბის,  
საქორნილო კაბა  
ყაყაჩოსფერ სისხლის,  
ეგ თითები თრთოლვით  
სიმებზე რომ რბოდნენ,  
გიფიქრია ცირა,  
შენ სიკვდილი ოდეს?!  
მაყრიონი მოდის,  
შავი ეტლით ციდან,  
ანგელოზთა ჯგუფი  
გეგებება ცირა.  
აგიტაცებს ფრთებით  
დაღლილს, ღონემიხდილს,  
და იქ ქართულ ქორნილს,  
ზღაპრულს გადაგიხდის  
დედას ისევ თალხი  
და ცრემლები წყალობს,  
მაყრიონი მეგრულ ნანაიას გალობს,  
ყვავილების სისხლით

მოუჩითავს აპრილს.  
დედოფალი მოდის  
მაყრიონით მარტვილს,  
მობრძანდება ცირა,  
ყვავილების ჯარით,  
მარტვილს ისევ ისმის  
ქაშუეთის ზარი.  
არ გეგონოს ცირა,  
ქედს მოვუხრით ვისმე,  
ეს უმანკო სისხლი  
აბორგდება ისევ.  
ჯილაგი და რჯული  
ისევ ჯვარი ქრისტეს,  
მამული და ენა გადაგვარჩენს ისევ.  
დაიძინე მშვიდად,  
სიფრიფანა ქალო,  
ანგელოზნი შენთვის  
იავნანას გალობს.

11.IV.1989 წ.

## მე პოეზიის ამივსეთ თასი

მე ვერ დამათრობს ვაჟის ნაფური,  
ალავერდისთვის მადლობა ასი,  
ამივსეთ თასი ლალისფერ ღვინით,  
და პოეზიის ამივსეთ თასი.  
დავეწაფები ვაჟაის ლექსებს,  
ავახმიანებ აკაკის ჩანგურს,  
თუ გადარევამ მომისწრო ველზე,  
დავაგუგუნებ სიმღერას ქართულს.  
და თუ მოვკვდები არას ვინალვლი,  
ვიმღერებ ქართულ ლექსების ჰანგზე,  
მე პოეზიით ისე ვარ მთვრალი,  
ჩუმი ლილინით მივდივარ გზაზე.

9.VI.2000წ.

## ლექსია უდია დაგატყვევოს

ლექსმა უნდა ველები და  
ბილიკები გაგატაროს,  
და მოხეთქილ გრიგალივით  
ძვლებში უნდა გაგატანოს.  
ლექსი ატმის კვირტებივით,  
ხეზე ჯიბრით გადამსკდარი,  
ჩიტებივით რომ უგალობს,  
მამულს ლექსის ყველა ბწვარი,  
მძულს მოლაყბე კაცი ვინმე,  
რითმებით რომ ნაირფერობს,  
აბა ლექსი ვის რად უნდა,  
წყალწყალა და საპირფერო?!  
როს წკრიალა აკორდებით,  
როცა ლექსი ატანს გულში,  
გოლგოთაზე ჯვარზე გაკვრა,  
არცა რაა შენს მამულში.  
დედის რძე ხარ, როცა ჩვილი,  
შენს მადლს უნდა მაზიარო,  
დავაუკაცლი, მაჭარივით  
სისხლში უნდა დამიარო.  
დაფრთიანდი, აყვავილდი,  
დაიხეთქე ყლორტით ფესვი,  
და გულიდან ამომსკდარმა,  
რომ ვთქვა: აი, „მესმის მეთქი“.

9.III.2003წ.

## ტკივილდამაყუჩებელი

ტკივილით რომ დავიტანჯო,  
სენით განუკურნებელით,  
პოეზია არის ჩემი,  
ტკივილდამაყუჩებელი.  
საპყრობილეც მომისაჯონ,  
შემწყალობელს არსად ველი,  
პოეზია არის ჩემი  
ტკივილდამაყუჩებელი.  
რუსთაველის სიბრძნე მხიბლავს,  
ის ბიბლია არის ჩემი,  
პოეზია არის მარად,  
ტკივილდამაყუჩებელი.  
ვაჟას ლექსთა ხიბლი მათრობს,  
და აკაკის ჩანგზე ვმღერი,  
პოეზია არის აბი,  
ტკივილდამაყუჩებელი.  
პოეზიის რძით გავზრდილვარ,  
მისი ძუძუ მიწოვია,  
უკეთესი ქვეყანაზე,  
არაფერი მიპოვია.

8.VIII.2024წ.

## შენ ახლა ეკლის გვირგვინი გადგას

(ზვიად გამსახურდიას)

მთაწმინდის მთვარეს დღეს შენს საფლავთან,  
გულზე ლოდივით ფიქრები აწევს,  
დგას გასაყარზე მიწათა, ზღვათა,  
ახლა ცრემლები უსველებს თვალებს.  
მამულის ცეცხლით გადარუჯულმა,  
გადაიარეს ზღვა და გორები,  
შემოგეყარა ბევრი ურჯულო,  
ქართლის ბედს მკერდით მოაგორებდი.  
მკერდშელენილი იდექ უშბასთან,  
არ გეშინოდა ბოროტთა რისხვის.  
მამულის ტრფობით ანამლერები  
მამულისათვის ცხრაჯერ დაიწვი.  
ვეღარ ჰგუობდი როცა გროშებზე  
იყიდებოდა შენი ქვეყანა.  
არვინ ფიქრობდა სიწმინდეებზე,  
რომელიც სადღაც ბნელში ეყარა.  
ბევრჯერ დაგაჭრეს გულის ძარღვები,  
რომ დაცლილიყავ სისხლის რიონით,  
გკბენდა ათასი ჯურის ძაღლები,  
წუხდა მთაწმინდა, რეკდა სიონი.  
შენ ახლა ეკლის გვირგვინი გადგას,  
ხარ ნაწამები, ჯვარზე გაკრული  
ვინ დაგვაწყნაროს როცა ცრემლებით,  
გაპოხებულა მიწა ქათული.  
ვერ შეეგუე მტრობას და ღალატს,  
დავითის სისხლი გედგა ძარღვებში,  
არაქართული შორს იყო შენგან.

ეროვნულ სულით იყავ ნაგეში.  
ზეცას ცრემლებად დასდის მირონი,  
ბლავის ენგური ვით ხარი ნიშა,  
დღესაც არ ჯერათ შენი სიკვდილი  
რომელიც ახლაც სიცოცხლეს ნიშნავს.  
დგას საქართველო, როგორც ბერმუხა.  
უძველესი და მარად ახალი,  
შენ კავკასიის მთებს გადაჰყურებ,  
ხარ მყინვარწევრზე უფრო მაღალი.  
მინდა რომ სიტყვა წამომცდეს ერთი.  
კვლავ შენსკენ მოქრის ბედის ხომალდი  
ხედავ შენს მტრებს რომ გაუწყრათ ღმერთი,  
კვნესიან სულის ამოხდომამდე,  
შენს ფერხთ დაეცა ყველა ორგული,  
წითლად შეღება ველზე ყაყაჩო  
შენ ხარ მამულის ჩანგი ჩონგურის,  
და საქართველოს ისევ დარაჯობ!

28.III. 2009წ

## ახალგაზრდებს

ახლა ზეცაში ვარსკვლავებს წყვეტთ, გინდათ აფრენა,  
ჯომოლუნგმაზე ოცნებების კოშკი ააგოთ,  
ხან მოუნდებით ხეტიალს და გინდათ მოლხენა,  
ეს ყველაფერი ხომ კარგია, ღმერთმა გაამოთ.  
მაგრამ ხალიჩებს ეს ცხოვრება არვის დაუგებს,  
შეეფეთებით ზოგჯერ აუგს, სიკეთის ძებნით,  
ამ ლამაზ წუთებს ზოგჯერ ბედი მახეს დაუგებს  
და შეიძლება აგერიოთ სავალი გზები,  
ნინ გრძელი გზაა გადაშლილი, ზოგჯერ ირიბი,  
ზოგჯერ სიმღერის მოძახილი გულსაც ალალებს,  
ხან შუაგზაზე თმებგაშლილი ტირის ტირიფი.  
ხან მზის ჩანჩქერი გადაურბენს მწვანე ბალახებს,  
დრო შეიცვლება, დარი შეცვლის დღეებს ბინდიანს,  
თავში რომ გიზით ოფოფები, ჭინკა, მერცხლები,  
წლები კი მაინც მისას შვება, წლები მიდიან,  
მოვა დრო და თქვენც მალე შეივერცხლებით,  
გგონიათ ახლა ფლობთ ყოველთვის საამოს ნეტარს,  
უცებ ივიწყებთ პატარები დარდს და სიმძიმილს,  
დრო შეიცვლება ხან დაგსუსხავთ, ხან გასმევთ ნექტარს,  
ხომ გაგიგიათ: „კაცი ბჭობს და ღმერთი იცინის“,  
მაგრამ გახსოვდეთ არ გაივლოთ გულში ღალატი,  
თავი ასწიეთ, როცა მართალს გესაუბრებით.  
სიყვარულია ქვეყანაზე მხოლოდ მარადი,  
წარმავალია სიძულვილის შავი ღრუბელი,  
თქვენს სავალ გზებზე არ იქნება ფიანდაზები,  
არვინ დაგიგებთ ბილიკებზე ლამაზ ფარდაგებს.  
მამულს ჭირდება ახლა მეტად ბრძნული აზრები,  
და მიგნებულად ყველა საქმეს მიუსადაგეთ.  
რეალური და მისტიკური გაითავისეთ,

იყო დღეები ჩვენს წარსულს რომ ნისლი ფარავდა,  
და გადაშალეთ ისტორიის დიდი ფურცლები,  
როგორ იბრძოდნენ წინაპრები მამა-პაპათა,  
გზას დაგილოცავთ, სავალ გზებზე სიკეთით გევლოთ,  
ბოროტებისგან ყველამ გული, „კლიტით“ ჩარაზეთ,  
გულზე გეფინოთ დღეს მამულის სიყვარული და  
მშვიდობით გევლოთ მარად ყველგან ამქვეყანაზე.

8.VI.2016წ.

## სკოლის ზარაპი

დილიდან სკოლის მიხმობს ზარები,  
ნაცნობი ეზო, დილის ხმაური,  
ავყვები კიდეს, ისევ მაფხიზლებს  
ათასი ჯურის აურზაური.  
და მერე ისევ სალამოს ბინდი,  
მალლიდან როცა დამცქერის მთვარე,  
მაფხიზლებს მუდამ ხვალეზე ფიქრი,  
და მოსვენება არა აქვს ოვალებს.  
იქ, ვაჟას ქუჩით სკოლის კარებთან,  
ჩემს მოსწავლეებს ღიმილით ვხვდები.  
კოჭის ძაფივით დაიხვევს ხელზე,  
სევდას, სიხარულს, ჩავლილი წლები.

8.IV.2007ს.

## ცოტნის არივი ლაშვარდს აწყდება

(ნუგზარ ნადარაიას)

გტკივა ფაზისი, ზღვა, კოლხი დედა,  
გტკივა ლაზეთი ნაიარევი,  
და როცა ამდენ განსაცდელს ხედავ,  
დარდმორეული დაიარები.  
გტკივა რიონი, პალიასტომი,  
არესის ჭალა, ზღვა და თოლია,  
ბოროტებასთან ჭიდილი, ომი,  
გენეტიკურად გამოგყოლია.  
ცოტნეს არწივი ლაშვარდს აწყდება,  
უნდა ნაღველი მკერდით გათელოს,  
იგი გაშლილი ფრთებით გასწვდება  
და იმედს მოჰყენს მთელს საქართველოს.  
შენ პირველობას სიყვარულს უთმობ,  
შუბლზე კაცობის ბეჭედი გაზის,  
ლოცულობ მუდამ, სიკეთეს უხმობ,  
და ეფერები საყვარელ ფაზისს,  
აკადემიას თავკაცობ ახლა,  
ფაზისში ეძებ უძველეს ფერებს,  
შენს გულში ცოტნე ანთია მარად  
და ვერაფერი ვერ დაგაბერებს.

28.VI. 2013წ.

## ქარი

რაშზე შემდგარა გრიგალი,  
მიაპობს, მღერის ოდილას,  
ხან ისე გაირინდება,  
ვითომ სულ არა ყოფილა.  
მიწაზე ყრია ტოტები,  
ხის მოკვეთილი ხელები,  
მიქრის, მიაპობს, მიგელავს,  
გაშმაგებით და ხელებით.  
გინდ დაუყვავე, გინდ არა,  
მოგდგება ციებ-ცხელებით,  
მარადუამს შეკაზმული ჰყავს,  
ფაფარაშლილი ცხენები.

\* \* \*

ფოთში ქარი და ქარბობალა უცხო ხილი არ არის, როცა  
ფეისბუქზე ახალგაზრდა პოეტის, ჩემი უსაყვარლესი მოსწავ-  
ლის ალექო დოლბაიას ლექსი ვიხილე, მეორე დღეს საშინელი  
ქარბორბალა ამოვარდა, რასაც ასე შევეხმიანე.

## მწყემსის სიმღერა

(ალექო დოლბაია)

ცა მოიქუთრა, შეღამდა,  
თითს ვერ მიიტან თვალზედა,  
გამოიტირეს ღრუბლებმა,  
ტყეები შავნაბადზედა.  
ქარმა დრო ახლა იხელთა,  
ხელი აიღო თავზედა,  
შეწუხებულა სულდგმული,  
ვინც არის ქვეყანაზედა.  
მე ერთის გამო ვღონდები,  
ვფიქრობ და ვნაღვლობ მასზედა.  
მელოდებიან ტუჩები,  
ბლისფერი დილის ცვარზედა.

## პასუხი ლექსის ავტორს (ფოთშიც ქარბორბალას თაობაზე)

რიონის პირას შეღამდა,  
ბინდი მომაწვა თვალზედა,  
აღერებულა ლაქაში,  
კელაპტარივით წყალზედა.  
გარინდებულან თხმელები,  
თითქოს რაღაცას ელიან,  
ისლი და ფშანი ბალლივით,  
ჩაჰავებულებია ლელიანს.  
ცოტნეს ძეგლს თვალი შევავლე,  
ამხედრებულა რაშზედა,  
თავი ამაყად ეჭირა,  
მიმინო ეჯდა მხარზედა.  
უცებ ქარმა დრო იხელთა,  
ხელი აიღო თავზედა,  
მილენ-მოლენა ხეები,  
ქვებიც გაიდო მხარზედა.  
ყველგან ახადა ფიცრები,  
არ დარჩა სახურავზედა.  
ნუ დარდობ მწყემსო, კეთილო,  
იფიქრე მხოლოდ კარგზედა,  
სად გაგექცევა ტუჩები,  
ბლისფერი დილის ცვარზედა.  
მოვა და ჩაგეხუტება,  
ცრემლმორეული თვალზედა,  
ქარი გაფანტავს ძველ დარდებს,  
რაც იყო ქვეყანაზედა.  
მომავლის მეიმედება,  
სიტყვას არ ვაგდებ ბანზედა.  
სტიქიაც არ იბოგინებს,  
თუ ვივლით უფლის კვალზედა.

15.III.2023წ.

## მონაცირული

(ვუძღვნი მამის - ბენედიქტე (ძუკუ) ჩხეტიას ხსოვნას)

ეს პანორამა მაღვიძებს, თუ სიზმარია შენი,  
წელზე შეკრული, „პილზები“ ჰოი, რარიგად გშვენის.  
შენს ირგვლივ დაფარფატებენ ფრინველნი გადამფრენნი.  
გუნდი გარეულ იხვების გადაიშხუვლებს ზღვაზე,  
ფიფქივით თეთრი თოლია ლალად ფრთას იქნევს ტანზე,  
კეფალი ვერცხლისწყალია პალიასტომის ტბაზე.  
კოლხურ მინაზე ხოხობი სადღაა ახლა დილით,  
ხელმოცარული დაჟყურებს მონადირეთა ჩრდილი,  
დღეს, „ბოგვერაძის კუნძულზე“ დილა თენდება ისევ,  
ტყის ღორი სადღაც გამოჩნდა, და აჩენს ეშვის ისრებს,  
მიტოვებული კუნძული თვალში გეცემა მყისვე.  
მონადირეთა ყიუინას ვეღარ გაუძლო შველმა,  
გადაჩეხილი გულმკერდით, ტყე ითხოვს ჩვენგან შველას,  
შიშით ცახცახებს იფანი, მუხა და კოლხი თელა.  
მალთაყვის ტყეში იღვიძებს, თვალდაჭყეტილი სხივი,  
ბოგვერაძეზე ხან წვიმს და ხან ცაა მოწმენდილი,  
ეს წლები მიდის, მიგორავს, მოგონებების ჩრდილით .

18.V.2005.

## დედამიწა

დედაო მიწავ! სატკივარი არ დაგელია.

ქრის ბოროტება და აჭარებს ყველა მოლოდინს,

სატანურ სულით ეფარება მზეს და ლელიანს,

და კაცთა მოდგმას აღარ აცლის სათქმელს ბოლომდის.

დღეს ატომს პეშვით ისევ გაყრის გულზე მაცილი,

„გავყურებ სივრცეს-გამხმარ ტოტებს ავად მსხმოიარს“,

ვრცელ დარბაზებში კი ნებივრობს ჭკუით დაცლილი,

და კლავიშებზე არეულად უკრავს როიალს.

მერიდიანად დაგისერა მკერდი ომებმა,

გაგვინყრა ღმერთი და ცოდვები ღვარცოფად მიაქვს,

დააღეს პირი ბოროტების დიდმა ლომებმა

და უხვად მიაქვს შენი მადლი ქარსა და ნიავს.

წერაქვით ვანგრევთ, ვანადგურებთ ნაშენებს ბევრჯერ,

ნაჯახით ხელში ტყეს ვჩეხავთ და ძილს ვუფრთხობთ ნადირთ,

სულ ცოტა ფიქრობს მიწის გულზე, ხვალინდელ დღეზე.

ოლონდ ცვრიანი მწვადით შეხვდეს დღევანდელ ნადიმს,

როგორ იხაროს სალამანდრამ და ვაშლის ნერგმა,

ცოდვის ვულკანმა ამოხეთქა და ზეცა ტირის,

დაუდევრობის, უმეცრების წაგვლეკავს დელგმა,

და ყოველივე აღიგვება მიწისგან პირის.

გაუმაძლრები, რომ არ ეყოთ ეს მიწის გული,

ახლა მთვარეზე აშენებენ ვრცელ აგარაკებს,

და ვინაც კერპად აღიარა ოქრო და ფული,

ვითომ მამულის სიყვარული აღაპარაკებს.

„დგას დედამიწა ყომარბაზის გაშლილ კარტივით“,

ზოგ-ზოგს ფორტუნის წყალობალა აბოდებს მხოლოდ

და მიწის გული რომ კანკალებს ჩიტის ბარტყივით.

თუ არ მივხედავთ, დიდი წარღვნა მოგვიღებს ბოლოს.

ფუჭია ქვეყნად ყველა ჯურის ავლა-დიდება.

თუ არ ვიქწებით ფხიზელი და ძილშიც მღვიძარი,  
მსოფლიო ხალხებს დღეს ცხოვრება მშვიდი სჭირდებათ,  
მივყვეთ უფლის გზას, ჩვენი მხსნელი მხოლოდ ის არის.  
მრუმე წარსული დაილექა შენს მაგარ მკერდზე.  
ახლა ლერწამად ამოსულა დრო გარდასული,  
ათასწლოვან ქვებს ჟამი ლოკავს თაკარა მზეზე,  
უაზრო ომებს ვეღარ ითვლის შენი წარსული.  
და დგახარ ისევ გადაშლილი ხელისგულივით.  
ამ ხელის გულზე რომ შეგვინვას კვლავ ერბო-კვერცხი.  
და ჩვენ კი მაინც ყველაფერზე უმადურებმა,  
დავატრიალეთ დღეს ცოდვები ვულკანურ ცეცხლით.  
სამყაროს თავზე არ გვენახოს მზე გადაღლილი,  
არვის ეტიროს უსამშობლოდ დარჩენილ ბედზე,  
დავგმოთ სატანა, ღვთის პირისგან გადავარდნილი,  
მშვიდად იბრუნოს დედამიწამ კვლავ მაგარ ღერძზე.  
საშიშროებამ კონფლიქტების ქვეყნები მოვლო,  
დღეს როცა ყველას დაებადა შეკითხვა რატომ?!  
როდესაც ხალხებს დღეს მშვიდობა ასე სწყურიათ,  
ნეტავი რატომ ათამაშებს მსოფლიო ატომს?!  
ღმერთმა მონიშნა საცხოვრისად შენი ალაგი,  
რა გესაქმება ვარსკვლავებთან ან და მთვარეზე,  
დედამიწაზე არის შენი ძვალშესალაგი,  
მოუარე და სხვა სამოთხეს ნულარ დაეძებ.

10.VI.20086

## ჩვენთან არს ღმართი

(წაკითხული საპატრიარქოში უწმინდესისა და უნეტარესის ილია  
მეორის დაბადების 75და აღსაყდრების 30 წლისთავზე.)

მარად მამულის სადიდებლად ლოცვებს აღავლენთ,  
ტაძარში ისევ სანუგეშოდ რეები ზარები,  
ხატებთან ღმერთის სადიდებლად სანთლებს აანთებთ,  
იღვიძებს ერი ღვთიურ მირონს ნაზიარები.

ჯერ კიდევ როდის აიეტის ძველი კოლხეთი,  
მედეას ბაღში ყვავილივით ზრდიდა იმედებს,  
ჩვენ ქართველებმა, ოდითგანვე ვიწამეთ ღმერთი,  
და უფლის რწმენით ბევრჯერ თავიც გამოვიმეტეთ.

ჩვენ შეგნატროდნენ როგორც, „ოქროს საწმისის“ პატრონს,  
ქრისტეს კვართიც ხომ სვეტიცხოვლის ღვთის წილხვედრია,  
აქ იბერთა და ებრაელლთა ერთობა ნათობს,  
და ცოდნით ქუხდა ფაზისელთა აკადემიაც.

გვქონდა დღეებიც, რომ უჭირდა სამშობლოს მტრიანს,  
9 აპრილს ხალხი შეენირა, წუთებს საშინელს,  
სიცოცხლე მათი შეერკინა ცეცხლსა და ტყვიას,  
თქვენ საქართველო წმინდა ლოცვით გადაარჩინეთ,  
როდესაც ხომალდს შეეჭიდა ტალღათა თავსხმა,

ისევ გემბანზე დაეძებდით ლოცვის გასაღებს.  
დატბორილ მიწას სინანულის ცრემლები ახლდა,  
ყველა ქართველი თქვენს ვრცელ სულში შემოასახლეთ.

„უფალმა ძალი ერი თვისსა მისცეს, აკურთხოს,  
იყოს სიმშვიდე ყველას სულში და გონებაში“.  
ერი ღვთისაა, ღვთის გზით უნდა მივყვეთ საწუთროს,  
ძალასა მისცემს და მშვიდობას უფალი მაშინ.  
დე, ამ სიტყვებმა შეაგონოს ყველა ქართველი,  
დე, ღმერთი იყოს ჩვენი მხსნელი, ვილოცოთ მასზე,

ერთად ავანთოთ კელაპტარი -წმინდა სანთელი,  
ერთად ვიაროთ, ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე.

გმადლობთ უფალო, პატრიარქი რომ მოგვივლინე,  
გვექმენ მეოხად, რომ კვლავ შეკრას ორბმა კამარა,  
დიდხანს სიცოცხლეს და სიხარულს უსურვებს ერი,  
ჩემი მამული დარჩენილი ბედის ამარა.

ჩვენთან არს ღმერთი! არს და იყოს! ამინ და ამინ!

ერი და ბერი უფალს შესთხოვს ბედნიერ ხვალეს.

ერთად დგომის და სიყვარულის დაგვიდგა უამი,  
მწამს გაბრწყინდება წმინდა ლოცვით ივერთა მხარე!

## ფიქტური მუსიკურზე

პაპანაქება ივლისი იდგა, ის ზაფხული არ გავდა სხვა ზაფხულს, საოცრად გამიჭირდა მისი შეცნობა, აღარც ლამაზი შენობები, აღარც კოხტად ჩამწერივებული პალმები, ნუთით სუნთქვა მეკვრის... ჩემი თვალხატულა სოხუმი. კვიპაროსების და ოლიანდრების მშვენებაში ჩაფლული. საოცრად პირქუში და პოპქარი მომეჩვენა შავი ზღვა, მუდამ თეთრ კენჭებთან და ნიჟარებთან მოალერსე, თითქოს ზღვაში ვეშაპი გაწოლილიყო და შთანთქმას მიპირებდა.

„ო, აფხაზეთო! ბევრი კარგი მოყმის გამდელო,  
ამორძალი ხარ, მკერდმოქრილი უსაქართველოდ“.  
მივდივარ, მივყვები უთავბოლოდ,  
აღარც კვიპაროსების რიგი,  
აღარც ოლიანდრების ჩერო,  
რა პატარა ხარ, ალბათ ცრემლს თუ აღემატები,  
და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სიხარულს იტევ,  
სიხარული წაგვართვეს, ცრემლი? ცრემლი რამდენიც გინდა,  
გაგვიმრავლდნენ შავოსანი შვილმკვდარი და გამწარებული  
დედები,  
სიხარულმა დაგვივიწყა, სიყვარულმა დაგვივიწყა,  
- სიძულვილი შევისისხლხორცეთ,  
„მატეანე განარჩევს კეთილსა და ბოროტს“  
მატეანე აღამალლებს კეთილს ქმნილებას,  
და ჰემობს უკეთურ ქმნილებათა,  
მატეანე მეტყველებს ჭეშმარიტს და არა სცბის“, - ამბობ-  
და დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი.  
ივლისის თაკარა მზე ისევ მწვავდა, მწველი ფიქრი არ  
მასვენებდა. მორდუობის, ძიძიშვილობის, ადათ-წესებს  
მიჩვეულთ, რა ღმერთი გაგვიწყრა, აფხაზთა და ქართველთ,

ვის ანკესზე წამოვეგეთ, მივდიოდი და ვფიქრობდი, რა მალე დაგვვიწყნია, რომ ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს, ერთი ჰანგით ზრდიდნენ ქართველ ამირანს და აფხაზ აბსკრილს.

„ხვიჩა რომ მოკლეს ბრანდერბურგთან ორმოცდახუთში, ძიძის კივილმა შესძრა მთელი სამურზაყანო“.

რამდენი ხვიჩასნაირი რაინდი დავკარგეთ, სისხლით მოვრწყეთ ზღვა და ხმელეთი.

უფსკრულის წინაშე ვდგავართ, გავტიალდით, გავნადგურდით, დავბეჩავდით,

სამოთხის მსგავსი ქვეყანა ჯოჯოხეთს დავამსგავსეთ.

„იტყვიან რად ქმნეს ომი ასეთი,

არავინ იცის ამის მიზეზი,

ვინ არ იჯავრა, ვინ არ ინანა,

რაც რამედ ლირდა დარჩა იავარ

და სიძულვილის ულევი ღელვა,

გამარჯვებული არავინაა,

დამარცხებული კი არის ყველა“.

სიცრუესა და ბოროტებას, ვერც ტანკების გრუხუნი, ვერც ტყვიამფრქვევების კაკანი ვერ გადაფარავს. არ ისვენებენ, „გათიშე და იპატონეს“ უბადლო ოსტატები, სიძულვილის მხვნელ-მთესველნი, მაგრამ ქარიშხლის გარდა ვერაფერს მოიმკიან.

„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა,

თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“.

ვეძიოთ გზა ხსნისა-სიყვარულით ანთებული, კელაპტრებით განათებული.

## ღმერთო ნატვრა ამისრულე!

„ერთ ცას და ჰაერს, როგორც უნდა როდი ვაფასებთ,  
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს“.

(გ. ნიშნიანიძე)

\*\*\*

ჩემო ოდიშ-აფხაზეთო,  
ტკივილო და დარდო,  
ჩემო გულზე დასაკიდო,  
საფიცარო ხატო,  
როგორ ვეღარ გავარჩიო  
მოყვარე და მტერი,  
ღრუბელს როგორ შეუმუსრავს  
ცა ლაჟვარდისფერი.  
პეპლებივით თუ დავიწყებთ,  
სხვის კოცონთან თამაშს,  
სულეთიდან გამოგიხმობ-ჰე! ემხვარო თარაშ!  
ნინაპარო დედაჩემის,  
დარჩენილო კენტად,  
საქართველო რომ გიყვარდა,  
სიცოცხლეზე მეტად.  
ორ მკლავს გავშლი და ორივეს,  
ჩაგიხუტებთ მიმწუხრს,  
ძარღვში ქართულ-აფხაზური  
ტყუპი სისხლი მიდუღს.  
გოლგოთაზე მკლავ გაშლილი,  
რომ ვიგონებ წარსულს,  
რომელ მკლავს ჩამომაჭრიან  
აფხაზურს თუ ქართულს.  
რა აფთარი შეგეჩვია,

საბილიკო გზაზე,  
ამდენ დევნილს ვერსად ნახავ,  
საკუთარ მიწაზე.  
აბა სული თუ მივყიდეთ,  
სატანას და ავსულს,  
თქვი მარჯვენამ რა აკეთოს,  
მარცხენას თუ არ სურს?!  
დამიჯერე, „გოლუაფირო“  
გული მტკივა დიდად,  
თვალხატულა მზეჭაბუკი,  
სალამურს რომ თლიდა.  
ხან აფხაზურს აკვნესებდა,  
და ხან ქართულს - ჰიმნად,  
„აბსკრილსაც“ და ამირანსაც  
ერთი ჰანგით ზრდიდა.  
გულს ჩავძახი გაუძელი,  
გაუსაძლის ტკივილს,  
ვტირი თუ რამ შეუძლია,  
ამ უსაზღვრო ტირილს.  
ღმერთი ისევ შეაჩვენებს,  
ავსულსა და ბოროტს,  
სიძულვილის ქარიშხალიც  
მინელდება ბოლოს.  
ღმერთო, ნატვრა ამისრულე,  
რაც მაღელვებს დიდად,  
ქართველს მშვიდად გაუთნე  
აფხაზეთში დილა!

9.XI.2007წ.

## ბაბუას

(უშანგი ემუხვარს)

(1924 წელს ბოლშევკიკებმა, ვერაგულად მოკლეს თავისი ოცეულით სვანეთის გზაზე მიმავალი ბაბუაჩემი, თავადი - პოლკოვნიკი უშანგი (ზოგი ნიკოლოზს ეძახდა) ემუხვარი. რომელიც მოპარულად დაასაფლავეს სოფელ ოქუმში დებმა და ნათესავებმა).

იმ ავტედით ოცდაოთხში,  
ოცდაოთხი ტყვია დაგახალეს,  
სული ვერ შეგირყიეს მაინც,  
კაცურად შეხვდი სიკვდილს ქართულ მიწაზე,  
ასე, რომ გიყვარდა რაინდს,  
გვამებში გეძებდნენ შენი მორდუები,  
შიშით ვეღარ დაიძახეს ვაიც,  
ხიშტებზე გვამებს უკვალოდ აგებდნენ,  
ხან საით ისროდნენ-ხან საით.  
ლოყებს იხოკდნენ დები და მორდუები,  
ჩუმად მოგძახოდნენ ვაის,  
ღამით მოგიპარეს და ზურგზე წამოგიგდეს,  
ვაი მორდუებო, ვაი!  
დაკრძალვაც მოპარული და  
შიშნარევი გერგო,  
აფხაზთა ულამაზეს რაინდს.

19.IX.1995წ.

## დედას

(ლუბა ემუხვარს)

შენს თვალებში სილაუვარდე კრთოდა,  
მე ამ ლაუვარდს ყვავილებში ვხედავ,  
და ცისთვალას შევადარე უფრო,  
საფლავი რომ მოუჩითავს დედა.  
ვერაფერი მინუგეშებს ამ გულს,  
დარდისა და სევდისაგან დაღლილს,  
მაპატიე ეს სიცელქე, კარგო,  
გევედრები თმაჭალარა ბალლი.  
ემუხვარების გენეტიკურ კოდით,  
წილად გერგო აფხაზეთზე დარდი,  
ჩაგიცხრილეს წინაპრები ტყვიით,  
საფლავიც კი არ დატოვეს მათი.  
აფხაზეთში ალუბლები ჰყვავის,  
ოლიანდრა ეფერება ტყემლებს,  
მე იქ ვხედავ შენს დანამულ თვალს და  
ნამწამებზე დაკიდებულ ცრემლებს.  
შეგიცანი, მაგრამ უკვე გვიან,  
შეგიცანი და მერე და როგორ,  
შენ საფლავთან აღსარებას ვამბობ,  
თმაჭალარა, ნებიერა გოგო.  
მე ტაძარში ათას სანთელს გინთებ,  
ცოდვილიანს ღმერთი თუ მომხედავს,  
და ამ ქვეყნად თუკი რამ შეგცოდე,  
შენმა სულმა მაპატიოს დედა.

## რისთვის ნეტავ?

აფხაზეთის ზეცა,  
ქარი ღრუბლებს კეცავს,  
რატომ ნეტავ?  
ვიღაც საზღვარს კეტავს,  
ტირის ზღვა და ზეცა,  
რატომ ნეტავ?  
ჩვენს დათრგუნვას მტერი  
მავთულხლართით ბედავს,  
რატომ ნეტავ?  
გაელვებაც არ მსურს,  
უშენობა მერქვას,  
რისთვის ნეტავ?  
ჰე! მამულო ვიცი,  
გზა ტაძართან მიდის,  
გული შენთვის ფეთქავს!

ტპ030ლ0

მკერდში დაგვიჭრეს სექტემბრის დილა,  
გვიმუხხოთლა ბედმა ვამბობ აშკარად,  
ო, აფხაზეთო, მტანჯავს და მტკივა,  
მწარე ნაღველი მომდის აშკარად.  
სანაპიროზე ოლეანდრები,  
დღეს რომ იჩრდილებს სევდისფერ ქოლგებს,  
მზე იყურება მწუხრის ფარდებით,  
თითქოს ათასი ზამბახი მოკლეს.  
დღეს ზღვა როდია მშვიდი და წყნარი,  
დიოსკურიავ! იყო თუ არა?  
ცამ ცისარტყელას შვიდივე კარით,  
სისხლის ფერად რომ გადაუარა,  
ნატყვიარ ნაძვებს ცვიოდა მტვერი,  
სერავდა შხამი გულსა და გრძნობებს,  
და ყველა საზღვარს ანგრევდა მტერი,  
ასე უტიფრად რომ აჩენს ომებს.  
რაც უნდა ზურგში ჩაგცენ ლახვარი,  
შენ სიმამაცე უნდა უჩვენო,  
პალმებს ამბორით დაქროლებს ქარი,  
სოხუმი, მტანჯავს რომ ვარ უშენოდ.

15.V.20096

## დავაგვიანე

ნამოვალ შენთან, ჩემს ოცნებებს შენ განდობ მხოლოდ.  
სადაც ლამაზი ფერხულია ია-იების,  
სადაც მთის წყარო მელოდება ოქუმის ბოლოს,  
სადაც ემუხვარებს უღიმოდნენ მარშანიები.  
იქ ერთმანეთში გადაბმულან სუროს ბარდები,  
წყაროს შხეფები მაჩიტებთან შეხვედრას ნატრობს  
და ჰკლავთ წყურვილი ლამაზ ველზე განავარდების,  
ნამოვალ შენთან, ამ ოცნებას გავყვები მარტო,  
ჩემს დედულეთში არ შემზარავს გზების სიგანე,  
ოცნების კოშკში მიდევს ბინა, მიდგას მზვერავი,  
ბედნიერების ეს გზა ძალზედ დავაგვიანე,  
და იქ ნაცნობ ხმას ვერ მივაწვდენ ალბათ ვერავის.  
მე მოვალ შენთან, იმედის შუქით, ნათლის ჭიატით,  
სამურზაყანოს რომ გალობენ მაფშალიები.  
ისევ იმ სევდით, აფხაზეთის დარდის ჭიათი,  
სადაც ემუხვარებს უღიმოდნენ მარშანიები.

7.VIII.2011წ.

## 30 შეგელევი

ვერ შეგელევი თუნდ გადატყდეს ზურგზე შოლტები,  
მე ხომ დედა ვარ, თავად მერგო ბედი მეგუთნის,  
ფიქრიც არ მინდა, რომ ოდესმე შენ დაგშორდები,  
ეს მინა-წყალი რომ სხვისია, ჩვენ არ გვეკუთვნის.  
საქართველოში ბევრი იყო ცრემლი და გლოვა,  
სიხარულიც და სიმღერებიც ბევრი აგრეთვე,  
„ფარსადანების ქამანდები“ შენთან რას მოვა,  
ქართულ მინაზე სხვას მე შენებრ ვერ გავაღმერთებ.  
მე გაფიქრებაც აღარ მინდა იმ დიდ სირცხვილზე,  
რასაც ამქვეყნად ბოროტი და აუგი ჰქვია,  
დასაცავია საქართველოს დიდი სიცოცხლე,  
მამათა საქმის უკვდავებას შვილები ქმნიან.  
ჰეი, აფხაზნო! შეხსენებაც არ დაგჭირდებათ,  
დასაცავია ისტორიის დიდი ფურცლები,  
დასაცავია ცა, რომელიც სწამდა ფიროსმანს,  
ცის სილაუვარდე-საქართველოს ასე უცვლელი.  
ჩემო სოხუმი! როგორ მინდა, რო მზის შუბებით,  
მქუხარ სიმღერით, გამარჯვება ასე შეიქმნას,  
რომ დაიფლითოს ბოროტება, როგორც ღრუბელი,  
ყველგან ვხედავდე სიცოცხლეს და აღმაშენებას.  
არაშ აძსერილო! - გეტყვის ასე შენ ამირანი,  
ცეცხლი მოვსტაცეთ მაღალ ღმერთებს ჩვენ თვალსაჩინოდ  
და თუ ამ კერას გვედავება ვიღაც ტირანი -  
მოდი, ეს ცეცხლი ისევ ერთად გადავარჩინოთ.  
ერთია ჩვენი გაზაფხული, ჩვენი მერცხალი,  
ეს სილამაზე ღურჯი ზღვის და მთის საორბეთის,  
თქვენი სიმღერა, „ერგეაშვა“ -მზის ნაპერწკალი.  
აფხაზ-ქართველთა მეგზური და წინამორბედი.

ჰეი, აფხაზნო! ჩვენ ხომ ერთი მოგვსდგამს დიდება,  
მქუხარ სიმღერით, გამარჯვება ბრძოლის ჭიდილში,  
ეს გული მალე სიყვარულით გაიკვირტება,  
მოდი, ერთმანეთს ჩავეხუტოთ მზიურ ლიმილში.

17.VIII. 2010წ.

### კონფლიქტების გარეშე

ავკაცების არენაა ომის სისხლით შობილი,  
მას არა ჰყავს მეგობარი, არც ძმა არცა მშობელი,  
ზოგი მართლაც მამულს იცავს,  
ზოგი მიდის ხალისად,  
ომი საშინელებაა ნებისმიერ ხალხისა.  
ომი დროის ურჩხულია,  
გინდ ცხოვრობდე სადმე შორს,  
სიყვარულთან რა ხელი აქვს, -სიძულვილი წარმოშობს.  
ზოგი მუცელს ალორებს და ვეღარაფრით ვერ ივსებს,  
პლანეტაზე ვერ ეტევა, და სხვის მიწებს ითვისებს,  
დროა ახლა გონს მოეგოს, ვინც თამაშობს ამ ფლირტებს,  
მსოფლიოს რომ თავზე ახვევს უთავბოლო კონფლიქტებს,  
აღარავის არ დაინდობს, არ უყურებს განგებას,  
ჯალათის ქრომოსომები სხვანაირად ლაგდება.  
გვინდა ბოლო რომ მოეღოს ნაღმებსა და რაკეტებს,  
ნეტავ ახლა ყველა ტანკი, ტრაქტორად გადაკეთდეს,  
ლმერთო, მალე აგვაცილე, ტერორისტთა თარებებს,  
რომ მსოფლიომ იზეიმოს კონფლიქტების გარეშე.

23.VI.2015წ.

## ქოგუგალე

(ნენე კალანდიას)

ყინულს ადნობს ეს გამოთქმა,  
ქოგუგალე მზეზე თბილი,  
ქოგუგალე ეტყვის დედა,  
როცა გაიღვიძებს ჩვილი.  
ქოგუგალე ნიშნავს კეთილს,  
სიტყვა-სიტყვით გენაცვალეს,  
ქართველს უყვარს ყველა კუთხე,  
სიცოცხლესაც ანაცვალებს.  
სოხუმისკენ მიმავალ მგზავრს,  
მოფერებით ეტყვის ლაზი,  
ქოგუგალე იმეორებს  
სამეგრელოშიც აფხაზი.  
ამას ამბობს გლეხი კაცი,  
როცა ხედავს მწიფე ყანას,  
ეს გამოთქმა მშობლიური,  
არის ჩვენი იავნანა.  
მელანდება ბებოს სახე,  
დარაიას თავშალიდან,  
ქოგუგალეს იმეორებს  
აფხაზეთში მაფშალია.  
ვერსად ნახავ სიტყვის კონას,  
ამაღლებულს, ჩამწვდომს გულში,  
ღმერთო, ხელი მოგვიმართე,  
ძმობასა და სიყვარულში.  
სიკეთის ქმნა უფლისაგან,  
ნაბოძები ტალანტია,  
ქოგუგალეთი ყველას ათბობ,

ჩემო ნენე კალანდია.  
შენ იმდენი რამ შესძელი,  
რაღა გითხრა აპა მეტი,  
ღვთის მადლით და გულუხვობით,  
დაგელოცოთ აფხაზეთი.  
დაე, ყველგან აყვავილდეს,  
ჩვენი ცა და ჩვენი მდელო,  
შევსვათ ყველამ წრფელი გულით,  
საქართველოს სადღეგრძელო.  
იმედი მაქვს აფხაზეთში,  
გამარჯვებით ჩავალთ მალე,  
გული აღარ გაიტეხო,  
მახარია-ქოგუგალე!

30.IX.201336.

## პზიულის კალთებთან წვანან პიშვები

(აფხაზეთში დაღუპულ მეომრებს)

სისხლმა შეღება ბზიფის კალთები,  
ცაზე ახლა ფრთებს ვეღარ შლის ღალლა,  
აქ შორიახლო წვანან ბიჭები,  
ზღვის ნაპირებთან ბობოქრობს ტალლა.  
ბიჭებო, თქვენი ამაყი სული.  
ეკუთვნის უფალს და ტანჯულ მამულს.  
აქ შეენირა თქვენი სიცოცხლე,  
კოლხეთის მიწას ცრემლით დანამულს.  
ქართველთა სისხლით ბორგავს დიდგორი,  
აქ ყველა ბრძოლა რომ გავს ბასიანს,  
ისევ ბობოქრობს ქართლის მინდორი,  
ფეხის წვერებზე დგას კავკასია.  
წითლად ხასხასებს ყაყაჩოები,  
და შუაგულში შავ ფერს რომ ხედავთ,  
იგი კაბაა აფხაზი ქალის,  
ძაძებში დადის ქართველი დედაც.  
ბზიფის კალთებთან წვანან ბიჭები,  
მამული აწევთ გულის ფიცარზე,  
აქ კვიპაროსებს კოცნის ფიჭვები,  
და აფხაზეთის ზეცას იცავენ.

## ჩეც დავპრუდებით, ჩავალთ სოხუმში

(სოხუმელ ბიზნესმენს, ნოდარ კორსანტიას)

გიხმობს სოხუმი, დრანდა და რიწა,  
ნატყვიარ პალმის გტკივა ტოტები,  
შენ გელოდება მშობელი მიწა,  
ფიქრით აფხაზეთს ველარ შორდები.  
გინდა ენვიო ბზიფის ჭიუხებს,  
რომ მოეფერო გუმისთის ლრუბლებს,  
შენ გულით დაგაქვს მუდამ სიუხვე,  
რადგან სიკეთით სავსე გაქვს უბე.  
ფოთში ყოველი დილის რიურაჟით,  
მამლის ყივილზე ადრე დგებოდი,  
მუხლს მოიდრეკდი ხატის წინაშე  
და ღმერთს მშვიდობას ევედრებოდი.  
და ბოროტებამ ვერ დაგამარცხა,  
სიკეთემ ველზე დაიწყო ფრენა,  
რადგან ქართველი აროდეს კარგავს  
გამარჯვების და სიცოცხლის რწმენას.  
ღამე გიყვება, „აპსკრილის“ ამბავს,  
როგორ ებრძოდა ავკაცებს ლომი,  
აფხაზი ქალი საკერავს ლამბავს,  
ცეცხლზე შიშინებს მეგრული ღომი.  
ჩვენ დავპრუნდებით, წავალთ სოხუმში,  
და გამარჯვებით გავშლით ბადესა,  
იქ გადავწუროთ ოჯალეში და  
ყანწებით შევსვათ შავი ადესა.  
მე ვერ გადმოგცემთ მადლიერ გრძნობას,  
შეჭირვებულს რომ მოჰბანე დარდი,  
შენ არ გეშლება, კაცობა, ძმობა,

რომ მოიკიდე ამდენი მადლი.  
პატონო ჩემო! მე სიტყვებს ვეძებ,  
სამადლობელი როგორ არა ვთქვა,  
ამ სიკეთისთვის ასი წლის შემდეგ  
ისევ დაგლოცოთ ფაზისქალაქმა.  
ზეცამ შეიხსნა ლურჯი ღილები,  
ლამაზი რინა მწვანით შემოსა.  
მალე მენახოს ცისკრის ღიმილით,  
ცხუმ-აფხაზეთში თქვენი შემოსვლა.

16.IX. 2014წ.

## ეფერეპი ყველა ფოთილს

(ირაიდა ფაციას, შპს “გზამშენებელი-13”-ის  
დამფუძნებელს და დირექტორს)

დილის მზით რომ ასხივოსნებ მუდამ,  
არ გასვენებს იმედის წყურვილი,  
გენატრება სოხუმი და გაგრა,  
ნათესავთა დანახვის სურვილი.  
ეფერები ახლა ყველა ფოთელს,  
რომ გამშვენებს ეს სიქველე მეტად,  
თანაუგრძნობ თმებდათოვლილ მოხუცს  
ყველა მათში დღეს შენ დედას ხედავ.  
მიუყვები ქარტეხილებს ფოთში,  
ერთგული ხარ ყველა საქმის ნალდად,  
შენი სახის სისპეტაკე გშვენის,  
თბილი გული და ლამაზი კაბა.  
ფოთელებმა შეგიყვარეს დიდად,  
რა ლამაზად მოგიხატავს გზები,  
არ გაშინებს ქარბუქი და წვიმა,  
ყოველ ცისკარს იმედებით ხვდები,  
გენატრება აფხაზეთის დილა,  
ცა, რომელსაც სილაუვარდე შვენის,  
ზღვის ნაპირას ისევ მალე გეთქვას,  
აფხაზეთო, გამარჯობა შენი!

5.XI.2024წ.

## ახლა ზღვისპარად რომ გიდგას ფაცხა

(ქართველ ხელოვანს, ბორის პაპასკუას)

შენ ბოროტებამ ვერ დაგამარცხა,  
თუმც დაგიღეწეს პალმის რტოები,  
ახლა ზღვისპარად რომ გიდგას ფაცხა,  
ებრძვი სატანას განმარტოებით.  
და აფხაზეთზე ისევ ფიქრები,  
გულს რომ იჯერებ ახლა შორიდან,  
შენ ამ ფიქრებმა როდი დაგლალა,  
უიმედობა როგორ მოგხრიდა.  
ვით ორფეოსი წალკოტში ახლა,  
სევდიან ხმაზე წინწყაროს მღერი,  
შენ, „ერგეაშვაც“ ჩაგესმის ახლა,  
გზააბნეული მგზავრი რომ მღერის.  
ჩაძირულ ქალაქს, „დიოსკურიას“,  
პონტოს ზღვის პირას თოლიაც ეძებს,  
ქართველთა შველა ისე გწყურია,  
რომ გასაჭირში აფხაზ ძმას ეძმე.  
ისევ სოხუმი, მშობელი მხარე,  
და აფხაზეთზე ფიქრები ისევ,  
შენ გელაზდება მისი მზე, მთვარე,  
რომ დაგიბრუნდეს კვლავ სიხალისე.

18. X.2023წ.

## ნუხელ მასიზმრა

(გურამ ოდიშარიას)

ნუხელ მესიზმრა სოხუმში ვიყავ,  
და სიხარულით ავედი ცამდი,  
ტყემლის ფანტელი ცვიოდა ციდან,  
და ჩემს მშობლიურ სველ მიწას ვხნავდი.  
ნუხელ მესიზმრა ოლეანდრები,  
კვიპაროსები ჩემი ქუჩიდან,  
სულ გამქრალიყო ძველი დარდები,  
სოხუმის ზეცა ამბორს მჩუქნიდა.  
ისევ აღმდგარა ცივი ფერფლიდან  
დიოსკურია როგორც ფენიქსი,  
რადგანაც გვწამდა დიდი წარსული,  
და საქართველოს გვწამდა მერმისი.  
ნუხელის თითქოს სოხუმში ვიყავ,  
და შენ მაწვდიდი ლვინის ფიალას,  
სადლეგრძელოთი ვივსებდი იმედს,  
რომელმაც ასე დაიგვიანა.  
დაე, აგვიზდეს ყველა სიზმარი,  
აფხაზეთი რომ ასე გვწყურია,  
სოხუმში დილა კვლავ გაგვითენდეს,  
დე, აღმდგარიყოს დიოსკურია.  
ნუხელ მესიზმრა-სოხუმში ვიყავ,  
და სიხარულით ავედი ცამდი,  
თითქოს ვენვიეთ იქ ძველ მეგობრებს,  
და ძველ დაწურულ ოჯალებს ვსვამდით.

27.XII. 2010წ.

## პეი, სადა ხართ!

(ვუძღვნი ჩემს სოხუმელ სტუდენტობის  
მეგობარს რაისა სონგულიას)

ახლა, სიზმრებში მელანდება ჩემი სოხუმი,  
ტანკენარა და შავთვალწარბა გოგო-ბიჭები,  
ვარდისფერებად მოელვარე ოლეანდრები,  
ინსტიტუტის წინ მოშრიალე ლალი ფიჭვები.  
დგას შორეული მოგონება, შუქჩრდილებივით,  
ახლა შავად რომ მოქუფრულა ღრუბლების ფთილა,  
ნატყვიარ პალმებს, იავარქმნილ სამშობლოს ვხედავ,  
რომ უთენდებათ აფხაზეთში მწუხარე დილა.  
ის სტუდენტური ოქროს ხანა მომაგონდება,  
ფიქრით, ოცნებით, ელდორადოს რომ ვაშენებდით,  
ჩავიქროლებდით გუმისთაში ლალი სიმღერით,  
ლალი სიმღერით ბზიფის კალთებს რომ ვამშვენებდით,  
ჰეი, სადა ხართ! სიზმრად მაინც გამომეცხადეთ,  
რომ გავიხსენო სტუდენტური ლალი დღეები,  
ისევ დავლამქროთ ავათხარა, გაგრა, გუმისთა,  
მოვინახულოთ ბიჭვინთა და ბზიფის ტყეები.  
აქ შორი-ახლოს ბებესირის ტბაზეც გავიდეთ,  
მოქნეულ ანკესს, „ოქროს თევზი“ რომ მოყვებოდა,  
ყაყაჩოები მოუთხრობდა დღეებს გარდასულს.  
და შერვაშიძის ლექციებსაც მოუყვებოდა.  
ცის კაბადონზე ოცნებებით ვარსკვლავებს ვმკიდით,  
სანაპიროზე სიყვარულის გვწვავდა ხანძარი,  
მტრედების გუნდი მოფრინავდა გულის სიღრმიდან,  
სილალე იყო - სტუდენტობის ტკბილი ზღაპარი.  
ღამე დღეებს ცვლის, გულს მიწუხებს ცრემლების ფითრი,  
ტკივილს მახსენებს აფხაზური ძველი იარა,

თარაშ ემუხვარი ვაკრიტიკე ჩემივე ლექსით,  
და თქვენმა დიდმა მონატრებამ გადაიარა.  
გაუსაძლისად გაიწელა სიცოცხლე მკაცრი,  
ახლა ის დროა, ტკივილს ცრემლით უნდა ვრეცხავდეთ,  
სიაღვარდისკენ გაფრენილა მშვიდობის მტრედი,  
თუ ვერ ჩამოვალ, სიზმრად მაინც გამომეცხადეთ.

28.VI. 2022წ.

## სევდიანი სიმღერა აფხაზეთზე

აფხაზეთო, სად წავიდა შენი მშვენება,  
და ლამაზი განთიადის შემოთენება,  
შენი მზე და შენი მთვარე მარადი მნათი,  
ჩვენს მიწა-წყალს რომ ბატონობს მტერი ნაცადი.  
სხვა ტკივილი ხარ შენ აფხაზეთო,  
რითი გიშველო, რა გავაკეთო.  
შენ რომ ვერ გხედავ თვალის ნათელო,  
დანისლულია დღეს საქართველო.  
გულს რომ მიღრნის მწუხარება და იარები,  
ისევ ქრიან საზარელი ომის ქარები,  
გუმისთაში გარინდულა მთაზე ნისლები,  
მნარედ ტირის პალმები და კიპარისები,  
სხვა ტკივილი ხარ შენ, აფხაზეთო,  
რით დაგიამო, რა გავაკეთო?!  
შენ რომ ვერ გხედავ თვალის ნათელო,  
დანისლულია დღეს საქართველო.  
ძველ ბუდეში არ ბუდობენ ჩვენი მერცხლები,  
მალე ალბათ სევდისაგან შევივერცხლები,  
და ივსება ტალავერზე სევდით გოდორი,  
რადგან ტირის შენი რიწა, შენი კოდორი.  
სხვა ტკივილი ხარ შენ აფხაზეთო,  
რითი გიშველო, რა გავაკეთო.  
შენ რომ ვერ გხედავ, თვალის ნათელო,  
დანისლულია დღეს საქართველო.  
მელანდები აფხაზეთო დარშიც, ავდარშიც,  
ნეტავ როდის დავბრუნდებით საკუთარ სახლში?  
მენატრება შენი მდელო გადანამული,  
ღმერთო, მალე დამიბრუნე ჩემი მამული!

18.XI.2019წ.

## გამარჯობა აფხაზეთო შენი

(მაყვალა გონაშვილს და ნაირა მარშანიას)

უჩვეულო და მრავალფეროვანი შემოდგომა იცის ხოლმე თბილისში, მაგრამ ის დღე მაინც სულ სხვაგვარად, გამორჩეული იყო. ტანაშოლტილი ხეთა ფერდობები, სადაც ზოგან მწვანედ, ზოგან ყვითლ და წითელ ფერებში ხასხასებდნენ ნეკერჩელისა და ტანაშოლტილი ხეთა ფოთლები, ბუჩქებითა და ყვავილებით დამშვენებულ ქუჩებში ფერთა ნამდვილი ფესტივალი იყო. 24 სექტემბერი იდგა, თბილისის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა სტუმრებს ელოდებოდა აფხაზეთის ძირძველი მიწის წარმომადგენლებს, რომელთაც ღიმილიანი და თვალებგაბრწყინებული მასპინძელი დაუხვდათ მოფერებითა და გულში ჩახუტებით. სიხარულსა და სიყვარულს ვერ იტევდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი მაყვალა გონაშვილი და საქართველოს მწერალთა და ხელოვანთა საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია, „გულანის“ პრეზიდენტი-ნაირა მარშანია შემართებითა და აფხაზური სტუმართმოყვარეობით.

დარბაზში ღიმილი და სიყვარული იფრქვეოდა.

„ო აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო,  
ამორძალი ხარ, მკერდმოქრილი უსაქართველოდ.“

გაისმოდა ტელევიზორში მსახიობ დიმა ჯაიანის ხავერდოვანი ხმა, რომელსაც იგი სიცოცხლეშიაც წარმოსთქამდა შოთა ნიშნიანიძის ლექსზე-„აფხაზური კანტანტა“. მუსიკის ჰანგების ფონზე შემოდიოდნენ აფხაზეთიდან დასაჯილდოებლად მოწვეული სტუმრები. საქართველოსა და აფხაზეთის საკითხი არ წყდება არსად, - არც ბრიუსელში, არც მოსკოვში. იგი უნდა გადაწყდეს აფხაზებსა და ქართველებს შორის. სწორედ ამისი დასტური იყო 24 სექტემბერს თბილისში რე-

სპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება, „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის საკითხები“.

დაჯილდოებულთა გვარებს ვერ ჩამოვთვლი, რადგან ყველას პირადად არ ვიცნობ და არ მინდა რომელიმე გამომრჩეს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მაინც, განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. იგი ახალგაზრდა აფხაზი ბიჭი - დაური ბუავაა., რომელსაც მაისურზე ეწერა - მე აფხაზი ვარ, ჩამეხუტეთ!

დარბაზში მსხდომი ქართველები მიდიოდნენ და გულში იკრავდნენ ამ სიყვარულით გულანთებულ აფხაზ ახალგაზრდას. მუსიკის ჰანგზე სიტყვით გამოდიოდნენ აფხაზი და ქართველი ახლადგაცნობილი მეგობრები. ეთერში წამდაუნუბ იფრქვეოდა:

„ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი

უსაქართველოდ.

ჩვენი შეხვედრა სიყვარულიც იყო და ტკივილიც, სიტყვაში გამომსვლელები იმედს გამოთქვამდნენ, რომ მალე ელიორსებათ აფხაზეთის ლაუგარდოვანი ცა. კვიპაროსები, პალმებით, და ოლეანდრებით დამშვენებული სოხუმის შავი ზღვის სანაპირო. ქუჩებში ტურისტებთან ერთად ლალად მოსეირნე ერთ მუშტად შეკრული ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები, რომლებსაც დავიწყებიათ და ვერ შეუფასებიათ დრო, „როდესაც ერთ ცას და ერთ ჰაერს როგორც უნდა როდი ვაფასებთ, ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ აფხაზეთს“.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენა ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, ყოველი მოაზროვნე ადამიანი საქართველოში, დღე და ღამეს ასწორებს ამაზე ფიქრით.

ეს მეტად საჭირბოროტო ურთიერთობა აფხაზთა და ქართველთა ერთად ყოფნა ოცნება მარტო კი არა, ყველა ჩვენთა-განის წმინდათა წმინდა ვალია, იგი დღესაც აქტიურად გრძელდება, ამისი მაგალითი პოეტ მაყვალა გონაშვილისა და ნაირა მარშანიას საუკეთესო, ურყევი მეგობრობითაც დას-

ტურდება. საქართველოს მნერალთა შემოქმედებითი კავშირი არასოდეს შეწყვეტს ქართველებისა და აფხაზთა ურთიერთობის აღდგენაზე ფიქრს და აქტიურობას.

ასეთი ღონისძიებათა სიხშირე გამოგვაფხიზლებს, განვმეორდები და ისევ ხმამაღლა ვამბობ-საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი არ წყდება არსად - არც ბრიუსელში და არც მოსკოვში, ეს საკითხი თვითონ მათ უნდა გადაწყვიტონ.

უფალო დიდებულო! ეს ლოდინი მალე მომასწარ და მეც დიდი აკაკივით მეთქვას

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ,  
ვიცინი, აღარ ვსტირი მე“.

28 სექტემბერს ინტერნეტში უსაყვარლესი ქართველი პოეტისა და მწერლის გურამ მთვარელიძის ქალიშვილის თათია მთვარელიძის ლექსს წავაწყდი. ერთი ამოსუნთქვით დაწერილს, რომლითაც აღფრთვანება ვერ დავმალე. რომელსაც ისე ტკივა აფხაზეთი როგორც ყველა ჩვენთაგანს.

ახლა, როცა უცებ ჩაქრა ქარი,  
როცა სული დროს იხსენებს ნეტარს,  
შენ ყოველთვის ლამაზი და წყნარი,  
უქართველოდ როგორა ხარ ნეტა?!  
დღეს ტკივილი სულის შიგნით ბუდობს,  
შენზე დარდებს მე ცრემლებით ვბედავ,  
დამარხული ოცნებების ბუდევ,  
ამ უმზეოდ ხომ არ გტკივა ნეტავ?!  
ახლაც მესმის შორეული სუნთქვა,  
შენი მიწის ყვავილთა და ხეთა,  
აფხაზეთო, საქართველოს სუნთქვავ,  
უსამშობლოდ ხომ არ ტირი ნეტავ?!  
თუმც ვერ ვხედავ ქართულ ცას და მიწას,  
მზეს, რომელსაც მხოლოდ ის ზღვა შვენის,

რა იქნება კიდევ ერთხელ გითხრა  
აფხაზეთო, გამარჯობა შენი.

დიდი მადლობა ამ ლონისძიების სულის ჩამდგმელებსა  
და ორგანიზატორებს - ქალბატონებს მაყვალა გონაშვილს  
და ნაირა მარშანიას. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ  
აფხაზეთში შესვლის იმედით.

28.IX.2024წ.

## იგი არასდროს აღარ დაშრება

(ნაირა მარშანიას)

ჩვენ სიყვარული გვაერთიანებს,  
ერთად ყოფნა გვსურს ამ ქვეყნად მყარად,  
ერთ მუშტად შევერათ იმერ-ამერი,  
რადგან ერთი მზე დაგვნათის მარად.  
მე მონატრების ნოსტალგია მკლავს,  
ცრემლით ვასხურებ სევდას მოწოლილს,  
ამ დიად გრძნობას ხელს ვერ შეუშლის,  
ვერც ბრიუსელი და ვერც მოსკოვი.  
აფხაზს და ქართველს ერთი გვდის სისხლი,  
იგი არასდროს აღარ დაშრება,  
მარშანიების წინაპარი ვართ,  
გვარი ხომ მაინც თავისას შვება.  
აფხაზთ და ქართველთ ერთად ყოფნა სურთ,  
ალერსით გვიხმობს მთანი ტყიანი,  
ენგურს იქით, თუ ენგურის აქეთ,  
ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი მთლიანი.  
რა შემართებით ამბობდი სიტყვას,  
ეფერებოდი ქართველს და აფხაზს,  
შენ სიყვარულს რომ გვინთებდი გულში,  
მას ერთად ყოფნის იმედი ახლავს.

## მჯერა რომ ისევ შეიცვლება პირი ნათელით

(ლექსი ეძღვნება აფხაზეთიდან დევნილ  
დებს-გულაზ და დოდო ქალდანებს)

მზეს ეფიცხება ოლიანდრას მწვანე ტოტები,  
ავარდისფერდა ყვავილების სიდიადეში,  
კვიპარისები მხარს უმშვენებს, პალმაც არ ტოვებს,  
სოხუმის გზებზე ანათებენ თითქოს ლამეში.  
ზღვა ისევ დელავს და ბობოქრობს მრისხანე ტალღა,  
და თეთრ თოლიებს თითქოს ახლა შეცვლიათ ფერი,  
ყაყაჩოც გლოვობს, ჩაუცვია მას შავი კაბა,  
ვარდის ბუჩქებთან მაფშალიაც დღეს აღარ მღერის.  
თქვენ აფხაზეთის მონატრება ისე გწყურიათ,  
როგორც ხარ-ირემს ცალულელას კოდორის მთებში,  
დებს თვალწინ გიდგათ უძველესი დიოსკურია,  
და მონატრება დაღუპული ვაჟკაცი ძმების.  
მათი სულები კვლავ დაფრინავს სოხუმის ცაზე,  
მათთან ბევრია შენირული სამშობლო მინას,  
არ ისვენებენ, ისევ ბორგავს მათი სულები,  
კვლავინდებური შემართებით სამშობლოს იცავს.  
ისევ ჩვენია, გაბრწყინდება კვლავ მომავალი.  
მჯერა, რომ მალე შეიცვლება ბნელი ნათელით.  
ცოდვას და მართალს ისევ განსჯის შთამომავალი,  
ჩვენ ღმერთს ავუნთოთ კელაპტარი წმინდა სანთელი.

5.XI.2024წ.

## ვასტანგურად გადავკრათ

(ბახუსის ტრფიალებს)

თუ ცხოვრებაში არ დალიე ხანდახან ღვინო,  
როგორ გიცხონდეს მითხარი სული,  
გაზაფხულს შეცვლის კვლავ ზამთარი,  
და რაა ლხინი, თუ არ შეხედე ქვეყანას მდურვით.  
(მგუენ ზუ-ვიეტნამელი პოეტი).

მე ქეიფი მომენატრა, მინდა ერთი დავლიოთ,  
ვახტანგურად გადავკრათ და შევეგებოთ ალიონს.  
ლვარძლი, წყენა, შინ დატოვე და იქნები თამამად,  
ილხინე, იმხიარულე, მიჰყევ სუფრის თამადას.  
შუღლი, წყენა, იმას ნიშნავს განაწყენდე უფალზე,  
საქეიფოდ თუ მოდიხარ, გული დადე სუფრაზე.  
დღეგრძელობა, მზეგრძელობა-არის ჩვენი მეგზური,  
ჰე, თამადავ მეფე ხარ, თუ ეს ყანწია მეფური.  
მოილხინე, იქეიფე, ვინ დაგიშლის, ბატონო,  
ოლონდ ლომო, ზედმეტ ლვინოს ჭკუაც არ მიაყოლო.  
მე ქეიფის კაცი მიყვარს, ვისაც უნდა დალიოს,  
ვახტანგურად გადავკრათ და შევეგებოთ ალიონს,

## ბეგერ მეზურნეობს

(კუძღვნი ფოთელ ძველ მონადირეებს:  
ალიოშა იმნაძეს, შოთა ჯიქიას და ძუკუ ჩხეტიას)

თქვენ ვერ გაგტეხათ წელთა სიმრავლემ,  
ვერც პალიასტომის მკაცრმა სტიქიამ,  
თუმც დაგათოვათ თმებზე სიბერემ,  
ძუკუ, ალიო, შოთა ჯიქია.  
მაინც არ გატყდით, მხნედ მიაბიჯებთ.  
ვით უღრან ტყეში ანჩხლი აფთარი,  
არ იცით დაღლა, გული კვლავ გერჩით,  
ზაფხულია, თუ მკაცრი ზამთარი.  
ხან ნავებს ჭედავთ, ხან იხვს უმიზნებთ,  
ხან ბადეს კემსავთ მებადურივით,  
ხან ერთად ზიხართ ჭურის თავზედა,  
და იბერებით მართლაც ჭურივით.  
ხან მონადირის ჩვეულ ტყუილით  
აზვიადებთ და ტრაპახობთ ახლა,  
ტყე-ტყე დადიხართ, თუ ჭაობს გახვალთ,  
თქვენმა მუხლებმა არ იცის დაღლა.  
თქვენმა მუხლებმა არ იცის დაღლა,  
და მაინც თქვენი, არ მესმის ნათლად.  
ბოგვერაძეზე თუ შავლელეში,  
ერთმანეთს რატომ, „ხუნკებად“ ნათლავთ?  
მეგრულად ხუნკი დავრდომილს ნიშნავს,  
აპა დავრდომილს რა გიგავთ მხნენო,  
პალიასტომი კვლავ გულით გელით,  
ეგრისელნო და გუბაზის ძენო.  
ეჰ, გაგიფრინდათ ეს სიჩაუქე,  
აწი თქვენ ქალებს გულს ვერ მიუჩენთ,

დღოა, კარგებო ზამთრის ზღაპრებით  
შვილიშვილებთან კერას მიუსხდეთ.  
გულით დაგლოცავთ, ძველო ბიჭებო!  
თქვე ფესვმაგარო, ძელქვა ხებო,  
იდლეგრძელეთ და მრავალუამიერ,  
ჩემო ბებერო მეზურნეებო.

5.I.1983წ .

## ეს ხელები შევაჭველოთ ქართულ მინას

აქ ყველაფერს ღვთის ხელი რომ ურევია,  
 ბოროტებას სიცოცხლესთან რა წილი აქვს,  
 მიდი ყვავილს ეჩურჩულე სიყვარულით,  
 ეს ხომ შენი სულის წმინდა ნაწილია,  
 ბუნებაში ხესაცა აქვს სიხარული,  
 ყვავილობს და როცა ისხამს ნაყოფს მწიფეს  
 დედამიწას მოივლიდა საყვედურით,  
 სიარული რომ შეეძლოს ვაჟას წიფელს,  
 ჩიტბატონა დაპერანებალებს თავის ბუდეს,  
 ბალჩა-ბალში ჭიალუებს მუსრს რომ ავლებს,  
 დედობრივი სიყვარული გულში უდევთ,  
 სიკეთით რომ გადაარჩენს შთამომავლებს.  
 ტყე გავჩერეთ, არ დავტოვეთ საბინადრო,  
 შორიახლო მხოლოდ მგლების ყმუილია,  
 ცოტა დარჩა შვლებისა და ირმის გუნდი,  
 იგი მგლებმა გაწყვიტესო - ტყუილია.  
 გარეული ფუტკარიც კი აღარ ბუდობს.  
 ძლივსლა ჩანან ყვავილები მოლეული,  
 მურა დათვი ტყეში აღარ დაბაჯბაჯებს.  
 სადღა არის ფუტკრის ტკბილი გოლეული.  
 ახლა ჩვენში ხოხბის ყელი არ ელვარებს,  
 კოლხიდაში სიყვარულით აფრენილი,  
 მონადირემ თოფის ლულა მიუშვირა,  
 ტყვიებით და სიბოროტით დატენილი.  
 ეს ხელები შევაშველოთ ქართულ მინას,  
 უნდა შევძლოთ ბოროტების კვლავ აკრძალვა,  
 ვალიაროთ ნაკრძალებად ტყე და მდელო,  
 განვაცხადოთ საქართველო სრულ ნაკრძალად.

ցագարիյեծա, յուրտեյյոլո մոնա-նպալո,  
յս լամածո մոնդոր-վելո դա ხեզեծո,  
մոզեցերոտ պալա եքս դա պալա պազոլս,  
Շեզամշելոտ կըլազ նախառարո ելեծո.

14.V.2005թ.

## თემო პაპა

(გაუტეხელი კაცი, თედო ვანიშვილი, რომელიც მარტო ცხოვ-  
რობდა მავთულხლართებით შემოსაზღვრულ ოკუპირებულ  
სოფელ ხურვალეთში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა და 2023  
წლის 22 მარტს დაკრძალეს.)

ქართლში ვაჟკაცებს რა გამოგვილევს,  
მტერი ეძებდა ბრძოლების საბაბს,  
შენ სისხლში გქონდა ქართული გენი,  
სამშობლო მიწის, მოხუცო პაპავ.  
ეფერებოდი მშობლიურ მიწას,  
მწარე ოფლი სდით ხეებს ნატყვიარს,  
აქ თითო ბუჩქს და თითეულ ყვავილს,  
შენი გამრჯელი ხელი ატყვია.

მარტოხელობდი სოფელში მყოფი.  
ჯარისკაცივით გეცვა ფარაჯა,  
შენ ერთადერთი მცველი იყავი,  
მავთულხლართებთან იდექ დარაჯად.  
მე არასდ წავალ, მე არსად წავალ,  
ამბობდი, ცრემლი გადაგდიოდა,  
ყინვაში იდექ შეუპოვარად,  
იქნებ გწყუროდა, იქნებ გშიოდა.  
და ხურვალეთის ტანჯულმა მიწამ  
ახლა ყველაფერს ახადა ფარდა,  
სხვა ტკივილები არ გაწუხებდა  
შენი მამულის ტკივილის გარდა.  
მავთულხლართებთან ყვავილთ ლაშქარში,  
მამულს ედექით თითქოს დარაჯად,  
ღრუბლებს მოეცვა შენი სოფელი,  
და ზეცა ცრემლებს ვეღარ ფარავდა.

თითო ხესა და თითეულ ყვავილს,  
ბალახს მინაზე ცრემლები რწყავდა,  
გიჭირისუფლა ქართველმა ერმა,  
დამტირებელი არავინ გყავდა.  
იცრემლებოდა დედაო ღვთისა,  
შენს გამძლეობას ზეცა უბნობდა,  
ხურვალეთს გალობს ანგელოზები  
და მაცხოვარი გჭირისუფლობდა.  
ნათელში იყავ კაცურო კაცო,  
გაზაფხულია, ყვავის ბუნება,  
შენი მამული, უფლის წყალობით,  
გჯეროდეს, მალე დაგვიბრუნდება.

18.X.2024წ.

## ყველაზე რთული პროცესია არის კაცობა

(მარჯვენა)

კაცობრიობამ ბევრი შექმნა, ძეგლი აიგო,  
იმ სიმაღლემდე უნდა დადგე დანტე გაიგო,  
რჩევის მომცემი იმდენია, რამდენიც გინდა,  
შემსრულებელთა მონახვა კი ყოველთვის ჭირდა.  
დასანანია, სხვის თვალში რომ ბეწვს ხედავ მცირეს,  
სამარცხვინოა, შენს თვალში რომ ვერ ამჩნევ დირეს,  
ველური როცა ნაყოფს ეძებს, მოჭრის თითო ხეს,  
ზოგს სიკვდილი აქვს მისჯილი და ზოგსაც სიცოცხლე.  
ახალგაზრდობას სიყვარული დააფრთიანებს,  
მწუხარება კი აახლოებს ადამიანებს,  
სასურველია, ყველამ მისი ხიდი აიგოს,  
მშვიდობისა და მეგობრობის ფასი გაიგოს.  
კაცობრიობას სიკეთისკენ უხმობს უფალი,  
ყველას თანაბრად ასულდგულებს მისი მზისთვალი,  
დედამიწაზე დაგებულა ფოთლების ფარჩა,  
და ბუნებაში რას მოვიმკით ჯერ კიდევ არ ჩანს.  
ბავშვს რომ შვენის და მოხუცს არა, -არის ანცობა,  
ყველაზე რთული პროფესია არის კაცობა.

3.IX.2024წ.

\* \* \*

ახლა ვინ უფლობს ჩაქუჩის და უროს,  
ნამგალს საერთოდ ჩალის ფასი აქვს,  
ყანაში ახლა ბალახი მძლავრობს,  
ტაროს მაგივრად ჩალა ასხია.  
ბიბინებს ვეღი მწვანე ბალახით,  
ათასი ეკალ-ბარდებით სავსე,  
არა ჩანს კაცი თავს ყაბალახით,  
მთვარის შუქს ახლა ღრუბელი ავსებს.  
ერთ დროს ნადური ისმოდა სოფლად,  
ახლა არც ყანა, აღარც მდელოა,  
ნუთუ ეს არის ჩემი მამული,  
ნუთუ ეს მართლა საქართველოა?!

## ხოსტი

ჭალას გაზრდილო ხოხობო,  
გალაღებულხარ ფაზისს,  
ლამაზ რგოლებად თავ-კისერს,  
შენი წარსული აზის.  
გინვევს დღეს შენი კოლხეთი,  
მამრი ხოხობი გიხმობს,  
მიდი, მიესიყვარულე,  
დრო არ გასულა ვინძლო.  
წითელ წიგნში თუ მოხვდები,  
უნდა გეძებოთ, „ლამპით“,  
უპატრონოდ თუ დატოვე,  
შენი პატარა, „ლაპი“.  
თურმე ცხელ წყალში იპოვეს,  
შენი ჩამხრჩვალი ჯიშის,  
ვახტანგ გორგასლის მხედრები,  
გაფითრებულან შიშით.  
შენ სალალობოდ გამოსულს,  
არ აგცდა ცხელი ტყვია,  
იმ ადგილს, სადაც დაეცი,  
ახლა თბილისი ჰქვია.  
შენ სხვაგან რა გესაქმება,  
იცოდე შენი ფასი,  
კოლხური ზეცა გიხდება,  
კვლავ დაუბრუნდი ფაზისს.

25.IX.2023წ.

## კაი ყვა

კაი ყმას სევდით დამეწყრილს,  
სდიოდა ცრემლი უფლისა,  
მკერდს ნაკვალევი ემჩნია,  
ბასრი ხანჯლის და შუბისა.  
360 დღე ჰქონდა დიდგორისა და უჯარმის,  
ველზე ხმალ და ხმალ გაჭრილსა,  
დააქროლებდა ლურჯაი.  
ირწევა ხსოვნის აკვანი,  
ნათდება ბევრი სარკმელი.  
უკვდავი არის მარადჟამს,  
მათი საგმირო საქმენი.  
კაი ყმა ცოტა როდი გვყავს,  
ქუდზე კაცს ვერვინ აჯობებს,  
მკერდშელენილი გადგების,  
მამულის სადარაჯოზე.  
ჩვენ ქრისტეს რწმენა დაგვიცავს,  
ჯვარი ლაშარის მთაზედა,  
„როგორც უფალი სამშობლო,  
ერთია ქვეყანაზედა“.  
თავი ვანებოთ ერთურთის,  
ლანძლვა-გინების რეკლამებს,  
მამულს დავუდგეთ დარაჯად,  
უფლის ზარები რეკავენ.

30.VII. 2011წ.

## ვაჟაფო სოფელს მიხედვი

ქალაქს სოფელი სჭირდება- ხვავიან-პარაქიანი.  
სადაც სამყურა ქათქათებს  
და მდელო ყვავილიანი.  
სად პურის ყანა ბიბინებს,  
სადაც ყვავიან იანი,  
სადაც კლდის თავზე მზეს აფრქვევს,  
პირიმზე ღიმილიანი.  
ბალში ხეხილი რომ მწიფობს,  
ვაშლიან-ქლიავიანი,  
ზვარში გაშლილი ვენახი,  
მზე ჩაღვრილ მტევნებიანი.  
ხეხილთან მუშა ფუტკრები,  
მუდამ ყვავილით მტვრიანით,  
მოჰქონდეს ტკბილი ნექტარი,  
სკა იყოს სულ თაფლიანი.  
ბალახსა სძოვდეს ბოჩოლა,  
პირი რომ ქონდეს რძიანი.  
ცელს რომ იქნევდეს ველზედა  
ვაჟკაცი ძალლონიანი,  
ბლომადა ყავდეს ცხვრის ფარა  
და საქონელი რქიანი,  
მწყემსი სალამურს უკრავდეს,  
ლალი და ტკბილხმოვნიანი.  
წყალში დახტოდეს კალმახი,  
ლამაზი, წინწკლებიანი,  
წყალი სუფთა და ანკარა, ნაპირი ქვალორლიანი.  
კლდიდან ისმოდეს მუდამა შმაგი თერგისა ღრიალი.  
მთანი ტყიანით მორბოდეს არაგვი, არაგვიანი.  
ცა იისფერი, უღრუბლო, განათებული მზიანი.

განთიადისას ყიოდეს მამალი დეზებიანი,  
ირაოს კრავდეს ცაზედა არწივი გაშლილ ფრთიანი.  
წამოიშალნენ ქათმები კრუხიან წიწილიანი,  
რომ დარაჯობდეს ბომბორა ლომივით ფაფარიანი.  
სახეზე გვეფერებოდეს ტყით მონაბერი ნიავი,  
გულს ახარებდეს ტყიდანა მწვანე ფოთლების შრიალი,  
კლდის ქიმზე გადმოგვყურებდეს ამაყი ჯიხვი რქიანი,  
არ დადიოდეს უდედოდ შვლის ნუკრი თვალცრემლიანი.  
თვალწარმტაცია სოფელი, რა სჯობს ლაუვარდის ცქერასა,  
როცა ყვავ-ყორნებს დააფრთხობ, შეაწყვეტინებ ფრენასა.  
ჰაუ, ჰაუს თუ დასძახებ, სოფელი ითხოვს შველასა,  
მადლია, თუ ერთ წიწილას გააგდებინებ ძერასა.  
მინდა ბალლების ხმაურით მხრები გაშალოს ერდომა,  
ვაჟკაცს შვენოდეს მამობა, ქალას დამშვენდეს დედობა,  
დაცარიელდა სოფელი, ქალაქში გარბის ყველაი,  
აქ აღარავინ არ ცხოვრობს, არც ლექსო, არცა ლელაი,  
სიმწრით ღრიალებს თერგი და არაგვი არაგვიანი,  
ვაჟკაცო, სოფელს მიხედე, თორო იქნება გვიანი.

5.V. 2021წ.

## ფოთელები ჩარგალში

შენი ჭირიმე, ჩარგალო,  
ნაქებო ვაჟას ენითა,  
ფაზისს რომ ფეხი დავკარი,  
ჩამოველ ფრენაფრენითა.  
მოვიჩაროდი შენს ნახვას  
დიდი ხნის დანატრებითა,  
ჩამოველ, როდი დამღალა  
მე ამ სიშორემ გზებისა.  
ეს სილამაზე მთებისა,  
ვინ გამოხატოს ქებითა,  
იმდენად ლამაზი არის  
ვეღარ ამოგთქომ ენითა,  
ვაჟას მთის წყაროს ვეწვიე,  
წყალი დავლიე პეშვითა,  
იღიმებოდა პირიმზე,  
ლამაზი ქალის ეშხითა.  
მთიდან მობლავის არაგვი,  
ააგუგუნა ხეობა,  
ლალად ზეიმობს ქართველი  
რაზიკაშვილის დღეობას.  
ვაჟაობაა ჩარგალში,  
ფშაველი მოქრის ცხენითა,  
მოყვარეს ხვდება გულითა,  
მტერს კი ხანჯალის წვერითა.  
როცა შატილის ასული,  
შლიდა ორბისფერ დალალებს,  
კოლხებმა მთების ექოთი,  
დავჭექეთ ჰარი-ჰარალე.  
ჩარგალში ლამაზმანები,

ანთებდნენ ცეცხლის ალებსა.  
ხონჩით მოქონდათ ხინკალი,  
რაზიკაშვილის ქალებსა.  
ხევსურთ ვაჟებიც აჩეროლდნენ,  
ამ სიდიადის ცქერითა,  
და შევსვით უიპიტაური,  
ჯიხვის ლამაზი რქებითა.  
ქუხდა ვაჟაის ლექსები,  
სიმღერებით და ლხენითა,  
მართლაც რომ ბუმბერაზი ხარ,  
დღესაც ვამაყობთ შენითა..  
არ მოგვეშალოს თაობებს,  
ლოცვა ლაშარის ჯვარისა,  
ისმოდეს საქართვლოში  
„მთიდან ბლავილი ხარისა“.

## გადლობელი ვარ

ჩემი მამულის, მშობელი მიწის მადლობელი ვარ,  
მადლობელი ვარ მაღალი ღმერთის,  
ქართველი ხალხის მადლობელი ვარ.  
დიადი მთების-თვალუწვდენელის,  
უშბას და შხარას მადლობელი ვარ,  
შევყურებ უშგულს ამ სიამაყით,  
და მყინვარწვერის მადლობელი ვარ.  
მთებზე შეფენილ მინდვრის ყვავილთან,  
ფუტკარი ნექტარს რომ აქცევს თაფლად,  
ცვილი ტაძრებში რომ იღვენთება,  
კელაპტარები რომ იწვის ახლაც.  
მზე სხივებს ასე უხვად რომ აფრქვევს  
და უსაზღვროა სხივთა დინება,  
ნამგალა მთვარის მადლობელი ვარ,  
ღამეს მნათობად რომ ეფინება,  
ვარსკვლავთა გუნდი როცა კაშკაშებს,  
გადააფარებს ღრუბლები ზენარს,  
მადლობელი ვარ, როცა შევყურებ  
ამ ფიროსმანის დახატულ ზეცას.  
მადლობა ქართულ მიწის სინედლეს  
და წელიწადის სუყველა დროებს,  
ასე მსუყედ და ბარაქიანად  
ბაღსა და ვენახს რომ ასაზრდოებს,  
მადლობელი ვარ ყველა იმ კაცის  
მუხლჩაუხრელი მამულში იღწვის.  
არც უფიქრია სხვა მზე და მთვარე  
კელაპტარივით მამულში იწვის,  
მადლობელი ვარ მე წინაპრების,  
თავგანწირულნი ხმლით რომ გვიცავდნენ

მათი სისხლია ყაყაჩობად  
აყვავებული ქართულ მიწაზე.  
მადლობელი ვარ ჩემი ოჯახის  
სიყვარულს რომ არ გადაჩვევია.  
მადლობელი ვარ ჩემი შვილების,  
თავი არსად რომ შეურცხვენიათ,  
მადლობელი ვარ ქრისტეს მოძღვრების  
ქართულ მიწაზე მიდგას ფესვები  
მეიმედება მომავალშიაც  
„დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები“.  
მე სიყვარული ისეთი მინდა,  
არ მსურს ვხედავდე ვინმეს დარდიანს  
მე სხვა სამოთხეს ალარ დავეძებ,  
ოღონდ სამშობლოს შევხვდე განთიადს.  
ქართული გენი არსად გამქრალა,  
ისევ ანუცხებს მამულზე ფიქრი.  
მადლობელი ვარ მე იმ თაობის,  
მშვიდობისათვის ასე რომ იღწვის,  
დარჩება მარად გაუხუნარი  
რომ შეიცვალოს ახლა დროება,  
ყველა ქართველის გულში ჩამწვდომი  
„მამული, ენა. სარწმუნოება.  
ყველა სიკეთე სიცოცხლით მავსებს,  
ყველა მოსახლის ახლობელი ვარ,  
მადლობელი ვარ, ჩემო ქვეყანავ,  
მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ!

4.IX.2024წ.

## 3სვამდი ანდარა მთის წყალსა

ვაჟას წყაროსთან შამოდგა,  
შემოდგომის მზის ჯანღები,  
გულო, საგულეს დადექი,  
აგრე ნუ ამიჯანყდები.  
შევხედავ ვაჟას ალაგსა,  
მოულოდნელად ვღონდები.  
წყაროს წყალი რომ დავლიე,  
თითქოს მომეხსნა ცოდვები.  
ვსვამდი ანკარა მთის წყალსა,  
ვერ დავითვალე რამდენი,  
ვსვამდი და ვეღარ ვძლებოდი,  
ამა ცოდვების ჩამდენი.  
შამამცქეროდა ქორაფი,  
ფოთლებლამაზი ტოტითა,  
ურთხმელიც თავს დამდგომოდა,  
გადმომყურებდა შფოთვითა.  
სტუმარ-მასპინძლის მადლითა,  
მთის წყაროვ, გულზე მეფინე,  
ლომისის მადლი გფარავდეს,  
ამას რომ მაყურებინე.

## მიხეაკი უყვარდა ტიციანს

მინდვრის ყვავილების სიყვარული  
ჩვენში სიგიჟემდე იციან,  
ვარდსა და იაზე უფრო  
მიხეაკი უყვარდა ტიციანს.  
ყვავილიც წითლდებოდა მორცხვად,  
როცა ხარობდა ერთ დროს.  
ზამთარ და ზაფხულ ყოველთვის,  
მიხეაკი გულჯიბეს ედო.  
დრო მიდის რაშივით მიგელავს.  
და მისდევს მერანს კვიციანს.  
მიხეაკი დამჭენარა ლარნაკში,  
ასე რომ უყვარდა ტიციანს.

## დრო არ ჩერდება

დრო ისე მიქრის,  
ბოლო არ უჩანს,  
ეზოში თეთრად  
ჰყვავის ალუჩა,  
ხან ღრუბელია,  
ხანაც იდარა,  
ეზოში სადლაც  
კვნესის გიტარა.  
დრო არ ჩერდება  
და ისე მიქრის,  
სისულელეა სევდა  
და ფიქრი.

23.V. 2016წ.

## დალოცვილ იყავ მარადა

ხელისგულივით პატარავ  
და ხუთკუნჭულას ზღაპარო,  
იღბალმა სად არ გატარა,  
გამკლავებოდი სამყაროს.  
გედავებოდნენ მიწა-წყალს,  
მიუხვდი მტერს და მოყვარეს,  
გონებით რომ ვერ გაჯობეს  
ოქროს ვერძიც კი მოგპარეს,  
არასდროს თმობდა ქართველი,  
მიწას გულუხვს და ხვავიანს.  
და იმ ნასისხლარ მიწაზე  
ყაყაჩოები ყვავიან.  
გამოგივლია დიდგორი,  
ბაზალეთი და მარაბდა,  
აროდეს დაჩოქებულხარ,  
მუდამ უფალი გფარავდა.  
ჩვენ ქრისტეს რწმენით მოვდივართ,  
დალოცვილ იყავ მარადა.

28.V.2014წ.

### „ՅՈՒԹՈ-ԿՐԱՎԵՏՈ-1913”

(ՅՇԽՃՎՆԻ ՑՈՒՄԵԼ ՑԵՅԵՑՇՐՏԵԼԵՋԸ  
ՌԱՅՈՒՍԼԱՎՈԱՌԻ ԳԱԺՑ ՑԱՅՐԵՑՈՒՑ ԲՆԵՑ).

ՐՈՎԱ ԲԻՎԵՆԳԱՆ ԳԱՔԺՈՆԴԱՏ,  
ՄԱՅՈ ՌԵՋՐՈՍ ՑՈՆԾԵՑՈ,  
ՈՆԳԼՈՍԵԼԵՑԸ ՐՈՄ ՋՈՆԴԱՏ  
ՄԵՔԻ ՌԱՆՏՈ ՄՈՐԳԵՑՈՏ,  
ՍԱՅԿԱՆՆՈՍ ԳԱՐՈՍՐԱՅՍ,  
ԱՆԳԻԿԱՐՈ ՇԱՅԻՆՈՏ,  
ԳԵՄՈՏ ՖՈՐՎԵԼ ԿՈՎՈԼՑԵ  
ԿՐԱԼԵՑՇՐ ՍՈՇԱՐԺԱՌՈՍԼՈՒԹ.  
ՇԵԿՊՐՈՒՐԵԳՆԵՆ ՇՐԿԵԿ ՍՎՈՐԳՏՍ  
ԲԻՎԵՆՈ ՄԱՄԱ - ՎԱՎԱՆՈ.  
ՇԱՅԻՆՈՌՈ ՇԱՐՆԵՐԵՍ  
ՍԱԾՎԵՑԵՑՇՐՏՈ ԱԿՎԱՆՈ.  
ՏԱՐՄԵ ԳԱԵԼԵՑԵՑՇՈՂԱՆ  
ՖՈՐՑԻՑՎԵԼԱ ԾԻՔԵՑՈ,  
ՔՊԱՎՈՏ ԾՇՐՏՈՏ ՄԱԳՈՎՐԱՋ  
ՏԱՄԱՌՈՒՑՆԵՆ ՔԻՆՖԵՑՈՒԹ,  
ՋԱ ԲՇԱՏՔԵՑՈՒԹ ՇՐԵՎՈՎՆԵՆ  
ՍԱՋԼԱ ԻԿՈ ԾՇՐԵՑՈ,  
ՄՈՒՋՎԱՎԵՑՇՈՂ ՏԱԼԵՑՈՒԹ,  
ՎԱՋ ԱՔՄՈՐՎՆԵՍ ԾՇՐՏԵՑՈ.  
ՄԼԵԼՎԱՐԵՑՇՈ ՖՈՆՑՈՏ ՑԼՎԱ,  
ՔԻԱԼԸՆ-ՔԻԱԼԸՆ ԱԵԼՈՒԴԱ,  
ՈՏ, „ՖՈՐՎԵԼՈ ՄԵՐՎԵՍԱԼՈ“  
ՇԱՅԻՆՈՌՈ ԱՅՐՈՆԴԱ.  
ՍԱՅԿԱՆԵՍ ԳԱՍՎՈՎԵՑԱ,  
ՎԱՌՔԱՌՈՏ ԸԵՐԵՆԴԱ,

თავგანწირვით რომ რბოდა,  
 ცხრა თავიან დევებთან,  
 უფალს ხელაპყრობილი  
 შევღალადებ მადლობას,  
 ვინც პირველად მიიღო,  
 საფეხბურთო ნათლობა  
 მოლზე როცა დარბოდნენ  
 გამოსკვნილი ჭინჭებით,  
 შევსვათ შესანდობარი  
 ლეგენდარულ ბიჭების.  
 მოგონებად დარჩება  
 კანტიანი ბურთები,  
 ფოთელმა რომ შეკერა,  
 ის პირველი ბუცებიც.  
 ყველა სიძნელისა რომ,  
 უხდებოდა გატანა.  
 მაგრამ ვის დაასწრებდა  
 კარში გოლის გატანას.  
 ივსებოდა, „დინამო“  
 ფოთელ ფეხბურთელებით  
 ახალგაზრდა თაობას  
 გზას უთმობდნენ ძველები.  
 ასე იყო, ასეა, ეს ცხოვრება გრძელდება  
 გუნდი მიდის და მოდის,  
 და დროც აღარ ჩერდება.  
 ისევ ღელავს პონტოს ზღვა,  
 თოლიებიც მღერიან,  
 საფლავშიც გაიხარებს  
 იასონ კვირკველია  
 და ჩვენ ის დაგვრჩენია,  
 რაღა გვინდა სხვა მეტი

ვადლეგრძელოთ, „კოლხეთი-1913“  
და რა გასახარია, ჩვეულ სიდარბაისლით  
ევროპელებს კოლხურად,  
კვლავ მასპინძლობს ფაზისი.

დიდი გამარჯვებები,  
იყოს თქვენი მიზანი,  
საფრანგეთის ნაკრებში  
სალამს გითვლით ზიდანი,  
ბრაზილის გუნდმა რომ,  
მარცხის წუთი ითვალა,  
გულდაწყვეტილ რონალდომ  
კოცნა შემოგვითვლა,  
გუნდი, „ცრვენა“, „ზვეზდა „-სი,  
გელოდებათ კაცურად,  
და უეფას თასისთვის.

დასცხეთ პაიჭაძურად  
„აბა ულა“ მეგრული  
უგალობენ სალოცავს,  
საფეხბურთო შარაზე,  
ჩვენც კოლხურად დაგლოცავთ.  
ამ დიდ მერიდიანზე,  
დე, გწყალობდეთ კვლავ ღმერთი,  
„ნიკე“ უხვად გწყალობდეთ,  
გამარჯვების ქალღმერთი.

გენაცვალეთ ბიჭებო!  
კოლხიდელო ლომებო,  
ხალიჩად დაგეფინოთ,  
ფეხქვეშ მწვანე მინდორი,  
საქართველოს ეხილოს  
თქვენი გაელვარეა,  
ვაჟკაცურად მოგეგოთ  
ეს უსისხლო დიდგორი.

## უდია გაგრძელდეს სიცოცხლე

მოსვლა არავის უკითხავს,  
ნასვლას ვინ შეგეკითხება,  
ვიდრე ამ ქვეყნად არსებობ,  
ღმერთს უნდა უთხრა, დიდება.  
ნუ გინდა ბევრი სახრავი,  
და ბევრი ავლადიდება.  
მოეშვი უკეთურობას,  
ერთურთის გადაკიდებას.  
კარგს რას მოგიტანს ქვეყნადა,  
დედის და მამის გინება,  
გამოადექი ქვეყანას,  
მომავალს ასე სჭირდება.  
წყალში ნუ ჩაყრი სხვის ამაგს,  
მადლი თუ გადმოდინდება,  
ამ წუთისოფლის სტუმრობას,  
დიდი ხანი არ ჭირდება,  
უნდა გაგრძელდეს სიცოცხლე  
სამყარო ისევ იზრდება,  
მადლობას გწირავ უფალო,  
დიდება შენდა, დიდება!

## ვაზისის პურიპში ეტლით რომ იარეთ

(მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ცხენებზე შეძმული ეტლით ფოთის ქუჩებში, ავადმყოფთა ოჯახებში მიდიოდნენ ექიმები: რუსუდან გველესიანი-ნადარაია, ეკატერინე (კატუშა) ლოლობერიძე და ილარიონ ცომაია, რომლებიც უანგაროდ ჰკურნავდნენ ფოთელ, „პაციენტებს“.

გზაზე ნაწვიმარ ფოთლებს მივუყვები  
ქუჩებში დავეძებ წარსულის იარებს,  
თქვენ მომაგონდებით საოცრად დაღლილნი,  
ფაზისის ქუჩებში ეტლით რომ იარეთ.  
სარკმელთან ფიქრები ჩამომდის ცრემლებად.  
ვიღაცა გიტარას აკვნესებს უწყალოდ,  
ო! როგორ მომინდა მკურნალის ხელებით,  
ავდგე და ფოთელებს თქვენსავით ვუწამლო,  
ო, როგორ მომინდა ნაცნობი ელფერი,  
თვალდათვალ სიბერე სულსაც ხომ დაეტყო,  
დღეს მე იმნაირი მკურნალი შემფერის,  
კრძალვით რომ მიყვება ქუჩაში ფაეტონს.

27. IX.2016.

## რომ დაგადება ამცნოს ეპეზეად ორი მგოსანის

მე კი ბავშვი ვარ, კვლავ თითის სიგრძე,  
კბილებს მომკვეთავს ალუჩა მკვახე,  
ჩალვადარის ცხენს რიონის პირზე  
დავაგლუჯ ძუას, დავაგებ მახეს  
(ტიციან ტაბიძე)

დაძრავს მუგუზალს, ღამის მეხრე,  
ითვლის ნაპერწკლებს,  
სიმწრის ოფლი რომ დასდენია თხმელის ნედლ შეშას,  
დაკიდულია ღომის კარდალა ოჯინჯალეზე  
და გაბოლილი ლერწმის ფაცხას წარსულს უყვება.  
თითქოს რიონის ხვილიფებში იჯდა სატანა  
მოაქვს სიმინდით დატვირთული სველი ურემი,  
კოსმიურ ტალახს ზელდა თურმე თავად მურვან ყრუ  
და ცხენის წყალთან გაწყვეტია ბედაურები.  
დაბორიალობს გრძელბრჭყალება ყანჩა ორპირზე.  
დგას მზე მცხუნვარე, გვერდს იფიცხებს ორპირის ფშანი,  
რიონის ტალღა აუყვება შუამთის სერებს,  
რომ დაბადება ამცნოს ქვეყნად ორი მგოსანის  
მიშენებული კარ-მიდამო მიმოინგრევა,  
აწყვეტილ ბორნებს, მომსკდარ ხაბოს შთანთქავს რიონი,  
ლამაზი ჭალა მაინც ღირდა ათას სიცოცხლედ,  
ნლები ყრმობის ტიციანის და გალაკტიონის.

17.X.1988წ.

## რა დრო იყო და რა დარი

ბავშვობა და სიჭაბუკე, ერთად გავასიჩაუქე,  
ცას ვწვდებოდი, ავდიოდი მთად ღრუბელს,  
თავპირმტვრევით და თამაშით  
და უბელო თეთრი რაშით,  
არ ვიცოდი საზღვარი და ზღუდე.  
რა დრო იყო და რა დარი, ვერაფერს ვერ შევადარე,  
ცახცახებდა ჩემს ხელებში მოწყენა,  
წლებმა როგორ გაიყოლა, ჩემი გზებიც გაიყორა.  
დამავიწყდა ყმანვილური მოლხენა,  
რა ყოფილა ეს სიბერე, ვერაფრით ვერ შევაჩერე,  
სული ფრენით შეეჩინა ბორიალს,  
შიშით, კრძალვით, ხმების თრთოლვით,  
და უღმერთოდ თმებზე თოვით,  
კლავიშებით ვაცუნდრუკებ როიალს.

5.IV.2018წ.

## სიკეთი

ყველა კარგი საქმის წამოწყების თავი და ბოლო არის  
და მუდამ იქნება სიკეთის ქმნა და სიყვარული. რადგან მხ-  
ოლოდ სიკეთეს შეუძლია შეაჩეროს აგრესია და ომიც აღარ  
იქნება, მსოფლიო ხალხებს დღეს მშვიდობა ისე სჭირდებათ,  
როგორც თევზებს წყალი და აღამიანებს და ყველა სულდგ-  
მულს დედამიწაზე ჰაერი. ამ ყველაზე კეთილშობილ სიტვვას  
გაბრუნებ არსებითი სახელის შვიდივე ბრუნვაში.

სიკეთე- ყველა წამოწყების თავი და ბოლო,  
არის, იქნება სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ,  
სიკეთე-მ უნდა სძლიოს მუდამ ეშმას და მაცილს,  
ამ ქვეყნად მხოლოდ სიკეთეზე ფიქრობდეს კაცი,  
სიკეთე-ს ვენდოთ, უნდა ჩავცეთ ბოროტს ლახვარი,  
დე, აიღაგმოს ქვეყნად ყველა ჯურის ახვარი.,  
სიკეთ-ის კვალზე გამუდმებით უნდა იარო,  
რომ შენი ხალხის ჭირ-ვარამი გაიზიარო.  
სიკეთ-ით უნდა აფერადდე სულ სხვა ფერებით,  
რომ არ მოაკლდეს შენს ქვეყანას გამრჯე ხელები,  
სიკეთე-დ უნდა გარდაიქმნას შური და მტრობა,  
რომ არ მოგაკლდეთ ბარაქა და უფლის წყალობა.  
სიკეთე-ვ დღეს თუ მზეა, მწიფე თავთავით,  
ადამიანთა სიყვარულით არის გამთბარი.  
ახლა მრავალი დანგრეული აღსადგენია,  
ენთუზიაზმი არ ჩავუქროთ ხალხის გენიას.  
უნდა შეხორცდეს ათასგვარი მძიმე ჭრილობა,  
დედამიწაზე იყოს მარად ყველგან მშვიდობა.  
„არავითარი, ჩემი და სხვისი  
ფიქრი საკუთარ, ფიქრი სხვა ერის,  
თუ ვართ მიწის და სიცოცხლის ღირსი,

უნდა დავრთგუნოთ სული კაენის.  
ლვთის შეგონებით ათივე მცნება,  
უნდა გვიძლოდეს ჩვენ თვალსაჩინოდ  
აგვსრულებოდეს ლვთიური ნება  
და სიკეთის ქმნამ გადაგვარჩინოს.

14.I.2023წ.

## სახლის სიმღიღე

შენი სიმდიდრე ჭერი და სართული,  
ოთახთა სიმდიდრე როდია,  
ქოხშიც რომ ცხოვრობდე ქართველო ქალო,  
შენთან სიხარულით მოდიან.  
არ განათდება ჭერი და სართული,  
რაც უნდა იყოს დიდი,  
შენი ღიმილია, სტუმარს რომ დაათრობს,  
გულებს რომ აუვსებს ხიბლით.  
შვილების დედა ხარ, - მრავალი შვილის,  
თვალში რომ მოგხვდება უცებ,  
მერვეს ელოდები, სხეულში რომ ფეთქავს,  
მეშვიდეს აკვანს რომ ურწევ.  
წინაპრებს უთქვამს, დედის გულია,  
რომ ხარობს შვილებთან ერთად,  
ლამაზად შვილთა გამზრდელი ქალბატონი,  
დღესაც მიგვაჩნიხართ ღმერთად.  
შეხედავ შენს სახლს, ქოხი გეგონება,  
მაგრამ ჭერს ვარსკვლავებს ახლის,  
სახლში ბინადართა მადლით იზომება,  
სივრცე და სიმაღლე სახლის.

8.V.2024წ.

\* \* \*

სამოთხეს გავს ეზო-კარი,  
ყვავილებით მოვლილია,  
შენს ოჯახში სიძულვილი,  
მუდამ უარყოფილია.

## პაპის შეგონება

ნუ ჩამიმწარებ ალიონს,  
მკვირცხლად გეჭიროს თვალიო,  
სამართალს თუ ვერ იპოვი,  
გიპოვის სამართალიო.  
ნუ გეშინია, ცხოვრებას,  
ჯერ არ გასვლია ყავლიო,  
იმედის თვალით შეხედე,  
ყოველ ცისმარე ალიონს.  
ჩიფჩიფებს პაპა-მოხუცი,  
და ნისლით ბურავს ყალიონს.

21.X.2015წ.

## სიყვარული ყველას უნდა

სიყვარული ყველას უნდა გამიგია,  
გინდ ცხოვრობდე კომფორტით და ხალისით.  
სიყვარული ასაკს სულ არ გეკითხება,  
მოფრინდება თავისით,  
სიყვარულთან ბერი კაცი აცეავდება,  
ქალიც ველარ მოიქცევა ბრძენივით.  
სიყვარულსაც მალვა აუნდა ნაქურდალსა,  
მოპარული ცხენივით.  
ეს ცხოვრება ისედაც, ხომ ხანმოკლეა  
არ არსებობს ჩვენთვის სხვა ნეტარება,  
ქალი თუ ხარ, კაცს თავი არ შეაძალო,  
„შეძლეულ პურს ძალლიც არ ეტანება, “  
რაგინდ მალო, ხანძარს მაინც ვერ ჩააქრობ,  
სიკვდილამდე გულში მაინც იცოცხლებს.  
გაუმარჯოს ამ დიდ გრძნობას, თუნდ ნაქურდალს,  
გაუმარჯოს სიყვარულს და სიცოცხლეს.

28.V. 2008წ.

# სიყვრული ყველს უნდა

## კალთას შეგირხევს ნიავი

ფშაველი ქალი წყაროსთან,  
ვაჟს შეანათებს თვალებსა,  
სიყვარულს გულში ჩაუღვრის  
აუნთებს ცეცხლის ალებსა.  
კალთას შეგირხევს ნიავი  
მოგეფერება დეკაი,  
ოცნებით საით წასულხარ?  
ან ვისზე ფიქრობ ნეტაი,  
სადაც არ უნდა წახვიდე,  
ხარირემს ხედავ რქებიანს,  
ლაშარს ვაჟაი მოსულა,  
მისი თავლები კრთებიან.  
ნუ შამაწყრები გეთაყვა,  
სიყვარული სურს ცხადია,  
აროდეს გაემტყუნების,  
შენთან ყოფნა რომ სწადია.  
ფშაველის ქალი წყაროსთან,  
ვაჟს შეანათებს თვალებსა,  
სიყვარულს გულში ჩაუღვრის  
აუნთებს ცეცხლის ალებსა.

7. IV.2014წ.

## ქალი და გაზაფხული

მე ქალი ვარ, გაზაფხულის ეფემერა,  
პანაწინა მზის სხივებით წავშლი ნაღველს,  
სხვაზე უკეთ იქნებ ერთხელ მეც მემლერა,  
სხვაზე უკეთ მეც ვიტყოდი შენთან სათქმელს.  
არ გაოცდე, სხვაზე მეტად ვიგრძნო ჰანგი,  
მერცხლების და მზენვიების -გათანგული.  
სხვაზე მეტად, სხვაზე მეტად როგორც ბანგი,  
მე დამათრობს ეს კრიალა გაზაფხული.  
სიყვარულში ვერ მაჯობონ მზენვიებმა,  
ეს ტუჩები ერთმანეთს რომ ანისკარტეს,  
ზამბახებში დახვეული ვნების ცეცხლი,  
როგორც მიწის ჯაღიქარი მიგებს მახეს,  
ღიღილო და შროშანებიც მითანაგრძნობს,  
იებივით შენ დაგათრობს ბაგე ჩემი,  
ო, უფალო! ნეტავ რისთვის მომისაჯე  
სიყვარული, ეს უღმერთო განაჩენი.  
მოდი ჩემთან, სანამ სულში ხარობს ტიტა,  
და თვალები მელნის ტბაში არ ჩამხრჩალა,  
მოდი ჩემთან, მოგეფერო კიდევ დიდხანს,  
სანამ ისევ, ვნების ცეცხლი არ ჩამქრალა.  
არ გაოცდე, სხვაზე მეტად ვიგრძნო ჰანგი,  
მერცხლების და მზენვიების გათანგული,  
ქალი ვარ და სხვანაირად მოდის ჩემში,  
ეს კრიალა, ვარდისფერი გაზაფხული.

17.IV.1960წ.

## ღამეში გაფიცეთ თათრაულები

მეზობლის ქალისკენ გაექცა თვალი,  
არ აცლის თეთრეულის დაკიდებას,  
სიმორცხვით ირხევა წამწამთა რკალი და  
ვნება შლეგივით ახირდება.  
მეზობლის გოგოს ღიმილი აჩნია,  
მკერდზე რომ შეხსნია ღილი ულევი,  
ვიღაცას აგიჟებს სითეთრის არშია,  
ეზოში დაკიდულ თეთრეულების.  
ლოყაზე ალმურის ბრონეულებით.  
თვალებში ზღვასავით ღელვაა ლურჯი,  
ვნება აწყვეტილი აპეურებით,  
მიქრის უსაბელო რაშივით ურჩი,  
ღილით კი წავარდობს სითეთრე ქათქათა,  
ვნებას იოკებს ეული გულები,  
მეზობლის ქალებო!  
ამიტომ ხანდახან,  
ღამეში გაფინეთ თეთრეულები.

9.VII.2010.

## ԵՇ ԹՐԵՅԱԼ ԲԵԹՈՒՆ

դամթուզը մարդո,  
նոյն ըմբեռ մոზե՞ն,  
առ մշտի ռադոմ?  
Սագլաց և սովորյ  
մոմելու, մաշտոծես,  
մե հիմն գուցուլտան  
դաշրիեծո մարդո.  
Տատու մեզոյուրեծ,  
դրու գուցուլս այրոծես,  
նոյն մոխալ հիմտան,  
առ մշտի ռադոմ?

\* \* \*

Եղիազ օսեզ ոնցումեծդես եցալ,  
Եղիազ օսեզ նամուզուդես տէյշո,  
մե մովուշուր գաեշուրեծուլ մզերճս,  
մշտուլուլուտ մեզոյիշրեծո դպյուշո.  
Եղիազ օսեզ ոնցումեծդես եցալ,  
գաեշելուտ մեզոյիշրեծո դպյուշո,  
օսեզ մեզուրազ ցարուլուծուս րկալս,  
դա հացուցամ կուլուլուն տմեծշո.  
մե ամծորուտ դացաւերեծո օսե,  
զեր մեմուլուս զերց նումա դա տէյշո,  
օսեզ օսե ցաշելուծուս եցալ,  
շուսեզ օսե մեզոյիշրեծո դպյուշո,  
Եղիազ օսեզ ոնցումեծդես եցալ.

25.IX.1959թ.

## განუვითარებული პარათეპი

ლამეა და ჩემს გულისთქმას,  
მხოლოდ ფიქრებს ვანდობ,  
გახუნებულ შენს ბარათებს,  
ცხარე ცრემლით ვალბობ.  
ამ ნამგალა მთვარის შუქზე,  
მოფრენილა დარდი,  
ამ ბარათებს რატომ მწერდი,  
თუ კი არ გიყვარდი?  
ცისკარს ვხვდები, ვით ნიბლია,  
განაბული მარტო,  
მოგონება მასულდგმულებს,  
ვილიმი და გნატრობ.

## პონდის ხილი

ბონდოია ბონდის ხიდზე,  
გაგივლია ძვირფასო?  
როგორ არა, გაზაფხულზე,  
მოუსწრია წვიმასო.  
იქ რომ ჩუმად ავედევნე,  
თვალხატულა ცირასო,  
წუთს ვითვლიდი, როდის გავალთ  
მდინარის ნაპირასო.  
აცეკვებდა ბონდის ხიდი,  
გაზაფხულის წვიმასო,  
გავიარეთ, გადავურჩით,  
ნაწვიმარზე ხიფათსო.  
მერე გულში ჩავეხუტე,  
ვინც მიყვარდა იმასო.

## ირსეოდნენ ლაქაშები

ძონისფერად ქროდა ქარი,  
როს ფანტავდა ფთილა ღრუბელს,  
ირწეოდა იალქანი,  
იხუტებდა ნავის უბეს,  
ოჩოკოჩი იჯდა ხეზე,  
ირეოდა ცაზე ნისლი,  
უყვებოდა თავის ბედზე,  
ის უიღბლო სახლი ისლის.  
ირსეოდნენ ლაქაშები,  
კელაპტრები დედამიწის,  
ლოცულობდა სიყვარულზე,  
ის ღარიბი გოგო-ბიჭი.

15.IV.2003წ.

## ჩემი ნომერი შენ რომ გიყვარდა

(თემურის წერილი)

მე ვერ გიგზავნი მილიონ ვარდებს,  
ფიროსმანივით არ ვარ მხატვარი,  
ჩემი ბიზნესის კუთვნილებაში,  
არც პეფსია და არც ნატახტარი.  
უჩვეულოა დუმილი ცივი,  
გაუგებარი ეს გულგრილობა,  
გათიშულია კვლავ მობილური,  
მარილს რომ აყრის გულზე ჭრილობას.  
მე ათას სანთელს დაგინთებ გულით,  
ათას წითელ ვარდს თუ ვერ დაგიკრევ,  
მიდი და ისევ დამიმესიჯე,  
და მობილურზე ისევ აკრიფე.  
ჩემი ნომერი შენ რომ გიყვარდა,  
ალო! ალო! რომ მესმოდა გუშინ.  
ორი თვე ტუ! ტუ-ს გაგონებაზე,  
თითქოს მესროლე ნატყვიარ გულში.  
გაზაფხულია, კვირტები ფეთქავს,  
ირგვლივ ჩიტების ისმის უღურტული,  
სიყვარულს არ გთხოვ, ოღონდაც კარგო,  
კვლავ გამაგონე შენი ჩურჩული.  
იქნებ სხვა გიყვარს, არ დამიმალო.  
ალო! ალო! ალო!

18.V.2010წ.

## ორი ქოლგის პვებ

წვიმს, დამახურე ქოლგა,  
მწვავს შენი ხელის თრთოლვა,  
წამს მაჯისცემით ვითვლი,  
მწამს სიყვარული მოვა.  
მოვა მთრთოლვარე გულით,  
მოვა იების კონად,  
მოვა მეწყერად, დელგმად  
და გაზაფხულად მოვა.  
მოვა ფიფქიას ზღაპრად,  
მოვა წვიმებად, თოვად,  
მოვა, სიყვარული მოვა,  
მოვა გაზაფხული, მოვა.

18.II.1961წ.

\* \* \*

მოგსდევს ოცნება, როგორც ფარვანა,  
დილის სხივზე რომ წამოფრინდება,  
სხვა არ ინება გულმა მტარვალმა,  
გულმა მტარვალმა სხვა არ ინება,  
ყველგან დაგეძებ ტყეში, ღელეში,  
წყაროსთან, ტბასთან, როგორც ირემი,  
ისე მომწყურდა შენი დანახვა,  
ამ წყურვილისგან გადავირევი.  
მოგსდევს ფიქრი და ოცნება ჩემი,  
შენ, ფეხმარდ ირემს რას დაგეწევი?!  
შენ გაექცეი ჩემს სიყმანვილეს,  
მაგრამ სიყვარულს სად გაექცევი?!

18.VIII.2003წ.

## ლერა

(თემურის პოზიცია)

მე რომ მიყვარს, ის ქალი ხარ ლერა,  
აკოკრილი, გაუშლელი ჯერაც,  
შენი თმები მზის სხივია ქერა,  
შეშურდება, იგი ქალღმერთ ჰერას.  
მიყვარს შენი თვალციალა მზერა,  
ძუძუ-მკერდი ორი ხარის რქენა,  
ორი წვივის ბილიკებზე რბენა,  
წვრილი წელი, მოქნეული წკნელად,  
ტუჩ-კბილები მარგალიტის ფენა,  
წამწამები აპრეხილი ცერად,  
შენს თვალებზე წამოსული ცრემლი,  
მაგ ღაწვებზე დაჯენილი ჩქერად.  
შენი მზერა-ჩემთვის აღმაფრენა,  
რომ მაგიუებს ის ქალი ხარ ლერა.

29.VIII.2009წ.

## რა ხართ ეს კაცები (იუმორით ზოგ-ზოგებს)

ოხ!  
ოხ!  
ოხ!  
რა ხართ ეს კაცები?  
ნებიერა და ურჩი,  
ზოგს ქალის ტუჩი გიზიდავთ  
და ზოგსაც დოქის ტუჩი.  
ცოლი შინ გელოდებათ და  
მიდიხართ სხვისი ქუჩით.  
ხარხარებს ბახუსი თიხიდან,  
ხრიკიდან,  
ჭიქიდან,  
ჯიხვიდან,  
ბოთლიდან, ტიკიდან,  
ჭინჭილის ტუჩიდან,  
სამდურავს მახლიან ყურში,  
გზები რომ გაყრილა და ლალატს შეყრილა,  
გულში ქვა გიდევთ რიყის,  
შინისკენ მიიზლაზნებით,  
სხვაგან მიდიხართ რიხით.  
ცოლები პატიმრები გყავთ,  
სამზარეულოს ციხის,  
საკუთარს მიხედეთ,  
გიყვარდეთ ცოლები,  
მორჩილნი, თუნდაც ურჩნი,  
მათ თქვენი ტუჩების  
იზიდავთ სურნელი  
და არა დოქის ტუჩის.

ნაბიჯით წინ, შინისკენ იარეთ,  
მხოლოდ მშობლიური ქუჩით!

ოხ!

ოხ!

ოხ!

რა ხართ ეს კაცები,  
სიყვარულს გვტაცებენ,  
ღალატი გიდევთ გულში.  
ბახუსს რომ ნებდება,  
ეს ვნება- თავნება,  
სველ ტუჩებს აცხრება მრუში.

25.IX.1970წ.

### გნახავ ვიღაცის გვარდით

მე ამ დარბაზში მოვალ,  
გნახავ ვიღაცის გვერდით,  
გნახავ და ალბათ ისევ,  
წამომდინდება ცრემლი.  
რა უფლება მაქვს ტრფობის,  
გულს ვეუბნები არას,  
უშენოდ კენტად ვივლი,  
და წლებიც ასე გავა.

12.X.1980წ.

\* \* \*

մուսպեծա մտուցլ գոցոս,  
շաբան մօսքեց մնպեմսո ქալաս,  
մաշունոնց ցուլու ուժեվազ,  
երտուլ ქալազ, մեթո արա.  
Շենո ծացե ենձուսցըրո,  
դա տալլեծո Շենո միարավս,  
մե եռմ ցուլու Շեցուցարյ,  
Շեն լամարու չարո ցուարավս.  
մնպեմսո Շեցա նայագուլտան,  
ցուցո նպալո ցագալցարա,  
դաւունա մտուցլ գոցոս,  
նածոյս ուսց այիշարա.  
մաս կոմծալո սուց մեարնի,  
մուսպեծա մտածո ուարաս,  
աելա մօսո դարձու, սեւձաւ,  
սովորուլմա ցագալցարա.  
Շենո ցուլո սեվաս ըշուտցնուս,  
սեվաս ըդրոյո դա մե կո արա,  
մաշունոնց ցուլու ուժեվազ,  
երտուլ ქալազ, մեթո արա.

17.X.2011թ.

## მთიელი პიშის სიმღერა

ჰერიო, გოგოვ ჰერიო,  
ჩემთვის ფანდურზე ვმღერიო,  
ფიქრშიაც ვეღარ ვიპოვე,  
ლექსები შესაფერიო.  
ყურძენი დამწიფეულა,  
გამხდარა ქარვის ფერიო,  
ჩამოდი ჩემთან სოფელში,  
ერთად ავიღოთ რთველიო.  
ჩავყაროთ საწნახელშია,  
ყურძენს ვადინოთ წვენიო,  
თუხთუხებს ვაზის ნაჟური,  
გამხდარა ქარვისფერიო.  
ჩამოყევ მაღალ ჭიუხებს,  
პირიმზე ყვავის მთაშია,  
ჩამოდი დაგელოდები,  
ჩემთან წაგიყვან სახლშია.  
ჩაგკეტავ, არსად გაგიშვებ,  
მკერდს გადაგიშლი ლალადა.  
ისეთ სიყვარულს გაჩუქებ,  
ალარ წახვიდე სხვაგანა.  
ჰერიო, გოგოვ ჰერიო,  
შენგან სიყვარულს ველიო,  
ლამაზ ყვავილებს დაგიკრეფ,  
შემოვირბინოთ ველიო.  
გახსენი გულის კარები,  
შიგ დავიბუდო მარადა,  
ვიქნები შენი მეუღლე,  
შვილებს გაგიჩენ მრავლადა,  
ერთად ვაშენოთ სოფელი,  
მამულის გასახარადა.

15.VIII.2024

## გაქრა, ნავიღა ის გაზაფხული

ერთ დროს მეც ვიყავ პირმშვენიერი,  
მეც მიხდებოდა ყურზე საყურე,  
ლამაზ თვალებში კრთოდა, ცისკარი  
კომპლიმენტებიც დავიმსახურე.  
გაფრინდა წლები ზღაპრულ რაშებად,  
ახლა სულშიაც ჩადგა ზამთარი,  
ახალგაზრდული ის შემართება,  
ჩემს თმაში ვერცხლად არის ჩამდნარი.  
გაქრა, ნავიდა, ის გაზაფხული,  
ბალში ალუბლებს სევდით გავყურებ,  
ერთ დროს მეც ვიყავ პირმშვენიერი.  
მეც მიხდებოდა ყურზე საყურე.  
ჩემს სულში ისე ჩადგა ზამთარი,  
დარდი არა მაქვს მე თავის მოვლის,  
ახლა დამძიმდა ჩემი საყურე,  
დასველებული დეკემბრის თოვლით,  
სად გაქრა ის ხმა, ან ის იერი —  
„მაგრამ ეს გული არ მიბერდება,  
მიკვირს რა უცებ შემომეპარა,  
სად გაქრა ის ხმა, ან ის იერი,  
მაგრამ ეს გული არ მიბერდება,  
როცა თქვენ გხედავთ,  
ვარ ბედნიერი.

18.VIII.2017წ.

## გაზაფხული შემოსულა

ეუბნება ბიჭი გოგოს,  
დანისლული ფიქრებით,  
შენი სიყვარულის გამო,  
ველად გადავიჭრები.  
დე, ზამთარში დამაცვივდეს,  
თეთრი თოვლის მარცვლები,  
მომხიბვლელო, ისეთი ხარ,  
იცი, რომ მე ვერ აგწვდები.  
მივუყვები გაშლილ ტყე-ველს,  
მდინარე და ბაღებით.  
გაზაფხული შემოსილა  
ლამაზ ბაირალებით.  
გულში ისევ ზამთარია,  
მცვივა თოვლის მარცვლები,  
არ შეცვლილხარ, ისეთი ხარ,  
რომ მხრებამდის არ გწვდები.  
გული მარტო შენთვის ფეთქავს,  
ეს მტანჯავს და მაოცებს.  
დაიხარე, გულისფეთქვავ,  
მარტო ერთხელ გაკოცებ.

14.IV.212 ნ.

## პაროლიები

(უცხო მოყმე)

(იუმორესკა)

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა ქეიფად წყლისა პირსა,  
მერსედესი მას საჭითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,  
ტანს ემოსმა ტყავის, „კურტკა“, ალბათ სამას დოლარ ღირსა,  
ალმაცერად გადმოგვხედა და სალამიც არ გვაღირსა.  
მასზე იკითხეს ვინ არის, უცხო პირად და ტანადო.  
მოსული, ბრგე და ვაჟკაცი, ფხიზელი ვეფხის დარადო.  
მარტო როდია, ამფსონთა ლაშქარი ახლავს თანადო,  
ერთ ბათმან ღვინოს ჩაისხამს დიდფაშვა ხარის დარადო.  
თურქეთს ჰერის მისი გონება, ტონა სპილენძი წონა მან.  
ტომრებით თხილი ათრია, დიდი რამ ნახა შრომა მან,  
ალუმინ-რკინის მილები ზიდა დოლარის მონამან,  
არა უჩნს ქვეყნის დოვლათი, არცა რა გაიგონა მან.  
დოლარების მფლობელ მოყმეს მუდამ თურქეთს ედო ბინა,  
დრო და ხანი სწრაფად გადის, მალე ორმოცს მიებჯინა.  
საქართველოს გარეთ ზიდა, ოქრო, სპილენძი და რკინა,  
სადაც იჯდა იმ ტოტს ჭრიდა, დოლარმა გამოატვინა.  
ბიზნესობა არის საქმე, ნიჭი უნდა სულ სხვაგვარი,  
ბიზნესობა სხვა რამეა, არ ქურდობის დასადარი.  
იგი სხვაა, პარვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,  
ნურვინ გაპრევო ერთმანეთსა, გესმათ ბრძენის ნაუბარი.  
იქცა ბერბიჭად იგი ყმა, არ ჰგვანდა მის ყმის სახელსა,  
იგი დაღრეჯით, მდუმარე, ჰგავდა სალ კლდესა და ხესა.  
ასეა, როცა სიხარბით სატანა გიგებს მახესა.  
ასეთი, „ვეფხვის მოყმენი“ ბიზნესსაც უტეხს სახელსა.  
ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა ქეიფად წყლისა პირსა,  
მაგრამ, „ტყავის კურტკიანი“ უკვე ჰგავდა კახურ ვირსა,  
რაღად უნდა დოლარები, ღმერთმა ცოლ-შვილ არ აღირსა,

უფალო შენ გადმოხედე, ყველა მოყმის გასაჭირსა.  
ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა მოყმისა,  
ღვთის მორნმუნე და მოწყალე, მტრისგან განმრჩევი მოყვრისა,  
სოფლად დოვლათის შემქმნელი, დამდენი შრომის ოფლისა,  
გულს სიყვარული ჩაუდე გელათისა და თმოგვისა.  
ვეფხვის მოყმენო! ნუგეში სანამ ჯერ კიდევ მრთელია,  
მხრებით გვიზიდავს წარსულშიც ყოველი ჭირი ძნელია.  
ისევ რუსთველი გვიშველის, დაადგეს მას ნათელია,  
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

15.IX.1998წ.

**ნიგენი თანამედროვე ხესტან-დარეჯანისა  
საყვარელთან მინერილი  
(იუმორესკა)**

აწ საყვარელსა მიუწერს შეღებილ თვალთა მზირალი,  
თბილისში უნდა გათხოვდეს, არ უნდა ნასაკირალი,  
სოფელს არავინ ჩერდების, რა არის გასაკვირალი,  
წიგნი მისწერა საყვარელს, გულისა გასაგმირალი.  
ბნედიანივით რომ რბისარ, რა მიჯნურობა გგონია,  
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია,  
შენ ხელის თხოვა ჩემისა ხუმრობა ხომ არ გგონია,  
მამიკომ ყველგანა ჩარაზა სახლის სადარაჯონია.  
მართლად გითხობ, მომისმინე, ესე რაცა მოგახსენე,  
ნა, მიუხვდი მამაჩემსა, თავი კარგად გამაჩვენე,  
უწიგნური მამაშენი, პროფესორად მოაჩვენე,  
მზემან მეტი რაღა გიყოს, აპა, ბნელი გაგითენე.  
შავი მერსედესი თუ გყავს, დამიდაგავს მწველსა გულსა,  
ცხრა კარატი ბრილიანტი გადაფარავს ყველა წყლულსა,  
კანადის „დუბლიონკათი“ გავუხეთქო გული მულსა,  
დედამთილი არ მანახო, მისთვის ეგდოს, ავნებს სულსა.  
ბინები ვაკეში მინდა, აგარაკი წყნეთში მქონდეს,  
, წეროვანიც“ ჩემი იყოს, მოახლენიც მომიმონდეს,  
ხშირი გართობა, რომ გული ჭირსა-შიგან არ დაღონდეს,  
ქმარი მარიფათიანი, გაპქონდეს და გამოპქონდეს.  
შვილს ერთის მეტს არ გავაჩენ, შევიქმნები არა ხელად,  
არა ვმალავ, ყველგან ვამბობ, საჯაროდ და გასამხელად,  
ძე არ მინდა, ასული მსურს, შენი ჯიშის გასათელად,  
ერთიც საკმარისი არის, საშრომად და სატანჯველად.  
მრავალ შვილს დღეს ვინდა აჩენს, თუ არ შლეგი და ავსული,  
სოფლის, „არიფნი“ სუყველგან თითო შვილზეა დასული,  
სოფელი დაცარიელდა,

ქალაქში მოაქვთ აქ სული,  
იმათაც ჩემებრ იზიდავს, ღრეობა წრეგადასული.  
ამ წერილით მოგახსენებ, ყველაკასა ჩემგან თქმულსა,  
ვიმედოვნებ ალბათ ქორწილს გადამიხდი კომფორტულსა,  
ყურად იღე, რაც გითხარი, ნუ გამიჩენ გულზე წყლულსა,  
თორემ სხვაზე გავთხოვდები და დაგტოვებ გულნაკლულსა.

15.IX.1998.

## სიზმარი

(ვაჟასებურად)

ახალ წელს ვნახე სიზმარი,  
ირმის სუკებსა ვწვავდია,  
ნიფლის ძირს ცეცხლი შევანთე,  
ავაშიშხინე მწვადია.  
მომრავლებულა შვლის ჯოგი,  
რა თავში ვიხლი ჭედილას,  
ქარაფები და ფერდობი,  
ჯიხვებით გადაჭედილა,  
კაკბებიც იყო, გნოლებიც,  
დურაჯებიც და შურთხებიც  
და ტყეში მრავლად ხარობდა,  
ნაძვი, თელა და ურთხელი.  
ტყეს არავინ არ ჩეხავდა,  
ლურჯად ყვაოდნენ იანი,  
არ დადიოდა ფრთხილადა,  
შვლის ნუკრი თვალცრემლიანი.  
სიზმარს ჰყვებოდა პირომზე,  
ნანახსა, გასულ წლისასა,  
და ამ დროს გამამეღვიძა,  
ჰაი, დედასა მტრისასა.

18.IX.2000წ.

## აკაპისეპურად

ჩონგურს სიმები გავუბი,  
მოვმართე ნელა-ნელაო,  
ღმერთსა ვთხოვ საქართველოში,  
ნუღარ გვექნება წყენაო.  
შური და ღვარძლი კრულ იყოს,  
რადგან ძმები ვართ ყველაო,  
დაგვბედებოდეს ქართველებს,  
სიყვარული და ლხენაო.  
არა გვყოლოდეს ოჯახში,  
ბერბიჭა, შინაბერაო,  
თითოს ცხრა შვილი გყოლოდეთ,  
შეგეძლოთ მისი რჩენაო,  
მცოდნე და განათლებული,  
დე, იყოს ჩვენში ყველაო,  
ხელფასიც დიდი გქონდეთ,  
ოდელა, დელა, დელაო.

15.X.2008წ.

## სალეზო მოტივზე

### ვაჟაპაშვილი ჩამინა

ვაჟაპაშვილი ჩამინა  
სიკეთით რომ მიყურებდე,  
მწყურვალს, რომ წყურვილს მოუკლავ  
და მშიერს დაპურებდე.  
ლუკმას გაუყოფ ლარიბსა,  
ჭირ-ვარამს უმსუბუქებდე.  
პატიოსანი შრომითა,  
შენს ოჯახს უერთგულებდე.  
ქვრივ-ობლებს თუკი მიხედავ,  
სნეულს თუ დაუამებდე,  
მუდამ შენს ხალხზე ფიქრობდე,  
დილიდან გვიან ღამემდე.  
გიყვარდეს შენი მამული,  
შენი მზე, შენი ზეცაო,  
მაშინ ხარ კარგი ვაჟაპაში,  
და ეყვარები ღმერთსაო.

## დაცარიელდა სოფელი

საით წასულხარ ვაჟაუ,  
ლუკმისა საშოვნელადა.  
ეგ ნაფერები ლურჯაი,  
რად გაგიშვია ველადა.  
არხოტის მთაზე ასულა,  
ნისლი ფიქრებით მტირალი,  
ღაწვებ ცრემლ ჩამამდინარე,  
ტირის კლდეები ტიალი.  
ჭიუხებს ტირის პირიმზე,  
ფრთებს ველარა შლის ძერაი,  
შენ გელოდება, მარტვილობს,  
გაციებული კერაი.  
დაცარიელდა სოფელი,  
ქალაქში გარბის ყველაი.  
მარილს ვინ აჭმევს ფურ-ირემს,  
ცრემლით განბანე ყველაი,  
ნაღვლიან დღეებს მასპინძლობს,  
შენი მთანი და ლელაი,  
ვინ უპატრონოს სოფელსა,  
თუკი დატოვებს ყველაი?!

## ადამო ღმერთს ემსახურე

ცხოვრება ბრძოლის ველია,  
ბევრს რომ გაგიჩენს იარას.  
ღმერთს ტანჯვად გავუჩენივართ,  
სიამტკბილობად კი არა.  
ზოგი ნაღმს ეთამაშება,  
და აუღარუნებს იარალს,  
დრო წამის გაელვებაა  
საუკუნენი კი არა.  
ზოგმა მზაკვრული ტყუილით,  
ქვეყანა შემოიარა,  
ოქრო მიწაში ჩაფარცხა.  
და მრუდე გზებით იარა.  
ყიდის ყველა გოჯს მიწისას,  
ტყეებიანად, მთიანად,  
ვის შერჩენია საწუთოო,  
შენ რომ შეგერგოს მთლიანად.  
ადამო, ღმერთს ემსახურე,  
ისკარიოტელს კი არა.

## გურა

ბუერავ, წყალი შემასვი  
შენი ლამაზი ფოთლიდან,  
არაგვზე ვეღარ მივიწევ,  
გადმოვარდნილა შფოთვითა,  
გადმაიარე შუაფხოს,  
შენი ლამაზი ფერებით,  
მზის გულზე წამაწვებიან,  
მთანი და ლურჯი სერები,  
ჭალაზე გადაირბენენ  
ყალყზე შამდგარი ცხენები,  
რაი ვქნა, ვეღარ ვისვენებ,  
მოვალ და მოგეფერები.  
არაგვზე ვეღარ მივიწევ,  
გადმოვარდნილა შფოთვითა,  
ისე მწყურია მე ახლა  
არაგვიც არა მყოფნისა.  
ბუერავ, წყალი შემასვი  
შენი ლამაზი ფოთლითა!

\* \* \*

Ցողը Ցղացած Սպառտ, Ցողսաբ Եմելյետո,  
Ցողը Նազտոնի դա մալարու,  
Ցանուազեծել ռմեծի,  
Արեյլուա Տամպարու.  
Կցելամ մուս մամյուլս մոխեգուս,  
Սոյալմա ասյ օնենա,  
Տոռեմ Տայլազի Կոջանուա  
Բկագարսաբ առ ճայեմօնենա.

\* \* \*

Եցեցանաս Տոքրժնյ Քորճեծա,  
Ռոմ Տեղորագ Եարոմարտուսա,  
Կաტաս Յոն Աֆմեցս Տիգագուլուս,  
Ան Կուրճլալս Եատմուս Տարհուսա,  
Ոսյ Եյ Եարցոմարտեծու,  
Ժալլու Վեր Կնոծուց Ապարոնսա,  
Սոյալմա Եյ Ենաս Ժմեծս Մորուս,  
Ջուցարու Գամարտուսա.

## ქალამ სთქვა

ქალამ სთქვა მომწონს ვაჟკაცი,  
მუდამ სიკეთის მქმნელია,  
სულ ბილიკ-ბილიკ რომ დადის,  
მისი სავალი ძნელია,  
არ ერიდება ავდარსა,  
ქარბორბალას და ნიავსა,  
სამშობლოს დასაცავადა  
მკერდს რომ შეუშვერს ტყვიასა.  
წავა და ფიცხელ ომშია  
თვალს დაუბნელებს მტერსაო,  
სოფელს თუ დაუბრუნდება,  
მაგრად მოიქნევს ცელსაო.  
ცოლ-შვილსაც აღარ მოაკლებს  
სარჩოს და საბადელსაო.

## არწივი არ ჭამს მძორსაო

არწივი არ ჭამს მძორსაო,  
მძორის მჭამელი სვავია,  
სვავი გვამებით გაძლების,  
მზეა თუ დილის ნამია.  
არწივი ლეშსა არა ჭამს,  
იგი მძორებზე მწყრალია.  
არ ეკარება ბალახსაც,  
როცა სდის სუნი მყრალია.  
არწივი ცოცხლად ფრინველსა  
ჩაასობს ბასრსა ბრჭყალსაო,  
ცოცხლად ჭამს მისსა სისხლ-ხორცა  
არ ეკარება მკვდარსაო.  
ეს შეუტყვია კარგადა,  
ადამსა არა ერთსაო,  
კვებითი ჯაჭვი ცოცხალთა  
გაუჩენია ღმერთსაო.  
საცხოვრის-საბრძანებელი,  
ყველას აქვს თავის ბინაო,  
ხელს ვეღარავინ შეუშლის,  
რაც ღმერთმა გააჩინაო.

## ორი კურდლლისა მდევარი

ორი კურდლლისა მდევარი,  
ვერც ერთს ვერ დაიჭერსაო,  
ხალხში ასეთი ანდაზა უთქვია მჭევრმეტყველსაო,  
მაგრამ კურდლლისა მდევარი,  
ვაჟაპი დაუდეგარი,  
მზის სხივზე წამოფრინდება  
და თუ ჰყავს კარგი მწევარი,  
ორსა და სამსაც დაიჭერს  
მოხერხებული მდევარი.

\* \* \*

გოგო მიდის იმისთანა,  
თვალი ზედ დაგრჩებაო.  
წაბლისფერი ნაწნავები,  
კოჭებამდე წვდებაო.  
თვალ-წამწამი მოშვილდული  
რკალად იდრიკებაო.  
ბრონეულის ყვავილები  
ზედ ღაწვებზე სკდებაო.  
ბაგე- ტუჩი ენდროსფერი,  
ტყის მარწყვივით დნებაო.  
თვალებს ისე აფახულებს,  
ბნელი გათენდებაო,  
მონარნარე წკნელის ტანი,  
სუროდ იგრიხებაო,  
მარმარილოს წვივები აქვს,  
სვეტი გეგონებაო.  
ნეტა იმის ვაჟკაცობას  
ვისაც დანებდებაო,  
იმის პატრონს რაღა მოკლავს,  
ას წელს გადაცდებაო.

## ფიქრები თავს ეხვეოდეს

კაცი, რომ იყოს კაცური,  
სხვებისგან განირჩეოდეს,  
ქვეყნისთვის უნდა ზრუნავდეს,  
სულ სიკეთის ქმნა სჩვეოდეს,  
მამულზე ზრუნვით მუდამა,  
ფიქრები თავს ეხვეოდეს.  
სხვაგან არ უნდა გარბოდეს,  
მამულში უნდა რჩებოდეს.  
ერის გვერდითა დგებოდეს,  
მუდამ ლხინსა და ურვაში,  
მარტო წვერ-ულვაშ რად უნდა  
კატასაც აქვს ულვაში.

## მგელი და პრავი (ზოგ-ზოგებს)

ერთხელ ერთ ნაცნობ ბეჭედას,  
სკოლაში ყოფნა მოწყურდა,  
სერთიფიკატი აიღო,  
პედაგოგობა რომ სურდა.  
თურმე ნუ იტყვით სკოლაში,  
მომტანი ცუდი ამბისა,  
დაძუნძულებდა პირლია,  
მგელი მსურველი ავისა.  
სხვის დუდუკზე რომ ცეკვავდა,  
დირექტორობა უყვარდა,  
გამოიგონა შარები,  
და საცოდავ კრავს მივარდა.  
შემოუძახა, შე ბრიყვო!  
რომ ბედავ აქ მოსვლასაო,  
ალარც რესურსცენტრს ნებდები,  
და ალარც სამართალსაო.  
რა უფლება გაქვს აქ იყვე,  
არ მომწონს შენი სიფათი,  
თავში იხალე დიპლომი,  
და შენი სერთიფიკატი.  
რა ბრძანებაა, ბატონო,  
რას შეგედრები ლომსაო?  
თავაზიანი რომა ვარ,  
მიტომ მიცხადებ ომსაო?!  
მაშ მე ვსტყუიო, გაჩუმდი,  
ნუ წაგიგდია ენაო,  
ათი წელია, რაც მახსოვს,  
შენგან ბრიყვული წყენაო.

ორი წელია რაც მოველ,  
 ათ წლის წინ როგორ მნახეო,  
 მაშ და ყოფილა ის შენი  
 მიტომ მიგიგავს სახეო.  
 არც და მყავს ჩემო ხელმწიფევ,  
 ტყუილად რად მდებ ბრალსაო.  
 აქ დედაშენიც მუშაობს,  
 მასაც დავმართებ ავსაო.  
 მომბეზრდა შენი ყურება,  
 ხმა ჩაიკმინდე ჩქარაო.  
 შენი გაგდება რომ მინდა,  
 მიზეზად ესეც კმარაო.  
 წაგართმევ ყველა საათებს,  
 შენ და შენს კეთილმყოფელსო,  
 აგიხმაურებ ყველა ბავშვს,  
 დაგასევ ყველა მშობელსო,  
 მოგეპარები, გაგკილავ,  
 შიშით რომ გული გაგიპო,  
 ისე ჩაგინერ ვიდეოს,  
 ბაიბურშიაც არ იყო.  
 მე დირექტორი არ ვიყო,  
 მწარედ განანებ ყოფნასა,  
 ჯერ მონოტორინგს მოგიწყობ,  
 მერე გიტირებ ყოფასა,  
 ჩაგაგდებ ისეთ დღეშია,  
 რომ ველარ იტყვის ენაო,  
 ისეთ საბოტაჟს მოგიწყობ,  
 შიშით რომ ძრნოდეს ყველაო.  
 ადგა, სკოლიდან გააგდო,  
 მშრალზე დატოვა საწყალი,  
 დიდყაცთან პატარა კაცსა,

როდის გასვლია მართალი.  
როცა სამჯავროს წარსდგებით  
და დაგისვამენ კითხვასა,  
ავის მქმნელსა და ბოროტებს  
უფალი განიკითხავსა.  
კაცი სამართალს ეწევა,  
ადრე არის თუ გვიანო,  
წყალნი წავლენ და წამოვლენ,  
ქვიშანი დარჩებიანო.

## დედის ცრემლებზე ხარობენ

ერთი ვაჟკაცის ცქერითა  
მეც შევხაროდი მზესაო,  
არა მყავს, ზეცად გაფრინდა,  
გაზაფხულს მარტის თვესაო.  
სინათლე ჩემთვის უცხოა,  
გადავეყარე ბნელსაო.  
თვალებს ჩანჩქერი ჩამამდის,  
ცრემლებსა რომ ღვრის ბევრსაო.  
არ ძალმიძს ბედს შევურიგდი,  
ამა უკუღმართ ბედსაო.  
საფლავს იები ყვავიან,  
გაზაფხულისა თვესაო,  
თითქოს და სხვების დედებსაც,  
აქ უტირნიათ ბევრსაო.  
დედის ცრემლებზე ხარობენ,  
ყოჩივარდა და იანი,  
დედებს კი რა გაახარებს,  
დადიან თვალცრემლიანი.

## სამძიმარი გვიანი

(ტარიელ ხარხელაურს)

ერთ ბედქვეშა ვართ ტარიელ,  
ვაჟაის სულის ლხენამა,  
ღმერთმა კალამი გიკურთხოს,  
მადლი გიკურთხოს ზენამა.  
თვალებს ცრემლები გინამავს,  
მე თვალს ძლივს ვახელ ცრემლითა,  
გულს ბინდი შემომხვევია,  
ველარა ვხარობ ლხენითა.  
მთაში ვაჟკაცის დამკარგავს,  
ვიცი, რომ გიჭირს ყოფნაო,  
ჩემთვისაც ძალზე ძნელია,  
ბარად ასეთი ყოფაო.  
ცრემლებს ჩქერად ღვრის არაგვი,  
თავს გიხრის მთანი ტყიანი,  
მიიღე ჩემგან ბარადა,  
დღეს სამძიმარი გვიანი.  
ერთი ვაჟკაცის დამკარგავს,  
დავდივარ, დავიარები,  
ძნელია გქონდეს ამ ქვეყნად,  
გული სულ ნაიარევი.  
მაგრამ, სიცოცხლე გრძელდება  
პოეზიაში რომ ცოცხლობს.  
იყავი მუდამ დღეგრძელი,  
და იმედებით გეცოცხლოს.

## არასოდეს ხუდებაო

ფიქრი დაქრის ვით ფარვანა,  
თვალს ვაცეცებ გაოცებით,  
ვხედავ სახეს შეპარვია,  
ლიანდაგად ნაოჭები.  
თუმც ამბობენ ბუნებაში,  
ყველაფერი ხუნდებაო,  
გაფრენილა სიჭაბუკე,  
ალარ დაგვიბრუნდებაო,  
ასაკი რომ თვალებს ბინდავს,  
ხელ-ფეხს ადებს ხუნდებადო,  
მაგრამ რწფელი სიყვარული  
არასოდეს ხუნდებაო.

## სათურას

(ჩემს ერთადერთ იმედს)

მეიმედები მუდამჟამს,  
არ ქრება ლექსის აპები,  
რწმენა არ დამარცხებულა,  
ამ იმედებით დავბერდი,  
ძალას მძენს შენი დანახვა,  
თვალის ერთხელაც შევლება,  
ახლა ჩემს ფიქრებს დარდიანს  
შენ ყავხარ გადამრჩენელად.  
რაიც შეგეძლო შეძელი,  
მინდა რომ გულით დაგლოცო,  
ოღონდ შენ მყავდე დღეგრძელად,  
შენ ჩემო სულო და ხორცო.  
გალალებს ჭრელი მინდორი,  
კრეფ იებსა და სუმბულებს,  
ძმებს შორის გაკრთობს დიდგორი,  
უფლის რწმენა გასულდგმულებს.  
ერის და ქვეყნის ერთგულო,  
შენში ღვთის რწმენა ძლიერობს,  
გახარებული მენახე, უფალმა გაგაძლიეროს.

16.III.2024წ.

### ო, უმამობა ძნელია ვიცი

(ჩემს შვილიშვილს შალვა (ბოხო) ზაქარაიას)

ეს იყო სრული ჭემარიტება,  
ახლა ვიხსენებ ამბავს მოყოლილს,  
უმამოდ დარჩა შენი ბაბუა  
და იზრდებოდა სოფლად ობოლი.  
მამაშენიც ხომ დარჩა უმამოდ  
და დარჩა ისიც როგორც ეული,  
ოჯახი იყო ღვთის ანაბარა,  
დრო იყო შმაგი, გადარეული.  
ო, უმამობა ძნელია ვიცი,  
ძნელია დროის დაუნდობლობა,  
ვიცი ახლა, რომ შენ გულში გიჭირს,  
მემკვიდრეობით გერგო ობლობა.  
კიოდა მარტი, უღვთოდ, უმზეოდ,  
ის ტრაგედია თვალს მიდგას ახლაც  
და ჩემი სახლის დანგრეულ კედლებს,  
ნაუცბათევი სიკვდილი ახლდა.  
ამ დიდ ოჯახში ტრაგედიისგან,  
უსაზღვრო იყო ცრემლების ჩქერი,  
შემოიტანეს ოჯახში კუბო,  
და შიგ ესვენა იმედი ჩვენი.  
მაგრამ შენ მოხველ, ჩვენი მზეც ნახე,  
სულში ყივილს რომ ადნობს უზადოდ,  
და მამაშენის დარჩენილ ოჯახს,  
ახლა შენ უნდა უმუზარადო.  
ცის კაბადონზე ეს სტრიქონები,  
ახლა იმედის კარებს აღებენ,  
შემოგეხვევა ბებოს ხელები,  
და პატრონობას შეგღალადებენ.

10.IV.2021წ.

## ლეპსები უკრაინაზე

დიდი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას სახელი და-  
ვით გურამიშვილის სახელთან ერთად კარგა ხანია იქცა ორი  
მოძმე ხალხის სიყვარულისა და მეგობრობის სიმბოლოდ. ამ  
ორი დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედებაში შესანიშ-  
ნავად აისახა უკრაინელი და ქართველი ხალხის ოცნება და  
ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. ბედის უკუღმართობის  
გამო ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა უკრაინაში  
პოვა თავშესაფარი და საუკუნო განსასვენებელი.

მძიმე სენით დაავადებული უკეთილშობილესი ასული  
უკრაინისა საქართველოში ეძებდა შველას, აქ დაწერა არ-  
აერთი შედევრი და აქვე სურამში დახუჭა სამუდამოდ თვალი.  
ერთმაც და მეორემაც ღრმად განიცადეს ცხოვრების სიდუხ-  
ჭირე და ავბედობა, - უკრაინელი და ქართველი ხალხისა,  
რომლებიც ეროვნული ჩაგვრის ორმაგ უღელში გმინავდნენ,  
მწარე ხვედრს არ ურიგდებოდნენ და ყველაზე მძიმე განსაც-  
დელის წინაშეც ქედს არ იხრიდნენ.

სოლიდარობას ვუცხადებ უკრაინელ ხალხს და ვუძღვნი  
ლექსებს.

## ტალღების შფოთი გადაუვლის სევდით ნაგრევებს

ვისაც არ აკრთობს ბრძოლები მკაცრი,  
კაცური-კაცის შუქ-მადლი შვენის,  
სიმართლისათვის მებრძოლი კაცი,  
გინც უნდა იყოს - ძმა არის ჩვენი.  
(ლესია უკრაინკა)

ახლა სურამში გადმოვშალე გულის ნადები,  
აქ ხომ ლესია უკრაინკას ძინავს საფლავში,  
თქვენთან მირგოროდს გურამიშვილს ვხედავ სიზმრებში,  
დავითიანი რომ უჭირავს ოქროყანაში.  
ცრემლები მახრჩობს და არ ვიცი რა შემიძლია,  
ბრძოლის ველზე ხართ შემართული მხარგაშლილები.  
ბავშვების ცრემლებს რომ ვუყურებ, ჩემი ღვიძლია,  
ჩემი პატარა შვილიშვილები.  
ზღვაურს ღრიალით დაულენავს დნეპრის ნაპირი,  
ტალღების შფოთი გადაუვლის სევდით ნანგრევებს,  
სისხლის ტბა ფარავს ყველა ქუჩას, სისხლს სვამს ვამპირი,  
უკრაინაში სიხარულის სიმებს აჟღერებს.  
გული გვიკვდება, რომ გიყურებთ ძმებად გაზრდილებს,  
მოყმენო უფლის, სიყვარულის და მოდგმავ კაცთა,  
სატანამ შეძრა დღეს სამყარო და ამ მაცილებს  
მთელი მსოფლიო რომ უყურებს თავზარი დაგვცა.  
შერკვინებულნი არგავონილ ჭირსა და ვარამს,  
შევრჩით სახელით, შუქნათებად ბრძოლის არსენებს,  
ამ ომის ცეცხლთან შერკვინებულთ არ მიკვირს არა,  
ჩვენი დავითი და ლესია თავს რომ მახსენებს.  
ახლა საფლავში ბორგავს ალბათ იმათი ძვლები.  
რომ არ შორდებათ ტყვიადახლილ მებრძოლთ ღიმილი,

ერთ მიწაში წევს სისხლდაცლილი, დაღლილი ძმები,  
საფლავში ისმის მოფუსფუსე ფესვის ტკივილი.  
მას შემდეგ მამულს კვლავ ვუყურებ მათი თვალებით,  
ვფიცავ თქვენს ძმობას, ერთგულებას, ლად სიყმანვილეს,  
სიკეთე ისევ გაიმარჯვებს ბოროტებაზე,  
თქვენს გამარჯვებას ისევ ერთად გავინაწილებთ.

28.III.2023.

**საქართველოს,  
შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი**

აჯანყდა და მტერი ხოცა,  
ბინად ჰქონდა სანგარი,  
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა  
შვილი დასაკარგავი.  
(კანსულ ჩარკვიანი)

მაპატიეთ დღეს შვილებო,  
გვიან რომ შეგიცანით,  
განა მარტო უკრაინას-საქართველოს იცავდით,  
მტერს უნდოდა მიეღწია კავკასიის ქედამდი,  
უკრაინას რომ იბრძოდით,  
საქართველოს ხედავდით.  
მამულს ფიცი შეუსრულეთ,  
თქვენი დანაპირები.,  
ერთი ქვეყნის კი არა და  
ხართ მსოფლიოს გმირები.  
უკრაინას მინა იწვის,  
ბინად გქონდათ სანგარი,  
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა  
შვილი დასაკარგავი.  
საფლავს გულში ჩაიტანეთ,  
დასეტყვილი ტყვიები,  
დედის ცრემლზე კვლავ ამოდის უნაზესი იები,  
მზე ღრუბლებში ინისლება, -  
ცრემლი დასდის წვიმებად,  
მშვიდობა დღეს მთელ მსოფლიოს  
ჰაერივით ჭირდება.  
და უმანკო თქვენი სისხლი

შეერევა სამყაროს,  
ეს ბიჭები რომ დავკარგეთ-  
აწი ღმერთმა გვაკმაროს,  
ოკუპანტმა ნაადრევად გაგითხარათ საფლავი,  
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი.  
ისეც ძალზედ ცოტა დავრჩით,  
გაუსაძლის წარსულით,  
ოჯახს ტოვებს ბევრი დედა, -  
ემიგრანტად წასული.  
გამარჯვებით დაგვიბრუნდით,  
კვლავ მებრძოლი ბიჭები,  
ვით ჟანგბადი საქართველოს  
ახლა ისე ჭირდებით.  
ერთგულებით, ვაუკაცობით ისევ გვეიმედებით,  
თქვენს მამულში გელოდებათ ცრემლიანი დედები,  
გაზაფხულდა, გელოდებათ ყანა გასამარგლავი,  
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი.  
ოკუპანტებს გული ერჩით კვლავ მსოფლიოს დაპყრობის,  
შეშლილია, ალარა ჰყავთ მკურნალი და პატრონი.  
მამულს უნდა წინ წარვუძღვეთ, ნაშრომ-ნაამაგარით-  
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!

29.III. 2021 წ.

## ხელში გვიშირავს მოიდა სანთლები

უკრაინაში ახლა ომია,  
ყველგან ნაღმების ხმები ზრიალებს,  
პურის ყანაში სიკვდილს იმკიან,  
სიკვდილის ცელი ყველგან ტრიალებს.  
მზე უსამძიმრებს მთვარეს დანისლულს.  
სევდიანია ყველგან გზირები,  
უკრაინაში მზე ვეღარ მზეობს,  
თავდახრილია მზესუმზირები.  
დასეტყვილია აქ პურის ყანა,  
ტირილი ისმის ჩვილი ბალდების,  
ამ დროს ბიჭები მიწაში წვანან,  
ოქროსფერ ხორბალს ლენავს ნაღმები.  
გაზაფხულია, ხვნა-თესვის დროა,  
ახლა სად ვფანტოთ შავი ფიქრები,  
გაპობილია ზეცა ნაღმებით,  
მიწაში წვანან ნაღდი ბიჭი.  
შემოხვეულებს ტანთ ცელოფნებით.  
ტელეეკრანთან ცეცხლი გვედება,  
ასე უღმერთოდ ყრიხართ მიწაში,  
როგორ შეგიცნოთ თქვენმა დედებმა,  
სისხლის ეკრანი გააკრა ზეცამ  
შიში აქვთ ობლებს ღამის გათევის,  
ლოცულობს ყველა, ღმერთს შევღალადებთ,  
ხელში გვიჭირავს წმინდა სანთლები.  
ვაი მას, ვინც თქვენ გიპირებთ მოსრვას  
და უნდათ მუდამ მიწები სხვისი,  
მონატრებიათ მეორედ მოსვლა,  
ოხრად დარჩებათ ქვეყანა მისი.  
სხვა ხმაზე მღერის სატანას გული,

Տուժպատ դա Տայմուտ դաշարցա Շասո,  
 ման եռմ ըմմակյեծ մուշպուդա Սյուլո  
 դա դաշարցա վա Ռնմենա դա աթրո.  
 յս զոն դառլուտա տէշենո Տեշուլո,  
 ար դացիգուցատ Տարլու մուրուդո,  
 դգածարտ պոնցամո, դատուլուլ ցնեծնե,  
 ար դացիգարցա վա Շուլուս օմեդո,  
 մուսուլուո Տալքմա դացմո Տագանա,  
 արացու Տալքուս ամուս Շերիցեցա.  
 Շուրանամո դալուրուլո Տութելո  
 ցչերուդետ, մեծո, արացու Շերիցենա.

\* \* \*

Տումլերու ազգուրս Ռոմ Շեսնուտ Վարսկավլա վա,  
 տազմոմնոնեծուտ պյուլս Ռոմ օլերեծու,  
 პուգումա ու ար դանցրա լույսու,  
 գլուս մոմլերալու Ռա Եմուտ օմլերեծու,  
 პույծու, եռմ գյասոնձա ուգուտ,  
 Տալու աթրեծուս մոցսգեցա գյեսու,  
 ար մոցեմալուս, մամուլու հիմո,  
 լունո Տումլերա դա կարցո լույսու.

## მიხეილ ჯავახიშვილს

რა დავარქვა ამ დროებას,  
გეკითხებით სასოებით,  
ავსებულა საქართველო,  
ბრინჯებით და ჯაყოებით.  
ჰე, მიხეილ, გადმოგვხედე,  
იქნებ კიდევ იტყვი სათქმელს,  
და აღსდექი სანამ დროა,  
სანამ ქართლი არ წაგვართვეს.  
ინყებს თოვას გლეხი კაცის,  
მნუხარების დგება ბინდი,  
იქნებ სხვანაირი დროა,  
სხვანაირი დგას ამინდი.  
დაძუნძულებს მგლების ხროვა,  
ცრუ, ბოროტი და ავყია,  
მოღალატეს და წამგლეჯებს  
ნადავლი ვერ გაუყვიათ.  
გუგული რომ ედავება,  
საბუდარს რომ ართმევს მართვეს,  
იმ ჩიტს ვგავართ, - იმ მზენვიას,  
ბუდე ძალით რომ წაართვეს.  
გვმართებს მეტი შემართება,  
კარს მოგვადგა ვამპირები,  
არავის არ შევარჩინოთ,  
სისხლიანი აპრილები.

## ლოკოპინა

ბედნიერია ლოკოპინა  
სახლი რომ დააქვს ზურგით,  
მისი ცხოვრება ეს უდარდელი  
საუკუნეებს უდრის.  
იქ ნებიერად რომ შეყუულა,  
თუ ისევ ცივა გარეთ,  
ბედნიერია არ უშინდება,  
წვიმას, თოვლსა და ქარებს,  
სად უთენდება, იქ უღამდება,  
დარშიაც და ავდარშიც,  
თუ საფრთხე ელის  
თავის სასახლეს წამოიკიდებს მაშინ,  
და ეს ქვეყანა ფეხზე კიდია,  
შეყუულია ფრთხილად,  
სასაცილოა, ამ, „სასახლიდან“  
თავს რომ გამოყოფს ხშირად.  
ეჸ! ლოკოპინას ცხოვრებას გავს ზოგის ცხოვრება,  
როცა არასდროს არაფერი ემახსოვრება,  
თავს, რომ გამოყოფს ნიუარიდან,  
და ფრთხილად დადის,  
რომ არ ანუხებს სატკივარი  
და ქვეყნის დარდი.  
სამწუხაროა, ასეთების კვლავ ყოფნა ბევრის,  
ნიუარაში რომ იმალება, - უსაფრთხოდ მღერის,  
მამულო, ჩემო, ახლა გვინდა ფეხზე დადგომა,  
რომ გაგვითენდეს უფლის ნებით ლალი ალდგომა.

## ერთი სოფლის პიშვები

(ვუძღვნი დიდი სამამულო ომის მონაწილე  
თანასოფლელებს შალვა ზაქარაიასა და გრიგოლ დარჯანიას  
ხსოვნას)

ფრონტზე შეხვდით სიჭაბუეს,  
მზის დიდებულ ამოსვლას,  
ვინ გაცალათ ხვიჩა ბიჭებს,  
სიბრძნის კბილის ამოსვლა.  
დაუზამთრდათ დედებს თმებში,  
უსაშველო ლოდინით,  
და რიონის მწვანე ჭალას,  
სევდა იწვა ლოდივით.  
განა ნაღმი სავსე იყო,  
თაფლიანი ფიჭებით,  
სისხლისგან რომ იცლებოდით  
პირტიტველა ბიჭები.  
იქნებ ომის ქარტეხილი,  
ბედისწერის ბრალია,  
თქვენებრ ვინდა დაიცავდა,  
დერბენდსა და დარიალს?  
სულში სევდა დაუტოვეთ,  
ცხრა მაისის მოლოდინს,  
საქართველოს სიყვარულში  
დაიხარჯეთ ბოლომდის.  
ჭადრებს კოცნის საფლავებთან,  
მოშრიალე ფიჭვები,  
სოფლის შარას გაუყვებით  
ერთი სოფლის ბიჭები.  
კოლხეთს ისევ გაზაფხულდა,

ქათქათებენ ტყემლები,  
რიონს ერთვის ნაკადულად,  
ორი ქვრივის ცრემლები.  
ნისლისფერი ცივი სევდა  
ცრემლთ დაისადგურებს.  
ფრონტის ამბავს მოუყვებით  
იებსა და სამყურებს.

9.V. 2000წ

## ნანა თოლორდავას

სულ ახალგაზრდა დაგვტოვე,  
დაგვექცა მაშინ სამყარო,  
ზეცაში გადაგვიფრინდი  
ანგელოზების სადარო.

ლამაზ სხეულში ლამაზი შენ სული თან დაგყვებოდა,  
შენს შემხედვარე მზის სხივებს ღრუბელიც გაეყრებოდა.  
ზამბაზი ვარდთან ჩაწნული შენს ნარნარ სხეულს მაგონებს,  
სულ ახალგაზრდა წახვედი წლები ვერ გადააგორე,  
თვალებში გედგა ცისკარი და დილის გამობრწყინება,  
ასე მეგონა უშენოდ მზე შუბის ტარზე ბინდდება,  
შვილები ისე გნატროპენ, გული შუაზე გაიპო,  
გულდათუთქული დატოვე შენი ძმები და დაიკო,  
სენაკში ჩასვლაც არ მინდა, რადგან შენ იქ არ დამხვდები,  
მოკითხვა-მონახულებას ტელეფონითაც ვთანხმდები.  
მახსოვს დედას რომ ტიროდი, ვერ იცილებდი კაეშანს  
იქნებ იმედით წახვედი დედას გულში რომ ჩაეკრა  
იქნებ ლამაზი თითებით კვლავ ათამაშებ კლავიშებს  
პიანინოსთან ზიხარ და ზეცით უგალობ ბადიშებს.  
ნანა ჩვენთან ხარ მარადუამს, რა გესაქმება წარსულთან  
ყველას გულებში გვიზიხარ, გჯეროდეს არსად წასულხარ  
სიყვარულს გჩუქნით გულუხვად შენ, სიყვარულის ნაყოფო,  
დაბადების დღეს გილოცავ ღმერთმა ნათელში გამყოფოს.  
ამ სტრიქონებს ვწერ ცრემლებით, რა ვქნა თუ ჩემ ბედს ვემდური,  
იქნებ იქ ყანნი უჭირავს, გლოცავს, თამადობს თემური,  
შენსავით ისიც გაფრინდა, კვლავ ჩამოგვექცა სამყარო,  
ახლა ზეცაში ერთად ხართ ანგელოზების სადარო.

ნანა ჩვენთან ხარ მარადუამს, რა გესაქმება წარსულთან,  
ყველას გულებში გვიზიხარ, გჯეროდეს არსად წასულხარ  
სიყვარულს გჩუქნით გულუხვად შენს სიყვარულის ნაყოფო  
დაბადების დღეს გილოცავ, ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

## ლუიზა თედელურს

*(ჩემს კოლეგას)*

არიან პიროვნებები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ ამ ქვეყნიურ სამყაროში და დიდხანს რჩებიან იმ ადამიანთა მეხსიერებაში, რომელთაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ჰქვია. იგი ახლახანს გავაცილეთ იმქვეყნად. რომელმაც დიდი ილიასი არ იყოს წინ წასამღვარებელი გზა დატოვა და უკან მოსატოვებელიც. ქალი-დედა, მეუღლე, ბებია, უღალატო მეგობარი და საუკეთესო პედაგოგი რომელიც ყველგან და ყველაფერში სიყვარულს უსამანოდ აფრქვევდა. ქალი რომელმაც თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა ისე განვლო, ერთი უმნიშვნელო ხარვეზიც არ ქონია, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა მოსწავლე-ახალგაზრდობა. თავს ევლებოდა თავის აღსაზრდელებს და მისეული ტერმინთ მიმართავდა: „შემოგევლა შენი ლუიზა მასწავლებელი“. იგი ყველას უყვარდა, დიდსაც და პატარასაც, ამიტომაც ახლავს ამ ლექსს აკროსტიხი, სადაც ვერტიკალურად წერია: ლუიზა თედელურო გვიყვარხართ! ეს იუმორი საიუბილეო საღამოს მოგიძლვენი ძალიან მიყვარდი და გეთამამებოდი. შენი გამოჯავრება მიყვარდა ხუმრობით და სიყვარულით, „პატარ გორი დიდია - წავილილინებდი ხოლმე, როცა სამასწავლებლოში ღიმილიანი შემოხვიდოდი.

ლ-ამაზ ქალბატონს ვახლავარ, დედას, ბებიას, სეხნიას,  
 უ-ნდა ამოვთქმ პათოსით, თუ კი რამ დაგითესია,  
 ი-სტორიაში შეხვედი, როგორც მეუღლე ვაჟასი,  
 ზ-ლაპრად, ლეგენდად აქციე, ხახული, ოშკი, არმაზი,  
 ა-თასი წელი იცოცხლე, წინ გზები გიდევს დიდების,  
 თ-ალიკო კარგად გყავდეს და სუყველგან წარმოჩინდები,  
 ე-სოდენ რომ დაგაფასეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია,  
 დ- იდება უფალს, ხანდაზმულს ხელფასს რომ არ გვაყვედრიან,

ე-რთხელ ვუთხარი სიბერე ხომ გეპარება ხანდახან,  
ლ-ამის გაგიუდა სიბრაზით, კინაღამ ყველა გაგვლახა,  
უ-ნდა ფოთელებს სანთელი ხშირად აუნთო ბიძია,  
რ-ომ გაგათხოვეთ გვიმდერე, პატარა გორი დიდია.  
ო-ცნების კოშკებს აგებდი, მზისკენ გაწვდილი ხელებით,  
გ-ორელი გაგამეგრელა ფოთელმა თავგახელებით.  
ვ-ლოცავთ მეულლეს, ბებიას, დედას, პედაგოგს, -ლვაწლმოსილს,  
ი-მდენ სიკეთეს თესავდი, ასე იოლად რას მოსთვლი,  
ყ-ველას აჯობე ქართლშია, რადგან ყველა შენ არ გგავდა.  
ვ-აუა წაართვი ფოთელებს, რადგან ბადალი არ გყავდა,  
ა-რვის ეგონოს ოჯახში შრომა და გარჯა ადვილი,  
რ-ძალი ხარ მზარელუების, ტრიუმფალურად გარჯილი,  
ხ-ომ იცი ყველას უყვარხარ, არ კი გეგონოს არაკი,  
ა-რავინ გკითხავს რა ხნის ხარ, ოცდახუთის ხარ ასაკით,  
რ-აგინდ არ უნდა გაზომო, ქართული სიტყვა არშინით,  
თ-ავად ქართლოსის შეილი ხარ, მემკვიდრე გოგებაშვილის.  
ჰო, მართლა სულ დამავიწყდა რაც მთავარია ყველაზე,  
ეს შენი ქალიშვილები საუბრობს ცხრამეტ ენაზე.  
ხშირად სტუმრობენ ვაშინგტონს, პარიზს, ლონდონს და  
ამსტერდამს,

მაგათი ნიჭიერებით მთელი ევროპა გაშტერდა,  
ვაუა ვის ახსოვს საწყალი და აღარც მიკვირს შენგანა,  
პატარა ანასტასია რომ მოევლინა ქვეყანას,  
ის არის თქვენი მოწყენის საუკეთსო მკურნალი,  
რაც იგი გაჩნდა მას შემდეგ, ხუთებს ვერ იტევს უურნალი.  
„შენ შემოგევლეს“ გვეტყოდი ყველა დიდსა და პატარას,  
ამ სიყვარულით ვცოცხლობდით წლები რომ შემოგვატარა,  
რაც რომ დათესე მოიკმე, წინ კიდევ გზა გვაქვს დიდების  
„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.  
რევოლუციებს ვინ მოსთვლის, რამდენს გაუძელ დარდებით,  
ახლა სხვა დროა, რაც მოხდა, ხავერდოვანი ვარდებით,

მიხაკს და ვარდებს გავუძლებთ, ცოტა ხანს თუ დაგვაცალეს,  
დღეს შენი სადლეგრძელოა, თასი ბოლომდე დაცალე.

მე კი არ შევეპუები, არცერთ კანონს და მომართვას  
და შენ ვარდივით ქალბატონს, ვარდები უნდა მოგართვა.  
დაბადების დღეს გილოცავთ დაქალი პედაგოგები,  
მრავალი შანსი გქონოდეს მილიონების მოგების.

სიყვარულს გჩუქნით, გწყალობდეს დიონისე და ეროსი,  
მრავალ წელს ყოფილიყავი, მომსწრე ამ სადლეგრძელოსი.  
ზღვა სიყვარული ასეთი, ვის შეუძლია შენოდენს,  
მოსწავლე-ახალგაზრდობა არ დაგივიწყებს გჯეროდეს!  
ეს იუმორი ხალასი ესადაგება სისრულეს,  
გლოცავ ძვირფასო სეხნიავ, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ,  
რაც კი ინატრო, ისურვო საუკეთესოს მე ყოველს,

ასე ვარდივით გაშლილი კიდევ მრავალ წელს მეყოლე.  
ჩემო ლუიზა, შენ ბედნიერად მიდიხარ, ამ ქვეყნიდან ზეციურ  
სასუფეველში, რადგან ტოვებ შენს უსაყვარლეს შვილებს,  
რომლებითაც ბევრი იამაყებდა. მადლობა შენ მათი კარგი  
აღზრდისთვის, დიდი ვაჟასი არ იყოს: „ლამაზად შვილის  
გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“. ტოვებ ანასტასიას,  
რომელზედაც მზე და მთვარე ამოგდიოდა. ისინი სიამაყით  
გააგრძელებენ შენს მიერ განვლილ გზას, გზას რომელსაც  
სიყვარული ჰქვია. გჯეროდეს არასოდეს მიეცემი დავიწყე-  
ბას, ყოველთის მოგიგონებს მოსწავლეები და შენი პედაგო-  
გიური კოლექტივი, მოგიგონებენ და ჩაგძახებენ: „ლუიზა  
თედელურო, გვიყვარხართ!“ ღმერთმა ნათელში ამყოფოს  
შენი დიდებული სული! ამინ!

26.I.2022წ.

## ხსოვნის ფურცელი

### ზღვა სიყვარულის კაცი

საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც დიდი თანამდებობითა და პოპულარობით არ გამოირჩევიან, ჩუმად რუდუნებით აკეთებენ კეთილ საქმეებს და თავიანთი ადამიანური ნამოქმედარით და კეთილშობილებით, ხალხის ნდობითა და მათდამი უსაზღვრო სიყვარულით ზოგჯერ ბევრ ცნობად სახეებსაც წინ უსწრებენ. იგი არასოდეს არ გაჰქიოდა, არც თავს იქებდა, არც აქციებში მონაწილეობით გამოირჩეოდა(თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, როცა იმ ხალხმრავალ მშვიდობიან მიტინგზე სხვებთან ერთად სიმღერით იმეორებდა ლადო ასათიანის მგზებარე სიტყვებს: „გაუმარჯოს, საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს“ და სანთლით ხელში საქართველოს მომავალზე ლოცულობდა. იმ კუნაპეტ ღამეს იგი ღვთის განგებით სასწაულებრივ გადარჩა, ჰქონდა საოცარი ორგანიზაციული ნიჭი, იყო ხალხთან ძალზე კომუნიკაბელური, ფლობდა მშობლიურ ენასთან ერთად რუსულ და ფრანგულ ენებს, იყო ღვთის მოშიში და მოსიყვარულე, ძალზე ერუდირებული, ღრმად ჩახედული ბიბლიაში. შესანიშნავი თამადა პირველ სადღეგრძელოს უფალს უძღვნიდა, შემდეგ მამულისა და ერის სადღეგრძელოს შესვამდა. პიეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ყველა სასმისს ლექსით ამთავრებდა.

ხელს უწვდიდა ყველა შეჭირვებულს, (განსაკუთრებით ავადმყოფებს,) როგორადაც შეეძლო. განათლებით ეკონომისტის არ დასცალდა ოჯახისა და ქვეყნისათვის სიცოცხლის გახარჯვა.

თემურ ზაქარაია დაიბადა 1963 წლის 24-აპრილს ქ. ფოთში, იგი ნარჩინებით სწავლობდა ფოთის მე-5 საჯარო სკოლაში, ხოლო 1985 წელს დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი წითელი დიპლომით. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახლთან არსებული ბიზნესის სკოლა (წითელი დიპლომით).

2010 წელს ფონტისის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების) ფინანსური აღრიცხვის სრული კურსი (მიგრაცია განვითარების პროექტის ფარგლებში).

1986 წელს მუშაობდა თბილისის აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში ლაბორანტად. 1992-1995 წ. წ. საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის ფირმა “ლაშა” ს პრეზიდენტად. 1999 წელს საქველმოქმედო ფონდ “ალექსის” დამფუძნებელი პროგრამების დირექტორად. 2011-2012 წელს განევრიანდა კოალიცია “ქართულ ოცნებაში” იგი ფოთში “ქართული ოცნების” პირველი დამფუძნებელი და პირველი მოწვევის დელეგატი იყო, რომლის შტაბ ბინა იყო ჯუმბერ კემულარიას, ხოლო შემდეგ ნანა თოფურიას ოჯახში. (ფარულად, არალეგარულად, იმედებით აღსავსე) მაშინ როცა შიშით თითოს გამოყოფასაც ვერავინ ბედავდა. 2011 წელს თანამშრომლობდა სამოქალაქო ერთობის ოფისთან ხელმოწერების შეგროვებაზე, რათა აღმდგარიყო ბიძინა ივანიშვილის და მისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძის საქართველოს მოქალაქეობა.

2012 წლიდან 2018 წლამდე აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო მარათონში, იყო კოორდინატორი ქ. ფოთის სხვა და სხვა უბანზე, ხოლო 2016 წელს საარჩევნო კომისიის თავჯდომარე კუნძულის უბანზე.

სადაც იგი მოღვაწეობდა თავისი კეთილი კვალი დაგვიტოვა, იყო საქმისადმი ერთგული, ადამიანების მოსიყვარულე,

პატივს სცემდა ყველას და არ განასხვავებდა ადამიანებს პარტიული მანდატის მიხედვით. უსაზღვროდ უყვარდა ის ვინც ქვეყნისათვის აკეთებდა კეთილ საქმეს. „საქართველო! შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“ ხშირად იმეორებდა პოეტ ჯანსულ ჩარკვიანის ამ გულში ჩამწვდომ ფრაზას.

წავიდა პიროვნება, რომელსაც მეგობრები ყველგან ყავდა, კაცი რომელსაც არასოდეს არავისი ლირსება არ შეულახავს, მისგან შორს იყო მტრობა, შური და ლვარძლი. წავიდა და თან დიდ ტკივილთან ერთად დაგვიტოვა არდავიწყება, რომელსაც თემურ ზაქარაიას სახელი ჰქვია.

ახლო მეგობრები  
16.II. 2021წ.

\* \* \*

ახალგაზრდის სიკვდილი იგივეა, რაც წელიწადის დროებიდან გაზაფხულის ამოღება-ო ნათქვამია, სწორედ გაზაფხულის პირველი დღის შემოსვლაზე 2 მარტს ორშაბათ დილით-ჩიტივით გამიფრინდი, არცყი დამემშვიდობე, მოულოდნელად, ფეხაკრეფით გაიპარე, ერთი არ დაგიკვნესია, არც მაგრძნობინე ცუდად ყოფნა, ალბათ არ გინდოდა ჩემი შენუხება, იცოდი მთებს შევძრავდი, რომ გეთქვა ცუდად ყოფნა იმ შავბნელ ღამეს მომატყუე კარგად ვარო, ოთახის კარი მიმიხურე, დილის გათენება არ მაცალე, ჩემო უსაზღვრო სიხარულო და იმედო, ახლა კი უსამანო ტკივილო და დარდო, ერთი წელი ხდება ჩემს გვერდით ალარ ხარ, ჩემო ერთადერთო და საფიცარო, შენი დაკარგვით ცა ჩამოიქცა, დაინგრა იმედის კედელი. ყოველ დილით ადგომისას შენს სურათს ვესაუბრები, დამითაც ცრემლჩამომდინარე უფალს შევთხოვ სასუფეველში გამყოფოს.

„კეთილშობილება ის არის, რომ არავის ვუთხრათ რამე და-მამცირებელი, თუნდაც ვინმე ამის ღირსი იყოს“ - უთქვამს იოანე ოქროპირს. შენ ამ ცნებას კანონივით ასრულებდი, ძალზე კეთილშობილი იყავი, რადგან სიკეთის ქმნის სურვილი შენში არასოდეს შენელებულა, შურისძიება გულში არასოდეს გაგივლია, გქონდა მიტევების საოცარი გრძნობა, უსამანოდ გიყვარდა შენი ქალაქი და თანაქალაქელები, შენი განუყრელი მეგობრები, რომლებმაც დიდი გულისტკივილით დაგიტირეს, გიყვარდა შენი ოჯახი და შენი ერთადერთი საფიცარი ვაჟიშვილი. შენი უბედური დედისადმი სიყვარული, რომელსაც არა-სოდეს ამჟღავნებდი ასე გამოხატე, როცა დაბადების 81 წლის იუბილე მიულოცე „დღეს დედაჩემის დაბადების დღეა. ლუიზა ჩხეტია-ზაქარაიას 81 წელი შეუსრულდა სამი თვეა ვერ ჩამოგაკითხე, მაპატიე, გისურვებ ყველაფერს, ყველაფერს

რაც გულით გწადია და რასაც ნამდვილად იმსახურებ, პირველ რიგში იმიტომ, რომ საამაყყო დედა ხარ, უცხოა შენთვის შური და ლვარძლი და სიმძიმილი სხვისი მიღწევების გამო, გულისხმიერი ხარ სხვათა საქმისა და სადარდებლისადმი, გამოირჩევი შინაგანი კეთილშობილებით, რითაც გამთბარია შენი პოეტური ქმნილებების თითოეული სტრიქონი, ეს იმით აიხსება, რომ მიუხედავად დაძაბული, მძიმე ყოფისა კაცობრიობის ერთადერთ კრიტერიუმად სიკეთე მიგაჩნია, სიკეთე არ მოგკლებოდეს”.

უფლის რწმენა ძვალრბილში გქონდა გამჯდარი, რომელიც არასოდეს დაგიკარგავს, თუ სადმე თამადა იყავი, პირველ სადღეგრძელოს უფალს მიუძღვნიდი, შემდეგ მშვიდობისა და მამულის სადიდებელს შესვამდი, გამოირჩეოდი ლამაზი მჭერმეტყველებით, რომელიც იუმორთან და ქართულ პოზიასათან იყო შეზავებული შენში განსაკუთერბით მომწონდა ერთი ადამიანური თვისება; იყავი საოცრად უპრეტენზიონ და არასოდეს არავის სცემდი პატივს პარტიული მანდატის მიხედვით, ყველა გიყვარდა, ვისაც კი სიკეთის ქმნა შეეძლო, ვისაც სიყვარული შეეძლო. შენგან შორს იყო შური და ლვარძლი, შურისძიება და მტრობა, სიძულვილი და ბოროტება.

“ადამიანი იმდენჯერ კვდება, რამდენჯერაც ძვირფას ადამიანს კარგავსო” - ამბობდა ანტონ ჩეხოვი, მართლაც ასეა შენს შემდეგ რამდენი ძვირფასი ადამიანი წავიდა ჩვენგან, მათ შორის შენ რომ განსაკუთრებით გიყვარდა ისეთებიც, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ჩემი ამ ქვეყნად ყოფნა უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ზღვა სიყვარულის ბიჭი! რამდენი პროექტი, რამდენი გეგმა, რამდენი სურვილი დაგრჩა განუხორციელებელი. ოცნებობდი შენი ქალაქის ყველა კეთილწამოწყებაზე რაც განუხორციელებელი დაგრჩა და მიწაში ჩაიტანე. მუხრან მაჭავარიანის ლექსის ფრაზა მიგიძლოდა ყველგან გზად და ხი-

დად “ ღმერთო მიცოცხლე მეგობრები, ვინც დღემდე მომყვა”. ასე ამთავრებდი ლოცვასავით ყველგან შენს სათქმელს, ამიტომაც აწერია შენს საფლავის ქვას ეს ეპიტაფია. უფალმა გისმინა და შეგისრულა ნათქვამი. მადლობა შენს ყველა მეგობარს ვინც სიცოცხლის ბოლომდის გიერთგულა, დიდი მადლობა შენს აღმზრდელ პედაგოგებს, ვინაც სიყვარული და მიტევება გასწავლა, უფალმა დალოცოს მეუფე გრიგოლი, მამა კონტანტინე, მამა ხვედიოსი, მამა ამბროსი და ყველა მღვდელმსახური, რომლებმაც წესი აგიგო და გაგაცილა უკანასკნელ გზაზე. დიდი მადლობა ყველა ფოთელს, ვინც გულით დაგიტირა და გაიზიარა ჩვენი ოჯახის ესოდენ დიდი მნუხარება.

მაპატიე ჩემო თვალხატულა ბიჭო! ახლა შენი ხსოვნის ანოტაცია იკმარე, შემდეგ უფლის ნებით ვეცდები მთელი კრებული მოგიძლვნა, შენზე ლექსი არ დამიწერია, არ ვჩეკარობდი, ასე მეგონა სანამ პირში სული მედგა სულ გვერდით მეყოლებოდი, რას ვიფიქრებდი ასე უცებ ამქვეყნიდან შენს მოულოდნელ წასვლას.

“დედაშვილობა შესისხორცეული ხილული სასწაულია, უფალმა დაულოცოს ყველა დედას შვილი და ყველა შვილს დედა”. მიყვარხარ და ტკივილამდე მეყვარები შენი გულდა-თუთქული დედა.

ჩემთვის ახლა დარი აღარ დარობს,  
ღრუბლებს მოაქეს ავდარი და თოვა,  
ათოვს ახლა შენს საფლავის კენჭებს  
გაზაფხული უშენობით მოვა.  
წამალია შენი სიზმრად ნახვა,  
სანუკვარო ჩემო ერთადერთო,  
ხელაპყრობით აღარაფერს ვითხოვ  
ოლონდ შვილი შეიფარე ღმერთო.

## თემურის

გაშავდა ჩემთვის სიხარული ვით გლოვის ნარმა,  
მაინც არ მინდა დავეცე და სადმე წავიქცე,  
სიზმრებში მაინც დამასვენოს გლოვამ და ზარმა.  
რომ ჩემს გარშემო აღარ იყოს არც დრო და სივრცე,  
შენ ყოველ დამე ესიზმრები ჩემს დალლილ სხეულს,  
მაგრამ სასტიკი სიჩუმე ხარ, როგორც არმაზი,  
მაგრამ მე მაინც გიცდი შენგან მოლოდინს ჩვეულს,  
ასე მგონია კვლავ შემოხვალ დამე დარბაზში.  
რა ვქნა შენს წასვლას მე ვუზოდებ ოჯახის ღალატს,  
კორიანტელი თავს მეზვევა მწუხარე აზრთა,  
ახლა შენს გარდა სხვა ჩემს ფიქრებს ვერ შემორკალავს,  
რომ ჩემგან წახველ ასე ადრე, ჯერ ახალგაზრდა.  
ახლა მარტო ვარ, ჩემს დარდებთან მიუსაფარი,  
ფიქრი და სევდა არეულა და გული ხვნეშის,  
სასაფლაოა ახლა ჩემი თავშესაფარი,  
და შუბლს მიგრილებს ზღვაური და წვიმების თქეში.  
ისევ ვარსებობ, თუ კი ამას სიცოცხლე ქვია.  
ვიქნები მანამ სანამ გულში მესვრიან ტყვიას,  
ჩემო სიცოცხლევ, შენს საფლავთან იები ყვავის,  
ვიტოვებ იმედს, რასაც უფლის იმედი ჰქვია.

## პოეზიაში გადავითანი

შენ იყავ ჩემთვის ია და ვარდი,  
ახლა მე მხოლოდ ლმერთი ვიწამე,  
ამ ქვეყნად შენი არყოფნის დარდი,  
პოეზიაში გადავითანე.  
მე მუზა ისე დამიმეგობრდა.  
ვეჩურჩულები ქარსა და ნიავს  
და მარად დამაქვს ის სენი რასაც,  
უკურნებელი ტკივილი ჰქვია..

## უკვე ყავლი გასვლია

(თემურის)

გულყვითელა ნარგიზებს და მორთმეულ ვარდს  
უკვე ყავლი გასვლია, რადგან დარდი კლავს  
მოაქვს სევდა ნაღველი აცეტებულად ქარს  
ვიცი რომ არასოდეს შემომილებ კარს  
დარდი გაუმასპინძლდა შემოდგომის თქორს  
ჩემს გულში ზამთარია რა ხანია თოვს,  
ვაი როგორ აწვალებ ამ აწყვეტილ სიმს,  
ჩემო სევდის ღრუბელი რა ხანია წვიმს  
შენს ფეხებთან იები ამოსულა გროვად  
ვტირი ეს გაზაფხული უშენოდ რომ მოვა.

10.III.2003წ.

## თემურის

მინდა სულ მყავდე ახლოს,  
ფიქრების სამოსახლოს,  
ჩემს გულში მუდამ სახლობ,  
სახლს მონატრებით ათბობ.  
იქნებ მთვარესთან სახლობ,  
ან ვარსკვლავებთან სახლობ,  
იქნებ ცისკართან დილით,  
აქვე ხარ შორიახლო.  
მოდი და მომეფერე,  
შენ რომ გჩვეოდა ისე,  
მეც აღარ დავაყოვნებ,  
შენთან გავჩნდები მყისვე,  
მოდი გულს ჩამიკარი,  
გულს ცრემლები რომ ერთვის,  
ჩემი ოთახის კარი,  
მუდამ ღიაა შენთვის.  
სიზმრებში მაინც მოდი,  
კარებს სულ ღიად ვტოვებ,  
ეზოში შენი ჩრდილი,  
ათრობს ალუბლის რტოებს.  
ნუთუ აპრილში სიზმრად,  
იმედს არ დამიტოვებ?!

24.04.2024 წ.

\* \* \*

ორი მარტი ჩემთვის ყველაზე ტკიფილიანი დღეა, ჩემო  
მონატრებულო და საფიცარო თემური. მიყვარხარ და მუ-  
დამ ჩემს გულში იქნები სანამ ცოცხალი ვარ... შენი გულ-  
დათუთჭული დედა.

### გიძლვნი ლექსი

მე არ მჩვეოდა ლექსები გლოვის  
ნაღველს ვერ ვიტევ ამ სიტყვის თქმაში,  
მწუხრის ხე მოჩანს ჩემი დარგული,  
და როცა იგი აყვავდა მაშინ,  
ყინულად მექცა ეს გაზაფხული.  
თუმცა იღბალმა გზა გამიმრუდა,  
ჩემი ცხოვრების დასასრულამდე,  
შენ კი ყოველთვის დარჩები დარდად  
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.  
და როცა მოვკვდე ცრემლების ნაცვლად  
მხოლოდ ერთ რამეს შევსთხოვდი სიოს,  
ცივ სამარესთან ყვავილთა ნაცვლად  
შენი ცრემლები გადამეფრქვიოს.  
ვერ მოგიარე შემინდე შვილო,  
ვაი ჩემს ყოფას, ვაი ჩემს სირცხვილს,  
ტვინში ტყვიებად ჩაიჭრა ჩემში,  
მარტის დაწყების ეს ორი რიცხვი.  
მე არ მჩვეოდა ლექსები გლოვის  
და არც ცრემლების აკიაფება,  
მზე მინათებდა გზას შენი მოვლის,  
ლაპაზ თვალებს რომ მომანათებდა.  
ახლა თებერვალს მარტის თვე მოსდევს  
და მოაქვს ჩემთვის ცრემლების თქორი,

როცა კალენდარს ფურცელს მოხევენ,  
შემოიჭრება თარიღი ორი.  
თარიღი შენი გარდაცვალების,  
ვაზის ლერწებში ცრემლი ჩამდგარა,  
ორი მარტია, პირველ გაზაფხულს  
მუხლებმა ცრემლით შემომატარა.  
ვერ მოგეფერე ისე წახვედი  
და გაიხურე კარები მყისვე,  
„შენზე ძვირფასი არვინ მყავს დედა”  
არ მითხარ შენ რომ გჩვეოდა ისე.  
მწუხრის ბინდია ეს მთვარის ფერიც,  
ლრუბელს რომ ირგვლივ სხივებით მოსავს,  
უფლის ნებაა ეს ყველაფერი,  
ვინ გვეკითხება წასვლას და მოსვლას  
ცოტა იმედებს ვიტოვებ მაინც,  
იქნებ იმედმა მიპოვოს შველა,  
ამბობენ სული უკვდავიაო,  
ამბობენ, რომ იქ შეგვხვდება ყველა.

\* \* \*

შენ ჩემო გულის მალამო,  
აპრილის თბილო ნიავო,  
ავად რომ გავხდე ლოგინად,  
მითხარი ვინ მომიაროს?  
როგორ წახველ და გაფრინდი,  
უშენოდ როგორ ვიარო,  
უშენოდ გულიც არა მაქვს,  
დარდების თანაზიარო,  
რიონის პირას ზამპახთა  
და ლაქაშების შრიალო,  
უშენოდ ვინ დამიტიროს,  
უშენოდ ვინ მაზიაროს.

\* \* \*

ახლაც ის ხდება, რომ შენს გარეშე მოდის ზამთარი,  
ახლაც გაზაფხულს ვხვდები უშენოდ,  
ფიქრში წარსულის დარდი დამიდის,  
გაჭირვეულდა მარტი უშენოდ.  
აპრილშიც ასე მკაცრობს ამინდი.  
მე ვის გავანდო ჩემი წუხილი,  
რომელიც ახლა ცრემლად დამიდის,

24.04.2023წ.

## უგანოდ

რა ძნელია აქ უშენოდ ყოფნა,  
მიჭირს ბიჭო! ო რა ძლიერ მიჭირს  
ნუთისოფელს ვინ არ გაეყოფა,  
ნავიდაო სიყვარულის ბიჭი.  
ჯიბე მუდამ ცარიელი გქონდა,  
მაგრამ სულით მდიდარი იყავი,  
მეგობრები ვინაც დღემდე მოგყვა,  
დაგტირიან შენ ცრემლების ზვავით.  
სიყვარულით შენ ნარსდგები ღმერთთან,  
ჩვენთან ყოფნას იქ სიმშვიდე გიჯობს,  
ვიცი ცხადში არასოდეს მოხვალ,  
სიზმრად მაინც დამენახვე ბიჭო.

## დედა ყოველთვის ოცი წლისაა

დედას წლებს როდი ეკითხებიან,  
ვინა თქვა დედა დიდი ხნისაა,  
ვინ გაიგონა დედის ასაკი,  
დედა მარადუამს ოცი წლისაა.  
ფაფარაყრილი მიქრიან წლები,  
უკვდავება ხომ მხოლოდ ღვთისაა.  
მარად უკვდავი არის უფალი,  
დედა კი შენთვის ოცი წლისაა.  
დედას ასაკი რომ ემატება,  
თეთნულდს მაგონებს ჭალარა თმები,  
როცა გვერდით გყავს გული აპრილობს,  
ია-იებით გაზაფხულს ხვდები.  
როცა გვერდით გყავს ჭალარა დედა,  
ჭალარა, „თეთრი თმების ჟინია“,  
როცა გილიმის და გეფერება,  
შენ აღარაფრის არ გეშინია.  
რამდენი ტკბილი, რამდენი მწარე,  
ცხოვრება მხოლოდ ბრძოლის ველია,  
იგი იმედად დაგხვდება იქაც,  
სადაც მიდიხარ და არ გელიან.  
დედა ყოველთვის ახალგაზრდაა,  
რაც უნდა დიდი ასაკის იყოს,  
ვისაც არა გყავთ, ღმერთმა აცხონოს,  
ვისაც გყავთ კიდევ მრავალ წელს იყოს.  
დედა ყოველთვის შინ მეგულება,  
საფლავზე გავალთ, კვლავ ჩვენზე ფიქრობს,  
ცივ სამარეშიც საზრუნავი აქვს,  
რომ არ შეგვცივდეს საფლავებს გვითბობს.  
დედას ასაკს არ ეკითხებიან,  
ვინა თქვა დედა დიდი ხნისაა,  
ვინ გაიგონა დედის ასაკი,  
იგი მარადუამს ოცი წლისაა.

## ვერ დაგაცილებთ

(ნუგზარ ნადარაიას და გერონტი კუხალეიშვილს)

სექტემბერი შემოდგომის პირველი თვეა, ნაირფერადი, მსუყე და ბარაქიანი, რომელსაც ყოველთვის საზეიმო ელფერი დაკრავს. ეს თვე განსაკუთერულად გამორჩეულია შენი ოჯახისთვის ბატონო ჯუკა, ამ დღეს ვზეიმობდით შენი მეგობრები 29 სექტემბრს. პირადად მე თუ ვინმეს ვალი დამრჩა ამ ქვეყნად ეს გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის და ნუგზარ ნადარაიას წინაშე საუკუნეებრივად გადაუხდელი სიყვარულის ვალია, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადავიხდი, და არა მარტო მე, ფოთი და ფოთელები. თქვენ ერთად, ერთმანეთის გვერდით განვლეთ ჩიტივით გაფრენილი წუთისოფელი, როგორც ტყუპი ძმები, კეთილი საქმეების კეთებით ვერ ძლებოდით, მამულისთვის ცოცხლობდით, ამიტომ დაერქვა ლექსს ასეთი სათაური.

## 30 დაგაცილებთ

ვერ დაგაცილებთ ძმებო, ერთმანეთს,  
 თქვენ ერთად განვლეთ წუთისოფელი,  
 მამულისათვის ცოცხლობდით ქვეყნად,  
 როგორც ტყუპები განუყოფელი.

ვერ დაიტია გულმა გრძნობები,  
 დღევანდელობა იგემეთ განცდით,  
 ერთად დაცალეთ ზედაშე ძმობის,  
 სიკვდილსაც ერთად დაუძმაკაცდით.

რად მოგვივლინა ზეცამ სასჯელი,  
 ეს ტკივილები რაც გვაგრძნობინა,  
 რომ მოაფრქვია, ფიქრი მტანჯველი,  
 რომ მხოლოდ დარდით აგვევსო ბინა.

კოლხური მთვარე სხივად ეფრქვევა,  
 ირხევა სევდა გაულენელი,  
 რიონის პირას იღიმის ცოტნე,  
 სხვამ რომ ვერ შეძლო ის თქვენ შეძელით.

თქვენ გქონდათ შანსი სხვაგან ცხოვრების,  
 სიმდიდრის მიზნით ახლაც სურს რამდენს.  
 მაგრამ ერთგულად ედექით მამულს,  
 თქვენს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

არსად გიცდიათ სხვაგან სამოთხე,  
 ელდორადო და ედელვაისი,  
 მყარად იდექით კოლხურ მიწაზე,  
 თქვენი სამოთხე იყო ფაზისი.

გფარავდეთ მუდამ მაღალი ღმერთი,  
 ყველაფრისათვის მადლობას გწირავთ,  
 პირზე გეკერათ მამული ერთი,  
 იარეთ ერთად, განუყრელ წყვილად,

თქვენ დავიწყება არ გიწერიათ,  
ტაძარში იწვის წმინდა სანთელი,  
დაგრჩათ ოჯახი დიდებულ შვილთა,  
და ვაჟკაცობის წმინდა სახელი.

29.IX.2021წ.

## დადუმეგულა კოლეზი სცენა

(შალვა ლიპარტელიანის ხსოვნას)

უშგულს და შხარას სდიოდა ცრემლი  
და თეთნულდს ჭმუნვის ნისლი ებურა,  
დაგვაკლდა კაცი, ვისაც ნამუსის  
ნაღდი სვანური ქუდი ეხურა.  
წუხს ლენტეხი და შენი კოლხეთი,  
შავი ზღვაც ბორგავს ტალღების შფოთვით  
ნამით შეჩერდი ბატონო შალვა,  
ხედავ, ქუდს გიხდის ქალაქი ფოთი.  
დადუმებულა კოლხური სცენა,  
შენი სიკვდილი მართლაც ბრალია,  
დარჩა როლები ოცნების მიღმა,  
შენ რომ გიყვარდა ასე ძალიან.  
ბოდიშს მოგიხდით, ვერ მოვასწარით,  
შენი ოცნების დანაპირები,  
მაგრამ გჯეროდეს როგორც ფენიქსი,  
კვლავ აღსდგებიან შენი გმირები  
ნალდი ვაჟუკაცი წავიდა ჩვენგან,  
მეგობარი და საქმის ერთგული,  
სვანეთის მთებში გუგუნებს ლილე,  
წუხს რიონი და ბორგავს ენგური,  
თეთნულდს მოაწვა სევდა ზვავივით,  
უშბას და შხელდას გლოვის ზარია,  
სვანურ კოშკებთან იქუხა ექომ,  
შალვა აღარ გვყავს, ვოი ლამარია.  
კოლხეთის მიწამ გულში ჩაგიკრა,  
ქუჩებში დგან რიგი პალმების,  
დასანანია სვანური ქუდით

ფოთში რომ ვეღარ მოგვესალმები.  
წუხს ლენტეხი და შენი კოლხეთი  
შავი ზღვაც ღელავს ტალღების შფოთვით,  
წამით შეჩერდი, ბატონო შალვა,  
ხედავ ქუდს გიხდის ქალაქი ფოთი.  
ბოდიშს მოგიხდით, ვერ მოვასწარით,  
შენი ოცნების დანაპირები,  
მაგრამ გჯეროდეს, როგორც ფენიქსი,  
კვლავ აღსდგებიან შენი გმირები.

## ჩვენთან ყოფილ ვერ ძღვისძი

(ჯემალ თოფურიას ხსოვნას)

შენ გტკიოდა შენი ფოთი აუტანელ ტკივილით,  
წარსულში ვწერ ამ სტრიქონებს, მომეძალა ტირილი,  
აღნაგობით ლომი იყავ, თან მოგდევდა მხნეობა,  
არ მეგონა ასეთ ვაჟკაცს, რამე მოგერეოდა.  
ჩვენთან ყოფნით ვერ ძღვისძი,  
ზღვისპირას სიარულით,  
გულს მისცემდი, ოღონდაც ჩვენ, გენახეთ მხიარული.  
ბევრ სიკეთეს თესდი მუდამ, როცა უფალს უხმობდი,  
შენს კეთილ გულს, ცხრა ძმასავით ყველა ჩვენგანს უყოფდი.  
რესტორანში გვაქეიფე, როგორ დამავიწყდება,  
ასკინ კილა რომ შეკარით თმადათოვლილ ბიჭებმა.  
ახლა ფოთში გაზაფხულდა, თეთრად ფეთქავს ტყემლები,  
რიონს ერთვის ნაკადულად მოგონების ცრემლები.  
სულში სევდა დაგვიტოვე. სიხარულის მოლოდინს,  
ფოთელების სიყვარულში დაიხარჯე ბოლომდის.  
წლები მიდის, სიჭარმაგემ ბინა სად არ დაიდო,  
ჩვენს გულებში ზიხარ მარად, სიყვარულის რაინდო!

30.V.2014წ

## ცუგზარ ნადარაიას ხსოვნას

სიცოცხლეში შენმა დაუღალავმა შემოქმედებამ ლექსი  
დამაწერინა და დაბადების დღეზე მოგიძლვენი, ხადაც  
ვამბობ:

კაი ყმა  
ფაზისში იშვა კაი ყმა,  
ახლა ბრძენკაცად შემდგარი,  
აკადემიის თავკაცი,  
ამაყი სულით მედგარი,  
მშვიდია როცა კარგ საქმეს  
აკეთებს კაცი ტანსრული,  
ღალატს არავის პატიობს,  
არ გაიკარა მაცდური,  
არ მოიშალა მგლის მუხლი,  
არვის შეარჩენს მტრობასა,  
მამულის ტრთობას არ იშლის,  
ძმობას და მეგობრობასა.  
სადაც კი ხელი შამაწვდა,  
კლდის ქიმზე შედგა მედგარი,  
ახლაც მზადაა ოქროს ვერძს,  
რომ დაადევნოს მდევარი.  
კოლხეთში ვერძი წაგვართვეს,  
ხინჯია წარსულისასა,  
დარდი ფეხდაფეს დამყვება,  
ჰაი, დედასა მტრისასა.  
ხობში ხობისწყალს გაცურავს,  
გუბაზს იგონებს დარდიანს,  
ფოთში ამაყად გაჰყურებს,  
რიონს და ცოტნე დადიანს,

სამშობლოს რა შეედრება,  
 ამბობს - ტკბილია ნექტარზე,  
 „ფესტოსის დისკო“ ახარებს,  
 აღმოჩენილი კრეტაზე.  
 ამაყობს ახლა კაი ყმა,  
 და სიხარულით ივსება,  
 ეს ოქროს დისკო გვაუწყებს,  
 ბევრი არ უნდა მტკიცება.  
 ცივილიზება ამ ქვეყნად,  
 საბერძნეთიდან კი არა,  
 ეს მხოლოდ საქართველოში,  
 კოლხურ მიწაზე იწყება.  
 ახლა აწმყოთი ღონდება,  
 ფიქრით შორსაა წასული,  
 ეამაყება კაი ყმას, ისტორიული წარსული.  
 იგონებს ცოტნე დადიანს,  
 კოხტაგორაზე ნაწამებს.  
 მაღალ ღმერთს შესთხოვს შენდობას,  
 ცრემლი უსველებს წამწამებს.  
 ხელთ ვაზის ჯვარი უჭირავთ,  
 ნინომ რომ ტანჯვით აზიდა.  
 დღესაც დავითით ამაყობს,  
 ქუჯით და ფარნავაზითა.  
 ლაშარის გორზე შამდგარა,  
 დარია თუ ავდარაია,  
 დე, კარგმა ფურმა გაზარდოს,  
 ნუგზარისთანა ხარია.  
 უფალმა დიდხანს გამყოფოს,  
 რომ შეხვდე მრავალ მაისებს,  
 არასდროს არ მოგეშალოს,  
 კოლხური სიდარბაისლე.

პირზე ღიმილი გეფინოს,  
გვირილებად და ვარდებად.  
შენებრ კაი ყმას თუ გაზრდის,  
ერი არ გადაგვარდება.  
იცოცხლე, ვიდრე კოლხეთში,  
ყვავილობს ვარდნი, იანი,  
სანამდის საქართველოში,  
დღე არის ნათელ-მზიანი.  
ვიდრე ბობოქრობს შავი ზღვა,  
ქაფიან მარილიანი,  
კიდევ მრავალ წელს გვენახე,  
სულ ასე ომახიანი.

**შეს დაპადეპის დღეზე ყველანი მხიარულეპი  
ვიყავით, ეს სიხარული მცუხარებამ შეცვალა,  
დასანანია შენიე თარსულში რომ ვნერ:**

ბატონი ნუგზარი ერთ -ერთია იმ უახლოეს წინაპართაგან, ვისი სახელის ხსენებაც სიამაყისა და სინანულის გრძნობით გვავსებს. კაცი, რომელიც უანგაროდ და რუდუნებით, თავ-კაცობდა ფაზისის უძველეს აკადემიას, რომლის სხეულში ბობოქრობდა კოლხური სული, ქართული ტრადიციებით გა-ჯერებული: სიკეთე, სათნოება, გულუხვობა, ხალხის გასაჭირის გულთან ახლოს მიტანა. წითელი ზოლივით გასდევდა მთელი სიცოცხლე მის დაუღალავ შემოქმედებას. უბრალოება, სხვისი ნიჭის დანახვის და დაფასების უნარი იყო მისი ხა-სიათის თანამგზავრი. და რაც მთავარია, ნიჭი სიყვარულისა, რომელიც დეფიციტია დღევანდელ საქართველოში. ბატონო ნუგზარ გვაპატიეთ, ვერ მოგეფერეთ, ღირსეულად ვერ დაგა-ფასეთ შენ რომ გეკადრებოდა ისე. მთელი შენი სიცოცხლე, აღელვებულ სტიქიონთან შებმას გავდა. უფალიც არჩევს ვა-ჟკაცებს სასუფეველში წასაყვანად. უნებურად ხალხური ლე-ქსის სტრიქონები გამახსენდა.

„ნეტა რა ზნე ჭირს სიკვდილსა,  
ვერ მიხვდა ჩემი გონება,  
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,  
რომელიც მოეწონება“.

დასანანია, შენზე წარსულში რომ ვწერ. წათელი არ მოკლებოდეს შენს ლამაზ სულს. შენ, პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებულს, გიძლვნი ამ პატარა ლექსს:

როგორ გტკიოდა შენი ფაზისი,  
დაგქონდა გული ნაიარევი,  
გულსაკლავია კოლხურ მიწაზე,  
ახლა რომ ვეღარ დაიარები.

ცოტნეს არნივი ლაუვარდებს მოწყდა,  
უნდა ნაღველი მკერდით გათელოს,  
ტირის რიონი, ტირის არაგვი,  
შენ რომ დააკლდი მთელს საქართველოს,  
შენ ახლა დგახარ კოხტაგორასთან,  
გულს, რომ გისერავს შორი წარსული,  
იტანჯებიან შენი მოყმენი,  
მათ გვერდითა ხარ შენც თაფლწასმული.  
დგას ძეგლი ისევ კოლხურ მიწაზე,  
მწუხარებისგან ფრთა მოწყდა არნივს,  
კვარცხლბეკზე რაში ვეღარ ჩერდება,  
დედ-მამის საფლავს ცრემლები აწვიმს.  
აკადემიას ვეღარ თავკაცობ,  
ვეღარ იხილავ უძველეს ფერებს,  
მაგრამ ჩვენს გულში ანთიხარ მარად,  
დრო ამ სიყვარულს ვერ შეაჩერებს.

15.V.2022წ.

## შენი როლები ისევ ცოცხლდება

(ოთარ გუნდაძეს)

შენ არ გივიწყებს შენი ფაზისი,  
ზღვა და რიონი ისევ ხმაურობს,  
ტიანშანიდან ედელვაისი,  
ლაქაშებთან რომ კრძალვით საუბრობს,  
შენი სულია, ასე ფაქიზი,  
ფარვანასავით აღვიძებს ყვავილთ.  
შენი როლები ისევ ცოცხლდება,  
და იებივით სცენაზე ყვავის.  
ეჩურჩულება ჭადარი ტირიფს,  
და დიალოგი ჩამესმის ორთა,  
გულით გიგონებთ და ჩუმად ვტირით,  
ჰეი, სადა ხართ! ბატონო ოთარ!  
ისევ სცენაზე ოქროს საწმისით,  
არვის დავუთმობთ კოლხეთში, „არგოს“,  
მარადისობა გადგას გვირგვინად,  
არ გიწერია სიკვდილი კარგო.  
ხელოვნებაა, თავად უკვდავი,  
ისევ ჩურჩული ჩამესმის ორთა,  
კაცურ-კაცობის, ნალდფოთელობის,  
ხარ ეტალონი, ბატონო ოთარ.

## შენ პოეზია გიყვარდა

(ვუძღვნი ზღვაზე დაღუპულ უნიჭიერეს გიორგი ხაბურზანიას).

„ეს რა გიქნია ქართველო კაცო,  
გაგიხვრეტია მუხის კარები,  
კარს იქითა დგას შენი სტუმარი,  
კარს აქეთ შენ ხარ და იმაღები“.  
(გიორგი ხაბურზანია)

როგორ გინდოდა სიცოცხლე,  
და ბედნიერი მამული,  
ბუჩქიც გიყვარდა, ხეებიც,  
ბალახიც გადანამული,  
ლურჯი აპრილი გიყვარდა,  
ვარდისფერ ატმის რტოებით.  
ლადარში გამოხვეული  
ხასხასა ყაყაჩოები.  
გიყვარდა შენი მამული,  
გხიბლავდა მისი წარსული,  
გიყვარდა შენი მთვარე და  
მზე შუბისტარზე ასული.  
ტრფიალის ცეცხლით იწვოდი,  
ნათესავ-ტოლ-მეგობრების,  
ცრემლის თავსხმაში დატოვე,  
გულდათუთქული მშობლები.  
მენამულია ცის კიდე,  
ზღვაა ცეცხლწაკიდებული.  
ზღვაც რომ გიყვარდა და კენჭიც,  
უხმოდ ქვიშაზე გდებული.  
აზვირთებულა შავი ზღვა,  
აქეთ მობლავის რიონი,

ტალღები შავად ბობოქრობს,  
მრისხანებს პოსეიდონი.  
ალბათ იმ წუთში თოლიებს,  
შორეულ გემსაც თვალი ჰყარ,  
ზღვას მეტისმეტად უყვარდი,  
ადგა და გულში ჩაგიკრა.  
დედის ცრემლები ზღვას ერთვის,  
მაგრამ შენ ვერას გებულობ,  
შენ პოეზია გიყვარდა,  
პოეტად დაბადებულო.  
შავად ნუ მოიქუთრები,  
ჩემი მუზების მთა-ველო.  
ის ამაყად დგას პარნასზე,  
და პოეზია მფარველობს,  
ისევ მღელვარებს შავი ზღვა,  
ისევ ბობოქრობს რიონი,  
შენს სულს კვლავ ეპაექრება,  
ვაჟა და გალაკტიონი.  
უკვდავებაში ჩასახლდი  
მუზის ღმერთები გპატრონობს,  
სადაც ბატონობს სიკეთე,  
და პოეზია ბატონობს.  
ჩვენ ათას სანთელს დაგინთებთ,  
უმხურვალესი ლოცვებით  
და რაც დრო გადის გულებში,  
უფრო და უფრო ცოცხლდები.  
ფეთქავს აპრილი ვარდისფრად,  
ლამაზი-ატმის რტოებით.  
შენს დაბადებას ზეიმობს  
ხასხასა ყაყაჩოები.

29.IV.2006წ.

## გაპზარული კედელი

(ვუძღვნი ფოთელ ებრაელს იოსებ შამელაშვილს)

საქართველოს სიყვარულით,  
გულდამწვარო დიდო ერო,  
ქართველ ხალხის გულში ცხოვრობ,  
შენ ქართველო ებრაელო.  
ოცდაექვსი საუკუნე  
გრძელდებოდა ჩვენი ძმობა,  
„აქ ამ, ძმობის მონმედა დგას  
სიონი და სინაგოგა.

(რეზო სახოკია)

ისრაელში რომ წავიდა,  
სახლს კედლები გაებზარა,  
თვალში ცრემლი აკიაფდა,  
ეს კედლები ახლაც მზარავს.  
გაბზარული კედლებიდან,  
ისევ მოსჩანს ძველი სახლი,  
გადაჰყურებს სინაგოგას  
და ცრემლები წვიმად ახლის,  
ჰეი, წაყინი!, ფუნთუშა!  
წაზად ახლაც მესმის ყურში,  
ეს ბავშვობა გაფრენილი,  
თითქოს ისევ იყო გუშინ.  
ქუჩა-ქუჩა ხეტიალით  
წვიმას ბევრჯერ მოუსწრია,  
წაყინს ფულზე კი არ ყიდდა,  
უფულოდაც მოუცია.  
წვრილ-შვილების მეპატრონეს,

ქონდა მართლა დიდი ჯაფა  
ებრაულად შოულობდა და  
ქართულად დახარჯავდა.  
სინაგოგას ახლა თითქოს,  
ებრაელთა ყრილობაა,  
წამწამი რომ ცრემლს ვერ იტევს  
ფოთელების ჭრილობაა.  
გაბზარული კედლებიდან  
მოსჩანს სახლი ებრაული,  
მაგრამ არსად არ გამქრალა,  
ის დიადი სიყვარული.

7.IV.2015წ.

## ფოთოლებს ერთი სიყვარული აქვთ (ლეილა კაკულიას ხსოვნას)

ჩემო ლეილა, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო, ბავშვობა და სტუდენტობა ერთად გვიტარებია, უშენობა წუთითაც ვერ წარმომედგინა. ინსტიტუტში ერთად ვუსმენდით გამოჩენილი ადამიანების ლექციებს. ერთად მივსალმებივართ პოეტებს: იოსებ ნონეშვილს, გოგლა ლეონიძეს, გალაკტიონს, შალვა ნუცუბიძეს შალვა დადიანს და სხვა მრავალ თვალსაჩინო მოღვაწეს, შენი ქალაქი და თანაქალაქელები თავზე მეტად გიყვარდა. “ფოთოლებს ერთი სიყვარული აქვთ” ეს ტერმინი შენ გეკუთვნის, რომელიც ყველა ფოთოლმა დევიზად გაიხადა, მეც ავიტაცე და ლექსიც გიძლვენი, რამაც ძალიან გაგახარა:

ლაშარის ჯვარი ვერ დააკავებსო ქალს,

ამბობენ თუ კი გაგულისდა,

ეს გული ნაკუნ- ნაკუნ უნილადე სხვას,

და მაინც ზღვა გულის ხარ.

ტიმ სევერინსაც შემურდა შენი,

რომ ჩამოაცურა “არგო”.

“ფოთოლებს ერთი სიყვარული აქვთო”-

შენგან გაუგიათ კარგო.

თავად ჩითის კაბით გაგივლია,

სხვებისთვის ჩაგიცვამს ფარჩა.

სიკეთის მანტია ყველასთვის შეგიკერავს,

შენთვის მტკაველიც არ დაგრჩა.

ჯილდო კი მღელვარე გულის კაკუნია,

ათასი ფიქრი და გარჯა.

სხვა ჯილდო არ უნდა ლეილა კაკულიას

ფოთოლთა სიყვარულის გარდა.

დაბადების დღეს გილოცავ იმიერში ჩემო ფასდაუდებელო მეგობარო, ბუმბულად გექცეს საქართველოს მრავალჭირ-ნახული მიწა.

**კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს**  
**(ფოთელების საუკეთესო მეგობარს, ბეჭან ჯალალანიას)**

შენ დადიოდი ამაყად,  
გჭირდა სიკეთის მანია,  
ფოთში ბავშვიც კი იცნობდა  
ბეჭანი ჯალალანიას.  
ავიკაცების მფარველად,  
აროდეს იყავ წამსვლელი,  
არ გაკლდა თანამდებობა  
და კარგი კაცის სახელი.  
არასდროს არ იღლებოდი,  
არვინ გხედავდა მოთელილს,  
შენ მეგობრები გიყვარდა,  
გიყვარდა ყველა ფოთელი.  
იცავდი ყველგან სიმართლეს,  
გულს სიყვარული ჩაგკვრია,  
მართალი კაცი, - საწყალი,  
არასდროს დაგიჩაგრია.  
არ ქედმაღლობდი არასდროს,  
სახე ლიმილს რომ აფრქვევდა,  
ქუდს მოიხრიდი კაცურად,  
და სალამს ვინ დაგასწრებდა.  
ფოთში ყველა ვინც გიცნობდა,  
ცხარე ცრემლებით დატბორე,  
გნატრობს ლამაზი მეუღლე,  
ნაადრევად რომ დატოვე.  
შენი ვაჟკაცი ბიჭები,  
მწუხარებისგან იწვოდნენ.  
არასდროს გიღალატებენ,  
გასახელებენ იცოდე.

ქალიშვილს გული ატკინე,  
გაჩენილს ატმის კვირტიდან,  
შენთან ხარობდა ნეტარად,  
ცაში ვარსკვლავებს ითვლიდა.  
კოლხური ზეცის ლაშვარდით,  
ჩიტი გალობდა ღაბუა,  
შვილიშვილებთან ხარობდი,  
თავგადაკლული ბაბუა.  
პირჯვარს იწერდი ტაძარში,  
დილით ცისკარზე დგებოდი,  
ღმერთო, მამული მიცოცხლე,  
დაჩოქილს ეუბნებოდი.  
შენით თემიდას სასწორი,  
არ გადახრილა აროდეს,  
ნათელში იყავ იმ ქვეყნად,  
მარად უფალი გწყალობდეს.

8.V.2024წ.

\* \* \*

გვიმღერე რამე, ჩვენო მაესტრო  
(გია ჯანელიძის ხსოვნას)

შემოიჭერი როგორც სიზმარი,  
ხმებით ძლიერით უმხურვალესით,  
გიყვარდა ყველა, ჩვენში ვინც არის,  
მხატვრის ფუნჯით თუ ლამაზი ლექსით,  
შენ დაგეღალა ძლიერი ხელი,  
რამდენს იტანდი იცოდა ღმერთმა,  
გილლრნიდა ფილტვებს ძლიერი სენი,  
და ვერ ბედავდი ვინმესთვის გეთქვა.  
შენ მოეკვეთე ფაზისის მიწას,  
შენ ხომ შვილი ხარ და სისხლი მისი,  
სატანა სენი ძარღვებში იწვა,  
და წვეთ-წვეთობით გაგიშრო სისხლი.  
ჭირშიც და ლხინშიც,  
ყველგან, ყოველთვის,  
საყვარელ ქალაქს ედექი გერდში.  
ასე მგონია ჩემო მაესტრო,  
სიკვდილი, მხოლოდ ვაჟკაცებს ერჩით.  
ტირის შავი ზღვა, რიონიც ტირის,  
ტირიან ქვები ნაპირს რომ ყრია,  
როგორ გავუძლოთ დღეს ამდენ ტკივილს,  
იქნებ გვასწავლო ბატონო გია.  
ატირდა შენი მიწაც და ყორეც,  
და ყველას გული ამის მნახველმა,  
ჩქარა გვიმღერე რაიმე, თორემ,  
შენი დუმილი გულზე გაგვხეთქავს.  
გვიმღერე რამე ჩვენო მაესტრო,  
დღე იქცა ახლა უკუნეთ ღამედ,

ისევ მომართე ჩონგურის სიმი,  
და შენებურად გვიმღერე რამე.  
ტირის დღეს შენი დედა ფაზისი,  
დატოვე სევდა ჩაუქრობელი,  
შენ ვერ დაგათრო ვერავინ ქვეყნად,  
სიმღერითაც ხარ დაუთრობელი.  
მიდიხარ უხმოდ, შენ არ გჩვევია,  
ჰანგი, რომელსაც დუმილი ახლავს,  
საგზლად მიგყვება ზღვა სიყვარული,  
და ყველას გულში გვიზიხარ ახლა.

12.II.2022წ.

## ფოთი და ფოთიკები

\* \* \*

თუ ჩემს ფოთელებს არ მოვეფერე,  
ვის მოვეფერო სხვას,  
ჩემი რიონი, პალიასტომი,  
კაპარჭინა და ზღვა,  
გავს მოლივლივე ცელქი ტალღები,  
ქვიშასთან ჩახუტებულ ქალს,  
როცა შორიდან ელაციცება  
და არ აშორებს თვალს.  
ქვიშა გიჟური ვნებით დამცხრალა,  
მღელვარებს პირქუში ზღვა,  
მე სადღეგრძელოს ამ სიყვარულის,  
ნიჟარის ფიალებით ვსვამ.  
თუ ჩემს ფოთელებს არ მოვეფერე,  
ვის მოვეფერო სხვას.

## პაცი საქმის და სიტყვის

(გია დარჯანიას)

წარდგენა მას არ ჭირდება,  
გამოირჩევა ნიჭით,  
ერთხელაც არ უცხოვრია,  
ღალატით, ცრუ ნაბიჯით.  
ტაძართან მიდის მისი გზა,  
ტოლ-მეგობრებთან იღწვის,  
საქმეში ბნელსაც გააპობს,  
ფეიერვერკად იწვის.  
ლეგენდარული თამადა,  
ზღვა სიყვარულის ბიჭი,  
რომში კეისარს დაჩრდილავს,  
ორატორული ნიჭით.  
ღმერთმა კეთილად ატაროს,  
კაცი საქმის და სიტყვის.

## გურიის მთეპში ფესტივალი

(საპატიო ფოთელთა - (მოქალაქეთა)  
ასოციაციის დამფუძნებელ თავმჯდომარეს გოგი გუდავაძეს)

ნაბეღლავიდან ორბი აფრინდა,  
ვერ უპოვია ბინა ბეღურას,  
ბახმაროს მთებზე დაუთოვია,  
აგუგუნებენ ხასანბეგურას.  
შენ სიყვარულის გულუხვო კაცო,  
შემოგივლია ქართლის მთა-ველი,  
საქართველო შენი სამოთხე  
და გიყვარს მისი თითო მტკაველი.  
ლხინში აავსებს პირთამდე ჯამებს,  
სახურავს მოხდი ქვევრებს ნამიანს,  
ტოლ-მეგობრებში როცა ქეიფობ,  
ამბობ დამისხი, ჩემო ძამია.  
მზე შუბისტარზე ისევ გაგორდა,  
მზემ ქარვა ღვინო ხომ არ დალია?!  
შენ გული ჩადე სითბოთი სავსე,  
გული კი არა ნაღვერდალია,  
გულზე მალამოდ რომ გეპურება,  
ნაბახუსევზე ნაბეღლავია.  
ქველმოქმედება ისე გამშვენებს,  
როგორც ხარ-ირემს ბახმაროს მთები,  
და ისე გიყვარს ყველა ფოთელი,  
იმათ სატკივარს უთქმელად ხვდები.  
გურიის მთებში აიდგი ფეხი,  
მათი დანახვა ისევ გწყურია,  
გულით დაგლოცავს ჩოხატაური,  
ნაბეღლავი და მთელი გურია.

9.XI.2024წ.

## ნუთს არ ჩერდები ჩქარობ

(ვუძღვნი დოდო ხუბიას, ფაზისის  
აკადემიის ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელს)

ლიხს აქეთ ხარ, თუ ლიხს იქეთ,  
წუთს არ ჩერდები, ჩქარობ,  
სიყვარული რომ გამხდარა,  
შენი სიკეთის წყარო,  
ლოცულობ ლამაზ ტაძარში,  
ყველა ფაზისელს ყვარობ,  
წამოგეზარდნენ მართვენი,  
მათი სიკეთით ხარობ.  
ენთუზიაზმით მუშაობ,  
სხვა არ მოგსვლია აზრად,  
ფაზისის აკადემია,  
შენ მიგაჩნია ტაძრად.  
მზე შუბისტარზე ასულა,  
კოლხი მზე, სხვისი არა,  
აქ ერთად რომ ვიკრიბებით,  
ზღვა სიყვარულად კმარა.  
ვერ ვთვალე შენი სიკეთე,  
რაც უნდა ბევრი ვთვალო,  
მხეიძეების იმედი,  
ღმერთმა არ მოგიშალოს.

## გაზეთი, „ნიკოლაძის გზით“

(ზურაბ აბრალავას და ვანო ნარმანიას)

როცა გიყურებთ მგონიხართ ძმები,  
შეგყარათ მზემ და სევდამ ათასმა,  
დე, ყველგან იყოს ასეთი ძმები,  
„ღმერთით ერთი და დედით სხვადასხვა“.  
თქვენ ნიკოლაძის ნაკვალევს მისდევთ,  
როგორც თოლიას ტალღების შფოთი,  
შიგ, საგულეში ბაჯაღლო გიდევთ,  
ზედ ანერია ქალაქი ფოთი.  
ბოროტებასთან გქონდათ დიდგორი,  
მაგრამ მაცილმა ვერ დაგამარცხათ,  
თქვენი კალამი - ბასრი მახვილი,  
ისევ მოქმედებს ტყვიაზე სწრაფად.  
მასმედიასთან დავაუკაცებულთ,  
შემოგეპარათ ისე სიბერე,  
თქვენ ის ხალხი ხართ, სადაც არ იყოთ,  
სხვის დაკრულზე რომ აღარ იმღერეთ,  
გულს ნუ გაიტეხთ, დრო ისევ მოვა,  
და მოიშუშებთ ყველა იარებს,  
ნუ შეგაშინებთ რეგვენთა ხროვა,  
ნინ ნიკოლაძის გზებით იარეთ.

8.7.2011წ.

\* \* \*

ნაპერწკლიდან ცეცხლს ანთებდი,  
გეძებ, ნეტავ სადა ხარ?  
თუ სიმართლემ გაიმარჯვა,  
მოწყენილი რადა ხარ?  
შენს მტრებს დედა რომ უტირე,  
განა გმირი არა ხარ?  
ნიკოლაძის გზით მიდიხარ,  
ზურაბ აბრალავა ხარ!

## პალიასტომზე ღალღა აფრიდა

(ვუძღვნი ჩემი სიყრმის მეგობარს,  
პოეზიის მოტრფიალეს გულიკო იმნაძეს)

არ გიფიქრია შენ სხვაგან ყოფნა,  
შენი მთვარით და შენი მზით ხარობ,  
შენ მერლინ მონრო რას შეგედრება,  
უკეთესი ხარ, ქართველო ქალო!  
ასე რომ გიყვარს შენი მამული  
და სიდიადე გოლიათ მთების,  
კორდი, ბალახით გადანამული,  
იქ ყვავილების სურნელით თვრები,  
შენი ოთახის ღია ფანჯრებში,  
საკენკს დაუყრი მშვიდობის მტრედებს,  
შენ სამოსახლოს სიცოცხლით ავსებ,  
და ყველა სულდგმულს აძლევ იმედებს.  
შენ პატარების დასტაქარი ხარ  
ამზადებ ალბათ სპორტულ ლელოსთვის,  
კვლავ შევძლოთ ფეხზე მაღლა დადგომა,  
ანრობ, აკაუებ საქართველოსთვის,  
პალიასტომზე ღალღა აფრინდა,  
და თოლიამაც გაშალა ფრთები.  
მოგნატრებია შენი ქლაქი,  
და ყოველ ცისკარს ღიმილით ხვდები  
შენ პოეტი ხარ, ჩემო ძვირფასო,  
გადარებ ახლა ვაჟას მინდიას,  
ვაჟას შვილი ხარ თუ შვილიშვილი,  
დიდხანს ვფიქრობ და ვერ გამიგია.  
დიდხანს მინდა რომ მყავდე ჯანმრთელი,  
ტრადიციულად და თვალსაჩინოდ,  
მშვიდობა იყოს ყველგან ყოველთვის,  
და სიყვარულმა გადაგვარჩინოს.

15.X.2024წ.

## ၁၉ ဝေဒပေါက်မြို့ ရှာချုပ်ခွဲ

(კუძლვნი ჩემი ბავშვობის მეგობარს, -  
ულამაზეს ლუარა გორდიელის).

არ იფიქრო დამავინებდი კარგო,  
შენი სახე თვალნინ მიდგას ახლაც,  
იმ ბავშვობას მივსტირო და გნატრობ,  
წამწამებზე ცრემლები რომ ახლავს.  
ის ლუარა მაგონდები ისევ,  
ყელყარყარა, როგორც თეთრი გედი,  
სადაურსა სად წაიყვან ღმერთო,  
ან ვის როგორ გაულიმებს ბედი.  
დრო და სივრცე გაიყარა შორით.  
წლებმა მაინც თავისი გაიყო.  
ჩვენც ვიყავით ლამაზები, მაგრამ  
შენისთანა არავინ არ იყო.  
მაგონდება შენი სიკისკასე,  
სიამაყით რომ გეჭირია თავი,  
ყველა კაბა გიხდებოდა ტანზე,  
ზამბახს გავდი აპრილში რომ ყვავის,  
ალუბლები ასკდებოდა ტუჩებს  
ირხეოდი როგორც იალქანი,  
მიდიოდი, ამშვერებდი ქუჩებს.  
კვიპაროსის მოქნეული ტანით.  
შენ ტოლებში-იყავ თეთრი ვარდი.  
გიხდებოდა საოცრად სიცილი,  
რამდენ ვაჟეაცს კლავდა შენი დარდი,  
გაუტეხე რამდებს ღამის ძილი.  
მინდა ჩემში ისეთივე დარჩე,  
მენატრები და მერედა როგორ,

ისევ ისე ყელყაყრარა გედი,  
და წკნელივით მოქნეული გოგო,  
ზღაპრულ რაშით გაფრენილა წლები,  
ოცნებებით დავრჩი თავთან მარტო,  
მე კი ისევ გლოცავ, გეფერები  
და შორიდან გილიმი და გნატრობ.

7.VIII.20016.

## ପୁରୁଷ କାଳ ଧରଣି ମହାତ୍ମା

## (ნონა ჭანტურიას)

დაბადების დღეს გილოცავ,  
მეუღლეს, დედას, ბებიას,  
ოჯახის სითბო, სილალე,  
უხვად რომ დაგბედებია,  
სულ ციბრუტივით ტრიალებ,  
რომ საქმეებით გაერთო,  
ნეტავი როდის იძინებ,  
ანდა თუ გძინავს საერთოდ?!  
ფიგაროსავით გარბისარ,  
არ ტოვებ თბილისს, ნაბადას,  
ასეთი მოუსვენარი,  
ნეტავ რა დედამ დაგბადა.  
ქართლშიც მიგინვდა ხელები,  
ნაღვერს ესტუმრე სარფიანს,  
შვილიშვილებმა გასწავლეს,  
ქართლოსის გეოგრაფია,  
ხარ ჰიგიენის მოყვარე,  
იხვივით სულ ჭყუმპალაობ,  
ათი ონკანი არ გყოფნის,  
ოცზეც არ იტყვი კმარაო.  
ბურჯი ხარ დიდი ოჯახის,  
სტრატეგიულად მმართველი,  
ყოველ დღე ჭანტურიებმა,  
უნდა დაგინონ სანთელი,  
შვილები გამშვენიერებს  
შვილიშვილებთან ერთადა,  
„ლამაზად შვილის გამზრდელი

დედა მიცვნია ღმერთადა“.  
 სიძეებიც რომ შეგშვენის,  
 არ ვამბობ სიტყვას ცარიელს  
 ლევანს ავთანდილს ვადარებ,  
 ირაკლის კიდევ ტარიელს.  
 არა მგონია ნუგზარი  
 სხვის ჩანგებზე რომ უკრავდეს,  
 ვაჟიშვილები რომ ყავდეს  
 სიძეებივით უყვარდეს.  
 გვახარებს ახლა ქეთინო  
 მარი, დემეტრე, ილია  
 ნიკუშა ძალზე გვახარებს,  
 მათი უიგილ-ხივილია.  
 ხარ გამრჯე კაცის მეუღლე  
 „ლაფშა ლაგამის მკვნეტავი“  
 ასეთი ოჯახის თავი  
 ყველას ყოლოდეს ნეტავი.  
 თბილი ხარ, მოსიყვარულე,  
 ამპარტავანი სულ არ ხარ,  
 კეთილშობილო, ამიტომ  
 ყველა მეზობელს უყვარხარ.  
 დების და ნათესავების  
 მუდამ გვერდში ხარ დამდგომი,  
 ვენაში წამლის შეყვანის  
 და ყველას წნევის გამზომი.  
 ახლა ერთს გეტყვი ნუ მიწყენ,  
 სიყვარულით და აგზნებით,  
 რჩევად მიიღე სიტყვები,  
 ოლონდ ნუ გამიბრაზდები.  
 ვიცი რომ გადაიღალე,  
 წლებიც რომ შეგმატებია,

შვილიშვილებზე მზრუნველი,  
თავგადაკლული ბებია.  
ილოს ძამიკო რომ უნდა  
არ გვასვენებენ ფიქრები,  
ხატიას ხელს თუ შეუწყობ  
გმირი ბებია იქნები.  
ოი, რა მშვიდი დილაა,  
ზღვაზე დამდგარა ნისლია,  
წუთით რომ აღარ გასვენებს  
შენი კოლხური სისხლია.  
ამ ოჯახის წყალობაა,  
მტერს ლხინი რომ არ აჩვენა  
შენ კი შვილიშვილთა გაზრდამ  
კიდევ უფრო დაგამშვენა.  
ღმერთო, უმრავლე ჩვენს მამულს  
ერთი მილიარდ ოთხასით,  
ქართული ტრადიციებით  
დამშვენებული ოჯახი.  
დაბადების დღეს გილოცავ  
მეუღლეს, დედას, ბებიას,  
ოჯახის სითბო, სილალე,  
უხვად რომ დაგბედებია.  
მუხლმოუხრელად მშრომელო,  
არ დამდგარხარ არვის მონად,  
მოტომ გსახავ, ჩემო კარგო,  
ქართველ ქალის ეტალონად.  
ქალი ერის ბურჯიაო,  
სიამაყით უთქვამთ ძველებს,  
გლოცავ შენს ოჯახთან ერთად  
ილხინე და იდლეგრძელე!

## პაპარზინაზე მიცურავდა პატარა ნავი (კუძღვნი სიყრმის მეგობრებს ლილი და კუსიკო სიორიძეებს).

ნაცნობ ქუჩაზე მინდა გავყვე მიმავალ ბილიკს,  
ისევ ჭადრები მიტაცებს და ლეღვის ხის ჩრდილი.  
ხეზე ავიდე და ვიყვირო რიურაჟზე დილით.  
გამოდით გარეთ, ვითამაშოთ კუსიკო, ლილი!  
ერთად ვიყავით ოჯახები, დარში თუ ქარში,  
თითქოს შემოვა დედაჩემი და სუფრას გაშლის.  
პორფილე ბაბუ მახსენდება სასხლავით ხელში,  
მწიფე მტევნები რომ მოქონდა- „კაჭიჭის“ თევზით.  
ბალჩაში მდგარი სურნელება ახლაც გულს ატანს.  
ბავშვურ სიგიშით ვაცხრებოდით უმნიფარ ატამს.  
კაჭიჭის ლვინო შინაური, რომ გვქონდა ბევრი,  
შიგ მზე ცურავდა, გვატყვევებდა ანკარა ფერი.  
სიტყვის უთქმელად დაგვიცლია ხელადის ფსკერი,  
და მთასვლელივით დაგვიპყრია მაღალი ჭერი,  
ხან ვკინკლაობდით, (ლილი იყო სულ ბუნტისთავი),  
ხან ვრიგდებოდით, იყო ზოგჯერ ბავშვური ზავი.  
ზოგჯერ დაღლილებს, აღარაფრის არ გვქონდა თავი.  
კაპარჭინაზე მიცურავდა, პატარა ნავი.  
გულზე მაწყვია ეს ბავშვობა და მასზე ვთიქრობ.  
უთქვენოდ სახლი ცარიელი გულია თითქოს.  
რაჭის ქუჩაზე სხვა თაობა, სხვა სახლი ირგვლივ,  
ჩამნკრივებულა დაშაქრული ხეხილთა რიგი.  
ჩავივლი ზოგჯერ, ნოსტალგია შიგ გულში მატანს,  
მინდა შლეგურად დავეწაფო უმნიფარ ატამს.  
პარკის უბანში მინდა გავყვე მიმავალ ბილიკს,  
ისევ ჭადრები მიტაცებს და ლეღვის ჩრდილი.  
ხეზე ავიდე და ვიყვირო სისხამზე დილით,  
გარეთ გამოდით, ვითამაშოთ კუსიკო, ლილი!  
ო, რა ტკბილია მოსაგონრად ბავშვობა თბილი.

15.VI.2008წ.

## ერთი იყავით - განუყოფელი

(ვუძღვნი 50-იან წლებში ქალაქ ფოთში მცხოვრებ ინუინ-ერი ძმების გრიშა, ვანო და კაკო იმნაძეების ხსოვნას. რო-მელთა თაოსნობით ქალაქში არაერთი ლამაზი ნაგებობა აშენებულა, რომელიც დღესაც ალამაზებს და ნირშეუცვ-ლელად ამშვერებს ქალაქს).

სევდიან ფიქრმა გადამიარა,  
ახლა კადრივით რომ გაიელვეს,  
ფოთში შენობებს ნაზად მოხატულს,  
ვდგავარ და ისევ ვათვალიერებ.  
შუა მოედნის მოხატულ მინდორს,  
ეცვლება ნირი უცნაურ ფერთა,  
თქვენ ძმები ფოთზე ზრუნავდით იმ დროს,  
ყველაზე ახლოს იყავით ღმერთან.  
მე კაპარჭინის შინდისფერ ნაპირს,  
მიგდებულ ნავს და მეთევზის ბადეს.  
ახლა მივსტირი იმ ცისფერ აპრილს,  
რომელიც ჩემში სინანულს ბადებს.  
ვგავარ ბოგანოს და ტყვიადახლილს,  
კაპარჭინაში მიცურავს ტივი,  
გაფითრებულა დღეს ყველა სახლი,  
რადგან აქ ჩემი ბავშვობა ტირის.  
მე ვეფერები, ახლა თქვენს ნადგომს,  
ხეზე შერჩენილ მერცხლების ბუდეს,  
მე ვეფერები იმ დიდ სიყვარულს,  
არასოდეს, რომ არ ჰქონდა ზღუდე.  
ერთი იყავით - განუყოფელი,  
ლამაზ დღეებით, ლხინით და გლოვით,  
ერთად განლიეთ წუთისოფელი,

ალუბლების და ტყემლების თოვით.  
თქვენი ხელებით დადებულ აგურს,  
ვადარებ ახლა მოხატულ ფრესკას,  
მე ვეფერები ქალაქის ქუჩებს,  
და ხელით ნაგებ შენობებს თქვენსას.  
მოგონებები, თოვლივით მათოვს.  
და ჩემი სიყრმე შორიდან მდერის.  
მე, დღესაც მიყვარს თქვენი ღიმილი  
და გამოხედვა არნივის ფერი.  
ღამე პინდისფრად შემოდის ჩემში.  
წვიმა მისერავს სახეს ირიბად,  
თქვენ მაგონდებით დაღლილი ძმები,  
ჩემთვის ვზივარ და ზოგჯერ ვტირივარ,  
მე ვეფერები ახლა თქვენს საფლავს,  
ია-იებით მოხატულ მინდვრებს  
ხსოვნას, რომელსაც ნათელი ახლავს,  
სანამ ვცოცხლობ და ვარსებობ ვიდრე.

15.V. 2015.

## გაქვს ფოთელობის ძლიერი გაცდა

(ვუძღვნი ფოთელ ბიზნესმენს თენგიზ სარიშვილს)

სალოცავს იცავს, მორწმუნე, მკაცრი  
ტაძარს მაცილი რომ აარიდოს.  
სიკეთისათვის ხარ მოსული კაცი.  
ბოროტებას რომ აღარ დაინდობს.  
შენ ქუდი გხურავს ცოტნეს და დაჩის,  
და ხარ ჯილაგი ძლიერთა კაცთა,  
კოლხი იყავ და კოლხად დარჩი,  
გაქვს ფოთელობის ძლიერი განცდა.  
მლერის რიონი ტალღების ჩქამით,  
მზე სიკეთეს ღვრის-სხივთა მთოველი,  
ზღვაზე ქვიშაც კი ამლერდა წამით,  
რადგან სიკეთეს შენგან მოველით.  
ქველმოქმედება მადლია დიდი,  
უზენაესის კანონის ძალით,  
გვამძიმებს ყველას ცხოვრების ზვირთი,  
რომ ვიქონიოთ იმედი ხვალის.  
შენ ოდაპალე დაგლოცავს გულით,  
სიცოცხლე კაცს ხომ ეძლევა ერთი,  
კაცობა მარტო არ არის ფული,  
და სიკეთისათვის გფარავდეს ღმერთი.  
შენ ქუდი გხურავს ცოტნე და დაჩის  
და ხარ ჯილაგი ძლიერთა კაცთა,  
კოლხი იყავ და კოლხი დარჩი,  
გაქვს ფოთელობის ძლიერი განცდა.

23.VI.2012.

## არ გიძებნია სამოთხე სხვაგან

**(ვუძღვნი ჯუკა კუხალეიშვილს)**

ქარიშხალია ჩაუშვეს ღუზა,  
 გულში შეჭრილა ტალღების შფოთი,  
 ფოთია ყველა სიკეთის მუზა,  
 რადგან ყველა გზა ტაძართან მოდის.  
 რიონის ბერებს ყურს უგდებ მყივანს,  
 ფიქრით წარსულში გინდა დაბრუნდე,  
 ყველაზე მეტად ფაზისი გტკივა,  
 ისევ ხმაურობ რომ არ დადუმდე.  
 დუღს შენს ძარღვებში კოლხური სისხლი,  
 თუმცა ჭაღარა ნიშნავს არაფერს,  
 მამული გტკივა წვეთ-წვეთ და მისხლივ,  
 მამულზე ფიქრი გალაპარაკებს.  
 არ გიძებნია სამოთხე სხვაგან  
 და, „ოდაბადეს“ უმზერ ნისლიანს,  
 სხვის სრა-სასახლეს უარყოფ, რადგან,  
 ფოთში ქოხს ირჩევ-ფაცხას ნისლიანს.  
 თავს დასტრიალებ მშობლიურ კერას,  
 თავსხმა ფოთური და სიცხე გდაგავს,  
 კოლხური ჰანგის გათრობს სიმღერა,  
 რადგანაც იგი არავის არ ჰეგავს.  
 ღმერთს ევედრები ადგომის უმაღ,  
 პირჯვარს იწერ და ისევ ლოცულობ,  
 სიკეთეს თესავ ჩვენგან იდუმალს,  
 შენ სიყვარულით გარემოცულო.  
 ზღვაზე ფრთებს გაშლის თეთრი თოლია,  
 გემის ანძაზე რომ არხევს აფრებს,  
 შენ სიყვარული გამოგყოლია,

აფერუმ გულში რომ იტევ ამდენს.  
ქარიშხალია, ჩაუშვეს ღუზა,  
გულში შეჭრილა ტალღების შფოთი,  
ფოთია შენი სიკეთის მუზა,  
რადგან ყველა გზა ტაძრიდან მოდის.

5.I.2012წ.

## შენი პრალია ასე რომ მიყვარხარ

„24 თებერვალი თენდებოდა, როცა ერთმა ჩვეულებრივმა ზარმა ჩემი ცხოვრება რომ შეცვალა, შენ ამ დროს სამუდა-მოდ წახვედი ჩემგან, გიფიქრიათ რა არის საშინელი სამუ-დამოდ განშორებისას? იქნებ უთქმელი სიტყვები-მომავლის წუთებზე, ფიქრი ჩვენთის ძვირფასი ადამიანების გარეშე, გაუსაძლისი მონატრება, მათი ვერ დანახვა? ვეღარ შეხება? არა, ამქვეყნიურ განშორების სიმწარეს მხოლოდ სიტყვა, „სამუდამოდ“ ამძაფრებს.

მე მხოლოდ შენს გარეშე ცხოვრება მეშინოდა, ახლა კი, როცა შენს გარეშე აღმოვჩნდი, შიშიც ბევრია, მაგრამ შენ გამო მე დღესაც ვსწავლობ ცხოვრებას, სადაც შენ აღარ ხარ, სულ შენი ბრალია ასე რომ მიყვარხარ, სულ შენი ბრალია ჩემო საფიცარო სამოთხევ“.

ეს სიტყვები ულამაზეს მარიამ მილორავას ეკუთვნის, რო-მელსაც ჯუკა ბაბუას გარეშე წუთიც ვერ წარმოედგინა ყოფ-ნა. ბაბუა და შვილიშვილის სიყვარულის თემა ამოუწურავია, მე არაერთი ნოველა და მოთხოვნა წამიკითხავს, მაგრამ ჩემი თვალით დანახული და მოსმენილი სულ სხვა სიმძაფრით შე-ვიგრძენი.

ჩემო მარი! ჯუკა ბაბუას ძლიერ უხაროდა შენი წარმატება, როცა შენს საქებარს ვიტყოდი (მე ფოთის მე-5 საჯარო სკო-ლაში წლების მანძილზე ვასწავლიდი) რამოდენიმე წელი კი მე და ბატონი ჯუკა ერთად ვთანამშრომლობდით. ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვაკავშირებდა ფოთის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენითი სამუშაოები და მისი პრესაში გამოქვეყნება, და ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. როგორ ხარ-ობდა, როცა შენს საქებარს ვიტყოდი, სიხარულით თვალები გაუფართოვდებოდა და ხელზე მეამბორებოდა. რამდენი რამ ახარებდა, არა მარტო შვილების და შვილიშვილების, არამედ

ყველა ფოთელის წარმატება უხაროდა. ამდენი სიყვარული გულმა ვერ დაიტია, ველარ გაუძლო და სამუდამოდ დაგვტოვა. ზღვა სიყვარულის კაცო, ვიცი ახლა იმქვეყნად როგორ გაიხარებდით მარიამის ბედნიერებით. ახლა იქ, სამუდამო სასუფეველში მეგობრებთან ერთად აღნიშნავთ ამ სასიხარულო თარიღს. გილოცავ ბატონო ჯუკა ამ ბედნიერებას, რომელსაც შენ ვერ მოესწარი, ცოცხალი რომ იყო გულწრფელად იტყოდი - „გილოცავ ბაბუა, ბედნიერ დღეთა სიმრავლე არ მოგშლოდეს“, ამინ ბატონო ჯუკა!

ჩემო საყვარელო მარიამ! ძნელია იყო ასეთი მზრუნველი, საყვარელი ბაბუას გარეშე, ფიზიკურად ვერ ხედავდე, მაგრამ ის ყოველთვის შენთანაა-შენს გვერდით. იმ ქვეყნიდანაც გლოცავს, აგიხდა კიდეც, ამ ლოცვამ ბედნიერება გაპოვნინა ჩემო მარი! მეც ვუერთდები ყველა შენი მეგობრების და შენი კეთილი მსურველების მოლოცვას და გიძლვნი პატარა ლექსს.

## გედიორ იყავ ჩემო პრიცესა

(მარიამ მილორავას)

პატარა გოგო მიყვება ბებოს,  
კიკინა-ბაფთით, შეკრული თმებად,  
თვალს გააყოლებს კაცს სანაქებოს,  
სიხარულით რომ გაზაფხულს ხვდება.  
ბედნიერების ეს სიხარული,  
მოულოდნელი და უეცარი,  
ალბათ იმქვეყნად დაიდებს ბინას,  
და შეფრინდება როგორც მერცხალი.  
დღეს მაინც ბურავს შენს თვალებს ნისლი,  
რომ ვეღარ მალავს ცრემლსა და დარდებს,  
გულს გიღრნის სევდა არდავიწყების,  
გსურს ჯუკა ბაბუ ღმერთივით გწამდეს.  
მაგრამ მიენდე ახლა მზეჭაბუკს,  
სიკეთე შეგხვდა რაც დაგითესავს,  
გულს უხარია, შეხვდი შესაფერს,  
ბედნიერ იყავ, ჩემო პრინცესა!  
იმქვეყნად ხარობს დღეს ჯუკა ბაბუ,  
შენ რომ გიყვარდა ასე ძალიან,  
აქ გაახარე დედ-მამის გული,  
დალოცვილ იყავ ჩემო მარიამ!

24.X.2024წ.

## ღირსეული კაცის საქმეები გრძელდება

(გიგა კუხალეიშვილს)

როდესაც ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებას ვესწრებოდი, რომელსაც შესანიშნავად უძღვებოდა ნიჭიერი ახალგაზრდა-ენთუზიაზისტი გიორგი ფარეშიშვილი გული სიამაყით მევსებოდა, რამდენი უშრომია სარეადაქციო ჯგუფს. განსაკუთრებული მადლიერებით ავივსე გამოცემის მხარდამჭერების მიმართ, რომელსაც, „ჯუკა კუხალეიშვილის ფონდი“ ჰქვია. იმ წუთებში გიგა კუხალეიშვილს წიგნი, „ფაზისიდან ფოთამდე“ ხელთ არ მქონდა, რომელსაც მან ღირსეული მამის, - ფოთელების უსაყვარლესი პიროვნების გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ხსოვნას მიუძღვნა, მაგრამ ხელთ მეჭირა წიგნი ქართველი პოეტებისა -სკოლის დამთავრების დროს ბოლო ზარზე გიგამ რომ მისახსოვრა, რომლის წინა ფურცელზე ეწერა -

„საყვარელო ლუიზა მასწავლებელო! დღეს 25 მაისს (მაშინ სწავლა 25 მაისს მთავრდებოდა) უკანასკნელი ზარის შემდეგ მიიღე ჩემგან კეთილი გულით მოძღვნილი ეს უმცირესი საჩუქარი, არასდროს დავივიწყებ ამ დიდ ამაგს, დედის გულივით, საკუთარი შვილივით წლების მანძილზე ჩემს მიმართ რომ გასწიეთ, არასოდეს დამავიწყდება თქვენი სითბო, სიყვარული და თქვენი დიდებული გაკვეთილები, რომებიც გზას გვინათებდნენ ყველგან და ყველაფერში.

დიდი სიყვარულით გიგა კუხალეიშვილი

25.V.1981წ.

## დაგვიანებული მაღლობა ჩემო გიგა ამისთვის!

ბატონებო და ქალბატონებო, ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე არ მახსოვს მასწავლებელი რომელიმე მშობელს ისე დაეფასებინოს, როგორც ეს კუხალეიშვილის ოჯახმა დააფასა.

ბატონმა ჯუკამ-ოჯახის თავიაცმა, მისი ვაჟიშვილის გიგას ქორწილში ყველა იქ დამსწრე პედაგოგი ასე გვადლეგრძელა: „ჩემი ძვირფასო ადამიანები! დიდი მადლობა იმ უდიდესი ამაგისთვის, რომელიც ჩემი ვაჟიშვილის მიმართ წლების მანძილზე გასწიეთ, გიგას დაეფასებინოს თქვენი თავგანწირული შრომა, თქვენ რომ გეკადრებათ ისე, ბედნიერ სიცოცხლეს გისურვებთ მრავალი თაობების აღზრდაში. წარმატებები არ მოგელებოდეთ, უფალი იყოს თქვენი მფარველი“ - ყანწი პირთან მიიტანა, ბოლომდე დაცალა. რა ქვია ამას, თუ არა პედაგოგის ღვანწლის დაფასება. ბატონო ჯუკა, თქვენ უბედნიერესი კაცი ბრძანდებით, მე კეთილი შურით მშურს თქვენი, თქვენ ვალმოხდილი წახვედით ამ ქვეყნიდან, რადგან ბედნიერად დატოვეთ თქვენი ოჯახი. თქვენი კარგი შვილები და შვილიშვილები, დატოვეთ უსაზღვრო სიყვარული შენი ქალაქისა და თანაქალაქელებისა. ნიკო ნიკოლაძე-ეს დიდი ქართველი, „დროსგასწრებული მამულიშვილი“ იყო, თქვენ კი დროს მორგებული მამულიშვილი ბრძანდებით, რადგან ყველა დროში აკეთებდით იმ დიდ საქმეს, რასაც სიკეთე ჰქვია. დიახ, სიკეთეს თესდით შენი ქალაქისთვის და თანაქალაქელებისათვის ყველგან და ყველაფერში, ამიტომ მოიმკეთ ფოთელების ესოდენ დიდი სიყვარული. ქედს ვიხრი თქვენი კაცურკაცობის, მამულიშვილობის, ნაღდფოთელობის ნინაშე, ღმერთმა ნათელში გამყოფოთ!

ხე ხმება და ფესვი რჩება,  
ფესვებიდან კვირტი რჩება,

ის დედ-მამა არა კვდება,  
ვისაც კარგი შვილი რჩება“.

ასე მგონია ავტორმა ეს სიტყვები თქვენზე დაწერა, სი-  
ცოცხლე გრძელდება, რომელსაც სახელოვნად აგრძელებენ  
შთამომავლები.

დიდი მადლობა გიგა კუხალეიშვილს, რომელმაც ღირსეუ-  
ლი მამის, ჯუა კუხალეშვილის ხსოვნას წიგნი რომ უძღვნა.

ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ. მუდამ წინსვლა  
და წარმატებული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.  
ჩემო „სიკეთის დესპან“, რომ არა შენ, ჩემი კრებული სინათ-  
ლეს ვერ იხილავდა.

უდიდეს მადლობას გიძლვნი მატერიალური და მორალუ-  
რი მხარდაჭერისთვის.

თქვენ ნახვას მონატრებული ლუიზა მასწავლებელი.

31.X.2024წ.

## ყველა განძი უკათხესი

მე სხვა განძი არასოდეს მქომდა:  
ბრილიანტი, ოქრო, ასლმასები,  
გემი, ავტო და არც დიდი ოდა,  
ელდორადოს დიდი დარბაზები.  
ჩემი განძი არის ჩემი სკოლა,  
მე იქედან მომსდევს სიყრმის ფესვი,  
საამაყო ნამოწაფრის ყოლა,  
არის ყველა განძზე უკეთესი.

## ერთეულები ქმნიან ეპოქებს (ალექს დოლბაიას)

პედაგოგისთვის არ არსებობს იმაზე დიდი ჯილდო, როდე-საც შენი აღზრდილი მოსწავლე თავად არის წარმატებული. სახელოვანი, აკეთებს მამულისთვის კეთილ საქმეებს, პატივს მიაგებს სახელოვან წარსულს, იღწვის ნათელი მომავლისთვის, არ ივიწყებს მის აღმზრდელ პედაგოგებს.

ჩემო ალექს! შენ თავად ხარ ჯილდო, ჯილდო კი არა ნამ-დვილი განძი, რომელსაც არანაირი საუნჯე ვერ შეცვლის, მადლობას გწირავ პედაგოგების სახელით დღემდე რომ გვანებივრებ და სტიმულს გვაძლევ, სტიმულს, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია, მოსწავლეობის დროს აქტიურად იყავი ჩაბმული საქალაქო თუ სასკოლო ღონისძიებებზე ბიოლოგაში და არა მარტო ბიოლოგიაში, თითქმის ყველა საგანში. ბუნებისა თუ ადამიანებისადმი სიყვარული შენმა სახელოვანმა მშობლებმა და ფოთის მე-5 საჯარო სკოლის პედა-გოგებმა ჩაგინერგეს და ვერავინ და ვერაფერმა ვერ შეძლო გულიდან მისი ამოშლა, ამისთვის ბევრჯერ დამიჯილდოვებისარ, ალბათ ვალს მიხდი, ბავშვობაში მე გაჯილდოვებდი, ახლა შენ მაჯილდოვებ (ნამდვილი კურიოზია, ასე იცის განგების კეთილმა ძალამ).

ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ პროფესიით ფიზიკოს-მა სწორი ლიტერატურული ალლოთი და პოეზიისადმი თავ-დადებული სიყვარულით, როგორც ამას შენი მეგობარი ივანე ამირხანაშვილი ამბობს: „უფლება გაქვს ლექსებთან შენობით იყო და დიდმა შოთამ პოეზიაში შვილთაშვილად მიგილოს, რადგან ქართული ქუდი გხურავს და ქართლის დედამ გაგ-ზარდა“.

საქართველოში ლექსებს ბევრი წერს, მაგრამ ერთეულები ქმნიან ეპოქებს, რა ალალად ამბობ. საკუთარი თავისადმი

უდიდესი მომთხოვნი ხარ, როცა ამბობ: ვერ ვთქვი სათქმელი  
ბოლომდე. დაგვიანებული მადლობა ყველაფრისთვის, რომ  
ცხოვრობ, დარდის, ტკივილის, საქმის, სიხარულის, მეგობრო-  
ბის, სიკეთის, ლექსის და რაც მთავარია სიყვარულის კაცო.  
უფალი გფარავდეს, ამინ! გიძლვნი ლექსს დიდი სიყვარულით.

## ერთეულები ემნიან ეპოქაბს

პოეტიად თავი აროდეს მომაქვს,  
არც დავუდგები ვინმეს მეტოქედ,  
მეც ვეთანხმები ალალად ნათქვამს,  
ერთეულები ქმნიან ეპოქებს.  
ყველა ვერ შექმნის პასკალის კანონს  
და ვერ იქნება ყველა ეზოპე,  
ჩვენში პოეტი ბევრია, მაგრამ  
ერთეულები ქმნიან ეპოქებს.  
ზღვა ტალღებით წერს ქვიშაზე წარსულს,  
გეომეტრიულს ხაზავს ევკლიდე,  
ალარ ვინატრი ბოილ-მარიოტს,  
მინდა ლექსებით შედევრს შექმნიდე.  
შენი მამულის გხიბლავს გმირები,  
გამარჯვებული, სახემზიანი,  
გსურს საქართველო შეკრული მუშტით  
იყოს ძლიერი და ერთიანი.  
ახლა ღამეა, ოცნებად ვიქეც  
და დარდებს ვატან ქარსა და ნიავს,  
ერთეულებში მინდა გიხილო,  
პოეტები, რომ ეპოქებს ქმნიან.  
ამ სურვილს, ჩემთვის ვინახავ სკივრში  
და მინდა ახლა შენ გაგიმხილო,

ეპოქებს შემქმნელ პოეტებს შორის  
ნამდვილად მინდა გულით გიხილო.  
მინდა ამაყად რომ დავდიოდე,  
თუკი მაცოცხლებს ღმერთი მოწყალე,  
ერთეულებში წარმოვთქვამ ლალად,  
ეპოქა შექმნა ჩემმა მოსწავლემ.  
მე ერთი ლექსიც ვერ ვნახე შენი,  
რომ არ წვდებოდეს მოყვასს გულამდე,  
ამიტომ წერე ლექსები ხშირად,  
„გაზაფხულიდან გაზაფხულამდე“.

10.V.2024წ.

## ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ზაფხული

15 ივნისი, 12 საათი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 26-ე ყრილობა, ვახტანგ სარალიძის სახელობის საკონცერტო დარბაზი, სადაც ისხდნენ ერთ მუშტად შეკრული. სამშობლოსადმი თავდადებული ქართველ მწერალთა ძველი და ახალი თაობა, „მამული, ენა, სარწმუნოება“ იყო მათი დევიზი, თავი ფეხბურთის სტადიონზე მეგონა, ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებით, სადაც ჩანდა ქართული ერთსულოვნება და ერთად დგომის სურვილი-მამულისა და ერის სადარაჯოზე.

ყრილობა უმშვენიერესმა ქალბატონმა, ყველასათვის საყვარელმა ქართველმა პოეტმა მაყვალა გონაძევილმა გახსნა, რომელსაც კარგა ხნის პაუზის შემდეგ თავისუფლად და ხმამაღლა შეეძლო ეთქვა ნანატრი ფრაზა:

„ეს ლექსი არაა, ეს ჩემი ცრემლია,  
ამდენხანს გულით რომ ვმალე,  
როდის გათენდება, როდის გაგრძელდება,  
მალე, საყვარელო, მალე“.

თურმე, საქართველოს 21-ე საუკუნის მწერლები და პოეტები, „ჩარეცხილები“ ყოფილან, რომელთაც ჩამოართვეს მწერალთა სახლი და არაერთი გამომცემლობა, რამდენი უძილო ღამე გაგითენებიათ ქალბატონო მაყვალა, მაგრამ შლეგივით არ ამხედრებულხარ ბოროტების რაშზე და არც აქციები მოგინყვიათ ქუჩაში, ზოგიერთი ვაიპატრიოტივით. არც ლანძღვა-გინებით და უშვერი სიტყვებით მიგიმართავთ ვინმესთვის, რადგან არეულობა და ქაოსი, რომელსაც რევოლუციას ეძახიან, როგორც გოეთე ამბობდა, „ერთნაირად სპობს ბოროტსა და კეთილს. თქვენ ხალხთან და ოჯახთან ერთად იტანდით შინაური და გარეული მტრების შემოსევას. აკი, სრული სიმართლით ამბობთ:

„ამირანს მტრის არა, ნათლიის ჯინი ჭირს,

ქორნი დასწევია მერანს,

დღეს ნაწილ-ნაწილ გლეჯავენ საქართველოს,

როგორც მაცხოვრის პერანგს“,

თქვენ სიყმაწვილიდან თან გსდევდათ პოეზიის უბადლო ნიჭი და ერის სიყვარული, რასაც ადასტურებს ერთ-ერთ წიგნში დიდებული ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, გალაკტიონის გვარის ერთადერთი გამგრძელებელი ნოდარ ტაბიძე, სადაც ამბობს: (ციტატები მოკლედ მომყავს, იგი გაცილებით ვრცელია). „ქალბატონ მაყვალას სტუდენტობას იმ მიზნით ვიხსენებ, რომ მისი ბუნებრივი მონაცემების ნიჭის მაღლიდან გადმოსული მადლის აქცენტირება რომ მოვახდინო და დღევანდელი მოლვანეობის კონტექსტში გავაზიარო. დიახ, მაყვალა ჩემი სტუდენტი გახლდათ, ზრდილი და უნიჭიერესი, ჩემი სწავლების მეთოდი სპეციფიკურია, რადგან ლექცია-სემინარებით ვერ ვკმაყოფილდებოდით, უურნალისტი, უპირველეს ყოვლისა კარგი კალმოსანი უნდა იყოს, ამისთვის კი საგანგებო წვრთნაა საჭირო. ვცდილობ სტუდენტებს გამოვუმუშავო ხედვის და ლოგიკური განსჯის უნარი. ამიტომ ნინ ინევს ფანტაზიის გაღრმავების საკითხები და აი, მაყვალა გონაშვილის ჯგუფს ასეთი თემა შევთავაზე: „ბაზარი“. მან ერთეულთმა პირველმა წაიკითხა და ყველანი აღტაცებულნი დავრჩით, ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს ბოდბისხევის ბაზარში ყველი და ხორცის სუნსაც კი ვგრძნობდით. ერთად დავასკვენით ნაღდ ნიჭთან გვქონდა საქმე, მერე და მერე ეს ნიჭი და უნარი განვითარდა, წერის კულტურა, მაღლდა, დღეს ქალბატონ მაყვალას წიგნები ხელიდან-ხელში გადადის და განსაკუთრებული სიყვარულით იკითხება. ამ დიდებულ ქალბატონს აქვს ასეთი ფრაზა:

„არა მარტოდენ მამულის, ანდა  
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,  
საქართველოში ასგზის ძნელია,  
იყო პოეტი და იყო ქალი“..

კიდევ უფრო ძნელია იყო მწერალთა კავშირის თავმჯ-დომარე, თანაც დღეს, როცა თავისუფლება არასწორად ესმით და თავს უფლებას აძლევენ, ავყიაობის ტბორი დააყენონ. ქალბატონი მაყვალა ნამდვილად ახერხებს ქართველი ქალის და პოეტობის შერწყმას, ბედნიერია პიროვნება, რომელიც საზოგადოებას ჭირისუფლობს ისე გაგიღიმებს ყველა ჭირს დაგავინყებს“, ვეთანხმები ჩემი ლექსთა კრებულის რედაქტორს ნოდარ ტაბიძეს, ისე ჩამეხუტა და მომეფერა, ყოველგვარი ტკივილები ერთბაშად დაამავინყა. ქართველმა მწერლებმა, ერთხმად და ყველას დასანახად სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს. მაყვალა გონაშვილი ლია კენჭისყრით ერთხმად არჩეულ იქნა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ.

ქალბატონმაყვალა, დღეს დიდი აკაკი ცოცხალი რომ ყოფილიყო ხელზე გეამბორებოდათ და სიხარულით გეტყოდათ: „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი არა ვტირი მე“ბუმბერაზი გულზვიადი ვაჟა მთებიდან ბანს მიცემდა „ელირსებაოლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“.

ძნელია იტვირთო საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გუთნისდედობა, მაგრამ თქვენ შეუძლებელს შეძლებთ. ერთად დგომა და სიყვარული გადაგვარჩენს მხოლოდ.

დიდი მადლობა, მეც რომ ჩამრიცხეთ ქართული მწერლობის ერთერთ ჯარისკაცად. უფალს ვთხოვ ცოტათი მაინც გამემართლებინოს ეს დიდი ნდობა. სანამ ფეხზე ჯერ კიდევ ვდგგავარ და ვარსებობ. დიდება ქართულ მწერლობას, გაუმარჯოს ერთ მუშტად შეკრულ და აღორძინებულ საქართველოს. მშვიდობა და სიყვარული გადაგვარჩენს მხოლოდ.

## გვერდი თავმდაბლობა გიცდება მარად

(მაყვალა გონაშვილს)

ეს ლამაზი და საოცრად გულთბილი ქალი, გულუხვი და უსაზღვროდ მოსიყვარულე, რომლის პიროვნებას ყველაზე მეტად მიესადაგება სიტყვა, „თავმდაბლობა“: „ეს თავმდაბლობა უხდების, როგორც ქისტების ქალასა“ - ამბობდა ანა კალანდაძე.

თავმდაბლობა სულაც არ ნიშნავს თავის ფასის არცოდნას, თავმდალობა და კდემა ანათებს მის ღვთაებრივ პოეზიას. საკუთარ თავზეც არაერთხელ გამომიცდია მაყვალას გასაოცარი თავმდაბლობის ხიბლი. მე ღმერთმა უდავოდ დამასაჩუქრა ამ დიდებულ პოეტთან ახლო ურთიერთობის ბედნიერებით, საოცრად შვენის ღიმილი, რომელიც ყველა ჩვენთაგანისთვის იმედის მომცემია, განსაკუთრებით ხანდაზმულებისთვის. იგი ტკივილგამაყუჩებელი და გამამხნევებელია, რომ თავს შესძახო, ხარ და უნდა იცოცხლო, აკეთო სიკეთე, სიკეთე, კიდევ სიკეთე და სხვა არაფერი. მამულისთვის, ერისთვის ილოცო, ღვთისმშობელს და უფალს შესთხოვო:

„ხარს ვგავარ ნაიალალარს,  
რქით მინასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარიც ამას ვდუდუნებ“!

## გიძლვენი ლექსის, დილი სიყვარულით

### იმადეპას ისხამ

უბერებელო, შენ ვერ გაკრთობს ნოემბრის თრთვილი,  
ვერც ზამთრის სუსხი, უთენია ცისკარზე სისხამ,  
ჩუმი ღიმილით გეფერება შენ მუზა დილით,  
მამულისათვის აზროვნებ და იმედებს ისხამ,  
აღმოსავლეთში მოგიტაცა მეგრელმა ვაჟმა,  
კახელი გოგო, უკარება ვით ამორძალი,  
ვერავინ შეძლო დაბრუნება ალაზნის მიღმა,  
რიონის პირას ასე გახდი მეგრელთა რძალი.  
დადიანმაც ხომ დააბრძანა ქალი დედოფლად,  
და ვინაც იმ დროს დაგვიტოვა ლექსები ტატოს,  
რუხის ციხესთან მტერს ეპრძოდა სისხლად და ოფლად  
მეგობრობას და იმ სიყვარულს ახლა რომ ვნატრობ.  
ო, როგორ მინდა ის განცდა რომ განახლდეს ისევ,  
ახლა შური გვჭამს, სხვა ხალხია და სხვა დროება,  
ვილოცოთ ყველამ, ეს ნატვრა რომ ასრულდეს მყისვე,  
უფალი განსჯის ქედმალლობას, უპრალოებას,  
შენ ისევ ფიქრობ მომავალზე, ხვალინდელ დღეზე,  
ქართულ მწერლობას გუთნის დედად რომ ყავხარ ახლა,  
კვლავ უძილობა და დარდები ქართველთა ბედზე,  
თუმც ხვალინდელი მომავალის იმედიც ახლავს.  
ასაკს არ გკითხავთ, პოეტი ხარ, ქალი ხარ დედა,  
ახალგაზრდული იმედების კვირტებს რომ ისხამ,  
ვინ მოგანიჭა შენ ასაკი, ლამაზო ქალო,  
შენ ხომ მარადის ცხრამეტი წლის ხარ.

## ემიგრაციად არასოდეს დარჩები

(დარეჯან თოლორდავას)

ჩემო დაჯი, შენი ნახვის ცეცხლი მწვავს,  
და ვინთები ბრონეულის ალით,  
უფლის რწმენით შენ მიყვები კეთილ გზას,  
რომ დატოვო სიყვარულის კვალი.  
ვერ ვივიწყებ იმ წუთებს და იმ წამებს,  
ბავშვი იყავ იგი ყველას ახსოვს,  
სიყვარულში გაიზარდე და ახლაც,  
შენს ყველა დღეს სიყვარულში აქსოვ.  
ემიგრანტად არასოდეს დარჩები,  
ო, ძნელია სხვაგან შრომა გარჯა,  
ითვლი დღეებს მონატრებად დარჩენილს,  
არავინ გსურს საქართველოს გარდა.  
შენ გულს გინვავს მათზე ფიქრის კოცონი,  
თავბრუს გახვევს ხანძარი და ალი,  
შენ ხარ მუდამ შენი ქვეყნის მლოცველი,  
სამშობლოზე მოფიქრალი ქალი.  
ბეჭნიერ დღეს ახლა გულით გილოცავ,  
გაზაფხულად მე შენს ღიმილს ვსახავ,  
მონატრება უმთავრესი ერთი მაქვს,  
უსაშველოდ მინდა შენი ნახვა.

26.II.2023წ.

## ფოთლების ვალსი

ახლახან გამოვიდა ახალგაზრდა პოეტის ლაშა თოლორ-ლავას ლექსთა კრებული, „ფოთლების ვალსი“. ძნელია გა-მოჩენილი პოეტისა და პუბლიცისტის ზაალ ბოტკოველის შემდეგ, რომელიც, „ლიტერატურულ საქართველოში“ გა-მოქვეყნდა სტატია, მე-20 საუკუნის უდიდესი პოეტის ოთარ ჭილაძის შესახებ. სწორედ ბედნიერია ის ადამიანი, ვინც მის ქადას იმსახურებს. იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს შეემატა ახალგაზრდა პოეტის ლაშა თოლორდავას პოეზია.

„ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგი-ტანს და ცოცხლად დაგმარხავს“ - ამბობდა ტიციან ტაბი-ძე. სწორედ ასეა ბატონებო, პოეზიის მადლი და სიძლიერე, სხავანაირად ვერ შეძლებდა ახალგაზრდა პოეტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მომღერალი ლაშა თოლორდავა ასე ლამაზად დაეწერა:

„მკერდბუმბერაზი მთების სიდიადე, ჩანჩქერი კისრისტებ-ვით რომ ჩამოსდის და სიამაყით და სიამოვნებით შუბლს რომ მიუშვერს მთებიდან მონაბერ ნიავს.“

ლექსი, , თუშეთი“ ერთ-ერთი მაღალმხატვრული ლექ-სია ლაშას პოეზიაში. ამ ახალგაზრდა კაცის პოეზიას წითე-ლი ზოლოვით გასდევს სიყვარული. მამულის, ერის, სარწ-მუნოების, სიკეთის ქმნის, მას მშობლიური ტეხურას ნაპირი ლებარდეს მთის მთებზე შეფენილი არვე თუშეთის მთებში ჯიხვის როკვა ხევებს რომ შეჰვენია ყველაზე მეტად და ახ-არებს ლექსი და მუსიკით დამთვრალ სტრიქონების ავტორს. ყველაზე მეტად სწამს და სჯერა: ღმერთის, ოჯახის, მამუ-ლის, დედის ლოცვის, როცა ამბობს:

„მჯერა ღმერთის და ოჯახის,  
დედის ლოცვის მადლი მბურავს,  
წერას ვყავარ აყვანილი,  
ბენვის ხიდზე გავლის მუღამს.“

ვემსგავსები მეამბოხეს  
 და სამშობლოს ჭირისუფალს.  
 მოფუთფუთე გრძნობის ლავად,  
 ხან ვაფრქვევ და მკერდში ვკუმშავ,  
 ხან ზღვას ვგავარ მოლივლივეს,  
 ხანაც დელგმის ხეთა მმუსრავს“...  
 და ბოლოს დასძენს:

„გოროზ მთებში ასხლეტილი  
 თეთრი ჩოხის კალთა მხურავს“...

აპა სხვანაირად როგორ შეეძლო ეთქვა ქართულ ტრადიცი-  
 იებით აღზრდილ ახალგაზრდას, გალაკტიონის მსგავსად არ  
 ეთქვას:

„ჩემში წვეთი არ არის,  
 სისხლი არაქართული“.

ქართული სიტყვა, ქართული ლექსი, ქართული სიმღერის  
 ტკბილი ჰანგები, გვიჭირს თუ გვილნინს გვამხნევებდა და  
 დღესაც გვამხნევებს.

ახალგაზრდა პოეტი მწარედ განიცდის საქართველოს  
 დღევანდელობას. იგი ჭეშმარიტი პოეტია და ლექსში, „და-  
 ჯავშნული მამული“ ამბობს, რომ დროში დადის მუქთახორა,  
 უთავბოლო ყიალია, რა იცის რომ ოქროს ქვიშა, ალიგატორის  
 ყბაშია“.

საგიუეთში ვცხოვრობთ მარა,  
 კარი ხომ გვაქვს მაინც ღია.  
 გიხაროდენ, გიხაროდენ,

თვალი ხომ გვაქვს მაინც ღია“, მაგრამ პოეტი იმედს არ კარ-  
 გავს. იგი მეოცნებე რაინდია და სჯერა ნათელი მომავლის.

მუზის ემბაზში მონათლულს ღრმად სწამს და სჯერა, თუ  
 მოკეთისთვის ხელის გაწვდენის ძალა არ შეგრჩა, თუ არ  
 დავაფასებთ ღირსეულთ და კეთილი საქმის კეთებით არ გა-  
 მოირჩევი, თვალის გახელად არ ღირს წუთისოფელი. სწორედ  
 ეს ანუსებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, როცა ამბობდა:

„არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“...

ლაშასაც იგივე აწუხებს და ამბობს:

„მოკეთისთვის, თვალის გახელად არ ღირს საწუთრო  
თუ საქმე შენი არვის არგია::.

ლაშას პოეზიაში მრავლად შეხვდებით მხატვრულ ხერხებს, იგი დახუნძლულია: ეპითეტებით, მეტაფორებით, შედარებებით. მაგალითად „ უნახავს ვინმესდედამინაზე თხის ჯიქნებივით სტალაქტიდები „ჩამოეფხატა მთვარეს ვუალი, ბინდის ბურუსში იძირებოდა“, ელვით დანაღმულ სიტყვებს ვშორდები, გავითამაშებ პირველ პაემანს.ვარდების ცეცხლში დაგელოდები“ და ა.შ..

ლაშა კარგად იცნობს რომაულ და ბერძნულ მითოლოგიას. და ხშირად იყენებს მას პოეზიაში და მაინც იგი როგორც ქართველი ვაჟკაცი ლამაზი ქალის მოტრფიალეა, რომელსაც იზიდავს მოლივლივე თმების ტალღა, რომელსაც სახე შვლის ნუკრის მიუგავს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თმის სურნელით და სიყვარულით გათანგულმა შვლის ნუკრის თვალება სახლამდე მიაცილა და მერე, მერე კი: რომ სახლამდე მივაცილე თმის სურნელმა შემახურა, ბაგეს სიტყვა შეაცივდა, კოცნის უინი დააპურა, მის მაგივრად სისხლის ჩქერებს გავატანე ჩემი ურვა“.

24 მაისი შენი დაბადების დღეა - ულამაზესი ვარდობის თვე, მალე გვენახოს შენს ქორწილში გალალებულს და ბედნიერს ვარდების ცეცხლში რომ ელოდე, შენს გულისხორს. და მისთვის სახალხოდ დიონისეს ღიმილით თამამად და მოურიდებლად გეთქვას: მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ...

ჯანის სიმრთელე და სიყვარული არ მოგშლოდეს, მომავალ შეხვედრამდე!

## ხელოვანი ხარ ნამდვილი

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“ (ხალხური)  
(მეგობრული შარჟი ნუჯ ზარ ჭანტურიას დაბადების დღეზე)

ძვირფას მეზობელს ვახლავარ,  
მამას, ბაბუას მეუღლეს,  
თვალი რომ გაუბრნყინდება,  
ოჯახში კარს თუ შეუღებ,  
ქვასაც ვერ ნახავ ოჯახში,  
მას რომ არ ედოს წილია,  
ახარებს, ნიკო, დემეტრე,  
ქეთინო, მარი, ილია.  
რისი ოპერა, რა კლიპი,  
რისი კარმენი, აიდა,  
შალახოს ცეკვავს ილია,  
ახლა ფეხი რომ აიდგა  
და ყველგან სიხარულია,  
ისმის გალობა შაშვების,  
აქ ჟრამული კი არა,  
ფესტივალია ბავშვების.  
ამათი ზრუნვით გარჯილხარ,  
მხიარულობ და არ მკაცრობ,  
მიტომ დგას მყარად ოჯახი,  
ჭკვიანურად რომ თავკაცობ.  
სამასი ცხენის ძალა გაქვს  
და ხარ ლაგამის მკვნეტავი,  
ყოველ წუთს საქმით გართულო,  
როდის ისვენებ ნეტავი?!

შენ სკამზე დამჯდარს ვინ გნახავს,  
მუდამ საქმით ხარ გარჯილი,

წუთს არასოდეს არ კარგავ,  
ვერცხლისწყალი ხარ ნამდვილი.  
ყველა ჭანჭიკი დახრახნე,  
საქმეს მოსდევი ანკესი.  
მხარში უდგახარ მეზობლებს,  
ხარ გაჭირვების ტალკვესი.  
რით ვერ გააძლე მეუღლე,  
შრომით და გულმოდგინებით,  
დავბერდი, არსად მინახავს,  
ამდენი „რაკოვინები“.  
ჩვრების რეცხვისთვის იცოცხლე,  
იმდენი წყალი იღვრება,  
ცოცხისთვის კიდევ ცალკეა,  
გულუხვი წყალთადინება.  
და მოჩუხჩუხე ონკანში,  
ნერტილს ვერ ნახავ გაჩხერილს,  
წყალი მოქუხს და მოღელავს,  
ვით ნიაგარის ჩანჩქერი,  
ასეა როცა მეუღლე,  
გყავს სისუფთავით სწეული,  
იხვი არისო, სულ ხუმრობ,  
ბატის ჭუკებში რჩეული.  
შენი ლამაზი მეუღლე,  
უკმაყოფილო ამ ყოფით,  
სამი და ოთხი კი არა,  
ოცი ნიჟარაც არ ყოფნის.  
სტუმართმოყვარე კაცი ხარ,  
შუბლგახსნილი და ნათელი,  
შენმა ცოლ-შვილმა ყოველდღე,  
უნდა აგინთოს სანთელი.  
შვილებს სულ გულში იხუტებ,

ხატიასა და ნათიას,  
 ზღვა სიყვარული მარადი,  
 გულში კელაპტრად ანთია.  
 ისვენებ, როცა ილიას,  
 სახლში არაპყავს გამრთობი,  
 ის არის შენი მზე მთვარე,  
 და ვარსკვლავური მნათობი.  
 ერთობი, ეთამაშები,  
 ოთახი არივ-დარია,  
 ბაბუა და შვილიშვილი.  
 ერთი ჭკუისა არიან.  
 სიძეები გყავს ნამდვილად,  
 ისეთი ნეტავ ბევრს ჰყავდეს,  
 ბიჭების მამაც რომ იყო,  
 არ ვფიქრობ უფრო გიყვარდეს,  
 თაროზე ჩამწკრივებულა,  
 ლამაზად ლურჯი იები,  
 იებივით რომ გამშვენებს,  
 კოლხური ტრადიციები.  
 ნამდვილი ხელოვანი ხარ,  
 მთელი განით და სიგრძეთი,  
 შენმა ხელმა არ აკეთოს,  
 ნეტავ რა არის ისეთი?!

ჯანის სიმრთელეს გისურვებ,  
 იდლეგრძელე და იდიდე,  
 არ მოგკლებოდეს არასდროს.  
 ხვავი, ბარაქა, სიმდიდრე.  
 შენ ვერაფერი ვერ შეგცვლის,  
 ქვეყნად რაც უნდა ხდებოდეს,  
 ამქვეყნად რაც კი ინატრო,  
 სულყველა აგსრულებოდეს.

ծորջոմშո, ցեմშո, նալզերժո,  
րոմ դասչենո դրո արո,  
սայարտալոժո ցեմովու,  
գլուշո ատասո գոլարո...  
Շեն սեցացան զերսագ զեր ցածլեծ,  
ցրեմլեծոտ ցագանամյուլո.  
այցացեծյուլո ցենախու,  
Շենո პագարա մամյուլո.  
աხալ նյուլս դաձագեծյուլսար,  
դրոյլագ ցոծլզնո մոլուզաս,  
աხալ նլուստացնյ ցուլնրոյելագ,  
դաձագեծոս գլուս ցոլուզաՅ.  
նարմագեծեծո ցյոնոցըս,  
աხալ սայմեշո դանցյեծս,  
Շզոլտա՛շզոլեծոս յորնոլշո,  
սյուլ դացեպալոս ցանցեծո.  
ծյանուր գլուտա սոմրացլու,  
առ մոցկլեծոցըս ամուր,  
աև նյուլս ցուլուցելոս, ցորոյասո,  
օխարյ, մրացալյամուր!

3.I.20146

## ფოთი

განა მარტო კარიბჭე ხარ,  
 და, „ევროპის ჭიშკარი“!  
 სიყვარულის ტაძარი ხარ,  
 ხატზე დასაფიცარი.  
 გვირილების ყვითელ გულში,  
 სიყვარული ჩაწნულა,  
 კოლხური მზე ათინათებს,  
 ხოხობს კისერხატულას.  
 აქაური ნესტიც სხვაა,  
 დავარდნილი ფოთოლიც,  
 ლაქაშების სუნთქვას იგრძნობ,  
 თუ ხარ ნაღდი ფოთელი.  
 მწვადს მოგართმევს,  
 თუ მინდვრის ფხალს,  
 თუ ლობიოს მოლესილს,  
 ჩაფლული ხარ სიყვარულით,  
 „გოლუაფიროს“ მორევში.  
 სხვა პერი აქვს აქ ყველაფერს,  
 სხვანაირი გრაცია,  
 ჭირში თუ არ გაგამხნევა,  
 აბა ის რა კაცია?!  
 ცხრა ზღვა გადაუსერავთ და  
 ფეხით ცხრა მთას წასულან  
 და დგას ცოტნე თაფლნასმული,  
 მეგობრობის დასტურად.  
 კოლხური მზე დარბაისლობს,  
 და კოლხური ქრის ქარი,  
 ყველა სახლი, „კარიბჭეა“,  
 სტუმრისათვის ჭიშკარი.

ზღვა გული აქვს ჩვენს ფოთელებს,  
შავ ზღვასავით მღელვარე.  
მათ გულებში ცისკარი და  
სიყვარული ელვარებს,  
მაშ ამივსეთ გრძნობით თასი,  
განა ღვინო მწყურია?!  
ფოთში ასი ოქროს ფასი  
ერთი სიყვარულია.  
არცა რაა გასაკვირი,  
ჩვენი კოლხთა მოდგმიდან,  
მზით მოვდივართ აიეტის,  
გენეტიკურ კოდიდან,  
განა მარტო კარიბჭე ხარ!  
ხარ ნატვრა და ოცნება,  
შენს სიყვარულს ვენაცვალე,  
და შენს პატიოსნებას.

15.V.20016.

## რიონის პირას ფაზისში

კოლხური ქარი თარეშობს,  
რიონის მწვანე ჭალაში,  
ათას კელაპტრად ნაპირზე,  
ალერებულა ლაქაში,  
ნიავი ნაზად შეარხევს,  
ტირიფის ტოტებს მტირალას,  
მწვანე ბალახს რომ მოსტაცა,  
ნამი ბროლივით პრიალა.  
გარინდებულან ჭადრები,  
თითქოს რაღაცას ელიან,  
ისლი და ფშანი ბალლივით,  
ჩაჰებუტებია ლელიანს.  
ჭალას ჩაღვრილა სითბო და  
ისე წყნარია ბუნება,  
კოლხურ ჰანგივით სევდიან,  
ნარსულზე ეჩურჩულება.

25.VII.2003წ.

\* \* \*

შემომესია კოლოთა ჯარი,  
და მაგონდება შორი წარსული,  
ყველა ფოთელი ცოტნეა ოღონდ,  
თაფლი არა აქვთ ტანზე წასმული.

\* \* \*

კაპარჭინის ნაპირები მზრდიდა.  
თავი როცა შევიცან იმ დღიდან.  
აქ სხვა ჰანგებს მიგალობდნენ ციდან,  
ტანში სიო სხვანაირად მცრიდა.  
ფრთა გაშლილი წეროების ცეკვა,  
ყოჩივარდას ვარდისფერი ელვა,  
ოქროსფერი ბალახების ცელვა,  
პირქუშ ტბიდან მოვარდნილი ღელვა,  
ეს ლამაზი პანორამა სადლაც,  
ბავშვობასთან მიიმალა, გაქრა  
და მე, ისევ, ეულსა და მარტოს,  
კაპარჭინის ნაპირები მაკრთობს.

## ფიჩორას ტყეში

ტყეში წაველ მე განთიადს,  
შემომესმა ტია-ტია,  
იადონის სიმღერაა,  
თუ ტოროლას წკრიალია.  
აქ შაშვებიც გვიგალობენ,  
ბანს აძლევენ სხვა ჩიტებიც.  
რად ბიბინებს მწვანე მოლზე,  
ლილისფერი მაჩიტები?!  
რას ჩურჩულებს ლელიანი,  
რას ჭორიკნობს კოლხი თელა,  
მწყემსი ხარებს რად უმღერის,  
„ვიშო ბუსკა, აშო ჩელა“.  
ნამი თხმელის ფოთლებს კოცნის,  
სოკოები ქოლგებს გაშლის,  
მოქცეულა ფიჩორას ტყე,  
სიყვარულის ტყვეობაში.

18.X.2000წ.

## ნიკოლაძე და ფოთი

ნარსულში ფოთი ბაყაყების ყოფილა ბუდე,  
ჭაობს, ჟალტამს და სიბინძურეს არ ქონდა ზღუდე,  
დიდმა აკაკიმ, „კვანტენბურგად“ მონათლა იგი,  
იდგა ქალაქში აბეზარი კოლოთა რიგი.

აქ გაუგალი იყო ტყე და იყო ჭაობი,  
კოლხიდა იყო საზრუნავი ყველა თაობის,  
ძველი კოლხეთი მტერს აროდეს დანებებია,  
და ამაყობდა აქ ფაზისის აკადემია.

აქ ჭაობები გემმისადგომს ისე ფუთავდა,  
კეთილ საქმეებს უსახსრობა სულს უხუთავდა,  
ატეხილ ქაოსს არ უჩანდა თავი და ბოლო,  
ქალაქი იყო აღსადგენი, ბოლოს და ბოლოს.

წუხდა კოლხეთი, როცა იდგა შავბნელი უამი,  
საჭირო იყო აერჩიათ ქალაქის თავი,  
როგორი იყო აქ ცხოვრება განსაჯეთ თავად,  
ნიკოლაძე, რომ დაინიშნა ქალაქის თავად.

დროს გასწრებული მოაზროვნე ურთულეს ბედთან,  
იმ გაუკვალავ ყამირებზე საქმეებს ბედავს,  
დრო იყო მტერთა თარეშობის, დრო იყო შფოთვის,  
„ულმობელ საქმის კაცად“ როცა მონათლეს ფოთში.  
თერგდალეულთა ფალავანი იყო ღვთის კაცი,  
შუაგულ ცენტრში გადაწყვიტა აგება ტაძრის.  
მზის ფორმა ქონდა ზღვაზე ქალაქს-მზისებრ ნათება,  
თორმეტი ქუჩა ტაძრისაკენ მიემართება.

ახლა ტაძარში ნიკოს ზრუნვით და უფლის ნებით,  
იმედებით და სიყვარულით ლოცულობს მრევლი.  
ცოდვებისაგან უფალმა გვიხსნა, მოგვეშვა თითქოს,  
თავჩაქინდრული დგას მრევლი და შენდობას ითხოვს.  
აქ ნიკოლაძის კეთილ საქმეს ვერვინ ჩამოთვლის,

ჭაობის ნაცვლად გააშენა ბალი სამოთხის.

წყალდიდობისგან აკლებულნი ითხოვდნენ შველას,

ირგვლივ ჯებირი შემოავლო, მოწმეა ყველა,

როგორ არ უნდა მოვიხსენოთ ახლა ღირსებით,

ქალაქისათვის რომ აიგო მაშინ ხიდები.

აქ ნავსადგურის მშენებლობა იყო მთავარი,

დღე და ღამ ფოთზე ლოცულობდა ქალაქმთავარი.

რა არ გაკეთდა დიდი ნიკოს თაობით ფოთში,

დგას მატეანე-ყოვლის მომსწრე კოლხური კოშკი.

ნავსადგურმა რომ საქართველოს მისცა ბარაქა,

მყაყე ჭაობში ფოთი იქცა ლამაზ ქალაქად.

დღეს ნავსადგური ოკეანის გემებს ვერ იტევს,

დაუთვლელია მისი შრომა, კიდევ და კიდევ.

ყველაზე დიდი ღვაწლი ნიკოს სწორედ ის არი

ახლა რომ ფოთი კარიბჭეა -დიდი ჭიშკარი.

თერგდალეულთა ფალავანი ზეცად ამაღლდა,

მიტომ დგას ძეგლი ნავსადგურში ასე ამაყად.

კივის გემი და დღეს ტალღები ისევ შფოთავენ,

რომ უნდა ვიყო ყველა კარგი საქმის მოთავე.

კეთილი საქმე გადაფარავს წარსულ იარებს,

ნინ საქართველოვ ნიკოლაძის გზებით იარე!

27.IX.2012წ.

## ფაზისის ქუჩეპში ეტლით რომ იარათ

(მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, ფოთის ქუჩებში ცხენებზე შებმული ეტლით ავადმყოფთა ოჯახებში მიღიოდნენ ფოთელი ექიმები: რუსუდან გველესიანი-ნადარაია, ილარიონ ცომაია, ეკატერინე (კატუშა)ლოდობერიძე და უანგაროდ მკურნალობდნენ ფოთელ პაციენტებს).

გზაზე ნაწვიმარ ფოთლებს მივუყვები,  
ქუჩებში დავეძებ წარსულის იარებს,  
თქვენ მომაგონდებით საოცრად დაღლილნი,  
ფაზისის ქუჩებში ეტლით რომ იარეთ.  
სარკმელთან ფიქრები ჩამომდის ცრემლებად.  
ვიღაცა გიტარას აკვნესებს უწყალოდ,  
ო! როგორ მომინდა მკურნალის ხელებით,  
ავდგე და ფოთელებს თქვენსავით ვუწამლო.  
ო! როგორ მომინდა ნაცნობი ელფერი,  
თვალდათვალ სიბერე სულსაც ხომ დაეტყო,  
დღეს მე იმნაირი მკურნალი შემფერის,  
კრძალვით რომ მიყვება ქუჩაში ფაეტონს.

## კაპარჭინა

(პატარა მდინარეა ფოთში, პალიასტომის ტბას ჩაერთვის)

პალიასტომი ბლავის და ბორგავს,  
თითქოს ივანე ეძახის ნიკოს.  
შენ დაშლილ ტივებს მშვიდად შეუკრავ  
თითქოს და მისი მშველელი იყო.  
მე უნაპიროს მივყვები ნაპირს,  
კადრივით მივსდევ ჩემს სიყმაწვილეს.  
მე გუშინდელი ვარ ისევ ბალლი.  
და სინანულის ცრემლებს ვაწვიმებ.  
ჩემო პატარა, ცელქო მდინარევ!  
კაპარჭინა რომ გქვია სახელად,  
ისევ მომინდა შენთან ჩურჩული,  
საიდუმლოს და დარდის გამხელა.  
ცელქი ტალღების შეფები შენი  
გადამდიოდა თავზე წურწურით.  
და ლაქაშები, კელაპტარები,  
სიყრმეს მაგონებს ნაზი ჩურთულით.  
ჩემო სიცოცხლევ, ასე ულმერთოდ,  
ვინ შეგიხვრიპა ანკარა წყალი,  
სევდით მივყვები ჭადრების ჩეროს,  
ნაპირზე არსად არა ჩანს ნავი.

11.VII. 2004წ.

## ამპობს სტრაბონი

დრო იყო, როცა პალიასტომზე-ამბობს სტრაბონი,  
ლაყუჩის რკალზე გამოაძეს თოკები თევზებს.  
ცოცხლად მიყავდათ მრავალი ჯიშის თევზები ხალხს,  
და კაპარჭინა ვერ იტევდა კეფალს და ჭანარს.  
თურმე ფაზისში, კი არ ხტოდა, წვიმდა თევზები,  
ო! სულ თევზების მომბეზრდა ჭამა-ვეტყოდი მამას.  
და აზვირთებულ კაპარჭინაში დუღდა სცოცხლე,  
ჭადრის ხეებთან ება ნავი, ერთგულ ძალლივით,  
და მზის ჩასვლამდე მებადურებს ელოდა ნაპირს.  
გაქრა სიცოცხლე დღევანდელი ჰიდროფაუნის  
დუმს კაპარჭინა თევზებივით პირსავსე სილით.  
ნაგავსაყრელად ქცეულ ნაპირზე, ბინძური ქილით,  
მკვდარი ლეშებით ავსებული სისხამზე დილით  
დაძრწის ვირთხები, კატები და შეძრწული ამით.  
ვდგავარ ნაპირზე შეშლილივით გავყვირი სივრცეს.  
გადავარჩინოთ კაპარჭინა, ვიდრე დრო არის,  
გადავარჩინოთ პალიასტომი დღითა და ღამით.

10.VI.20016.

## ცუცუ ჭელიძეს (ვაჟას ებურად)

ჩაპხუტებიხარ წიგნებსა,  
ისე, ვით მუხას ფითრია,  
თაროზე ლალად შასცქერი  
წიგნს, აკაკის და ილიას,  
ნიჭიერებას უკაფავ  
გზას მეტად ძნელსა სავალსა,  
ყველას აყვარებ რუსთაველს,  
შავთელს და სულხან- საბასა.  
კაი ყმას ისე აფასებ,  
ლურჯსა თუ შავთვალებიანს,  
გულსაც დაუდებ თეფშზე და  
ვისაც წიგნ შაჰყვარებია.  
გვმასპინძლობ ნუნუ ჭელიძე,  
სიტყვა პირს გვადგას მზიანი.  
რა გულუხვი ხარ ქალაუ  
და სიტყვა ბარაქიანი.  
ჩვენთან დუშმანი რას მოვა.  
ვერას დაგვაკლებს ვერანი,  
შეკაზმული გყავს მუდამა  
ბარათაშვილის მერანი.  
არ მოიშლების სალი კლდე,  
და დარიალა ტიალი,  
ლექსის, „ვეფხის და მოყმისა“  
სანამ იქნება ტრფიალი.  
სანამ გვიღიმის პირიმზე,  
ვაჟაის სულის ლხენამა,  
ყველა კეთილი საქმისთვის,  
„მადლი გიკურთხოს ზენამა.

გაზაფხულია ფაზისში  
გიღიმის ვარდი, იაო,  
ხვალ-ზეგაც შენთან მოვდივართ!  
კარი დატოვე ღიაო!  
კარგი ლექსების თქმაშია,  
მუდამ გქონდეს ცილობა.  
არ მოეშალოთ ფოთელებს,  
ეს შენი ხელგაშლილობა.

## შენს თვალეგში მა სიკეთი დავინახე

(ხათუნა ქობალიას)

ეფერები ყველა სიტყვას, ყველა ასოს,  
გინდა მათში მხოლოდ სიბრძნე დაინახო,  
ხშირად გიწევს მთვარის შუქზე ღამის თევა,  
არც კი იცი, რამდენი გაქვს გულის წნევა.  
არასოდეს გაყიდულხარ კარგო ფულზე,  
გული გტკივა ახლა ყველა არსებულზე,  
ირგვლივ ბევრი საოცარი ესმის ყურებს,  
ღამე ნათევ გადაღლილ თვალს რომ ვუყურებ.  
შენ უსიტყვოდ აიტანე ქვეყნის ჭირი,  
თან დაგქონდა გულით ბევრი გასაჭირი,  
ვიცი ახლა უმიზეზოდ ბევრი ყბედობს,  
მჯერა ღმერთი არ დაგტოვებს უიმედოდ.  
მთვარის შუქზე გებადრება ნაზი სახე,  
შენს თვალებში მე სიკეთე დავინახე.  
მომავალი წინ გიყურებს შენ ნათელი,  
კელაპტარში იციმციმებს კვლავ ნათელი,  
ყვავილებით მოხატულა შენი გზები,  
მომავალში სიხარულით აივსები.

15.IX.2024წ.

## კოლეგია და დაცურებათ, - ვარსკვლავთა დასი

(კულტურის საქართველოში  
ცნობილ ლოტბარს, დიდიკო კაჭარავას)

სინდის-ნამუსით უცხოვრია ამ ლამაზ ოჯახს,  
კოლხურ ჰანგებით ივსებოდა მეგრული ოდა.  
არც დოლარები გიზიდავდა და არც ვერცხლები,  
როს სახლის ჭერქვეშ ბუდეს წნავდა მუდამ მერცხლები.  
ოჯახის თავი იყავ მუდამ ფაფარაშლილი,  
სტუმართმოყვარეს გქონდა მუდამ სუფრა გაშლილი.  
კოლხური ზეცა დაგყურებდათ, -ვარსკვლავთა დასი,  
მოლხენაც კარგი იცოდით და შრომის ფასიც,  
დიდიკოს გუნდის ქართულ ჰანგებს გრძნობდა თოლიაც  
და ეს ღვთის ნიჭი ახლა შვილებს გამოჰყოლიათ.  
მათი გულები სიკეთის ქმნით არის გართული  
სისხლის წვეთიც კი არ ჩქეფს მათში არა ქართული,  
მამულის სევდით რომ აჩნიათ გულზე ჭრილობა,  
„ნაღდფოთელობა არის მათი გვარისშვილობა“.  
დგას ივერია ვაჟკაცებით მამულზე ფიცით,  
სულაც არ მიკვირს, მამის გვარზე რომ ხტოდეს კვიცი.  
სიყვარულია ყველაფერში მაინც მთავარი,  
ოჯახის მტიკე საფუძველი და ბალავარი.  
დე, მოეფინოს ყველა ოჯახს სვეტი ნათლისა  
და გაიხაროს მტრის ჯინაზე ბედმა ქართლისამ.

5.V.2015.

## გგაღლობა

(ვუძღვნი შორენა ჭოჭუას ეროვნული  
მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს)

ეკლიანი გზები,  
ეროვნული სული,  
გზებზე ანათემა,  
ჯილაგის და რჯულის.  
შენი ერთგულება,  
მამულის და რწმენის,  
შენი დედაენის,  
შენი ვაზის ცრემლის.  
ლამეები თეთრი,  
თუ ბუნკერში ყოფნა,  
ნათელს, რომ ჰავენს ქართლის,  
აწმყოსა და მყოფადს.  
შხარასა და შხელდას,  
დათოვლილ მთებს ზვიადს,  
უერთგულე მარად,  
მერაბსა და ზვიადს.  
გვჯერა ტკივილს ისევ,  
მოიშუშებს ერი,  
შენ გმობ ყველა იმას,  
ვინც სხვა ხმაზე მღერის,  
ლაბირინთში რწმენით,  
ისევ დევნი წყვდიადს,  
გადასძახებ ექოდ,  
მთებს მაღალს და ზვიადს.  
გინდ გაგაკრან ჯვარზე,  
გინდ ჩაგძირონ ზღვაში,

Երօվնուղ Տուլս Շենմո,  
Վերագրու Ծամլուս.  
Մուզու Սարտաղուղ,  
Ուսեց վարտուղ Գոլաս,  
Ցենեթուկուր Կոճուս,  
Տուսեղս Ամայս Ճա Թյուզանս.  
Մեմպազուդրյ Եար Վոգնես,  
Ճազուտուս Ճա Ճահիս,  
Ցմագլուծ Շենո Րնմենոս  
Երտաղուղու Րոմ Ճարհիօ.

3.I.20036.

## გამარჯვების ჩირალდან ახლაც ხელიდან არ უშვებ

(ვუძღვნი იროდი ტიკარაძეს დაბადებიდან  
75-ე წლისთავთან დაკავშირებით)

შენს იუბილეს ზეიმობს დღეს უძველესი ფაზისი,  
გაგთენებოდეს მრავალი, დეკემბერი და მაისი,  
აბა, მე ისეთს რას გეტყვი, გასაკვირსა და საოცარს,  
ქართულ ჰანგების ქურუმო, ქართული ლექსით დაგლოცავ.  
სიმღერით შემოიარე ქალაქები და სოფლები,  
ქართულ ჰანგებით შემოსე მოხუცები და ნორჩები,  
გულს ათბობს შენი, „წინ წყარო“, „კრიმანჭული“ და „ურმული“,  
ახლა ხარ დიდი მაესტრო და ხელოვნების ქურუმი.  
სიმღერა გულსაც მოითხოვს, სისხლსაც მოითხოვს მჩქეფარეს,  
ამ სასტიკ ბომონდს შენ ძლიე და ძეგლად გადაეფარე,  
რომელი ერთი ვახსენო, აჯობე ალბათ ათასებს,  
დაპფოვინებდი სიმღერით, ყველა შენ შექმნილ ანსამბლებს,  
„ფაზისი“, „ქალთა ტრიო“ თუ ანსამბლი, „კოლხი ბიჭები“.  
იმერეთს იყავ, თუ კახეთს, სიმღერით მოაბიჯებდი,  
ფაზისში ხარ, თუ თელავში, ყველგან თავკაცად გირჩევენ,  
წინსვლაში ვერვინ გაჯობებს, სულ პირველობას იჩემებ.  
გამარჯვებების ჩირალდანს ახლაც ხელიდან არ უშვებ,  
წართმევას ვინც გაგიბედავს, ცოცხალს არავის გაუშვებ,  
აროდეს კმაყოფილდები წარმატებით და მედლებით,  
მიტომ ხარ სულ ახალგაზრდა და არასოდეს ბერდები.  
ეს შენი წარმატებები, კოლხურ მიწაზე მარად თოვს,  
რამდენი ჯილდო შეჰმატე სახელოვნებო მარათონს,  
მუსიკალური ფოლკლორი, ქართულ საკრავთა გუნდები,  
სულ მაღლა, მაღლა დაფრინავ და არასოდეს ხუნდები.  
სამოცდათხუთმეტი წელი აბა რა საკვირველია,

სიბერე არვის ეგონოს, ეს მხოლოდ სიყრმის წელია,  
ახლაც ბევრს შეძლებ იცოდე, მუზის ღმერთები გწყალობენ,  
ჯერ კიდევ მაგ შენს უბეში, მაფშალიები გალობენ.  
გალობენ, იქვე ბანს აძლევს შაშვი და ჩიტი ღაბუა,  
ამბობენ, რომ ხარ მეუღლე, მამა და კარგი ბაბუა,  
ამბობენ, წამსო უფალი, თაყვანს სცემ ქართულ სალოცავს,  
მეც ვუერთდები ნათქვამს და გურულად ასე დაგლოცავ:  
დიდხანს გემლეროს ძამია, „კრიმანჭული“ და „წინწყარო“  
დე, შენი წარმატებებით ქართულმა ზეცამ იხაროს!  
ქართულ ფოლკლორის დარაჯად იდექ და იყავ დღეგრძელი,  
ღმერთმა უმრავლოს სამშობლოს, მოჭირნახულე შენფერი.  
დაე, ისმენდეს მსოფლიო ქართველ ვაჟკაცთა სიმღერებს,  
დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ და ლამაზ ჯანის სინმრთელეს,  
არ მოგკლებოდეს, „ჩხავერი“, „რქანითელი“ და, „ადესა“,  
გულით დაგლოცავ დიდ გურულს, იროდი ტიკარაძესა.

## სიკეთის ქმნაში ვერ გიტოლდები

(რუსულან ალექსანდრიას დაბადების დღესთან დაკავშირებით)

სულ მენატრება შენთან შეხვედრა,  
ჯადოსნური და მართლაც მისნური,  
მომენატრება ენამზეობა  
და საუბარი დარბაისლური.  
ჩამოგიბერტყყავს ბაჯაღლო კალთა,  
სიყვარულის და სიკეთის თესვით,  
ვერ გადავიხდი შენს ამდენ ამაგს,  
და გულს ვიჯერებ პატარა ლექსით.  
შენ სიკეთის ქმნით არასდროს ძლები,  
რაც უნდა გკვებონ, რაც უნდა გასვან,  
ო, რა კარგია თუ ეს თვისება,  
გადაეცემა უჩუმრად სხვასაც.  
ჩემო რუსულან, მრცხვენია კიდეც,  
ამაგს ვერასროს რომ ვერ გიხდიდი,  
არ მოგეშალოს ზღვა სიყვარული,  
და ერთგულება ესოდენ დიდი.  
სიკეთის ქმნაში ვერ გიტოლდები  
და ვერც დავითვლი, რაც უნდა ვთვალო,  
დაბადების დღეს გულით გილოცავ,  
დიდხანს იცოცხელე კეთილო ქალო.

23.VI. 2022წ.

## მამულისა და პოზიციის მოტივიალი კაცი

(ვუძღვნი იახონ (გადუნი) დოლბაიას ხსოვნას)

მე ფოთელთა იმ თაობას ვეკუთვნი, გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ თუ „ახალი კოლხეთის“ (ამჟამად „ნიკოლა-ძის გზით“) აქტიური მკითხველი რომ იყო (და არა მარტო მკითხველი), სტუდენტობიდან მოყოლებული პატარ-პატარა სტატიებით რომ ვავსებდი, გაზეთის ფურცლებს. მამაჩე-მი-ბენედიქტე (ძუკუ) ჩხეტია შენი უფროსი მეგობარი იყო, ერთ შენობაში, ერთ ჭერქვეშ რუდუნებით რომ ემსახურე-ბოდით ქართულ პრესას. მამა სტამბის დირექტორი იყო, შენ კი გაზეთის რედაქტორი, სადაც შუქდებოდა ცინცხალი ამბე-ბი ჩვენი ქალაქისა. მისი შუქ-ჩრდილები, თუ საინტერესო ეპი-ზოდები, ჩვენი ქვეყნისა. გაზეთი იმ დროს ყოველ პარასკევს გამოდიოდა და უამრავი მკითხველი ჰყავდა.

მე არ ვაპირებ შენი საქმიანობის ასახვას ყველა სფეროში, რასაც პირნათლად უძლვებოდი, ამას ეს პატარა სტატია კი არა, ერთი დიდტომეულიც ვერ დაიტევს. გამოვყოფ მხ-ოლოდ რამოდენიმე შტრიხს შენი შემოქმედებიდან: გარდა იმისა, რომ ქართულ დრამატურგიაში ძლიერი იყავი და შენი პიესები წარმატებით იდგმებოდა ფოთსა თუ სხვადასხვა ქა-ლაქების თეატრებში, პირველ რიგში, თხემით -ტერფამდე დიდებული პოეტი იყავი, რომ არაფერი დაგენერა -სახელად მარტო ისტორიული პოემა „ცოტნეც“ გეყოფოდა-ქართველ-თა ვაჟკაცობის ეტალონი. გადაჭარბებული არ იქნება ვთქვა, რომ ქართულ პოეზიაში ასეთი სიზუსტით და ასე მხატრუ-ლად ცოტნეზე და ქართველთა ერთგულებაზე ჯერ არა-ვის დაუნერია. საზოგადოდ პოეზიის დიდი დამფასებელი და შემფასებელი იყავი, ლექსი იყო შენი ტრფიალი, გალობა, ტკივილდამაყუჩებელი და ენერგიის მომცემიც, რომელიც

ადგილიდან მთასაც კი დაძრავდა. რა ლამაზად გამოხატე ეს ლირიკულ პოემაში, „ლექსის აპოლოგია“, სადაც გულწრფელად ამბობ:

ბრიყვმა ვით სცეს ლექსს თაყვანი,  
 ლექსი მისთვის ვარჯიშია,  
 არადა ის გალობაა,  
 სხვა ხვითოა, სხვა ჯიშია,  
 ლექსთან ცათა კიბე რაა,  
 თითქოს ფრთები გაუშლია,  
 მიგაქროლებს ზურგის ქარი,  
 უკან გრჩება ბორკილები,  
 და მზისაკენ მიიჩეარი,  
 იქით ბრძოლით შვებას ჰპოვებს,  
 მისი ცრემლნი ზღვას ერთვიან,  
 ლექსში გამარჯვებულ პოეტს,  
 გულზე ვარდი უკეთია.  
 განა რაა ცუდი მასში,  
 ყოველ პოეტს თუ ყავს რაში,  
 როგორ უნდა გაგიკვირდეს,  
 ლექსი შოთას ქვეყანაში.  
 აქეთ გორას ფეხს რომ კრავენ,  
 იქეთ გორას კრავენ ლექსით,  
 ვაშა ასეთ მესაკრავეს,  
 რაა ლექსზე უკეთესი.

ეს ლექსი ამონარიდია ამავე პოემიდან, სადაც თუ პოეტი ხარ, უფრო აფასებ მშობლიურ ცის ფერს, ზღვის სილურჯეს, შენს ისტორიულ წარსულს, იგი უსაზღვროდ გაყვარებს ვარძიას და ციხე-ბურჯებს:

„ლექსს ფხა ჩვენში მიტომ უჭირს,  
ფარავს ცა და ზღვის სილურჯე,  
მისი ერთი მოსმა ფუნჯის,  
მოგნუსხავს და დაგამუნჯებს,  
ის გაყვარებს ციხე- ბურჯებს,  
ვარძიებს და არტანუჯებს.

შენ შავი ზღვის, რიონის, და პალიასტომის ნაპირზე გაზრდილმა ცხრა ათეული წლის წინათ დაიკავე ამ მიწაზე კუთვნილი ადგილი. მას აქეთ - ამ ცისქვეშეთში დოლბაიების გვარის წარმომადგენელმა დიდებული სახელი მოიპოვე. ძნელად წარმომიდგენია, თუ ოდესმე ვინმეს ან რამეს დაეძარი აქედან, მხედველობაში მაქვს საოცარი შრომისმოყვარეობა, ის სასიცოცხლო ენერგია და ხალისი რომელიც ასე ჭარბად იგრძნობოდა შენში.

დღისით გაზეთზე მუშაობდი, (შენ ხომ მისი შეუცვლელი რედაქტორი იყავი). გვიან ლამერდე კი ვრცელ დოკუმენტურ მოთხოვნებსა და პიესებს წერდი-ლექსებთან ერთად. სიცოცხლე შენი ქალაქის და თანაქალაქელების სიყვარულმა გაგიხანგრძლივა, მაგრამ, მარტო სიყვარული რას გახდებოდა უშურველობის დიდი ნიჭიც, რომ არ დაენათლა შენთვის მამაზეციერს.

თავის გამოჩენა არასოდეს გიყვარდა, სახელს არ გამოდევნებიხარ. პოეტად დაბადებულმა. - კარგი ლექსების ავტორმა ამხელა გზა ისე განვლე, ერთი პატარა კრებულიც არ გამოგიცია, არადა სრულიად უბრძოლველად შეგეძლო წიგნის გამოცემა, ყოველთვის თავს იკავებდი. (მეც რამდენჯემე გთხოვე შენზე ვრცელი სტატიის დაწერა და ჩემთვის

ქრონოლოგიური მასალები გადმოგეცა.) ქვა ააგდე და თავი შეუშვირე.

მე ისეთი არაფერი გამიკეთებია ჩემზე სტატიები რომ დაინეროსო, ამის მიზეზი ალბათ საკუთარი თავისადმი. დიდი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა იყო.

შენთან ერთად სხვა მეგობრებიც იყვნენ რედაქციაში.-ასე რომ უხდებოდნენ ქალაქს, ჩვენს თაობას კარგად ახსოეს: გრიშა საბაშვილი, აკაკი ტიკარაძე, ილია ქოიავა, შოთა აბრალავა, კარლო კომახიძე, ალიოშა თოფურია, თამაზ ჭითანავა, კუკური ესაკია და სხვები, რომლებმაც მე-20 საუკუნეში ქალაქ ფოთის მთელი მატიანე შექმნეს. მახვილგონიერი და ენამოსწრებული იყავი, საოცარი იუმორის გრძნობა გქონდა, თუ რომელიმე ჩვენთაგანს მოწყენილს გვნახავდი, ისეთს იტყოდი ბოჰემური სიცილით დიდხანს ვხარხარებდით. სულით და რწმენით მართლმადიდებელი ქრისტიანი მრევლი იყავი. ხშირად გხედავდი ტაძარში რომ ლოცულობდი. წმინდა სანთლით ხელში. უფალს შეპლაღადებდი ოჯახის მფარველობას და მამულის ალორძინებას. მაგრამ დრო ულმობელია.-შენმა საფიცარმა შვილმა -უდროოდ დალუპულმა ვაჟკაცმა-მამუკა დოლბაიამ სიცოცხლის გაგრძელების სურვილი არ მოგცა, კაცს რომელსაც შეგეძლო დიდხანს ყოფილიყავი სიცოცხლეშივე, სრულიად გამოეთიშე ამ ქვეყნიურ სამყაროს და ოლიმპიურ სიმშვიდეში ელოდი როდის წახვიდოდი ყველა ფოთელის უსაყვარლეს ბიჭთან, რომელსაც სიყვარულით, „პელეს“ რომ ეძახდნენ. შვილის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებასთან ერთად მიწისქვეშა საქართველოში თან ჩაიტანე დარდი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისა, რადგან შენ გადუნი დოლბაიას მხოლოდ ეროვნული ინტერესები გამოძრავებდა და დიდი გალაკტიონის თქმისა არ იყოს -შენში წვეთი არ იყო სისხლი არაქართუ-

ლი, ამიტომ გტკიოდა ასე სამაჩაბლო და აფხაზეთი, გტკიოდა ძვლებამდე და გულს გიღღრნიდა უათონობა, უგაგრობა და ცრემლდანამული დაეძებდი შენს სათაყვანო დიოსკურიას ეს ტკივილი გულდათუთქულმა გამოხატე ლექსში, „ვედრება“.

ქორწილისათვის ვემზადებოდი,  
ვთქვით რაღა დარჩა შემოდგომამდე.  
ამ დროს, „მოყვარემ“, ჩრდილოელ მოდგმის  
მიავაგლახა, „საქმე ომამდე.  
იმ ჯვარისწერი ს ლოდინის, თრთოლვა,  
სეპარატისტთა ქვებმა ჩაქოლა,  
ქალი ხიზანობს შორეულ პლოვდიდს,  
ტაბუ დაედო ზეიმს საჩვენოს.  
ახლა მზისქვეშაც მცივა, ვერ ვთბები,  
„გულში მჭრის, გულში უკულმართონ“,  
ჭირს უსატრფოო ღამეთა თევა,  
მიჭირს უგაგროდ და უათონოდ.  
კვიპაროსები, ოი, რამდენი,  
პალმის რამდენის ხილვა მწყურია,  
ისევ დავეძებ ცრემლდანამული  
ჩემს სათაყვანო დიოსკურიას.  
ლმერთო მაცილის შუბი გაღუნე  
მამულის ბედი ისევ შენ განდე  
რაც გვარგე ერთხელ კვლავ ის გვარგუნე.  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,  
რა ლამაზი და მნიშვნელოვანი მონატრებაა, ლმერთმა გის-  
მინოს ბატონო გადუნი,  
„დრო ვერაფერს ავნებს დიად აზრებს, რომლებიც დღესაც  
ისევე გვხიბლავენ სიახლით, როგორც მრავალი საუკუნის  
წინ, რაც თავიანთი ავტორების გონებაში ჩახატულა.“  
ამბობდა დიდი გერმანელი პოეტი იოჰან გოეთე,

დიახ! დრო ვერ შეცვლის ქართველთა გმირობის ამსახველ  
პოეზიას, პოეზიას, რომელსაც დავიწყება არ უნერია.

შენი პოემა, „ცოტნე“, „ვედრება“, „პოეზიის აპოკალიფსი“  
და პოეზიის სხვა მარგალიტები მუდამ დარჩება მკითხველთა  
გულებში და მეხსიერებიდან ამოშლა არ უნერიათ.

ბედნიერი ხარ! ამ სიყვარულს ერთეულები იმსახურებენ  
მხოლოდ,

კვალი ნათელი შენ განვლილ და გასავლელ გზებს რომლის  
ბილიკებზე თაობებმა უნდა იარონ!

უფალს ებარებოდე. ამინ!

25.VII. 2022წ.

## მამულს შვილები ჭირდება

(ჩემს ყოფილ მოსწავლეს ხატია ჭანტურიას)

სახლში სინათლე არ ქრება,  
აროდეს არის ჩრდილია,  
კელაპტარივით დაჰნათი,  
ქეთის, მარის და ილიას,  
ლამაზად გაუზრდიხარ დედას,  
ფუსფუსებ, გარჯილხარ შრომითა,  
სამ შვილს სიყვარულს ჩუქნი და  
მეოთხეს ელოდები შორიდან.  
მამულს შვილები ჭირდება,  
არ დაგაყოვნოს ფიქრებმა,  
მესამეს ილია შეარქვი,  
მეოთხე შოთა იქნება,  
თებერვალია, ცა მოხატულა,  
მიმოფანტული ლურჯი იებით,  
გული გაქვს თბილი, როგორც მზის სხივი,  
გაზაფხულს გჩუქნის შენი შვილები.

## აპრილის ქარი გაგიღებს კარებს

(ვუძღვნი როლანდ ხარებავას)

ჩემო ძვირფასო, დღეს შენი დღეა,  
აპრილის ქარი გაგიღებს კარებს.  
დღეს გერგო ამაყ ზამბახთა თოვა,  
იებიც გეტყვის ლამაზად სათქმელს.  
როცა გაზაფხულს მოაქვს ფერები,  
მიდი და ნახე ვაზი გასხლული,  
რომ დაიწუროს ყურძნის მტევნები,  
საფერავის და ალადასტურის,  
სტუმართმოყვრობას ვერვინ დაგიშლის,  
ღმერთმა გაშოროს სახლი მდუმარი,  
და მკერდს მოვარდნილ გრიგალს შეახლი,  
სახლში თუკი გყავს ერთი სტუმარიც.  
ცოტნეს ჯიშის და ჯილაგის კაცო!  
ძარღვებში სისხლი გიდგას ლაზური,  
და ვაჟკაცობის სიმბოლოდ ხელში  
გიპყრია ყანწი მამაპაპური.  
და ეს ცხოვრებაც კადრივით მიქრის,  
დრო გაფრენილი ჭენებ ჭენებით,  
შენც ხომ ლექსი გწვავს  
ვეფხის და მოყმის,  
მიგაქროლებენ „ლურჯა ცხენები“,  
მამის ჭიშკარი შეაღე ფრთხილად,  
მიდი და ნახე ვაზი გასხლული.  
ვაჟის ნაჟური შეგარგოს ღმერთმა,  
ოჯალეშის და ალადასტურის.

## ჩვენ კაპარზინის ნაპირი გვზრდიდა

(ვუძღვნი სიყრმის მეგობარს გულიკო იმნაძეს)

ლამეში ღრუბლებს ითვლიდა მთვარე,  
როცა ყურმილში გაისმა ზარი,  
რას ვიფიქრებდი ამ შუა დამეს,  
დამირეკავდა ნანატრი ქალი,  
ვზივარ ჩემთვის და მივსტირი წარსულს,  
ახლა ამ ცრემლებს რას არ ვადარებ,  
თურმე ეს გრძნობა არსად გამქრალა,  
რა სიყვარულიც გვქონდა პატარებს.  
ჩვენ კაპარჭინის ნაპირი გვზრდიდა,  
იყო სიცელქე და სინანული,  
თავს გვევლებოდნენ ჩვენი დედები,  
ჩემი ლუბა და შენი ნანული...  
ჯოხის ცხენებით დიდი ხმაურით,  
ვუსმენდი ჭადრის შრიალა ფურცლებს,  
რიონის პირას აურზაურით -  
ჩვენი ბავშვობა გაფრინდა უცებ.  
ო, მენატრები მერედა როგორ,  
ამ მონატრებას ბოლო არ უჩანს,  
ისევ ცელქი ვარ ჭალარა გოგო,  
გადავირბინე ნაცნობი ქუჩა.  
იქ ჩემი სახლი ახლა სხვისია,  
მასზე ფიქრით რომ დამთენებია,  
სიზმრად მამშვიდებს ვანო ბიძია  
და მეფერება ლიზა ბებია.  
უსაყვარლესი ხალხი წავიდა,  
ტკივილი ჯერ არ გამნელებია,  
სივრცეს გავძახი, ჰეი სადა ხართ?!

და ღამე თეთრად გამთენებია.  
 ოცნების ზღვაში ჩაუშვეს ღუზა,  
 ისევ წარსულთან ვმართავ დიალოგს,  
 შენც არ გასვენებს ლექსი და მუზა,  
 წამო და ერთად ვიბოდიალოთ.  
 ნაცნობ ქუჩებში, პარკის უბანში,  
 გადავირბინოთ ლამაზი ხილი,  
 მერე ავანთოთ წმინდა სანთელი,  
 ფოთში ყველა გზა ტაძართან მიდის!  
 ჩვენი გულის თქმა ასე სათუთი,  
 ახლა ჭადრებმა თუ გაიგონა,  
 გადავქცეულვართ გული, ძვირფასო,  
 მე და შენ ახლა ლექსების მონად,  
 მღელვარე ზღვაში ირწევა გემი  
 და ეფერება თეთრი თოლია,  
 შენ სიყვარული ასე უძღები,  
 იმნაძების გამოგყოლია.  
 მე სხვა საუნჯეს აღარ მივტირი,  
 მინდა, რომ შენთან ყოფნა ვინატრო,  
 არ მოგკლებოდეს უფლის მადლი და  
 ამ სიყვარულმა გზა გაგვინათოს.

## ფოთილ პედაგოგთა ხევისპერს

(ლექსი მიეძღვნა ჩემს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს პიმენ ნაცვლიშვილს და წაკითხულ იქნა მისი დაბადების 75 წლისთავზე, ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში).

მოგესალმებით მოძღვარო!  
მომაქვს სალამი გვიანი,  
ასი წლისთავზეც მენახეთ,  
ასე ლალი და ფხიანი,  
ეჰ, ნეტავ იმ დროს ოცნებით,  
როცა გაზაფხულს ვხატავდით,  
ხან შოთას ავთანდილად და  
ხან ტარიელად გსახავდით,  
ახოვანსა და შუბლნათელს,  
სიტყვა პირს გადგა მზიანი,  
ხან ქისტი ლუხუმი იყავ,  
ხანაც ალუდა ხმლიანი,  
ფოთელ ვაჟკაცთა კაი ყმა,  
აზრების ხმლისებრ მფერავი,  
დაგვაქროლებდი ლაჟვარდში,  
ბარათაშვილის მერანით.  
აზრის და მადლის მთესველო,  
სულნათელ ქართველ მგოსანთა,  
ის შენი გაკვეთილები,  
ილიას სიბრძნით გვმოსავდა,  
მას შემდეგ ლამპრად ანთიხარ,  
ჩაუქრობ სხივის დარადა,  
შენი აღზრდილი მოყმენი,  
შამაგხვევიან ჯარადა.

ვინა სთქვა ლომი დაბერდა,  
 ან ჯავრს შაირჩენს მტრისაო,  
 ხმალიც კარგად ჭრის და თვალიც,  
 ნაცვლიშვილ პიმენისაო.  
 ვისი გორის ხართ გახსოვდეთ,  
 ხმა ჩაგვძახოდა ერისა,  
 ფოთელი პედაგოგების,  
 ნამდვილი ხევისბერისა.  
 არ მოშლილიყოს ფაზისში,  
 შენებრ ვაჟკაცის ძეობა,  
 ყველას შენსავით ჰქონოდეს,  
 გამძლეობა და მხნეობა.  
 პირზე ღიმილი გეფინოს,  
 გვირილებად და ვარდებად,  
 შენებრ ვაჟკაცებს თუ გაზრდის,  
 ერი არ გადაგვარდება,  
 არ დაგლეოდეს კაი ყმა,  
 ვაზის მტევნები ცვრიანი,  
 ქართული სიტყვის მადლი და  
 პოეზიის ტრფიალი.  
 ჩვენ გულში ლამპრად ანთიხარ,  
 ჩაუქრობ სხივის დარადა,  
 ეს შენი გაკვეთილები,  
 ყველგან გვიძლოდეს ფარადა.

## მელაცოლია

(ჭაბუკ ქოიავას ალმანახ - „ორნატის“  
რედაქტორს ხუმრობაგაშვებით)

მიწაზე ყრია მთვარის ნამსხვრევი,  
მიმოფანტული ძნელსავალ გზებზე,  
შენ ორნატელებს არ ემასხრები,  
ყველა მათგანში გენიოსს ეძებ.  
ბავშვიც კი მოდის, „ორნატს“ კისკისით,  
ხანდაზმულებიც დარდს ვატანთ ქარებს,  
ტატოს და ვაჟას ლექსთა გიზგიზით,  
ცეცხლს წავუკიდებთ მზის იალქანებს.  
ო, როგორ გიყვარს შენ ეს პლანეტა,  
მიმოფანტული ფერად ნაჭრებით,  
დაბრძანდი ჭაბუკ! გელის კარეტა  
და ორნატელებს ნუ ემასხრები.  
ვა, რა კაცი ხარ, რას ფიქრობ ნეტავ?!  
გიზიდავს ლამაზ ქალთა გრაცია.  
ამ ბოჰემური ცხოვრების გამო,  
შენს, „დრანდულეტსაც“ ყავლი გასვლია,  
მაგრამ დადიხარ ფაზისში ლალად,  
ჩვენც რესტორნებზე აღარ ვგიუდებით,  
შენ უფულობის სენი გჭირს რადგან,  
მუდამ ყავაზე გვეპატიუები.  
ლექსად გვიტოვებ ინიციალებს,  
ჰეი, ჭაბუკო! სადლა გეძიოთ,  
თუ ლამაზებში იხეტიალებ,  
ბადით თევზები სად დაგენიოს?!  
გახსენი წარბი, სული და გული,  
როგორც გჩვევია, ჰო, აბა ისე,

რა ვუყოთ დღეს თუ არა გაქვს ფული,  
ჩვენ პოეზია აგვაგიზგიზებს.  
ამ ცხელ კონკურსში ეძებ გენიოსს,  
ეძებ პარნასზე წერის ოსტატო,  
ოღონდ კი ვინმე გამოგვერიოს,  
მზად ხარ პრომეთეს ცეცხლი მოსტაცო.  
ვერ ჩაგვასობენ ალესილ დანებს,  
შურიანებმა რაც არ იღონონ,  
ცეცხლი აუნთე ზღვის იალქანებს,  
არ გაგვირისხდე „პოსეიდონო“!  
შენ გაგიმარჯოს გრძნობის ქარბუქით,  
მამულის ტრფობით რომ გილოცია,  
დიდხანს იცოცხლე მარად ჭაბუკო,  
ეს გაზაფხული მომილოცნია.

## რა რიგ უხდები გაზაფხულს

(ვუძღვნი მარინა გეგენავას)

(ლექსის აკროსტიხით, სადაც ვერტიკალურად წერია  
„მარინა დიდხანს იცოცხლე, გვიყვარხარ“)

მ - უდამ სიკეთის მფრქვეველო, დიდხანს ჯანმრთელად მეყოლე,  
ა - რ მეგულება კეთილი იყოს შენებრი მეორე,  
რ - ა რიგ უხდები გაზაფხულს, შენ გაზაფხულზე მოსულო,  
ი - ა - იებით დგახარ და სანთლით ტაძარში ლოცულობ.  
ნ - ატვრა სულ ყველა აგიხდეს რაც კი რამ მოგესურვება,  
ა-მქვეყნად დიდხანს გაცოცხლოს გამჩენმა დედა-ბუნებამ,  
დ - ედის გულივით თბილი ხარ, შვილიც ხარ, დედაც, ბებიაც,  
ი - მდენ სიკეთეს ასხივებ, ეკვატორს გადასდებია,  
დ - ედად მიგიჩნევს შენ რძლები, შენ მათთვის მართლაც  
დედა ხარ,

ხ - ომ ნატრულობდი ყოველთვის შვილთა სიკეთე გენახა,  
ა - გიხდა მართლაც ოცნება, შენებრ რომ დაჰკრავს სითეთრე,  
ნ - ანატრი რძლები შეგხვდა და, ღმერთმა გარგუნა სიკეთე,  
ს - ულს მისცემდი ალბათ ყველას, თუნდ ჩავარდე სადმე ვალში,  
ი - მდენი ჯაფა გასწიე, ქალმერთი ხარ ყველას თვალში,  
ც - აზე ვარსკვლავებს გიყრეფენ ნანატრი შვილიშვილები,  
ო - არ გჭირდება წამალი, როცა მათთან ხარ მშვიდდები,  
ც - ოცხლობ იმათი თვალებით, როდესაც შემოგხვდებიან,  
ხ - არობ და ეალერსები, შენ შემოგველოს ბებია,  
ლ - ამის მსოფლიომ გაიგო არსად არა ხარ ნაკლული,  
ე - ხილოს ყველას შენებრი ბებია თავგადაკლული,  
გ - ულ-ღვიძლი გენვის თუ უჭირს შენს მეგობარს და ახლობელს,  
ვ - იცი ცხრამთას გადაივლი, თუნდაც ძალზე შორს სახლობდეს,  
ი - სე თქმასაც ვერ ვახერხებ, ვინც ხარ ისეთი დაგხატო,  
ყ - ვავილიც კი ვერ გაჩუქე, შენ ყვავილივით ნახატო,

ვ - ნატრობ როდის გველირსება, მშვიდობიანი ცხოვრება,  
ა - სე ვიფქერობ ეს ცუდი დრო, წავა არ გვემახსოვრება.  
რ - იონს და ზღვას გავატანოთ, რასაც რომ ჭირი ედება,  
ხ - ვავით, ბარაქით მამული გადაიქცევა ედემად,  
ა - ხლა ქმარ-შვილს დაგილოცავ და შორიდან გიძლვნი კოცნას,  
რ - ა გითხრა, რით გაგახარო, დაბადების დღეს გილოცავ!  
დღეს მე შენზე ახლობელი არავინ არ მეგულება,  
არ მოგშლოდეს სიხარული, სიმშვიდე და ერთგულება!

## შოთის ღვთისშომობლის შობის ტაძარი

ფაზისს დაადგა უფლის ნათელი,  
თითქოს დაჰყურებს გუმბათი ციდან,  
ამაღლებულა ფოთის ტაძარი,  
თეთრად ელვარებს შორეულ ციდან,  
რიონთან ქარი კრძალვით დაპერავს,  
ჭადრის ფოთლები ჩურჩულებს ჩუმად,  
აქ ნიკოლაძემ სული ჩაპერა,  
თითო ხესა და თითეულ ქუჩას,  
ღვთისმშობლის შობის ტაძართან ახლოს,  
ღამე რიონთან წვება ხალისით,  
აქ დიდი ნიკოს სული ტრიალებს,  
ბოდიშს რომ უხდის ახლა ფაზისი,  
ამ სილამაზეს ბოლო არ უჩანს,  
აქ განოლილა ლამაზი ხიდი,  
არის ფაზისში თორმეტი ქუჩა  
და თორმეტივე ტაძართან მიდის.  
სტვენს მაფშალია კოლხი ბულბული,  
თითქოს ცოდვებით სული ეწვოდეს,  
ცას შეჰდალადებს ყველა სულდგმული,  
ღმერთო, შეგვინდე თუ რამ შეგცოდეთ.  
გამოვისყიდოთ ძველი ცოდვები,  
ტაძარში რეკენ ცისკრის ზარები,  
საგალობლებთან ისმის ლოცვები,  
ხატებთან იწვის კელაპტარები,  
დაე, სიკეთემ განწმინდოს ცოდვა,  
დედაღვთისმშობელს ვენდოთ სრულიად,  
ღვთის სადიდებლად წარმოვთქვათ ლოცვა,  
ღმერთი ხომ თავად სიყვარულია,

ფაზისს დაადგა უფლის ნათელი,  
დღეს ერთად დგომის დაგვიდგა ჟამი,  
ტაძარში იწვის წმინდა სანთელი,  
ღმერთმა დაგლოცოთ მარადჟამს ამინ!

## აქ კელაპტარად ათოებულა მოიცდა სათოელი

(ვუძღვნი მეუფე გრიგოლს)

ფოთში ღვთისმშობლის სხივი გვლოცავს, -სხივი ნათელი,  
უიმედობა ლურჯ თვალებში ბინდივით კრთება,  
აქ კელაპტარად ანთებული წმინდა სანთელი,  
არასდროს ქრება.

ამ მაღალ გუმბათს უნანავებს ნაზი ნიავი,  
აქ, მრევლის გულში სიყვარული აროდეს ჭკნება,  
დუმს მაცხოვარი სულის უქრობის ხანძრით,  
დიდება შენდა.

ჩურჩულით პირჯვარს გადაიწერს, გვლოცავს მოძღვარი,  
განათებულა გუმბათი და ცა საფირონი  
და ქრისტეს ჯვარი რომ უჭირავს მეუფე გრიგოლს,  
ხატებს ცრემლებად სიხარულით დასდით მირონი.  
აქ უფლის ნებით აღორძინდა ისევ ტაძარი,  
და ყველამ ვიცით, აქ ქაოსი რომ იყო სრული,  
ტაძრის კედლებში იმარტვილა დიდხანს მეუფემ.  
შიგ ჩადო გული.

და ახლა როცა მეპკურება ცრემლი ღვთისმშობლის,  
აქ ქრისტეს რწმენით იმედები კვლავ მეუფლება.  
დიდება იმ გზას და იმ ტაძარს დიდებით მოსილს,  
დიდება, გრიგოლ, შენს მეუფებას.

## ჩემს მოძღვარს, მამა კონსტანტინე პურშანაძეს

ტაძარში როცა ვლოცულობ,  
როს აღსარებას ვაბარებ,  
თავს დაბლა გიხრი მოძღვარო,  
და თვალწინ მიდგას ლაზარე.  
როცა ტკივილებს მიყუჩებ,  
შენ საღვთო მადლით მოსილო,  
გუმბათს შევხედავ ზეციურს,  
პირჯვარს ვიწერ და ვლოცულობ.  
შემინდე თუ რამ შეგცოდე,  
მე უცოდველი როდი ვარ,  
თუმც კალო ვლენე ცოდვების,  
ახლა დაღლილი მოვდივარ.  
ცრემლით დანამულ მიწაზე,  
დავდივარ დავიარები,  
გული არ გულობს საგულეს  
დაჭრილი ნაიარევი.  
თუნდ მძიმე სენმა შემიპყროს,  
შენი ლოცვაა ფრთამალი,  
ჩემს სულს შენ ისე ამშვიდებ,  
აღარ მჭირდება წამალი.

## ლეგენდა იყო ზღაპარი (იგორ ლურჯიას)

თქვენ სიყვარულმა შეგყარათ,  
ფოთში იპოვეთ საყდარი,  
ზღაპრებშიც არ წამიკითხავს,  
მე სიყვარული ამგვარი,  
ბედმა ხელჩაკიდებულებს,  
შემოგატარათ მთა-ბარი,  
დაზარდეთ წყვილი შვილები,  
მზისა და მთვარის სადარი.  
ზოგჯერ სამსალას შეგასმევს,  
მუხთალი ბედის ტრიალი,  
ახლა ცალულელ დადიხარ,  
ირემი მთასა მყვირალი.  
ვეღარ გაგტეხა სევდამა,  
საჯილდაო ქვა დასძარი,  
აშენე ბევრი შენობა,  
ეკლესია და ტაძარი.  
ამდენ ჭირ-ვარამს გაუძელ,  
ეს როდი იყო იოლი,  
ახლაც მზადა ხარ საქმისთვის,  
რომ გადაცურო რიონი.  
ლოცულობ ლამაზ ტაძარში,  
მაღალ ღმერთს რომ სცე თაყვანი,  
ახლა ღირსებით ირწევა,  
შენი კაცობის აკვანი.  
იმ ლამაზ წარსულს ვიხსენებ,  
დღე, როა წაალაპარი,  
ეს სიყვარული კი არა,  
ლეგენდა იყო ზღაპარი.

## დედა - დედაშვილობას

დედას მიმართავენ შვილები, როდესაც უჭირთ და ულხინთ, ოდეს ცხოვრებაზე აზრს შეიცვლიან და პირველი ნაბიჯის გადადგმა სურთ. წერილი რაა უბრალო წერილი, მაგრამ როდესაც შვილები დედებს წერენ, ამ წერილს დედის დასამშვიდებლად და მოსაფერებლად საოცრად თბილსა და ღვთით მომადლებულ სიტყვებს პოულობენ. როდესაც კეთილი ადამიანი მშობლებზე ლაპარაკობს, იგი პოეტურ სამოსელში ეხვევა შვიდფერი მუზის წყალობით, საქართველო ამ მხრივაც სამაგალითოა, მარტო „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა რად ღირს დიდი ხნის წინათ მადლიანი გულით ამღერებული ლექსი.

„დედაშვილობას გეფიცები“ ყველაზე უშუალო და დამაჯერებელი საფიცარია მისთვის: „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა; ესეც ხომ ნათლად არის ნათქვამი, რაც უფრო დრო გადის დაულეველი ზღვა არის დედაშვილობა, რომელსაც მარადიული პოეზიის მდინარეები ერთვიან. ფოთელი ქალბატონის, ხათუნა წულაიას ლექსები შემთხვევით ჩამივარდა ხელში და გამოჩენილი კუბელი პოეტის იამან აუზნის სიტყვები მომაგონდა:

„ო, რა მართალი გული აქვს დედას,  
ო, როგორა გრძნობს ყველაფერს საშიშს,  
იცის და მაინც ახარებს, ვხედავ,  
როს თბილ ბარათებს ღებულობს სახლში“.

ხათუნა წულაია მე-5 სკოლის კურსდამთავრებულია, პროფესიად ეკონომისტობა აირჩია, მაგრამ სიყვარული პოეზიისადმი არ განელებია, თავადაც წერს კარგ ლექსებს (პოეზიის რამდენი მარგალიტებია ასე გაბნეული და ჩაფარცხული) ხათუნა ფოთში ხშირად ვერ ჩამოდის მოუცლელობის გამო, დგას წულაიების ოდა სახლი ფაზისში ამაყად - კარგი შვილების და მათი მონაგრების მომლოდინე, ხათუნას წვავს ნოსტალგია მშობლების ნახვის, რომელიც ასე შესანიშნავად გამოხატა თავის ლექსში:

## გვერდი 123

რაც დრო გადის, უფრო მეტ დარღს გისევ,  
ვერ მოვდივარ, შენ ჩამოდი ისევ,  
შენ ხომ ჩემგან სულ არაფერს ითხოვ,  
მარტო გსურს რომ იგრძნო ჩემი სითბო,  
როგორ გიჭირს მოლოდინი ვხედავ,  
ვერც მე ვიტან შორს რომა ხარ, დედა.  
შენ ლამაზ ტანს მოუხდება ფარჩა,  
არ ითხოვ და ჩითის კაბით დარჩა,  
ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გკითხო მინდა,  
ნუთუ შენ სულ არაფერი გინდა?!  
გაზაფხულზე ჭენჭკეტები გხიბლავს,  
მე ვიცი, რომ არ დამტოვებ დიდხანს,  
უხმოდ იტან ჩემს ჭირვეულ მამას,  
ალბათ ხვდები, რომ გიფასებს ამაგს,  
რაც დრო გადის, უფრო მეტ დარღს გისევ,  
ვერ მოვდივარ, შენ ჩამოდი ისევ!

## გამას

შენ ფიქრობ, რომ მე თუ დავწერ ლექსი კარგი გამოვა,  
აქამდე რომ ვერ გავბედე განა რითმის გამოა?  
სხვის მშობელზე უფრო შევძლებ ალბათ სიტყვა დავწერო,  
მაგრამ შენი სიყვარული როგორ უნდა აღწერო.

ჩემო გენო, ჩემო სისხლო, მოამაგევ, ერთგულო,  
მოძღვარო და შვილებისთვის უღალატო მეგზურო,  
ვერაფერი შემაშინებს, სანამ ჩემზე ლოოცულობ,  
ჩემო ობლად გამოზრდილო, სიკეთისთვის მოსულო,  
კარგად ვერ ვთქვი, რაც მინდოდა, მაპატიე ამიტომ,  
ჩემო გენო, ჩემო სისხლო, ჩემო კარგო მამიკო!

„პატივი ეც დედასა და მამასა შენსა, რათა კეთილი გეყოს  
და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“ - ნათქვამია უფლის 10  
მცნებაში, ყველაზე დიდი საჩუქარი, რომელიც კაცობრიობი-  
სათვის მოაქვს ადამიანს - ადამიანია, სწორედ ამაშია აზრი სი-  
ცოცხლის სილამაზის და უკვდავებისა, რომლის სათავე არის  
მშობელი დედა, რომლის უძვირთასესი სამკაული ლამაზად  
გაზრდილი შვილებია, ადამიანები სხვადასხვა ენაზე ლაპარა-  
კობენ, დედა კი ყველა ენაზე საუბრობს - არ მოშლოდეს დედა  
სამშობლოს ამ ენაზე საუბარი.

## დღეს შემოდგომა ზეიმობს

(ვუძღვნი ჩემი ყოფილი მოსწავლეების ხატია ჭანტურიასა და  
ლევან ჩხეიძის ნანატრ ვაჟიშვილს, რომელიც 2024 წლის 13  
ოქტომბერს 2 წლის გახდა)

დღეს შემოდგომა ზეიმობს,  
რა კარგი დარი დგებაო,  
დაბადებულა ხალისი,  
სახლში სიცოცხლე ჩნდებაო.  
დღეს შემოდგომა ზეიმობს,  
ტოტებს ასკედება ხილია,  
მზე შინ და გარეთ იფრქვევა,  
დაბადებულა ილია.  
დაბადებულა, ბიჭი მზე,  
დაფრინავს რაშის დარადა,  
შემოაფრქვია ღიმილი,  
სულყველას გასახარადა,  
მადლობა უფალს რომ გაჩნდი,  
შენ მომავალი ილია,  
ჩხეიძეების ოჯახში  
ნანატრი ვაჟიშვილია.  
ყურადღებით რომ უყურებს,  
მულტფილმებსა და ვიდეოს,  
მზეს ეუბნება შენ ჩადი,  
მე უნდა ამოვიდეო.  
დედმამას შენით ეხაროს,  
გქონოდეს მუდამ ლხინია.  
დაბადების დღეს გილოცავ,  
ჩემო ლამაზო ილია.

12.X.2024წ.

## ბაჭიას პოზიცია ილიასადმი

(ისევ ილიას)

მე ბაჭია ვარ ყურცქვიტა,  
მგელი სულ დამსდევს ფეხდაფეხ,  
ნამუსის ქუდი მახურავს,  
სიტყვას ვერაფრით ვერ გავტეხ.  
ილიას ოთახს ვამშვენებ,  
გავრბი მგელმა არ გამლახოს,  
ტელევიზორში მეც ვცეკვავ  
ილოსთან ერთად შალახოს.  
ჩემი სახელის თქმაშია,  
ბევრჯერ მოვუწყვე გამოცდა,  
ძალიან მიკვირს ჩემს სახელს,  
ამდენხანს რომ ვერ წარმოსთქვამს.  
რადგან ილია შეგარქვეს,  
არ უნდა დავრჩეთ მონებად.  
შენც მისებრ უნდა იწამო,  
მამულიც, სარწმუნოებაც,  
დღეს ინტერნეტით გავიგჩ,  
ორის ყოფილხარ შვილოსა,  
მგელი, ფისო და ბაჭია,  
დაბადების დღეს გილოცავს!

## ԺՈՂՈՎՔԱՐԴԻ

### ԹՈՇՈՎԱԾՈՒՐԵՑՈ

„Եռորդուս լրջողօծուս յամո մեռոծս դա արա սուլուս,  
յեզեպանաս լուսացս პորազալողօծուս սյոն այսպոլու,  
ցագութու գագութու, լամեյթու, ապալ-մապալթու,  
პյուրուս մացուրագ քանցա ხարոծս პյուրուս յանաժու.  
„ԺՎԵԼՐՈՄԱԿԱՆՈՒՆԻ- ըգորութիմու“- ցամեցդա դղյեսապ.  
ան բաս մոցումկուտ, ույ սույետու ար դացուուեսացս.

\* \* \*

Տաղաւոր մակարուս պատրիարքա Շվենուս,  
ամաս ար յնդա մոխեգուա ծրադենուս,  
կապս-րում կապուրու պատրիարքա Շվենուս,  
- զագլաե!, րում ամաս զեր եզաւեա ծեզրու.

\* \* \*

Եղանակու մակարուս պատրիարքու,  
ար մոխեգուա զեմանուս,  
միջե- մտազարսարդալու,  
սանուտուս զեմանուս.

\* \* \*

მთვარე ღრუბლების ტბაში წევს,  
ცა მოქუფრული ხვნეშის,  
და როგორც ჭირისუფალი,  
ტირის წვიმების თქეშით.

\* \* \*

ამ ცხოვრებას, რომ გაუძლო,  
უნდა გქონდეს ათი თავი,  
როცა მორალს წაგიკითხავს,  
თვით მორალის საკითხავი.

\* \* \*

გული ხომ არ გაწუხებთ?  
არა პირიქით მე ვაწუხებ გულს.

\* \* \*

მე ჩემებურად ვუმღერ ქვეყანას,  
სხვას როგორც უნდა ისე იმღეროს,  
მთავარი არის არ წახდე ისე,  
რომ ქართველობა არ შეიფერო.

\* \* \*

ოი, რა საწყენია  
და რა გულსატკენია,  
როცა ის გედავება,  
ვისაც საქართველოსთვის  
ფრჩხილიც არ ასტკენია.

\* \* \*

ფიქრები მუმლივით შემომჯარვიან, ხან მკორტნიან, ხანაც უთავბოლოდ ხარხარებენ და მაინც ფიქრია იგი. სულ სხვაა ოცნება, -მეოცნებე კაცი, თუ ის ბოროტი არ არის და არ უნდა სხვათა განადგურება, მუდამ სიკეთის კოშკებს აგებს ხოლმე.

\* \* \*

ცხოვრებაში ყველაზე დიდი ფასი აქვს თავისუფლებას, მა- გრამ არა აღვირახსნილს და ზნედაცემულს, რომელთა მიზა- ნი მხოლოდ თავისუფალი ბოროტებაა.

\* \* \*

ეს ცხოვრება სიზმარია, ტკბილ-მწარე სიზმარი, მხოლოდ ერთი რამისგან განსხვავებით წლები, რომ მეტხანს გრძელ- დება, მეტ-ნაკლები წლების შემდეგ სიზმარივით ქრება შენს თვალწინ, სიზმრებივით ქრებიან საყვარელი ადამიანები, რომლებიც გულში უსაშველო ტკივილს ტოვებენ.

\* \* \*

ფული კაცს სჭირდება თავისი სინდისი რომ შეინახოს, თორემ უსინდისო კაცს, ფული არაფერში ჭირდება, სინდისიანი კაცი ფულს კარგ საქმეში მოიხმარს და სხვასაც მოახმარს, უსინდისო კაცი ფულს ბოროტად მოიხმარს, ან არამად დარჩება. ზოგჯერ ჩადებს მიწის ქვეშ და ისე წავა ამქვეყნიდან, ფულის არსებობას არავის გააგებინებს, ასე რომ ფულს ორნაირი მომხმარებელი ყავს კარგი და ცუდი, ისე როგორც ქვეყნად არსებობენ კარგი და ცუდი ადამიანები.

\* \* \*

თავი თვის ბოლოკისა კი არ უნდა იყოს, კაცმა მოსაკვნეტად რომ გამოიყენოს, ასე, რომ ერთმანეთს თავებსა კვნეტენ დაუნდობლად.

\* \* \*

ცას კიბე რომ მიაბჯინოს მას შიშიცა აქვს, ბაბილონის გოდოლივით ამ კიბეზე ამსვლელი აზრები ისე ვით ენები არ აირევიან.

\* \* \*

თავისუფლება კეთილთ ძალუძს მხოლოდ, თავისუფლება თუ ბოროტს და შლეგებს მიეცათ ნერონივით გადაწვავენ მსოფლიოს, ხოლო თუ მანიაკებს - არცერთი ადამიანი ცოცხალი არ დარჩება. ასე, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში მაინც კანონის და ზნეობის ტყვეა ადამიანი. თუმცა ბევრი უზნეობა და უკანონობა დამკვიდრდა ქვეყნად.

\* \* \*

ვერ გადიხდი დედის ამაგს,  
ვერც ოქროთი, ვერცა ვერცხლით,  
და ვერც იმით ხელის გულზე,  
რომ შეიწვა ერბო კვერცხი.

\* \* \*

ყინულოვან ტრამალებში კოცონი მოჩანს, ყინვაში დარჩენილმა ადამიანმა იქ მისასვლელად და გასათბობად, ახალი გზები უნდა ეძებოს, თორემ ძალიან შორ გზაზე სიარულში შეიძლება გაიყინოს კიდეც. გმადლობ უფალო, ამ გზებს, რომ მოკლე დროში მაპოვნინებ.

## სტუმრად ოფია იოსელიანთან

2004 წელი იდგა, საოცრად ლამაზი დღე იყო, 11 აპრილი-აღ-  
დგომის ბრწყინვალე დღესასწაული. „დილა ნისლით დაყურ-  
სული“, მერე კი მზით გაბრწყინებული, ქარული სიტყვის  
დიდოსტატს მშობლიურ სოფელში უნდა ვწვეოდით საქართ-  
ველოს მწერალთა კავშირის ფოთის ლიტერატურული განყო-  
ფილების და აღმანას „ორნატის“ წევრები. მიკროავტობუსი  
წყალტუბოსაკენ მიგვაქროლებდა. ისევ გალაკტიონი, ისევ  
ლადოს პოეზია და ქართული მელოდიები გვათრობდა. სიმ-  
ღერით ჩავიარეთ, ატმის ხესავით აფეთქებული“, ლამაზი სო-  
ფლები, ყველგან გაზაფხულის მომაჯადოებელი სურნელე-  
ბა ტრიალებდა. ავტობუსი მინდვრის ყვავილებით მოხატულ  
ფერდობზე შეჩერდა.

სოფელი გვიშტიბი, ოტია იოსელიანის ზღაპრული კარ-მი-  
დამო... ცნობისმოყვარე თვალი პირველ რიგში ბატონ ოტიას  
ხელის ნაფერებ ხეხილის ბალზე შევაჩერეთ. თვალისმომჭრე-  
ლად ყვაოდა ხეხილი. ხეებს შუა ფუტკრის სკები იდგა, ძილფხ-  
იზლობდა სკათა დედოფალი, ნაირყვავილთა დასალაშქრად  
ემზადებოდა.

„აპრილს შუკრავს იები კონად,  
ფუტკარი სკაში გოლეულს ახვევს,  
ყველა სულდგმული გაუხდა მონა,  
ამ გაზაფხულის დაგებულ მახეს“.

ჩემი ლექსის ბნეკარები შემომაშველა ერთერთმა ორ-  
ნატელმა ღიმილით შემოგვეგება მასპინძელი. და როგორც  
მეწინამძღვრე ეზოში შეგვიძლვა. ჩვენს თვალთა წინაშე მთე-  
ლი სიდიადით წარსდგა ორსართულიანი არქიტექტურული  
ანსამბლი, ქართული ორნამენტებით დამშვენებული აივნით,  
კონუსისებური სახურავი, თითქოს ცას მიბჯენოდა...

ნათელ ვესტიბიულში შევედით, ირგვლივ მყუდროება და  
სისუფთავე უფლობდა... დაღლილობა დაგვავინყდა, გუნე-

ბა-განწყობილება გაგვიხალისდა და ოთახის ცენტრში, ბუხართან ახლოს მოვკალათდით, თუმცა ბუხარში ცეცხლი არ გიზგიზებდა, იმ დღეს ძალიან ცხელოდა.-რა საოცარი კაცია, - გავიფიქრე ჩემთვის: ბუხარიც ხომ მისი ნახელავია, ხუროც ყოფილა, ყანის მუშაც, მებუხრეც, სოფელშიც რამდენი ახალი სახლი აუშენებია, ნეტავ როდის რჩება დრო კალმისათვის რომ მოიცალოს? ქართული სულით ამაღლებული ქმნილებანი დაამარგალიტოს, ვენახი ახაროს და სტუმარს თავისი ხელით დაწურული ნაჟურით უმასპინძლოს?! ღმერთო დიდებულო! უმრავლე მამულს ასეთი შეილები.

ქართული კერძებით დამშვენებულ სუფრას, „საფიქრალ-საამბობად“ მივუსხედით, მოვუბოდიშე და ცხვრის ფორმის ყალიბში გამომცხვარი ლამაზბაბთანი, „ოქროს ვერძი“ მივართვი მასპინძელს, ჩვენ ფაზისიდან მოვდივართ, ვერძი ბერძნებს ოცნებით მოვსტაცეთ და სიტყვის დიდოსტატს მოგართვით მეთქი, თან ვაჟა ეგრისელის ენით დავსძინე, „ლეგ-ენდის ტოტზე ჰკიდია მზე-ოქროს საწმისი... არ ჩანს აიეტ, მე მედეას ღალატს არ ვეძებ, რადგან ზღვისკარად ისევ მიდგას იმედის კოშკი.- იმედი წუ მოგიშალოთ ღმერთმაო... გვითხრა, - ამას დასაჭრელად ვინ გაიმეტებსო, ნახელავი შემიქო და აღდგომის ბრნყინვალე დღესასწაული მოგვილოცა, ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად ქართველნო! ჭექდა ბატონ ოტიას მგზნებარე ხმა. ფოთელმა მხატვარმა რევაზ გიორგაძემ მწერალს მის მიერვე შექმნილი ფერწერული ტილო, „მწერალი ოტია იოსელიანი“ მიართვა. საჩუქარმა მწერალი საოცრად გაახარა და მაშინვე მიუჩინეს ადგილი და კედელმაც სულ სხვა ელფერი შეიძინა., ოქროს ვერძმა“ სვანური ნოველები მომავონა: „შენი სისუსტის ცოდნა და მასთან შერიგებული ბრძოლაა გამარჯვება. საკუთარ თავზე გამარჯვება თუ შეგიძლია ვერავითარი მტერი ვერ დაგამარცხებს!“

აღმანაზი- „ორნატი“ ნამდვილად მისასალმებელი წამოწყებაა, - დასძინა მან, სწორედ ქართული მწერლობა და ქართუ-

ლი კულტურაა ერის გადარჩენის საფუძველი, ალმანახი ცეცხლის ქურაში უნდა გამოიწროს, სხვანაირად ვერ იქნება.

ოტიას ბევრ ნაწარმოებს ვიცნობ, სცენაზეც მინახავს, მაგრამ, „მენინავე“ მაინც ყველაზე შთამბეჭდავია, რამე თუ იგი თავისუფლებისაკენ ლტოლვაა და არამარტო ლტოლვა, ჯიშისა და ჯილაგის, მისი ნიშანთვისებების შენარჩუნებისაკენ მოწოდებაა. „სხვანაირად ის სხვა იქნება და არა ის, რაც უნდა იყოს“, ქართულ სიტყვასთან შერკინებული მწერალი შესანიშნავად აღნერს ჯიხვთა საუფლოს, ჯიხვი ხომ ენდემური ცხოველია, იგი მხოლოდ საქართველოს მთათა ქარაფებში გვხვდება, კლდის ქიმზე უთენდება დილა, თავისუფლებისადმი სიყვარულით გამოირჩევა, რასაც შენი არ ქვია, მის აქ ყოფნას არყოფნა ჯობია. თუ გვარ-სახელი გაქვს, სხვისი გვარითა და სახელით რად უნდა გიხმონ?! ის რაც გქვია მას ეძახიან, თავისია, პატრონია, და სახელდებით იცნობენ! ჯიხვებს საჯიხვეების იქეთ არ ეცხოვრებათ, რადგან ამ მწვერვალების მშვენებას ციცაბოკლდის ქიმებზე დაეძებს მოყვრისა და მტრის თვალი.

ჯიხვები თუ საჯიხვეებში არ იქნებიან, მაშინ დედამინაზეც არ იქნებიან რა ჭეშმარიტებაა! ამის თქმა მხოლოდ ერისკაცს შეუძლია. „ორნატელები: დიდხანს მსჯელობდნენ ალმანახის შუქ-ჩრდილებზე, ოტია ჩვეული იუმორით გვერთვებოდა კამათში.ჩვენს წინ იდგა ქართველი ბრძენკაცი, ყალიონის კვამლში გახვეული დიდოსტატი ქართული სიტყვისა, ხვალინდელ დღეზე დაფიქრებული და მომავლის განმჭვრეტელი... თხისგან ჯიხვს ვერავინ შექმნის -ამბობდა ის. მაგრამ ჯიხვის თხად გადაქცევა იოლია. საკმარისია ფარებსა და წველას შეაჩვიო, ჯოგი არვედ გადაიქცევა. ჩვენდა სამწუხაროდ, სულიერ ფასეულობებზე მეტად ახლა მატერიალური დომინირებს. ჰაი, ჰაი, რომ ასეა, დოლარებზე და დანარკოტიკებზე გაყიდულო მამულო! ქვეყანა ისაა, „სადაც

გაგეძლება, და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული სიკვდილი არ გემუქრება“, ჯიხვის ენით ამბობს მწერალი - თუ მოვინდომებთ, შეუძლებელს შევძლებთ, ურთიერთ მხარში ამოდგომა და სიყვარული გვიშველის მხოლოდ. და ჩვენ ხომ ის ერი ვართ, არწივებივით ცის კაბადონზე რომ კრავს ირაოს. დიდხანს იცოცხლეთ ბატონო ოტია, ისევ თქვენისთსანა მეწინავები იხსნის დღეს შეჭირვებულ საქართველოს, შეგვინარჩუნებს მამა-პაპათაგან მიღებულ ეროვნულ ტრადიციებს, რითაც ასე მდიდარია ჩვენი მწერლობა და ჩვენი კულტურა.

## ლეპსის სტრიქონში გვირილებს ახვევ

(ვუძღვნი რონა ბუბუტეიშვილს)

ცისკარივით შენ უხდები ფაზისა,  
კარგად იცი პოეზიის ფასი,  
გულით დაგაქვს სიყვარული მოყვრის,  
გხიბლავს ლექსი, „ვეფხისა და მოყმის“  
ტრადიციით შენ უხდები სხვა უამს:  
გალაკტიონს, აკაკის და ვაჟას,  
უფლება გაქვს საუბრობდე მშვიდად,  
რომ ჩაგთვალონ შოთას შვილთაშვილად.  
შენში მხოლოდ უსათნოესს ვხედავ,  
როგორ გიყვარს და აღმერთებ დედას,  
პოეტი ხარ და როგორი თანაც,  
ყავდეს ყველას შვილი შენისთანა.  
ყველას მოსავ, ეფერები დიდად,  
ნუთუ შენ სულ არაფერი გინდა?  
საფიცარი დედიკო ხარ, ბებოც,  
იმიტომ გყავს შვილი სანაქებო.  
საიმედო დაიკო ხარ ძმების,  
საქმით გარჯოლს ყველას ენატრები,  
სულ მამულზე ფიქრობ რაც დრო გადის,  
გემატება ტკივილი და დარდი.  
შენს ეზოში მაფშალია გალობს,  
ფიქრი გიპყრობს, უღალატო ქალო.  
ლექსის სტრიქონს გვირილებში ახვევ,  
მზით გიბრწყინავს ეს ლამაზი სახე.  
„შემოდგომის ფერი დაპკრავს ფოთლებს“,  
მაგრამ უძლებ დარდებსა და შფოთვებს,  
შენს ლექსებში იმედები ვპოვე,

იმედები არ მოგშლოდეს პოეტს.  
შენი რწმენის ერთგული ხარ რონა,  
არ ყოფილხარ არავისი მონა,  
ღვთის რწმენა და სიყვარული გახლავს,  
პოეზიის პარნასზე ხარ ახლა.  
ცისკარივით რომ უხდები ფაზისს,  
კარგად იცი პოეზიის ფასი,  
გულით დაგაქვს სიყვარული მოყვრის,  
გხიბლავს ლექსი, „ვეფხისა და მოყმის“.  
სიყვარული გიდევს გზად და ხიდად,  
გელოდები ნუ აყოვნებ დიდხანს.  
მენატრები და მერედა როგორ,  
გკოცნი ჩემო, თვალხატულა გოგო.

## როგორ დაიჯერეთ ჩემი დაბერება

წლები სწრაფად გარბის,  
წლები მისას შვება.  
ქალი მაინც სხვაა, ქალი ქალად რჩება,  
როგორ დაიჯერეთ, როგორ დაიჯერეთ,  
როგორ დაიჯერეთ ჩემი დაბერება.  
ბრუნავს დედამიწა, ან კი რა იქნება,  
როგორ შეიძლება მისი გაჩერება,  
როგორ დაიჯერეთ, როგორ დაიჯერეთ,  
როგორ დაიჯერეთ ჩემი დაბერება.

25.X.2018წ.

## მე ისეთ ქართველს ვინაშებ

ერეკლეს ლალატს ვინც დაიჯერებს,  
არის ნათქვამი ყალბად,  
კაცს ლამეშიაც ხმალზე ეძინა,  
ფარი ეხურა საპნად,  
ხმალთა ქნევაში გაცვითა,  
ჯანი და ჩოხის კალთა,  
მე ახლა უფრო ვიჯერებ,  
მემატიანის ნათქვამს.  
ვერც იმ კაცს ვეღარ მოვუსმენ,  
ვინც ნამდვილ წარსულს კარგავს,  
წინაპრებს როცა გალანძლავს,  
თამარს რომ ჩათვლის კახპად.  
დღესაც მხოლოდ მას ვიწამებ,  
ვინც მტრებს მიაგებს ლახვარს,  
დავითს, თამარს, თუ ფარნავაზს,  
წინ წამდლვარებს ლამპრად,  
წინაპართ კვალზე რომ ივლის,  
არ დაივინყებს წარსულს,  
მამულის სადარაჯოზე,  
არ დახრის დროშას ქართულს.  
მე ასეთ ქართველს ვიწამებ,  
ვინც დადის ქართულ მიწაზე.

## ცუ გიცდა პევრი სახრავი

მოსვლა არავის უკითხავს, წასვლას ვინ შეგევითხება,  
ვიდრე არსებობ ამქვეყნად ღმერთს უნდა უთხრა დიდება,  
ნუ გინდა ბევრი სახრავი და ბევრი ავლადიდება,  
მოეშვით უკეთურობას, ერთურთის გადაკიდებას.  
რა კარგს მოგიტანს ნეტავი, სხვისი დედ-მამის გინება,  
სხვაც დააფასე თუ ხედავ მამულისთვის რომ ინთება,  
იყავი ქვეყნის ერთგული, საქმის ნუ მოგერიდება,  
თუ გაუჭირდა შენს მამულს დაუდექ გზად და ხიდებად.  
აქ სასახლეებს ნუ ნატრობ - სიმდიდრეს, ავლა-დიდებას,  
იმქვეყნად ქოხი ინატრე, ყოფნა არ გაგიჭირდება,  
ამ წუთისოფლის სტუმრობას დიდი ხანი არ ჭირდება,  
მაგრამ გრძელდება სიცოცხლე, სამყარო ისევ იზრდება,  
მადლობას გწირავ უფალო! დიდება შენდა დიდება!

## სისულელეა სევდა და ფიქრი

დრო ისე მიქრის,  
ბოლო არ უჩანს,  
ეზოში თეთრად  
ფეხქავს ალუჩა.  
ხან ღრუბელია,  
ხანაც იდარა,  
ეზოში სადღაც  
კვნესის გიტარა.  
დრო არ ჩერდება  
და ისე მიქრის  
სისულელეა სევდა და ფიქრი

## მეგობრები და კონკურენცია

### პედიორი ხართ როცა უყვარხათ!

როცა გოეთეს ჰქონითხეს, როდის ხარ ბედნიერი, როცა პატივს გცემენ, როცა გაღიარებენ, თუ როცა უყვარხართ, როცა უყვარხართო, - იყო პასუხი.

დიახ ეს სიყვარული დიდი ხანია მოიპოვეთ ქალბატონო ლუიზა იმ თვალხატულა გოგო-ბიჭებისა, რომელთაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ჰქვია,

„სწავლობ არა სკოლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის“ - ეს გამონათქვამი წითელი ზოლივით გასდევს, თქვენს შემოქმედებით პედაგოგიურ საქმიანობას. რამდენჯერ გითქვამთ: ერთი დღეც არ შემიძლია გავდლო მოსწავლეების ურიამულის გარეშეო. თქვენი არ ეშინიათ, არამედ უყვარხართ თქვენი მაღალი პროფესიონალიზმისა და ჰუმანიზმის გამო. თქვენ ხომ არასოდეს გიღალატიათ მოქალაქეობრივი, ზნეობრივი და პედაგოგიური სინდისისადმი, ხართ მომთხოვნი და პრინციპული საკუთარი საქმისადმი, არასოდეს მოგნონდათ ავტორიტარული რეზიმი, მიგაჩნდათ რომ მოსწავლეებთან უნდა ითანამშრომლო, და არა შიშის ზარს სცემდე მათ, რადგან ფილოსოფოსთა თქმისა არ იყოს - „ვერ შეიყვარებ ვერც იმას, ვისიც გეშინია, და ვერც იმას-ვისაც შენი ეშინია“). ბავშვი ლაღად და თავისუფლად უნდა აზროვნებდეს. არავის სჭირდბა თვალებდაჭყეტილი, ენაჩაგდებული და გამოლენჩებული ბავშვები. გიყვარდეთ ბუნება და ადამიანები, გაუფრთხილდით მათ, რადგან ბუნებაში ვცოცხლობთ და ბუნების შვილები ვართ, ვიყოთ სამართლიანები და კაცომიყვარენი, გვტკიოდეს მამული და ვიყოთ მისი ერთგული

დამცველი- აი, რა არის თქვენი ცხოვრების კრედო, ამის დასტური, ხომ სკოლაში თქვენს მიერ ჩატარებული არაერთი სასკოლო თუ საქალაქო შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებია:

„ტყე შეუნახეშვილებსა“; „შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები“; „ხილთა ქება“; „დავიცვათ ცა და მიწა“; გენეტიკა და თანამედროვეობა“; „დავიცვათ ცა და მიწა ათასგარი დაბინძურებისაგან“; „გლობალური დათბობის კატასტროფული შედეგები და მისი უარყოფითი გავლენა ორგანიზმზე“; „სილამაზე, ჯანმრთელობა და ემოციები“.

გაკვეთილზე ჩატარებული სხვადასხვა ინტელექტუალურ ვიქტორინები (მუშაობოს ასეთი მეთოდიკა საქმეში ჩაუხედავ ზოგიერთ მუშაკს შეიძლება ხმაურადაც კი მოეჩვენოს“<sup>1</sup>. ღვთის მოშიშს, მოსიყვარულე მართლმადიდებელს, არაერთხელ მიგილიათ აქტიური მონაწილეობა ფოთის საკათედრო ტაძრის სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოებში, რაც არაერთხელ გაგიშუქებიათ პრესის ფურცლებზე - რუბრიკით „თუ ქალაქს ღმერთი არ იცავს, ამაოდ ფხიზლობენ გუშაგნი.“ ღვთის შენევნით უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით, მეუფე გრიგოლის ინიციატივით ხალხის გულწრფელად შემოწირული თანხებით დასრულდა საკათედრო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები და ამ კეთილ საქმეში თქვენი მცირედი ღვანწლიც არის, ერთი აგური თქვენც გაქვთ დადებული.

ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რა ადგილი უკავია პოეზიას თქვენს ცხოვრებაში. ხართ არაერთი ლექსისა და მოთხოვთ ავტორი, რომელიც ჯეროვნად იქნა შეფასებული ისეთი ცნობილი პიროვნებების მიერ, როგორებიც არიან გამოჩენილი მწერალი და პუბლიცისტი, გურამ ოდიშარია, მწერალი და უურნალისტი ნოდარ ტაბიძე, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი ნუგზარ ნადარა-

ია, პროფესორი, ალმანახ „რაინდის“ რედაქტორი, კინოთმ-ცოდნე გოგი დოლიძე, და რაც მთავარია თქვენი საყვარელი კოლეგები და ახალგაზრდობა.

„მელანი ჯერ არ გამოჰყოებია

და არც რითმებში ვამჩნევ ჭალარას“, - ამბობთ ხოლმე ხუმ-რობით. ჭალარა და წლები არაფერია, თუ იგი შემოქმედების სიუხვით არის დათოვლილი.

ამ პატარა მილოცვაში ყველა ღირსებას ვერ ჩაატევ, მთა-ვარი ისაა, რომ დღესაც მხნედ დადიხართ კოლხურ მიწაზე და თავდადებულად ემსახურებით იმ მეტად საპატიო საქმეს, რასაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა -აღზრდა ჰქვია.

გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანის სიმრთლეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს, ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. ვიმე-დოვნებთ არაერთხელ გაგვახარებთ თქვენი შემოქმედებით და პოეზიით. გფარავდეთ ღმერთი. ამინ!

სკოლის მეგობრები ლეილა კაკულია, ვანო ნარმანია.

15.6.2021 6.

## შესვებრა მაითხველთან

დღეს უდიდესი სიყვარულითა და მოკრძალებით მოვედი, რამეთუ ამ დარბაზში ჩემი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი მეგულებით, მოვედი რათა მოგეფეროთ და უპირველეს ყოვლისა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ მაგრძნობინეთ ქართული სიტყვის მადლი და მომანიჭეთ სიხარული ქართული ნიჭის უკვდავებისა. ქალბატონო ლუიზა, თქვენ ქართული სიტყვის მადლი გაქვთ უხილავი მწვერვალებისაკენ, სამშობლო გამხდარა თქვენი პოეზიის შთაგონების წყარო. თქვენებურმა სიმღერამ სამშობლოსადმი, მართლაც რომ მომხიბლა:

„მე ჩემებურად ვუმღერ ქვეყანას,  
სხვას როგორც უნდა ისე იმღეროს,  
მთავარი არის არ წახდე ისე,  
რომ ქართველობა არ შეიფერო.“

სამშობლოსადმი თქვენმა გალობამ მაგრძნობინა ბუნების უკვდავება, წარმომიდგენია როგორ გიყვართ გათენება და გახარებთ მზის ამოსვლა. ეთაყვანებით სამშობლოს და მისი სიყვარული, დიდების სურვილი არ გასვენებთ:

„სისხლი გინდა ქართლო ჩემო,  
გულზე დაგეპკურები,  
თვალნი გინდა?  
შენი იყოს ცრემლით დანაპკურები.  
მე ყელამდე ჩაფლული ვარ,  
შენი მტკივა იარა,  
გული გინდა? აჲა ისიც,  
შენი იყოს მთლიანად“.

ძვირფასო ქალბატონო, მართლაც რომ შეგფერით ქართველობა, გიყურებთ და გული სიამაყით მევსება, თქვენ მზესავ-ით თბილი და მთვარესავით სავსე ხართ. თქვენ ის ადამიანი

ხართ, რომელსაც შეუძლია მზის სხივებით წაშალოს ნაღველი, შეეჯიბროს სიყვარულში მზენვიებს, დაათროს იებივით გაზაფხული და სხვანაირად გენვიოთ წელიწადის ყველა დრო:

„ლექსმა უნდა ველები და  
ბილიკები გაგატაროს,  
და მოხეთქილ გრიგალივით,  
ძვლებში უნდა გაგატანოს“.

მართლაც რომ გრიგალივით შემოიჭრა თითოეული სიტყვა ჩემში, მართლაც ჩიტებივით უგალობენ საქართველოს, თითქოს ახლა შევამჩნიე ნაკადულის საუბარი, თვალუუუნა გაზაფხული, ტყემლის ქათქათა ფანტელები, თვალცრემლიანი აპრილი, ატმისგან ანთებული კოცონი და ყველა სულდგმული მონაა - გაზაფხულის მახეში გაბმული და ახლა ვხვდები რად გამოთქვით:

„არ გაოცდე სხვაზე მეტად, იგრძნო ჰანგი  
მერცხლების და მზენვიების გათანგული.  
ქალი ვარ და სხვანაირად მოდის ჩემში,  
ეს კრიალა ვარდისფერი გაზაფხული“.

ძლიერმა სიყვარულმა ვერ შეძლო ჩატეულიყო პანაწინა გულის ჩარჩოში და მოითხოვეთ თასი, შესვით, მაგრამ ვერ დაგათროთ ვაზის ნაჟურმა:

„ეს გაუმარჯოს ყველა შფოთსა და ყველა დარდიმანდს,  
ვისაც ამქვეყნად გული ერჩის, ვისაც დარდი კლავს,  
თავისი ქვეყნის, მერე ქალის, მერე ბახუსის,  
ვისაც კაცურად უძგერს გული და აქვს ნამუსი.  
ეს გაუმარჯოს ყველა ქართველს და ყველა კაი კაცს,  
ვინც ვაზის ნაჟურს შეირგებს და ტკივილს აიტანს“.

თქვენ არ გეყოთ სასმისი, და ხელში აიღეთ კალამი, რათა მოფერებოდით ყველას და ყოველივეს, გსურდათ თქვენი სიტყვა ყოფილიყო სახსოვარი, თქვენ ის ქალი ხართ, რომელმაც იჭაშნიკა ტკივილი, სევდა, და უიმედობაც, მაგრამ შეძელით

აგეგოთ ტაძარი და ყოველივე დამთრგუნველი მოიტყორც-  
ნეთ შორს, - მთებს მიღმა:

„მე ვიჭაშნიკე ტკივილიც, სევდაც,  
მაგრამ იმედებს ვუგებდი ტაძარს.  
უიმედობა მოსული ჩემთან,  
შორს, შორს, გავტყორცნე მთებს მიღმა სადღაც“.

მაგრამ ამაში თითქოს არაფერია გასაოცარი, თქვენი პრო-  
ფესიონალი გამომდინარე, თქვენ ხომ უამრავი თაობის აღმზ-  
რდელი ხართ. მჯერა რომ თქვენს მიერ აღზრდილი თაობები  
დიდი სიყვარულით კითხულობენ თქვენს თითოეულ სიტყვას  
და თვალწინეთი წარმოუდგებით როგორც მეგზური თავიანთი  
ცხოვრებისა ბავშვების აღზრდასა და მზრუნველობაში. ალ-  
ბათ ვერც კი შეამჩნიეთ თმებში შეპარული ჭალარა, მაგრამ  
გრძნობთ წლების სიძლიერეს და ამბობთ:

ზღაპრულ რაშით მიქრის დრო და  
ველარავინ ამუხრუჭებს,  
ეს საათი ჩვენს ჯინაზე,  
ჩიტებივით კენკავს წუთებს.

ქალბატონო ლუიზა, მინდა გითხრათ თქვენ პირნათლად  
იომეთ ცხოვრების ასპარეზზე, და მჯერა, რომ ცხოვრე-  
ბის რთულ ომში, გამარჯვების მოსაპოვებლად კიდევ ბევრს  
გაამხნევებთ და გაუძღვებით წინ მერმისისაკენ. მინდა ჩემი  
სტატია თქვენეული სიტყვებით დავამთავრო და ხმამაღლა  
წარმოვთქვა:

„გთხოვთ ნუ ჩამითვლით ტრაბახად,  
თუ კი ხმამაღლა ვიტყვი,  
ვარ ფრთაგაშლილი ღალდა და  
მაქვს სიყვარულის ნიჭი“.

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ ეს ნიჭი და სულ სიყვარულით  
გევლოთ სიკეთის კეთების გზაზე.

**ლია ჯლამაია**

ფოთის | საჯარო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი

18.I.2003 წ.

## ამ ნიგნის ავტორი

ქალბატონი ლუიზა ჩხეტია-ზაქარაია გავიცანი ფოთში მე-5 საჯარო სკოლაში, სადაც მორიგი ტური ჩავატარეთ ჩვენი ყოველთვიური მოსწავლეთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციისა. ამ სკოლის მოსწავლეებმა, სადაც ქალბატონი ლუიზა ასწავლის ნამდვილი ფურორი მოახდინეს თავიანთი განსწავლულობით და მამულიშვილური შემართებით, გულთბილი წარწერით გვაჩუქა ავტორმა ეს წიგნი, რომელსაც სიამაყით წარვუდგენთ ჩვენს მკითხველს და მის წინასიტყვაობასაც.

გოგი დოლიძე

კინომცოდნე, პროფესორი, სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარე და აღმანას „რაინდის“ რედაქტორი.

\* \* \*

როდესაც ქალბატონ ლუიზას ლექსებს გავეცანი პირველად აი ეს ლექსი მომხვდა: დრო ისე მიქრის, ბოლო არ უჩანს, ეზოში თეთრად ფეთქავს ალუჩა, ხან ღრუბელია, ხანაც იდარა, ეზოში სადღაც კვნესის გიტარა, დრო არ ჩერდება და ისე მიქრის, სისულელეა სევდა და ფიქრი“. კლასიკური პოეტური განწყობილების ლექსი. ლამის ზეპირად დამამახსოვრდა. წარმომავლობა ჟამის, სევდა მარადიული ეფემერული მუსიკა... გალაკტიონი... ფრანსუა ვიონი („სად არის თოვლი შარშანწინდელი“), მოკლედ უამრავი ასოციაცია აღმიძრა ამ პატარა ლექსმა.

ლუიზა ჩერეტია ზღვისპირელი ქალბატონია და მეც, როგორც ზღვისპირელს, ყოველთვის მახარებს შეხვედრა ზღვის სიდიადითა და მშვენებით ნაკარნახევ ლექსებთან, განსაკუთრებით იმ ადამიანების მოგონებაც მესიამოვნა, რომელიც შავიზღვისპირეთის ულამაზესი ქალაქის, ფოთოს კოლორიტული სამყაროს ნაწილი იყვნენ. (მახსენდება ლექსი ფოთელ ექიმზე მისი ლექსები მრავალფეროვანია, ავტორს აქვს შინაგანი რიტმის ფაქიზი შეგრძნება. ამ წიგნში წარმოდგენილი ნაწარმოების ავტორი ჩემი უახლოესი მეგობრის, ბატონ თემურ ზაქარაიას დედა გახლავთ, დედა-შვილი ძველი აფხაზური არისტოკრატიული გვარის ემხვარების წარმომადგენელი, შთამომავლები არიან, მოხიბლული ვარ მათი საოცრად ნატიფი ურთიერთობით, თუმცა სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია მთელი მისი ულამაზესი შემოქმედება მათი უნაზესი სითბოთი და შუქითაა დამუხტული.

გურამ ოდიშარია,  
მწერალი - საქართველოს სახელმწიფო  
პრემიის ლაურეატი

\* \* \*

ლუიზა ჩხეტიას ადრეული სიყმანვილიდან ვიცნობდი, ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსია, ზაფხულობით ხშირად ჩავდიოდი ჩემს დედულეთში, ფოთში, ულამაზესი სანაოსნო მდინარის კაპარჭინის პირას - ვეება ჭადრების ჩრდილში ტოლ-ამხანაგებთან, ნათესავებთან საამოდ ვატარებდი დროს, ნავშიაც ბევრჯერ ვმჯდარვარ, პალიასტომის ლალად გაშლილ ტბასაც მივდგომივარ და თაკარა მზეში გვიბანავია. ახლობლებიდან თითო ოროლა ღაა ცოცხალი და სინანულით ვიგონებთ ხოლმე გარდასულს.

ჩხეტიები ბებიაჩემის მთელი უბნის სათაყვანებელი პიროვნების, ლიზა მასხულიას გვერდით ცხოვრობდნენ და მათ ოჯახთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. ჩემი ბაბუა, აპოლონ იმნაძე, ადრე ხე-ტყის ქარხნის მეპატრონე, - მთელ ფოთში ცნობილი მეცენატი ნიკო ნიკოლაძის მეგობარი იყო, არაფრის გამო ბოლშევიკებმა 1937 წელს დააპატიმრეს, გადასახლეს და შორეულ ყარაგანდაში დაიღუპა. კარგად მახსოვს ლუიზას დედა, იშვიათი ბუნებისა და სასიამოვნო გარეგნობის ადამიანი. შთამომავლობით აფხაზი, სისხლითა და შეგნებით ქართველი მანდილოსანი ლუბა ემხვარი. ვინაც შვილები საქართველოს უსაზღვრო სიყვარულით აღზიარდა და ვერ წარმოედგინა აფხაზეთის ჩვენი სამშობლოდან მოწყვეტა, გაუცხოება.

ლუიზა ჩხეტია დღემდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და მშობლიურ ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებლად ითვლება. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ იგი, სიტყვის ერთგული მსახურია, ჩვენი პოეზიის ტრადიციული გზის თავდაჯერებული მიმდევარი, რაც მისი ლექსებიდან კარგად ჩანს. გასულ წელს ქალაქ ფოთში გამოსცა მოზრდილი კრებული, „დროის ძახილი“, რომელიც მიძღვნილია

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისადმი, სურვილი გამიჩინა, „ლიტ-ერატურული საქართველოს“ მკითხველები გაეცნონ ლუიზა ჩხეტიას ლექსებს, კოლხური ჰანგების სილბო და მელოდიურობა რომ დაჰყვება.

**ემზარ კვიტაიშვილი.**

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი,  
პროზაიკოსი, პუბლიცისტი.

17.II.2017წ.

\* \* \*

პირველი და უმთავრესი ღირსება, რითაც ლუიზა ჩხეტია-ზაქარაიას პოეზია გამოირჩევა, ეს არის გულწრფელი, სანალდე და განცდის მაღალი პოეტური ოსტატობის გამოხატვა, თავი და თავი ეს არის, რომ სამყაროს აღქმა მაღალი ოსტატობით და ორიგინალურად ხდება. ამ ლექსების წამკითხველი, არამხოლოდ იგრძნობს კოლხურ სამყაროს, არამედ სერიოზულად და მძაფრად განეწყობა სინამდვილისადმი.

დიახ, უნდა გვხიბლავდეს და უნდა ვესაფეხუროთ ასეთ პოეზიას, ვესაფეხუროთ სიკეთეს, სიცოცხლეს, სიყვარულს და საქართველოს.

### ნოდარ ჭაბიძე

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი-პროფესორი. ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი.

ვაჟა ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის,  
გალაკტიონის პრემიის ლაურეატი.

16.VII.2016წ.

\* \* \*

ქალბატონი ლუიზა, ლუიზა მასწავლებელი - ეს სიტყვები ახლობელი და მისალებია ჩემთვის. წლების განმავლობაში გვერდი-გვერდ ყოფნამ დაგვაახლოვა ერთმანეთს, ისე, რომ ერთმანეთის სიხარულისა თუ დარდის თანაზიარი გაგვხადა, იგი ჩემი უფროსი მეგობარია, რომლის სითბოსა და თანა-გრძნობას ვგრძნობ ყველგან და ყოველთვის.

ქალბატონი ლუიზა ბიოლოგიის მასწავლებელია, წლების განმავლობაში ასწავლის ამ საგანს, იგი პროფესიონალია, გვახსოვს მის მიერ ჩატარებული გაკვეთილები და ღონისძიებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მრავალფეროვნებითა და ახლებური მიდგომებით. იგია აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. თანამშრომლობს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, პოეზიისადმი არამარტო სიყვარულით, არამედ თავადაც ქმნის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს. გამოცემული აქვს საკუთარი ლექსების არაერთი კრებული, აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ცხოვრებაში, არის საქალაქო ღონისძიებების მონაწილე. მრავალი კონკურსის გამარჯვებული. სკოლაში მუშაობასთან ერთად ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას დიდ დროს უთმობს. ესწრება შეხვედრებს ქალაქის სტუმრებთან-პოლიტიკოსებთან, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეებთან, შეაქვს თავისი მოკრძალებული წვლილი ქალაქის ცხოვრებაში. არის ილია მეორესთან ჩატარებული შეხვედრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მან ღირსეულად დაიმსახურა ფაზისის აკადემიის საპატიო წევრის წოდება. არის ფოთის საპატიო მოქალაქე. ფუსფუსა, ენერგიული, აქტიური, სკოლისა და ქალაქის მაჯისცემას მი-

ԵՐԵՎԱՆ ԲԱԿԱՆԱԳՐԻ

ყურადებული, ყველა სიახლისთვის ფეხისამწყობი, სხვისი დარღისა და სიხარულის თანამგრძნობი და გამზიარებელი. მკითხველთა სულის სალბუნად ქცეული-ასეთია ჩვენი ლუიზა მასწავლებელი.

## რუსიკო ალექსანდრია

ფოთის მე-5 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

18.VII.20166.

## ასე ქალიან რომ არ მიყვანდეთ ამის თქმას როგორ გაგიპებავდით

დღეს ჩემი წიგნის წარდგენა კი არ არის, იგი პაემანია ქართულ სიტყვასთან, ქართულ ლექსთან. ლექსი, - „ვეფხისა და მოყმისა“ სიყვარული რუსთაველისა, რომელიც არის ქართველი კაცისთვის გზის მანათობელი და გამკვალავი: როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორ უნდა ვიდგეთ მამულის სადარაჯოზე, როგორ უნდა ვედგეთ ერთმანეთს მხარდამხარ, როგორი საქართველო უნდა დავუტოვოთ მომავალ თაობებს. მინდა მადლობა მოვახსენო ქალაქ ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას (ნუნუ ჭელიძეს), გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქციის მესვეურებს ზურაბ აბრალავასა და ვანო ნარმანიას, რომლებიც წლების მანძილზე ემსახურებოდნენ ქართულ პრესას და დღესაც რეალურად აშუქებენ საქართველოში მომხდარ სასიკეთო თუ მტკიცნეულ მოვლენებს, ..ფაზისის“ აკადემიის ყველა წევრს, ყველა „ცოტნეიდელს“, რომელიც ნუგზარ ნადარაიას თავკაცობით ვაჟკაცურად დგას დედა ისტორიის სადარაჯოზე. ფოთის პედაგოგიურ საზოგადოებას, თვითმმართველი ქალაქის ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს ყველა წევრს გერონტი კუხალეიშვილისა და ბეჟუან ჯალაღანიას თაოსნობით. სიტყვაში გამომსვლელებს, ქალბატონებსა და ბატონებს: რონა ბუბუტეიშვილს, ზოია მარგელაშვილს, თალიკო კვარაცხელიას, გია დარჯანიას, ოთარ არძიმბაიას, ნუგზარ ნადარაიას, ჭაბუკ ქოიავას, რომლებმაც სიტყვები არ დაიშურეს და გულთბილად მომესალმნენ.

„მე ჩემი გზა მაქვს, იქნებ ბილიკიც,  
თუნდ ქვა და ღორღზე უნდა ვიარო,  
თუ კი მენდობით, მხოლოდ მე გიწვევთ,  
ჩემს სამყაროში სახეტიალოდ“.

ან კიდევ:

„ასე ძალიან რომ არ მიყვარდეთ,  
ამის თქმას როგორ გაგიბედავდით“.

ეს ლამაზი სტრიქონები, ქართველ პოეტს, ხუთგზის პრემიის ლაურეატს, აჭარაში არსებულ ალმანას „ზღვაურის“ რედაქტორს- ბელა ქებურიას ეკუთვნის, რომელმაც მოიცალა და ბათუმიდან ჩამობრძანდა ამ გაგანია ივლისის პაპან-აქებაში და თბილი სიტყვები არ დაიშურა, მოეფერა არა მარტო ავტორს, არამედ ყველა ფოთელს და დაგვატკბო თავისი ლამაზი პოეზიით. დიდი მადლობა მას.

ქედს ვიხრი ნიჭიერი ახალგაზრდების ამ საღამოს ორგანიზატორებისა და სულის ჩამდგმელების: რობერტ ნადარაიას, გიორგი ხოჭოლავას, ლევან მაშავას, გიორგი ესებუას წინაშე, რომლებმაც სცენაზე ცეცხლი დაანთეს და ასე ლამაზად წარმოაჩინეს ჩემი პოეზია. ჩვენ მამულის, ენის, პოეზიის და ერთმანეთის სიყვარულმა შეგვყარა ერთად. ფოთში ხომ „ასი ოქროს ფასი ერთი სიყვარულია“. ბედნიერი დღეები და სიყვარული არ მოშლოდეს ჩემს ფოთელებს და სრულიად საქართველოს.

უფალი გფარავდეთ, ამინ!  
დიდი სიყვარულით, პატივისცემით ლუიზა ჩხეტია  
14.VII.2016.

## ქალბატონ ლუიზა ჩხეტიას

(რონა ბუბუტეიშვილი)

მოდით ერთად ვუგალობოთ ფაზისს,  
მასზე ლოცვით ასხივებულ წუთებს,  
იმ უზადო, იმ ქათქათა აისს,  
კოლხურ დილას, თქვენ რომ სანთლებს უნთებთ.  
მოვეფეროთ ტირიფებს და ჭადრებს,  
ძირძველ მიწას დავულოცოთ ფესვი,  
ხეივნებსაც ჩავყვეთ როგორც ადრე,  
ცოტა სევდით, უფრო მეტი ლექსით.  
ზღვის თოლიებს ავადევნოთ მზერა,  
უსასრულოდ, თუნდაც ზეცის მიღმა,  
მე ხომ თქვენი ყველა სიტყვის მჯერა,  
მე ხომ თქვენში მზის ღიმილი მიყვარს.  
ჩავიხუტოთ სხივ ჩაწნული დილა,  
და საღამოს ვერცხლისფერი მოლი,  
მე რე რა, რომ თმებში დაპენტილა,  
ქალბატონო, უთეთოესი თოვლით...  
ნუ გაუღებთ, ნუ გაუღებთ კარებს,  
ზამთარს, დარჩეს დარი თქვენი ნება,  
ვინ თქვა, წლები დაგაკლებენ რამეს,  
სად პოეტი და სად დაწებება!  
მე რას ვიტყვი, თქვენი ხოტბის სადარს,  
იმაზე მეტს, რასაც ჟამი იტყვის,  
თქვენთვის ლექსი სიცოცხლეა რადგან,  
ხოლო რითმა, თქვენი გულის რიტმი...  
და, არასდროს დამთავრდებით, ვიდრე,  
ლექსთა თოვა მარცვალ-მარცვალ ფიფქავს,  
სულში უჭკნობ თაიგულად გიდევთ,  
ის, რაც დღემდე გულის გულით გითქვამს...  
მოდით ერთად მოვეფეროთ ფაზისს,  
ჩვენ ვინ მოგვცა დასაკარგი წამი,  
კვლავ ლექსებით შევეგებოთ აისს,  
კიდევ დიდხანს, კიდევ დიდხანს! ამინ!

12. VII. 2016 წ.

ქართველოს მწერალთა შემოქმედებისა და  
საზოგადო მოღვაწეობის მინისტრის  
მიერ მიღებული საქართველოს კულტურის  
მინისტრის საქართველოს კულტურის „ინდიანი“

## დიპლომი

თამარის გადამცველის ცნობის გადამცველი

ბაზარი

## ლუიზა ჩხერიას

და საზოგადო მოღვაწეობის გადამცველის  
სამართლის მიერ მიღებული საქართველოს კულტურის



2024



ლუიზა ჩხერია




აფხაზ მეგობრებთან ერთად მიღებული ჯილდო



ლუიზა ჩხეტიას ბებია, დუნიაშა (დედის დედა)  
თავადი დიმიტრი მარშანიას ასული



ლუიზა ჩხეტიას დედ-მამა:  
ლუბა ემუსვარი და ბენედიქტე (ძუკუ) ჩხეტია



ლუიზა ჩხეტია მეუღლესთან, შალვა ზაქარიასთან და  
ვაჟიშვილ თემურისთან ერთად



ჩემი აწგარდაცვლილი შვილი,  
მოურჩენელი ტკივილი თემურ ზაქარაია



ԸՆԿԱՐԱԿԱՆ ՀԻԵՖԻՆ ՇՎՈԼԵՅԵՏԱՆ ՏԱՄՈՒՆԱ ԴԱ ԹԵՄՇՈՐՈ ՆԱՅԱՐԱՌԵՅԵՏԱՆ



ԻՐՄԻ ՋԱԼՈՇՎՈԼՈ  
ՏԱՄՈՒՆԱ ՆԱՅԱՐԱՌԱ



ლუიზა ჩხეტია



თემურ და შალვა (ბოხო) ზაქარაიები  
გოგი დოლიძესთან ერთად 2009 წ.



ლუიზა ჩხეტია, ხათუნა ზაქარაია სტუმრად  
მაყვალა გონაშვილთან შეკვეთილში



ლუიზა ჩხეტია  
შვილიშვილთან,  
10 წლის შალვა (ბოხო)  
ზაქარაიასთან



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე,  
პოეტი მაყვალა გონაშვილი ლუიზა ჩხეტიასთან ერთად



პოეტი მურად მთვარელიძე და ლუიზა ჩხეტია



ლუიზა ჩხეტია და ხუთგზის პრემიის ლაურეატი ბელა ქებურია,  
აჭარაში არსებულ ალმანახ „ზღვაურის“ რედაქტორი



ჩემი წიგნის „დროის ძახილის“  
რედაქტორი, სახელოვანი ნოდარ ტაბიძე



ლუიზა ჩხეტია გურამ დოჩანაშვილთან ერთად



ლუიზა ჩხეტია თავის კოლეგასთან,  
მეგობარ რუსიკო ალექსანდრიასთან



ხათუნა ზაქარაია, ოტია იოსელიანი და ლუიზა ჩხეტია



ლუიზა ჩხეტია ჭაბუკ ქოიავასთან და ოტია იოსელიანთან ერთად



საიუბილეო შეხვედრა საქართველოს  
კათოლიკოს პატრიარქთან, ილია მეორესთან



ფოთელი მეგობრები ირაიდა ფაცია და ლუიზა ჩხეტია კახეთში



ჩემი მოძღვარი, მამა კონსტანტინე ბურჯაძე



ფოთის მე-5 საჯარო სკოლის პედაგოგები ექსკურსიაზე სვანეთში



რობერტ ნადარაიას ფილმის პრეზენტაცია მწერალი გურამ ოდიშარია,  
ლუიზა ჩხეტია, ლეილა კაკულია, ნატრული ტაბიძე, განო ნარმანია



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის 26-ე  
ყრილობა, ლუიზა ჩხეტია, რონა ბუბუტეიშვილი და თამაზ პაჭუორია



ლუიზა ჩხეტია და ნუგზარ ნადარია



ლუიზა ჩხეტია ლაშა გვასალიასთან ერთად



ლუიზა ჩხეტია ჯილდოს გადასცემს კონკურსში „ხილთა ქება“ გამარჯვებულ მოსწავლეს ნინო ბასილაიას ამჟამად მწერალსა და დრამატურგს.



ლუიზა ჩხეტია მოსწავლეებთან ერთად

ლუიზა ჩხეტია ჯილდოს გადასცემს კონკურსში („ხილთა ქება“)  
გამარჯვებულ მოსწავლეს ნინო ბასილიას  
(ამჟამად ცნობილ მწერალსა და დრამატურგს)



ლუიზა ჩხეტია ბიოლოგიის ღონისძიებაზე  
ჯილდოვებს საუკეთესო მოსწავლეს - ალექს დოლბაიას

## ავტობიოგრაფია

დავიბადე 1937 წლის 6 ივნისს, ქ. ფოთში, ინტელიტურული გვარის ოჯახში. 1956 წ. ვსწავლობდი პირველ ქალთა სკოლაში, სადაც დაგყავი 9 წელი, შემდეგ სწავლა გავაგრძელებ და დავამთავრე II საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1961 წელს. იმავე წელს მუშაობა დავიწყე ქვემო ქვალონის საშუალო სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგედ და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1962 წელს ვმუშაობდი ჭალადიდის საშუალო სკოლაში.

1964-65 წლებში ვიმუშავე პირველ საშუალო სკოლაში, ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1967 წლიდან 57 წელი ვიმუშავე ქ. ფოთის მე-5 საჯარო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, სკოლაში მუშაობის წლებში მიღებული მაქს არა ერთი სიგელი და დიპლომი განათლების სამინისტროდან მოსწლეთა კონფერენციებსა და ოლიმპიადებში გამარჯვების გამო.

ვარ ფაზისის აკადემიის წევრი, ფოთის საპატიო მოქალაქე, 4 კრებულის ავტორი, საქართველოს მწერალთა, შემოქმედებითი კავშირის წევრი. მწერალთა ხელოვანთა, საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანის“ წევრი.

2023 წელს მომენტა ქართული ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატის წოდება.

2024 წელს მწერალთა, ხელოვანთა სა საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანის“ მიერ გადმომეცა დიპლომი და თამარიონის დედოფლის ენდალმა ჯვარი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობისთვის.

ვარ ქვრივი, მყავს ერთი ქალიშვილი, ხათუნა ზაქარაია.

---

## სარჩევი

სიყვარულის აღამდარი .....	5
საქართველო რომ ჰქვია .....	7
საახალწლო სურვილები .....	9
ფოტოსინთეზი .....	12
ფოტოსინთეზი .....	12
მამულისთვის ერთად დგომა გადაგვარჩენს .....	17
შველა უნდა ქართულ სოფელს .....	18
მერე რა რომ .....	20
მე კოლხი ვარ .....	21
მე ოდოიას ჰანგი მხიბლავს .....	23
გული მაქვს ახალგაზრდული .....	24
ოდიშური .....	25
* * * თავზე არ დამდის ქონება .....	26
გულით ვამბობ .....	27
ზოგი რამ ჩემს შესახებს .....	28
ვედრება .....	29
სვეტიცხოველი .....	30
უქართველებოდ წამიც არ მინდა .....	31
პოეზია არის ჩემი ფიქრი .....	32
გადავშლი ლექსებს გალაკტიონის .....	33
* * * მსუბუქად მინდა ახლა ვიარო .....	34
მამულს დავუდგეთ მცველებად .....	35
დავიღალე ფიქრებით .....	36

ლმერთო ამას გთხოვ ვიდრე ვარსებობ!	37
დრო ეფემერი	38
სული ეძიე ადამიანში	39
ო, როგორ მიყვარს მთაზე	40
ზოგ-ზოგებს	41
მონატრება	42
თბილისი	43
შენში მხოლოდ სიყვარული ნიჭობს	44
გაზაფხული	45
ლევილი	47
გრძნობა მორეული	49
თამარ	50
საქართველო	51
აღელდი ზღვაო	52
სიკეთის კვალი	53
კაი ყმა	54
* * * ოცდა დამიმთავრდა	55
დავიარები ლექსით სწეული	55
ისევ იმედებს ავუგებ ტაძარს	56
* * * გულო, შენი მჯერა	56
არჩევანი	57
გიორგობა	58
რიონის პირას ფაზისში	62
ვის ელობები და რას	63
ნეტავი რას იპყრობთ?	64
რიონდალეულები	65

ფიჩორას ტყეში.....	66
* * * ჩემო მარგალიტო .....	67
კახელ კაცს .....	67
რომ ქართველობა არ შეიფერო .....	68
* * * სულში ეხლა ისევ თეთრად ცივა.....	69
ჩემი კოლხეთი .....	70
* * * კაპარჭინის პირას .....	72
* * * ჩემს არტერიებში სისხლი ჩქეფს კოლხური .....	72
შენი მამული გერჩივნოს ყველას .....	73
სიკეთის კვალი .....	74
დალი.....	75
ხერხი ჯობია ყოველთვის ღონეს .....	77
მთავარია მზე გქონდეს.....	78
დედაენა .....	79
იაკობ გოგებაშვილს.....	80
დაველოდები უკეთეს ნათელს.....	82
* * * მე ვერ მომხიბლავს დოლარი .....	82
ჩემს მოსწავლეებს.....	83
საამაყო მოსწავლე ჯანო იზორია .....	84
მოსწავლე- ახალგაზრდობას .....	86
ოქროს საწმისი.....	88
ჩემი სოფელი .....	90
შვილებს .....	91
არ მოვხუცდები .....	93
ილიას.....	94
იქნებ.....	96

* * * გაუხედნავი ულაყია ქართლი.....	96
გაზაფხულის პაროდია .....	97
აპრილში ანთებს ატამი კოცონს.....	97
კვერცხი .....	98
* * * ფიქრი სევდიანი .....	99
გალაკტიონი.....	100
* * * თუ ბილიკები ტაატით გიჩვევს .....	100
ყველას უნდა პირველობა.....	101
ზღვა .....	102
მამულო ჩემო .....	103
ღმერთო ამას გთხოვ ვიდრე ვარსებობ .....	104
* * * გოგლა ლეონიძეს აქვს ასეთი ლექსი.....	105
ხელში კალამს თუ აიღებ .....	106
დამწყებ პოეტებს .....	107
დილა სოფლის ეზოში.....	108
კაცი, რომელსაც სახელით იცნობდნენ .....	109
გუბაზ .....	111
მაგნოლია.....	114
აპრილის ცას ყვავილები ათოვს .....	115
ერთი სოფლის ბიჭები .....	116
საათი .....	118
საზრუნავი გაგვიჩნდა.....	119
ხათუნას .....	120
ქართველი ხარ ბიჭო! .....	121
ცოტნების დღესასწაული ნოჯიხევში .....	124
ცოტნეს ძეგლი ფოთში .....	125

შენი დალოცვა მიყვარდა.....	127
ო, უძველესო დიდებავ ქართლის .....	128
რა მოგერია.....	129
ლხინი რესტორან ოაზისში.....	130
* * *ჩემო ველებო, ჩემო მთებო! .....	131
რაც გვჭირს ჩვენით გვჭირს.....	132
ღამე აპრილში .....	133
ნოსტალგია.....	134
მამლის ყივილი.....	137
ბეღურა .....	138
* * * შენ დიდების ჯომოლუნგმაც რომ დაიპყრო .....	139
მარტის თვე .....	139
* * * ხოხბის ყელივით ლამაზი დილა .....	140
ორი ვაჟა .....	141
შენ მოხვედი წინაპრიდან.....	142
მეუღლეს.....	143
თრობის საათი.....	144
დარდიმანდული .....	145
შენ თუ კაცად არ ივარგე .....	147
იმედი მაქვს ღვთისა .....	148
დედაო ღვთისა მარიამ .....	149
ნუ დალონდები .....	151
მარტვილს მიდის ცირა .....	153
მე პოეზიის ამივსეთ თასი.....	155
ლექსმა უნდა დაგატყვევოს .....	156
ტკივილდამაყუჩებელი .....	157

შენ ახლა ეკლის გვირგვინი გადგას .....	158
ახალგაზრდებს .....	160
სკოლის ზარები.....	161
ცოტნეს არწივი ლაუვარდს აწყდება.....	162
ქარი.....	163
* * * ფოთში ქარი და ქარბობალა უცხო .....	163
მწყემსის სიმღერა.....	164
პასუხი ლექსის ავტორს .....	165
მონადირული.....	166
დედამინა .....	167
ჩვენთან არს ღმერთი .....	169
ფიქრები აფხაზეთზე.....	171
ღმერთო ნატერა ამისრულე! .....	173
ბაბუას .....	175
დედას .....	176
რისთვის ნეტავ? .....	177
ტკივილი.....	178
დავაგვიანე .....	179
ვერ შეგეძევი .....	180
კონფლიქტების გარეშე .....	181
ქოგუგალე.....	182
ბზიფის კალთებთან წვანან ბიჭები .....	184
ჩენ დავბრუნდებით, ჩავალთ სოხუმში .....	185
ეფერები ყველა ფოთელს .....	187
ახლა ზღვისკარად რომ გიდგას ფაცხა.....	188
წუხელ მესიზმრა.....	189

ჰეიი, სადა ხართ!	190
სევდიანი სიმღერა აფხაზეთზე.....	192
გამარჯობა აფხაზეთო შენი .....	193
იგი არასდროს აღარ დაშრება .....	197
მჯერა რომ ისევ შეიცვლება ბნელი ნათელით .....	198
ვახტანგურად გადავარათ.....	199
ბებერ მეზურნეებს .....	200
ეს ხელები შევაშველოთ ქართულ მიწას .....	202
თედო პაპა.....	204
ყველაზე რთული პროფესია არის კაცობა.....	206
* * *ახლა ვინ უფლობს ჩაქუჩის და უროს.....	207
ხოხობი .....	208
კაი ყმა .....	209
ვაჟკაცო სოფელს მიხედე .....	210
ფოთელები ჩარგალში .....	212
მადლობელი ვარ .....	214
ვსვამდი ანკარა მთის წყალსა .....	216
მიხაკი უყვარდა ტიციანს .....	217
დრო არ ჩერდება .....	218
დალოცვილ იყავ მარადა .....	219
„ფოთი-კოლხეთი-1913“ .....	220
უნდა გაგრძელდეს სიცოცხლე .....	223
ფაზისის ქუჩებში ეტლით რომ იარეთ .....	224
რომ დაბადება ამცნოს ქვეყნად ორი მგოსანის.....	225
რა დრო იყო და რა დარი .....	226
სიკეთე.....	227

სახლის სიმდიდრე .....	228
* * * სამოთხეს გავს ეზო-კარი .....	229
პაპის შეგონება .....	229
სიყვარული ყველას უნდა .....	230
სიყვარული ყველას უნდა .....	231
კალთას შეგირხევს ნიავი .....	231
ქალი და გაზაფხული.....	232
ლამეში გაფინეთ თეთრეულები .....	233
ნუ მოხვალ ჩემთან.....	234
* * *ნეტავ ისევ იწვიმებდეს ხვალ .....	234
გახუნებული ბარათები.....	235
ბონდის ხიდი.....	235
ირხეოდნენ ლაქაშები.....	236
ჩემი ნომერი შენ რომ გიყვარდა .....	237
ორნი ქოლგის ქვეშ .....	238
* * *მოგსდევს ოცნება, როგორც ფარვანა .....	238
ლერა.....	239
რა ხართ ეს კაცები .....	240
გნახავ ვიღაცის გვერდით .....	241
* * *მიუყვება მთიელ გოგოს.....	242
მთიელი ბიჭის სიმღერა .....	243
გაქრა, წავიდა ის გაზაფხული.....	244
გაზაფხული შემოსულა.....	245
პაროდიები.....	246
წიგნი თანამედროვე ნესტან-დარეჯანისა .....	248
სიზმარი.....	250

აკაკისებურად .....	251
ხალხურ მოტივზე .....	252
ვაჟკაცად ჩაგთვლი მაშინა .....	252
დაცარიელდა სოფელი .....	253
ადამი ღმერთს ემსახურე .....	254
ბუერა .....	255
* * *ზოგს ზღვა სურს, ზოგსაც ხმელეთი .....	256
* * *ქვეყანას სიბრძნე ჭირდება .....	256
ქალამ სთქვა .....	257
არწივი არ ჭამს მძორსაო .....	258
ორი კურდლლისა მდევარი .....	259
* * *გოგო მიდის იმისთანა .....	260
ფიქრები თავს ეხვეოდეს .....	261
მგელი და კრავი .....	262
დედის ცრემლებზე ხარობენ .....	264
სამძიმარი გვიანი .....	265
არასოდეს ხუნდებაო .....	266
ხათუნას .....	267
ო, უმამობა ძნელია ვიცი .....	268
ლექსები უკრაინაზე .....	269
ტალღების შფოთი გადაუვლის სევდით ნანგრევებს .....	270
საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი .....	272
ხელში გვიჭირავს წმინდა სანთლები .....	274
* * * სიმღერის ავტორს რომ უხსნით ვარსკვლავს .....	275
მიხეილ ჯავახიშვილს .....	276
ლოკოკინა .....	277

ერთი სოფლის ბიჭები .....	278
ნანა თოლორდავას .....	280
ლუიზა თედელურს .....	281
ხსოვნის ფურცლები .....	284
ზღვა სიყვარულის კაცი .....	284
* * * ახალგაზრდის სიკვდილი იგივეა ...	287
თემურის .....	290
პოეზიაში გადავიტანე .....	291
უკვე ყავლი გასვლია .....	291
თემურის .....	292
* * * მე არ მჩვეოდა ლექსები გლოვის .....	293
* * * შენ ჩემო გულის მალამო .....	295
* * * ახლაც ის ხდება, რომ შენს გარეშე მოდის ზამთარი ..	295
უშენოდ .....	296
დედა ყოველთვის ოცი წლისაა .....	297
ვერ დაგაცილებთ .....	298
ვერ დაგაცილებთ .....	299
დადუმებულა კოლხური სცენა .....	301
ჩვენთან ყოფნით ვერ ძღებოდი .....	303
ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას .....	304
შენს დაბადების დღეზე ყველანი მხიარულები .....	307
შენი როლები ისევ ცოცხლდება .....	309
შენ პოეზია გიყვარდა .....	310
გაბზარული კედელი .....	312
ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ .....	314
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს .....	315

* * *	შემოიჭერი როგორც სიზმარი.....	317
ფოთი და ფოთელები.....	319	
* * *	თუ ჩემს ფოთელებს არ მოვეფერე .....	319
კაცი საქმის და სიტყვის.....	320	
გურიის მთებში ფეხი აიდგი .....	321	
წუთს არ ჩერდები ჩქარობ .....	322	
გაზეთი, „ნიკოლაძის გზით“ .....	323	
* * *	ნაპერწკლიდან ცეცხლს ანთებდი.....	324
პალიასტომზე ღალა აფრინდა.....	325	
არ იფიქრო დამავიწყდი .....	326	
ბურჯი ხარ დიდი ოჯახის .....	328	
კაპარჭინაზე მიცურავდა პატარა ნავი.....	331	
ერთი იყავით - განუყოფელი.....	332	
გაქვს ფოთელობის ძლიერი განცდა .....	334	
არ გიძებნია სამოთხე სხვაგან .....	335	
შენი ბრალია ასე რომ მიყვარხარ .....	337	
ბედნიერ იყავ ჩემო პრინცესა .....	339	
ღირსეული კაცის საქმეები გრძელდება .....	340	
დაგვიანებული მადლობა ჩემო გიგა ამისთვის! .....	341	
ყველა განძზე უკეთესი.....	342	
ერთეულები ქმნიან ეპოქებს .....	343	
ერთეულები ქმნიან ეპოქებს .....	344	
ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ზაფხული.....	346	
შენ თავმდაბლობა გიხდება მარად.....	349	
იმედებს ისხამ .....	350	
ემიგრანტად არასოდეს დარჩები .....	351	

ფოთლების ვალსი .....	352
ხელოვანი ხარ ნამდვილი.....	355
ფოთი .....	359
რომის პირას ფაზისში.....	361
* * *შემომესია კოლოთა ჯარი .....	361
* * *კაპარჭინის ნაპირები მზრდიდა.....	362
ფიჩორას ტყეში.....	363
ნიკოლაძე და ფოთი .....	364
ფაზისის ქუჩებში ეტლით რომ იარეთ .....	366
კაპარჭინა .....	367
ამბობს სტრაბონი.....	368
ნუნუ ჭელიძეს .....	369
შენს თვალებში მე სიკეთე დავინახე .....	371
კოლხური ზეცა დაჰყურებდათ, - ვარსკვლავთა დასი ....	372
გმადღლობ.....	373
გამარჯვების ჩირალდანს ახლაც ხელიდან არ უშვებ .....	375
სიკეთის ქმნაში ვერ გიტოლდები .....	377
მამულისა და პოეზიის მოტრფიალე კაცი .....	378
მამულს შვილები ჭირდება .....	384
აპრილის ქარი გაგილებს კარებს .....	385
ჩვენ კაპარჭინის ნაპირი გვზრდიდა.....	386
ფოთელ პედაგოგთა ხევისბერს .....	388
მელანქოლია.....	390
რა რიგ უხდები გაზაფხულს .....	392
ფოთის ღვთისმშობლის შობის ტაძარი .....	394
აქ კელაპტარად ანთებულა წმინდა სანთელი.....	396

ჩემს მოძღვარს, მამა კონსტანტინე ბურჯანაძეს .....	397
ლეგენდა იყო ზღაპარი .....	398
დედა - დედაშვილობას .....	399
შენ ჩამოდი ისევ .....	400
მამას .....	401
დღეს შემოდგომა ზეიმობს.....	402
ბაჭიას პოზიცია ილიასადმი.....	403
მინიატურები .....	404
* * * ძალლს რომ ძალლური ცხოვრება შვენის.....	404
* * * თვლემს ომის ღმერთი.....	404
* * * მთვარე ღრუბლების ტბაში წევს .....	405
* * * ამ ცხოვრებას, რომ გაუძლო .....	405
* * * გული ხომ არ გაწუხებთ? .....	405
* * * მე ჩემებურად ვუმღერ ქვეყანას .....	405
* * * ოი, რა საწყენია.....	406
სტუმრად ოტია იოსელიანთან .....	409
ლექსის სტრიქონში გვირილებს ახვევ .....	413
როგორ დაიჯერეთ ჩემი დაბერება.....	414
მე ისეთ ქართველს ვინამებ .....	415
ნუ გინდა ბევრი სახრავი .....	416
სისულელეა სევდა და ფიქრი .....	416
მეგობრები და კოლეგები .....	417
ბედნიერი ხართ როცა უყვარხათ!.....	417
შეხვედრა მკითხველთან .....	420
ამ წიგნის ავტორი .....	423
* * * როდესაც ქალბატონ ლუიზას... ..	424

* * * ლუიზა ჩხეტიას ადრეული სიყმანვილიდან...	425
* * * პირველი და უმთავრესი ღირსება...	427
* * * ქალბატონი ლუიზა, ლუიზა მასწავლებელი...	428
ასე ძალიან რომ არ მიყვარდეთ ამის...	430
ქალბატონ ლუიზა ჩხეტიას .....	432
ავტობიოგრაფია.....	450